

თრღორამ მუჟსტერი



მუჟსტერი



სტრუქტურა



199.382  
3



ვილიამ შექსპირი

მეფე ლარსი

და

პროპილა



ინგლისურიდან თარგმნა

ზურაბ ბემაზაშვილმა

ISBN 978-9953-1-1821-4



„ყოველ კულტურულ ქვეყანაში „ჰამლეტს“  
ყოველი თაობა ხელმეორედ სთარგმნის“

კონსტანტინე გამსახურდია

რედაქტორი ნათია ნაცვლიშვილი

დამკაბადონებელი გიორგი ბაგრატიონი

K285.047  
3

© ზურლან გემაზაშვილი, 2012

გამომცემლობა „ნეკერი“, 2012

ISBN 978-9941-436-18-5





## „მეფე ლირი“

უილიამ შექსპირის „მეფე ლირის“ ადრეული ვერსიები დათარიღებულია 1608 წლით (First Quarto – პირველი გამოცემა). ეს პირველი ვარიანტი ცნობილია როგორც პიედ ბულის გამოცემა. თავფურცელზე მას აწერია: „მეფე ლირის და მისი სამი ასულის სიცოცხლისა და სიკვდილის ჭეშმარიტი ქრონიკალური ისტორია. აქვეა ედგარის უბედური ცხოვრების ამბავი, (ვაჟიშვილი და მემკვიდრე გლოსტერის გრაფისა; მის მიერ მოგონილი, პირქუში იუმორით სავსე ტომი ბედლამელისა); გათამაშდა მისი უდიდებულესობის, მეფის წინაშე უაიტჰოლში, წმინდა სტეფანეს ღამეს, საშობაო დღესასწაულზე (მისი უდიდებულესობის მსახურნი ამ პიესას ჩვეულებრივ დგამენ გლობუსში. ლონდონი. 1608 წელი)“. შემორჩენილია ამ First Quarto-ს თორმეტი ეგზემპლარი, თუმცა ეს ვარიანტები ერთმანეთისაგან განსხვავდება, რადგან მრავალჯერაა ჩასწორებული, როდესაც ახლად დასაბეჭდად ამზადებდნენ. არსებობს „მეფე ლირის“ 167 სხვადასხვა ნიმუში.

1619 წელს გამოჩნდა Second Quarto, რომელიც ყალბად იყო დათარიღებული იმავე წლით, რომლითაც First Quarto. ამან, რა თქმა უნდა, უფრო გაართულა საბოლოო ტექსტის დადგენა. კომპეტენტურმა კომისიამ მრავალწლიანი მუშაობის შემდეგ დაადგინა დედანთან მაქსიმალურად მიახლოებული ტექსტი, სადაც გამოყენებული და გათვალისწინებულია ყველა არსებული ვარიანტი. ამ ახალ ტექსტს დართული აქვს განმარტებანი და შენიშვნები იდიომების, ფრაზეოლოგიური კონსტრუქციების, ომონიმების, სინონიმების, კალამბურების, სლენგების და ა.შ. მნიშვნელობის შესახებ, რაც დიდად უწყობს ხელს მთარგმნელს დედნის ზუსტ გაგებასა და მის თარგმნაში.

„მეფე ლირის“ ბრწყინვალე ქართული თარგმანი შესრულებულია ქართული ლიტერატურის კორიფეების – ილია ჭავჭავაძისა და ივანე მაჩაბლის მიერ. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ დიდ

მთარგმნელებს ხელთ არა ჰქონდათ „მეფე ლირის“ ზუსტი ტექსტი, რითაც გამონწვეულია მცირეოდენი უზუსტობანი, ამ შესანიშნავ თარგმანს რომ ახლავს.

უილიამ შექსპირის ტრაგედიები დაწერილია იამბური პენტამეტრით, რაც ქართულ ათმარცვლიან ლექსს შეესაბამება და არა თოთხმეტს, რითაც შესრულებულია ქართული თარგმანი. ის აზრი, რომ „ქართული ათმარცვლიანი ლექსი ვერ გადმოსცემს ინგლისურ იამბურ პენტამეტრს იმიტომ, რომ იგი ვერა უღერს „დარბაისლურად“ ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. ჩვენ შევეცადეთ ათმარცვლიანი ლექსით გვეთარგმნა ტრაგედია „მეფე ლირი“ და მაქსიმალურად დაგვეახლოვებინა თარგმანი ორიგინალთან.

ვფიქრობ, მომავალი თაობები ამ მეტრით თარგმნიან უილიამ შექსპირის უკვდავ ნაწარმოებებს.

შექსპირის გენიალურ თხზულებათა ქართულად თარგმნაში ახალი ეპოქა უნდა დაიწყოს.

**ზურღან გემაზაშვილი**

## მეფე ლირის ტრაგედია

### მოქმედი პირნი

ლირი, ბრიტანეთის მეფე  
საფრანგეთის მეფე  
პურგუნდის ჰერცოგი  
კორნუოლი, ჰერცოგი, რეგანას ქმარი  
ოლბანი, ჰერცოგი, გონერილის ქმარი  
კენტი, გრაფი  
გლოსტერი, გრაფი  
ედგარი, გლოსტერის ვაჟიშვილი  
ედმუნდი, გლოსტერის ბუში  
ჰურანი, კარისკაცი  
ოსკალდი, გონერილს მოურავი  
მონსუცი, გლოსტერის მოიჯარე  
ეიმი  
ლირის ხუმარა  
კაპიტანი, ედმუნდის ხელქვეითი  
ჯენტლმენი, კორდელიას თანმხლები  
მაცნე  
კორნუოლის მსახური  
ლა ფარი – საფრანგეთის მარშალი

გონერილი –  
რეგანა –  
კორდელია – } ლირის ქალიშვილები

ლირის თანმხლები რაინდები, ოფიცრები, შიკრიკები,  
ჯარისკაცები, მხლებლები.

მოქმედება მიმდინარეობს ბრიტანეთში.

# მეფე ლირის ტრაგედია

## მოქმედება I

### სცენა I

#### მეფე ლირის სასახლის პალატი.

*/შემოდიან კენტი, გლოსტერი და ედმუნდი/*

#### კენტი

მე მგონია მეფე ოლბანის ჰერცოგისადმი უფრო კეთილგანწყობილად ბრძანდებოდა, ვიდრე კორნუოლის ჰერცოგისადმი.

#### გლოსტერი

ყველას მასე გვეგონა, მაგრამ ახლა, სამეფოს დანაწილების დროს ვერ დაასკენი დაბეჯითებით, რომელ ჰერცოგს უფრო აფასებს. თანასწორობა იმდაგვარადაა დაცული, რომ ვერც ერთი მათგანი ვერ ამოირჩევს უკეთეს ნაწილს.

#### კენტი

ეს თქვენი ვაჟიშვილია, მილორდ?

#### გლოსტერი

მაგის აღმზრდელი ვარ, სერ. მე ისე ხშირად ვწითლდებოდი ხოლმე მაგის წარდგენის დროს, რომ უკვე გამონრთობილი გახლავართ.

#### კენტი

არ მესმის თქვენი.

#### გლოსტერი

სამაგიეროდ ამის დედას ესმოდა ჩემი ერთობ კარგად;



ამისგან მუცელი კობიჭივით წამოაჯდა და შვილი უფრო ჩქარა ჩაუგორდა აკვანში, ვიდრე ქმარი სანოლში. ახლა ხომ მიხვდით ჩემს შეცოდებას?

### კენტი

მე არ ვიტყვოდი, ეგ არ მომხდარიყო-მეთქი, რაკი ასეთი მშვენიერი ნაყოფი მოუცია.

### გლოსტერი

მე ერთი შვილი კიდევ მყავს, ამაზე ერთი წლით უფროსი, კანონიერი შვილი, თუმცა ამიტომ ის ჩემთვის უფრო ძვირფასი არ გახლავს, თუმცა ეს ოინბაზი ამ ქვეყნად, ცოტა არ იყოს, უტიფრად და ადრე გაჩნდა, როცა არავინ ეპატიჟებოდა, მაგრამ მაგისი დედა ხორცშესხმული მშვენიერება გახლდათ. ეს ვაჟბატონი დიდი სიამოვნებით შევექმენით და მოვალე ვარ იგი შვილად ვაღიარო. შენ იცი, ვინა ბრძანდება ეს კეთილშობილი დიდებული?

### ედმუნდი

არა, მილორდ.

### გლოსტერი

ეს ლორდი კენტია.

### ედმუნდი

თქვენი ბრწყინვალეების მსახურად მიგულეთ, მილორდ.

### კენტი

მე იმედი მაქვს შემიყვარდები და უფრო უკეთ გაგიცნობ.

### ედმუნდი

ვეცდები, სერ, ეგ დავიმსახურო.

## გლოსტერი

ეს აქ არ ბრძანდებოდა ცხრა წელი და ჩქარა ისევ წავა.  
მეფე აქეთ მობრძანდება.

**ისმის ფანფარების ხმა, შემოდინ მეფე ლირი, კორნუოლი,  
ოლბანი, გონერილი, რევანა, კორდელია და ამაღლა.**

## ლირი

შენ მიეგებე, გლოსტერ, ჩვენს სტუმრებს,  
ფრანგების მეფეს და ბურგუნდთ მთავარს.

## გლოსტერი

ახლავე, მილორდ.

*/გადის ედმუნდთან ერთად/*

## ლირი

მანამდე მოვლენ,

მე მოგახსენებთ ჩემს ფარულ ზრახვას.  
მომართვით რუკა. ახლა იცოდეთ –  
სამეფოსა ვყოფ მე სამ ნაწილად;  
ჩვენი განზრახვა ასეთი არის:  
ჩამოვაცილო ჩემს ხნიერებას  
ყოველი ზრუნვა და ყველა საქმე,  
გადავულოცო ეს ახალგაზრდებს,  
იმათ უნარს და შესაძლებლობას,  
მე კი ტვირთისგან თავისუფალი  
დაველოდები აღსასრულის დღეს.  
შვილო, მთავარო კორნუოლისა,  
შენც არანაკლებ უსაყვარლესო,  
შვილო, მთავარო ოლბანიისა,  
დადგა ჟამი, რომ თქვენ მოგახსენოთ  
ჩემი უცვლელი და მტკიცე ნება.

ჩემს ქალიშვილთა ცალკ-ცალკე მზითვი  
მომავალ დროში აღკვეთს ქიშპობას,  
ჩვენ ეს განვჭვრიტეთ.

პრინცი ფრანგთა და ბურგუნდიისა  
ეცილებიან ორნი ერთმანეთს  
ჩვენი უმცროსი ქალის გულისთვის,  
სასახლის კარზე დიდხანს იცდიან,  
მიტომ არიან დროებით სტუმრად.  
დღეს მიიღებენ ისინიც პასუხს.  
ჩემო ასულნო, აბა მითხარით,  
ვიდრე მე უარს განვაცხადებდე  
კანონიერი სამეფოს ტახტზე  
და სახელმწიფოს მზრუნველობაზე,  
რომელ თქვენგანს მე უფრო ვუყვარვარ,  
მაგის მიხედვით რომ გინანლოთ,  
დაიმსახუროთ ეს ჩემი ჯილდო.  
იყოს შეჯიბრი ნიჭის და გრძნობის!  
ახლა, გონერილ, უფროსო შვილო  
აბა, დაიწყე.

### გონერილი

სერ, მე მიყვარხართ  
იმდენად ძლიერ, რომ მას სიტყვებით  
ადამიანის ენა ვერ იტყვის.  
უფრო ძვირფასი ბრძანდებით, ვიდრე  
თვალის ჩინი და თავისუფლება,  
მთელ სამყაროზე უძვირფასესი;  
რა უნდა იყოს თქვენზე მდიდარი,  
სვეხვაფიანი და საუცხოო;  
არანაკლები ხართ სიცოცხლეზე,  
სავსე ღირსებით და ნეტარებით,  
როგორც ბავშვს უყვარს თავისი მამა,

ისე მიყვარხართ და უფრო მეტად...  
ამ სიყვარულის გამოსათქმელად  
სიტყვა მწირია, ენა უძლური.  
რაც ვთქვი აქამდე, რაც შეგადარეთ,  
მე თქვენ მიყვარხართ იმაზე მეტად.

### კორდელია

/გვერდზე/

ჰა, კორდელიამ მეტი რაღა თქვას?  
მხოლოდ უყვარდეს და ჩუმად იყოს.

### ლირი

აჰა, შეხედე, ყველა საზღვარი,  
აი, ამ ხაზიდან, აი, ამ ხაზამდე,  
დაბურული ტყით, უხვი ველებით  
და ეს ნყალუხვი მდინარეები,  
ვრცელი, გაშლილი საძოვარებით  
შენ გეძღვნება და სამარადისოდ  
ოლბანის მთავრის შთამომავლობას.  
აბა, რას იტყვის მეორე ქალი,  
ძვირფასი რეგან, კორნუოლის ცოლი?  
ილაპარაკე.

### რეგანა

იმავე სისხლ-ხორციტ ვარ მე შექმნილი,  
რითაც ჩემი და; და შემაფასეთ  
იმავნაირად, ვით მას აფასებთ.  
ამ ალალ გულში აღმოვაჩინე,  
რომ მან გამოსთქვა ჩემი გრძნობები,  
ოღონდაც მოკლედ; მე სხვა სიხარულს  
მტრად ვეკიდები, რასაც მიიჩნევს  
ჩემი გონება და ჩემი გული,

გარდა იმ დიდი ბედნიერების,  
რასაც განვიცდი ვეება გრძნობით  
თქვენს ბრწყინვალეების სიყვარულისგან.

**კორდელია**

*/გვერდზე/*

საცოდავი ხარ შენ, კორდელია!  
თუმც არც ასეა, რადგანაც მნამს, რომ  
მე სიყვარული უფრო დიდი მაქვს,  
ვიდრემდე ამას ენა იტყოდეს.

**ლირი**

შენა და მაგ შენს შთამომავლობას  
მე გინილადებთ მთლიან მესამედს  
ჩვენ მშვენიერი სახელმწიფოსი,  
არანაკლები ღირებულებით,  
ფართით მშვენიებით, ვიდრე ესა აქვს  
მინიჭებული შენს დას, გონერისს.  
აბა, ახლა კი შენ, სიხარულო,  
ჩვენო უმცროსო, მამის სიამევე,  
ვის გაუფურჩქვენელ სიყვარულისთვის  
იბრძვის ძლიერი ორი მთავარი, –  
ზვართ მბრძანებელი საფრანგეთისა  
და ბურგუნდიის ველთა მფლობელი.  
აბა, მითხარი, რათა შენს დებზე  
უფრო ბრწყინვალე ნაწილი გერგოს.  
შენ რაღას იტყვი?

**კორდელია**

არაფერს, მილორდ.

**ლირი**

არაფერს?

**კორდელია**  
დიახ, არაფერს.

**ლირი**  
არაფრისაგან არა იქმნების.  
გვითხარი რამე.

**კორდელია**  
უბედური ვარ,  
ჩემს გულს ბაგეზე ვერ გამოვიტან,  
მე მიყვარს თქვენი დიდებულება,  
როგორც შეჰფერის შვილის სიყვარულს,  
არც ზედმეტად და არც თუ ნაკლებად.

**ლირი**  
ამას რას ამბობ, ჰა, კორდელია?  
იქნებ შესცვალო ნათქვამი ოდნავ,  
თორემ დალუპავ ამით მომავალს.

**კორდელია**  
კეთილო მილორდ, თქვენ მე შემექმენით,  
თქვენ აღმზარდეთ და გულით გიყვარდით.  
მე ამ ვალს გიხდით, როგორც რიგია,  
მე თქვენ მიყვარხართ, მე თქვენ გმორჩილებთ  
და პატივსა გცემთ, მაგრამ თუ ჩემს დებს  
ასე უყვარხართ, რატომ გათხოვდნენ?  
რალად ჰყავთ ქმრები, თუკი ამბობენ  
რომ მარტოოდენ თქვენლა უყვარხართ?  
აღბათ, როდესაც მე გავთხოვდები,  
იმ ლორდის ხელი, მე რომ დამწინდავს,  
ნაიღებს ჩემი გულის ნახევარს,  
ჩემი ზრუნვის და მოვალეობის.  
ამიტომ, ამას რალა თქმა უნდა,

არ გავთხოვდები ამ ჩემს დებსავით,  
მიტომ რომ მამა სრულად მიყვარდეს.

**ლირი**

მაშ მაგას ამბობ შენ ნრფელი გულით?

**კორდელია**

ასეა, ჩემო კეთილო მილორდ.

**ლირი**

ასე ნორჩი და ასეთი გულქვა?

**კორდელია**

ასე ნორჩი და ასე მართალი.

**ლირი**

მაშ ეგრე იყოს და მზითვად გეყოს  
შენი სიმართლე და გულწრფელობა!  
ფიცავ ბრწყინვალე მზის სხივოსნობას,  
ჰეკატას ღამის იდუმალებას,  
ასტროლოგიურ ყველა ზენოლას,  
რითაც ვარსებობთ ამ ქვეყანაზე  
და რის წყალობით შეგწყვიტავ ყოფნას,  
რომ უარს ვამბობ შენს მამობაზე,  
ამ ჩემს მამობრივ მზრუნველობაზე  
და ჩემს საკუთარ სისხლსა და ხორცზე;  
როგორც უცხო რამ ამ ჩემ გულისთვის,  
განვედ აქედან სამარადისოდ!  
ვით ბარბაროსი, ველური სკვითი  
შთანთქავს საკუთარ შთამომავლობას  
და ამით იგი გულს მოიყირჭებს,  
ისე იქნება ჩემთვის საამო,  
შესაბრალისი, შვების მომგვრელი,  
ჩემი ქალწული, ყოფილი შვილი.

## კენტი კეთილო მეფე...

ღირი

კენტო, გაჩუმდი!

შენ ნუ ჩადგები დიდი დრაკონის<sup>1</sup>  
 და მის ცეცხლოვან, შმაგ რისხვას შორის.  
 მე ის ყველაზე მეტად მიყვარდა  
 და ვაპირებდი ნაშთენი დღენი  
 მიმენდო მაგის კეთილ ზრუნვისთვის.  
 გასწი, თვალთ ნუ დამენახებები!  
 ნეტავი ჩენი საფლავი იყოს  
 ისე მშვიდი და აუშფოთველი,  
 როგორც მას მშვიდად გულიდან ვიგდებ!  
 უხმეთ ფრანგთ მეფეს. მანდ ვინ ხმაურობს?  
 აქვე მოიხმეთ ბურგუნდთ მთავარიც.  
 კორნუელ, ოლბან, ჩემს ქალთა მზითვებს  
 ეს მესამედიც ზედ დაუმატეთ;  
 ამპარტავნებამ, – ეგ რომ უწოდებს  
 პირში თქმასა და უბრალოებას–  
 მან გაათხოვოს, მე თქვენ გადმოგცემთ  
 ჩემს დიდებას და ძალაუფლებას,  
 სამეფო ჯარს და მეფურ ზეობას.  
 მე დავიტოვებ მხლებლად ას რაინდს,  
 ყოველთვიურად თქვენთან ვიცხოვრებ,  
 მე შემინახავთ ღირსებისამებრ.  
 ვიტოვებ მხოლოდ მე მეფის სახელს,  
 ტიტულებსა და მეფურ ღირსებას.  
 ხოლო გავლენას და ქვეყნის მართვას,  
 მის შემოსავალს, სამართლის დაცვას,  
 მე თქვენ გადმოგცემთ, ძვირფასო შვილნო;

<sup>1</sup> ბრიტანეთის ჰერალდიკური ემბლემა, ძლიერების სიმბოლო.



ყველაფერ ამის დასამტკიცებლად  
აჰა, გვირგვინი, გაინაწილეთ.<sup>2</sup>

### კენტი

მაღალო მეფევე, მე თქვენ ყოველთვის  
პატივსა გცემდით, როგორც ჩემს მეფეს,  
მიყვარდით, როგორც ალალი მამა,  
ჩემი ბატონი, დიდი პატრონი;  
გიხსენიებდით მე ჩემს ლოცვებში...

### ლირი

მშვილდი მოვზიდე, ისარს უფრთხილდი.

### კენტი

მაშ, იგი მომხვდეს, მახვილმა წვერმა  
გააპოს ჩემი გულ-მკერდის არე.  
დე, იყოს კენტი მთლად კადნიერი,  
თუ მეფე ლირი ჭკვიდან შესცდება.  
ამას რას სჩადი, მოხუცო კაცო?  
ნუთუ გგონია, მოვალეობას  
ეშინია, რომ ხმა ამოიღოს  
მაშინ, როდესაც ძალაუფლება  
ქედს უხრის ასეთ მამამებლობას?  
მართლის თქმა არის ვალდებულება,  
როცა მეფეს ფლობს ჭირვეულება.  
ჯერ უფლებებზე უარს ნუ ამბობ  
და შენებური ცივი გონებით  
განსაჯე ჩქარი ეგ განაჩენი.  
საფრთხეში ვიგდებ მე ჩემს სიცოცხლეს,  
მაგრამ უმცროს ქალს შენ არ უყვარხარ  
უფრო ნაკლებად, ვიდრე სხვა ამბობს.  
ხმას გამოსცემენ ფუყე გულები.

2 აძლევს გვირგვინს, რომელიც კორდელიასთვის იყო განკუთვნილი.



ღირსი

კენტო, გაფიცებ საკუთარ თავს, რომ  
მეტი აღარ თქვა!

კენტი

მე ჩემს თავს, მეფევე,  
არად ვაგდებდი, როცა ვებრძოდი  
შენს მტერს და დუშმანს.  
არ მეშინია მისი დაკარგვის,  
იმის მიზეზი თუკი იქნება  
ჩემი სიკეთე, უსაფრთხოება.

ღირსი

ნადი, გამშორდი, მომწყდი თავიდან!

კენტი

რამ დაგაბრმავა, ღირსო, შემხედე,  
დამტოვე მე შენს ერთგულ მსახურად.

ღირსი

ვფიცავ აპოლონს...

კენტი

მეც მაგას ვფიცავ,  
ფუჭად იფიცებ, მეფეო, შენს ღმერთს.

ღირსი

ო, არამზადა ერეტიკოსი!  
*/ხმლის ვადაზე იტაცებს ხელს/*

ოღბანი, კორნუოლი

ძვირფასო მეფევე, გთხოვთ რომ დამშვიდდეთ!

### კენტი

აჰა, განგმირე შენი მკურნალი!  
და საზღაური გადაუხადე  
შენს საზარელ სენს. უკან ნაიღე  
შენი ჯილდონი, თორემ იცოდე,  
სანამდისინაც მე სული მიდგას  
ვიტყვი, რომ სჩადი ერთობ ავ საქმეს.

### ღირი

ყური დამიგდე, შენ, მოღალატევ!  
ყალბი ფიცითაც კი მომისმინე!  
შენ გნებავს, ჩვენი სიტყვა გავტეხო,  
რაც აქამომდე ჩვენ არ გვიქმნია.  
ძალით, ამაყი გაგულისებით  
ეჩრები ჩვენი ძალაუფლების  
და საბოლოო განაჩენს შუა,  
რასაც ვერ იტანს ჩვენი ბუნება,  
ჩვენი ღირსება და ხასიათი.  
მეფურ დიდებას ეყოყორები,  
ჰოდა, მიიღე ეს საჩუქარი,—  
ხუთ დღესღა გაძლევ, რომ მოემზადო  
და განერიდო მინიერ სნებას;  
მეექვსე დღეს კი განვედ აქედან,  
ეგ საძულველი ზურგი აქციე  
ჩვენს სამეფოს და ქვეყნიერებას.  
თუ მეთათე დღეს აქ იხილავენ  
შენს გაძევებულ, ჯირკვიტ სხეულს,  
მაშინ მოგელის სიკვდილით დასჯა.  
ახლა გამშორდი! ო, იუპიტერ,  
არ გადითქმება ეს ჩემი სიტყვა.

### კენტი

მშვიდობით, მეფევ! ამით გვიჩვენე,

რომ გაძევება აქა სადგურობს,  
ხოლო სხვაგან კი თავისუფლება.

*/კორდელიას/*

ღმერთი გფარავდეს, მეფის ასულო,  
აზრი სწორი გაქვს, სიტყვა მართალი.

*/რეგანას და გონერილს/*

თქვენი ბრტყელ-ბრტყელი ლაპარაკი კი  
ჭეშმარიტ საქმედ გადაგექციოთ  
და მოჰყოლოდეს კეთილი ბოლო  
მაგ სიყვარულით წარმოთქმულ სიტყვებს,  
ამგვარად კენტი, ო, პრინცესებო,  
გეთხოვებათ თქვენ. სხვა ქვეყანაშიც  
ის არ დაკარგავს თავის ჩვეულ გზას.

*/გადის/*

*/ისმის ფანფარების ხმა, შემოდინ გლოსტერი,  
საფრანგეთის მეფე, ბურგუნდიის ჰერცოგი და ამაღლა/*

### გლოსტერი

დიდო ხელმწიფევ, აგერ გეახლნენ  
საფრანგეთის და ბურგუნდთ მეფენი..

### ლირი

ბურგუნდთა მეფევ, ჯერ თქვენ მოგმართავთ,  
თქვენ ეცილებით ფრანგების მეფეს  
ჩვენი უმცროსი ქალის გულისთვის.  
ახლა მითხარით, რა მზითვს მოითხოვთ  
თუ უარს ამბობთ მის სიყვარულზე?

### ბურგუნდთა ჰერცოგი

დიდო მეფეო, მე არ მოვითხოვ  
იმაზე ზედმეტს, რასაც დაპირდით,  
ხოლო ნაკლებს კი თვით თქვენ არ მისცემთ.

### ლირი

კეთილშობილო ბურგუნდთ მთავარო,  
როდესაც იყო ჩვენთვის ძვირფასი,  
იმის მიხედვით მას ვაფასებდით.

ახლა კი იგი გაუფასურდა.

აგერ, სერ, იგი აქა დგას ჩვენთან,  
მისი სულ მცირე გულახდილობით  
და ჩვენი წყენით, გულნაკლულობით.  
თუ ეს მოგხიბლავთ, სხვა არაფერი,  
ინებეთ იგი, იგი თქვენია.

### ბურგუნდიის ჰერცოგი

არ ვიცი, სწორედ, რა გიპასუხოთ.

### ლირი

მას, შეგიძლიათ ამ ნაკლით, ხინჯით,  
რასაც იგი ფლობს, ზედ დაუმატოთ  
ჩვენი ახალი ეს მძულვარება  
და ეულობა, უმეგობრობა,  
მზითვად კი მხოლოდ წყევლა და კრულვა;  
უცხო და ფიცით შეჩვენებული  
შეირთოთ ცოლად ან მიატოვოთ?

### ბურგუნდიის ჰერცოგი

მე მომიტევე, მეფეო, მაგრამ  
მგონი, არავინ არ აირჩევდა  
თქვენს ქალს ასეთი პირობის შემდეგ.

### ლირი

მაშინ დატოვეთ. ვფიცავ ჩემს გამჩენს,  
ყველა გითხარით, რაც აბადია.

*/საფრანგეთის მეფეს/*

თქვენ, დიდო მეფე, მაგ სიყვარულით

არ შეიქმნიდით დიდ დაბრკოლებას,  
თუ იქორწინებთ ადამიანზე,  
რომელიც ჩვენ გვძულს. ამიტომ მე გთხოვთ,  
თავს აირიდეთ უბედურება  
და შეიყვარეთ უფრო საჩინო,  
ვიდრე ბეჩავი და უკეთური,  
თვით ბუნებას რომ ეთაკილება  
მისი შეცნობა.

### საფრანგეთის მეფე

საოცარია,

აქამდე თქვენმა ძვირფასმა შვილმა,  
თქვენი სიბერის ბოლო ნუგეშმა,  
საამაყომ და უსაყვარლესმა,  
ნამში ისეთი რა ჩაიდინა,  
რომ გულის ყველა ძაფი განყვიტა.  
აღბათ, ეს არის აუნერული  
საქმე საზარო და საშინელი,  
თორემ ეგ თქვენი ნყევლა იქნება  
უმართებულო და სამარცხვინო.  
ხოლო ყველა ამ ბრალს დააჯერებს  
ჩემს გონებას და ჩემს შემეცნებას  
გაუგონარი რამ სასნაული.

### კორდელია

ოღონდ, ხელმწიფევ, მე გევედრებით,  
ვინაიდან მე არ შემოძლია  
დათაფლულ ენით ენამჭევრობა,  
დაიმედება იმ პირობებით,  
რის შესრულება არც მიფიქრია,  
მე ჩვეული ვარ ასე მოვიქცე,-  
ჯერ საქმე ვქმნა და მერე სიტყვა ვთქვა,  
მინდა იცოდეთ, არა უზნეო

ან გატეხილმა ჩემმა სახელმა,  
 არც მკვლელობამ და უნამუსობამ,  
 ანდა უღირსმა რამე ნაბიჯმა  
 დამაკარგვინა თქვენი წყალობა  
 და მამობრივი კეთილგანწყობა,  
 არამედ მან, რომ არა მქონია  
 მუდამ ვედრებით სავსე თვალები,  
 ენა მლიქვნელი, ერთობ პირფერი,  
 ბედნიერი ვარ, რომ ის არა მაქვს,  
 თუმცა ასეთი ენის არქონამ  
 მე მამის გრძნობა დამაკარგვინა.

### ლირი

გერჩივნა, ქვეყნად არ შობილიყავ,  
 თუ მამის გულს არ გაახარებდი.

### საფრანგეთის მეფე

მისთვის უწყრებით? ამ ბუნებრივი  
 მორიდეების და კრძალვის გულისთვის!  
 რაც ხშირად ნადილს ვერ გვათქმევინებს?  
 ჩემო ძვირფასო ბურგუნთ ჰერცოგო,  
 ირჩევთ თუ არა პრინცესას ცოლად?  
 ის სიყვარული არ არის გრძნობა,  
 რასაც თან ახლავს გონების განსჯა,  
 არაფერი აქვს მასთან საერთო.  
 მაშ მიგყავთ ცოლად?  
 თვით იგი არის თავისი მზითვი.

### ბურგუნდიის ჰერცოგი

*/ლირს/*

დიდო მეფეო, მიეცით თქვენ ქალს  
 იმის ნაწილი, რასაც დაპირდით  
 და იგი იმავ წუთას გახდება

დიდ ბურგუნდიის ჰერცოგის ცოლი.

### ლირი

არაფერს ვაძლევ, მე ფიცი დავდე.  
ეს მტკიცე ფიცი არ დაირღვევა.

### ბურგუნდიის ჰერცოგი

*/კორდელიას/*

დიდად ვწუხვარ, რომ მამა დაკარგეთ  
და მასთან ერთად დაკარგეთ ქმარიც.

### კორდელია

მაგას ნუ სწუხართ, არც მე მსურს ქმარი,  
ვის სიყვარულიც ანგარებაა.

### საფრანგეთის მეფე

ულამაზესო, ღარიბ-ღატაკი  
ხარ მდიდარი და უფრო სვიანი,  
მიტოვებული – უფრო რჩეული,  
და საყვარელი – აბუჩად თქმული.  
კანონიერად მიმყავხარ ცოლად,  
განწირული და მიტოვებული.  
ო, ღმერთო, ღმერთო! უცნაურია  
რომ ასე ცივად, არად მიჩნევით  
ეს გული გახდა უფრო მგზნებარე.  
თქვენი უმზითვო ქალი, მეფეო,  
დატოვეთ ჩემი ბედის ამარა  
და ახლა იგი დედოფალია  
ჩემი ღამაზი საფრანგეთისა.  
ასე რომ, წყალუხვ ბურგუნდიისა  
ვერც ერთმა დუკამ ვერ შეიძინოს  
უფასო, მაგრამ უძვირფასესი  
აი, ეს ქალწული, ჩემი საცოლე.



გამოეთხოვე მათ, კორდელია,  
თუმცა უღმობლად შენ აქ მოგექცნენ.  
რაც აქ დაკარგე, ჩემთან იპოვი.

### ლირი

ჰა, ნაიყვანე, ფრანგების მეფე,  
დე, იყოს შენი, რადგან მასეთი  
ჩვენ ქალიშვილი არ გაგვაჩნია.  
უკანასკნელად ჩვენ მასა ვხედავთ.  
გზას შეუდექით ჩვენი წყალობის  
და სიყვარულის, ლოცვის გარეშე.  
აქეთ მობრძანდით, ბურგუნდთ ჰერცოგო;

*/ისმის ფანფარების ხმა, ლირი, ბურგუნდიის ჰერცოგი,  
კორნუოლი, ოლბანი, გლოსტერი და ამაღლა გადიან/*

### საფრანგეთის მეფე

გამოეთხოვე დებსაც, ძვირფასო.

### კორდელია

მე გეთხოვებით თვალცრემლიანი,  
თქვენ საუნჯენო ჩვენი მამისა.  
მე ვიცი, რაც ხართ, მაგრამ რადგანაც  
მე და ვარ თქვენი, მიტომ არა მსურს  
ვთქვა ყველა თქვენი სიმახინჯენი.  
მამა გიყვარდეთ, რაკი გაქვთ გულში  
თქვენ პრეტენზია, ამას გავალებთ.  
მაგრამ რას ვიზამ, რომ ვყოფილიყავ  
მისი წყალობის, მფარველობის ქვეშ,  
უკეთეს ბინას მოვუნახავდი.  
გემშვიდობებით ახლა ორივეს.

### რეგანა

ჩვენს ვალს და ნაკისრს შენ ნუ გვასწავლი

### გონერილი

ეგ ჭკვის სწავლება, ისა სჯობია,  
ეცადე ქმართან გამოიყენო,  
ბედის წყალობით რომ წაგიყვანა.  
შენ მორჩილება არად ჩააგდე  
და ის მიიღე, რისი ღირსიც ხარ.

### კორდელია

დრო გამოაჩენს თქვენს ცბიერებით  
და ეშმაკობით დახლართულ საქმეს.  
იმას, ვინც ბოროტ განზრახვას მალავს,  
ბოლოს ამხელენ და შეარცხვენენ.  
კარგად იყავით.

### საფრანგეთის მეფე

ნამოდი, ჩემო ძვირფასო.

*/გადიან საფრანგეთის მეფე და კორდელია/*

### გონერილი

ახლა კი, ჩემო დაო, მე უნდა მოგელაპარაკო ისეთ რამეზე,  
რაც ჩვენ ორივეს შეგვეხება. მე მგონი, მამაჩვენი ამალამვე  
აპირებს წასვლას.

### რეგანა

მეც ასე მგონია, თქვენთან ერთად მოდის, შემდეგ თვეს კი  
ჩვენთან გაატარებს.

### გონერილი

შენ ატყობ, სიბერეში ხასიათი როგორ შეეცვალა. ამაში  
ახლაც დავრწმუნდით. მას ჩვენი და ყოველთვის ჩვენზე მეტად  
უყვარდა, ახლა კი რა უეცრად შემოსწყრა და მოიცვილა.

### რეგანა

ეგ უკვე სიბერის სენია, იგი ისედაც ყოველთვის ცუდადა ფლობდა თავის თავს.

### გონერილი

თავის ცხოვრების საუკეთესო წლებშიც კი გულსწრაფი და წინდაუხედავი იყო. ახლა მისი ასაკიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ მზად ვიყოთ, მხოლოდ მრავალი წლით ჩანერგილი ავზნეობისთვის კი არა, არამედ თავგასული ჭირვეულობისა და ახირებულობისთვისაც, რაც მას ფიცხმა და ღვარძლით სავსე წლებმა შემატა და განუმტკიცა.

### რეგანა

ასეთივე იმპულსური კაპრიზით შეიძლება ჩვენც დაგვატყდეს თავს, როგორითაც დღეს კენტი გააგდო.

### გონერილი

თუ მამაჩვენმა ისევ ასე განაგრძო თავისი ძალა-უფლება, ეს ახლახან აღსრულებული ტახტიდან გადადგომა წუხილისა და მღელვარების მეტს არას გვიქადის.

### რეგანა

მაგაზედ კარგად უნდა ვიფიქროთ.

### გონერილი

რაიმე უნდა ვილონოთ, ავი გასახედნი მოზვერი დროზე უნდა გაიხედნოსო.

/გადიან/

## სცენა II

ოთახი გრაფი გლოსტერის ციხე-დარბაზში.

*/შემოდის ედმუნდი, ხელში წერილი უჭირავს/*

### ედმუნდი

ბუნებავ, შენ ხარ ღმერთქალი ჩემი  
 და შენს კანონებს ვემორჩილები;  
 რად უნდა მქონდეს რიდი, პატივი,  
 მე საბულველი პირობითობის  
 და ნება დაერთო იმ „ნაზ“ სხვაობას,  
 რომ თორმეტი თუ თოთხმეტი თვისთა მე  
 ჩემს ძმაზე გვიან გაეჩნდო ამ ქვეყნად.  
 რას ნიშნავს ბუში? და რატომ ვდგავარ  
 მე უფრო დაბლა, თუკი ისევე  
 ძლიერი ვარ და კეთილშობილი  
 და ისეთივე კარგად შექმნილი,  
 როგორც ღირსეულ მშობელთა შვილი?  
 რატომ გვაქვს დალი - „ბუში“, „მდაბალი“?  
 მე ვინც იღუმალ, მძლავრ ბუნებებიდან  
 მივიღე ღონე, თვალ-ტანადობა,  
 არა ვვობივარ იმ გონებაჩლუნგთ,  
 ვინაც შეიქმნენ ძველ სანოლებში  
 გაცვეთილი და მოლლილი ვნებით,  
 რომ ჩაისახნენ ძილ-ლვიძილს შუა,  
 გაჩნდნენ ამ ქვეყნად ზანტი მთქნარებით;  
 მამ კარგი, ედგარ, კანონიერი,  
 მე უნდა დამრჩეს შენი მამული  
 მამის გრძნობები თანაბრადა გვაქვს  
 როგორც ბუშს, ისე შენ, კანონიერს,  
 კარგი სიტყვაა „კანონიერი“.

ჰო, ჩემო კარგო კანონიერო,  
თუ ამ წერილმა მე არ მიმტყუნა  
და ეს ხრიკებიც თუ არ გაცუდდა,  
ბუში ედმუნდის ბედი, ილბალი  
გადააჭარბებს კანონით შობილს.  
მე გავკეთდები და ავმალდები.  
ახლა, ღმერთებო, თქვენ შეგვენიეთ  
ჩვენ, უკანონოდ ქვეყნად გაჩენილთ.

*/შემოდის გლოსტერი/*

### **გლოსტერი**

მაშ, ამდაგვარად კენტი განდევნეს!  
ნაწყენი დარჩა ფრანგების მეფეც?  
ლირიც ამაღამ გამგზავრებულა?  
მისი უფლებაც შემოზღუდულა?  
და მასთან ერთად მისი სახსრებიც?  
ეს ყველაფერი გაკეთებულა  
რალაცა წყრომით, გაგულისებით.  
ეს შენ ხარ, ედმუნდ? რა ამბებია?

### **ედმუნდი**

არაფერია, მამავ ბატონო.

### **გლოსტერი**

რატომა მალავ მასე მაგ წერილს?

### **ედმუნდი**

ახალი არა ვიცი რა, მილორდ.

### **გლოსტერი**

მითხარ, ახლახან რას კითხულობდი?

### **ედმუნდი**

არაფერს, მილორდ.

## გლოსტერი

ამბობ, არაფერს?

მაშ, რასა მალავ ასე გულდაგულ ჯიბეში? არაფერს დამალვა არ სჭირდება. აბა, ვნახოთ. თუ მართლა არაფერია, მაშინ სათვალეც არ დამჭირდება.

## ედმუნდი

მე გევედრებით, მილორდ, დიდ ბოდიშს გიხდით, ეს წერილი ძმისგან მივიღე და ჯერ ბოლომდე არ წამიკითხავს, მაგრამ რისი თვალის გადავლებაც მოვასწარი, იმით ვხვდები, რომ ეს თქვენი წასაკითხი არ არის.

## გლოსტერი

აბა, მომართვი ეგ წერილი, სერ.

## ედმუნდი

მოგცემთ თუ არ მოგცემთ, მე ვიცი, ამით უსიამოვნება უნდა მოგაყენოთ, მისი შინაარსი, რამდენადაც მე გამეგება, გაკიცხვის ღირსია.

## გლოსტერი

აბა, მიჩვენე, მიჩვენე.

## ედმუნდი

მე იმედი მაქვს, ამას ჩემი ძმის გასამართლებლად ვამბობ, რომ მან ეს წერილი მხოლოდ ჩემი ღირსებისა და კეთილშობილების გამოსაცდელად დანერა.

## გლოსტერი

„ეს პატივი და მოკრძალება ასაკისადმი ჩვენი ცხოვრების საუკეთესო დროს გვიმწარებს, ახლოს არ გვაკარებს იმას, რაც ბედით გვეკუთვნის, სანამ სიბერე არ წამოგვეწევა და აღარაფრის უნარი აღარ გვექნება. მე ვგრძნობ, რომ ყოვლად

ფუჭი და სულელურია მოხუცებულობის ტირანიის ქვეშ ყოფნა, რომელიც ბატონობს იმიტომ კი არა, რომ ის ძლიერია, არამედ იმიტომ, რომ ჩვენ ვრთავთ ამის ნებას. მოდი ჩემთან და ამაზე უფრო დანვრილებით მოვილაპარაკოთ. თუ მამაჩვენი დაიძინებს და აღარ გამოიღვიძებს, ვიდრე მე არ გავაღვიძებ, შენ წილად გვხვდება მისი შემოსავლის ნახევარი სამუდამოდ და იქნები საყვარელი ძმა შენი ძმის ედგარისა," ჰმ, შეთქმულება? „აღარ გამოიღვიძებს, ვიდრე მე არ გავაღვიძებდე, შენ წილად გვხვდება მისი შემოსავლის ნახევარი..." ჩემი ვაჟიშვილი ედგარი! ნუთუ იმის ხელს შეეძლო ამის დანერა? ნუთუ გულით და გონებით ატარებდა ამას? როდის მიიღე ეს წერილი? ვინ მოგიტანა?

### ედმუნდი

არავის არ მოუტანია, მილორდ. ამაშია მთელი ეშმაკობა. ჩემი ოთახის ფანჯარაში შემოუგდიათ.

### გლოსტერი

შენი ძმის ხელნაწერი იცანი?

### ედმუნდი

კარგი წერილი რომ ყოფილიყო, მილორდ, დავიფიცებდი, რომ ეს მისი წერილია მეთქი. მაგრამ რაც ახლა არის, მირჩევნია ისა ვთქვა, რომ ეს მისი დანერული არ არის.

### გლოსტერი

ეს მისი წერილია.

### ედმუნდი

ეს მისი ხელია, მილორდ, მაგრამ მე იმედი მაქვს ხელი გულის კარნახით არ იქმნოდა ამ საქმეს.

### გლოსტერი

ადრე შენთან არასოდეს ულაპარაკია ამ თემაზე?

### ედმუნდი

არასოდეს, მილორდ; მაგრამ იმისგან ხშირად გამიგონია, შვილები რომ სიმწიფის ასაკში შევლენ, ხოლო მამები დაბერდებიან, მამები შვილების მფარველობის ქვეშ უნდა მოექცნენ, შვილებმა კი მათ შემოსავალს მიხედონო.

### გლოსტერი

ო, ეგ არამზადა! წერილშიც მაგასა ბრძანებს. საზიზღარი არამზადა, მხეცი, თვალთმაქცი; მხეცზედ უარესი! მიბრძანდი, სერ, და მომიძებნე. დილეგში ჩავაგდე. საზიზღარი არამზადა. სად არის ახლა?

### ედმუნდი

არ ვიცი, მილორდ, ჩემი ძმის მიმართ თქვენი რისხვა რომ შეგეკავებინათ, სანამ ზუსტად არ შეიტყობთ მის ზრახვებს, მაშინ სწორ გადანყვეტილებას მიიღებდით. ხოლო თუ თავიდანვე მკაცრ ზომებს მიმართავთ და უსამართლოდ მოექცევით, ეს ზიანს მიაყენებს თქვენს ღირსებას და საბოლოოდ მოუღებს ბოლოს შვილის მორჩილების გრძნობას. თავდებად ჩემს სიცოცხლეს ჩამოვდივარ, რომ ეს წერილი მან ჩემს შესამონმებლად დაწერა, თუ როგორი ერთგული ვარ მე თქვენი კეთილშობილებისა, ყოველგვარი ავი ზრახვის გარეშე.

### გლოსტერი

მაშ, შენ მასე გგონია?

### ედმუნდი

თუ თქვენს ღირსებას ნებავს და არ ეჩოთირება, მე თქვენ ისეთ ადგილას დაგმალავთ, საიდანაც თქვენ მოისმენთ ჩვენს საუბარს და საკუთარი ყურით დარწმუნდებით ყველაფერში; ამას გადადება აღარ უნდა, სალამოსვე მოვანყობ ამ საქმეს.

### გლოსტერი

არ შეიძლება, რომ ასეთი ურჩხული იყოს.



## ედმუნდი

რა თქმა უნდა, არა.

## გლოსტერი

მამას უნდა ლალატობდეს, რომელსაც ასეთი სათუთი და წრფელი სიყვარულით უყვარს? ჰოი, ცისა და ქვეყნის ძალნო! ედმუნდ, აუცილებლად იპოვე. ერთი იმისი გულისნადები გამაგებინე, ისე მოიქეცი, როგორც შენი ჭკუა გიკარნახებს. რას არ გავიღებდი ამქვეყნად, რომ სიმართლე გამაგებინა.

## ედმუნდი

ახლავე წავალ და მოვნახავ. ვეცდები საქმე ისე მოვაგვარო, რომ სრული სიმართლე შეგატყობინოთ

## გლოსტერი

ამასწინებზე მზისა და მთვარის დაბნელება კარგს არას მოასწავებდა. მართალია, ბუნების მკვლევარნი ამას ასე თუ ისე ხსნიან, მაგრამ ბუნება მაინც მძიმედ განიცდის მათ შედეგს: სიყვარულს გული უცივდება, მეგობრობა იღუპება, ძმები ერთმანეთს ექიშპებიან, ქალაქებში ამბოხებაა, სოფლებში – შეხლა-შემოხლა, სასახლეებში – ლალატი, მამასა და შვილს შორის – განხეთქილება. ჩემს მოღალატე შვილზედაც მოქმედებს ეს მოვლენა, შვილი უჯანყდება მამას; მეფე არღვევს ბუნებრივ კანონებს; მამა აღსდგება შვილის წინააღმდეგ. კარგი დრო ისტორიას ჩაბარდა. ყოველგვარი მზაკვრობა, ლალატი, არაგულწრფელობა ინვევს უნესრიგობას და საფლავებშიც არ მოგვასვენებს. ახლავე მიპოვე ის ავაზაკი, ედმუნდ. შენ ამაზედ არ ინანებ. ყველაფერი ფრთხილად გააკეთე. კეთილშობილი და ალალი კენტი განდევნეს; მისი დანაშაული პატიოსნებაა; აი, ეს არის საოცრება.

*/გადის/*

## ედმუნდი

ეს არის ამ ქვეყნის საოცარი მოუაზრებლობა და სისულელე!

როგორც კი ბედი ზურგს შეგვაქცევს, ხშირად ისევ ჩვენი გამოიხატებით, მაშინვე ამას მზეს, მთვარეს და ვარსკვლავებს გადავაბრალვით ხოლმე, თითქოსდა მათი საბაბითა ვხდებით ბოროტმოქმედნი, რადგან ეს გარდუვალია; სულელები – ზეცის კარნახით; გაქნილნი, ქურდნი და ავაზაკნი – ციურ სხეულთა ზეგავლენით; ლოთები, მატყუარები, მრუშები - იმის მიხედვით, თუ როგორ გვიციმციმებს ბედის ვარსკვლავი; და თითქოს ყველაფერი, რაც კი ჩვენში სიბოროტეა, ზებუნებრივი ძალების შედეგია; თავის დაძვრენის შესანიშნავი მეთოდია მრუში, მუსუსი კაცისათვის, თავისი ავხორცობა ვარსკვლავებს გადააბრალოს. მამაჩემმა რომ დედაჩემთან მე გამაკეთა, ეს სულ ურჩხულის კუდის ვარსკვლავის ბრალი ყოფილა, ხოლო ჩემი დაბადების დღე – დიდი დათვის ვარსკვლავისა. ამიტომ მე უნდა ვიყო უხეში და გარყვნილი. სისულელეა! მე ასეთივე ვიქნებოდი ჩემს უკანონოდ გაჩენის დღეს, გინდაც ქალწულის ვარსკვლავს ეკაშკაშა ცის კაბადონზე. ედგარი მოდის...

*/შემოდის ედგარი/*

აი, ისიც მობრძანდება, როგორც ძველებური კომედიის კვანძის გახსნა. ახლა მელანქოლიური არამზადის როლს გავითამაშებ, რომელსაც ისეთი ოხვრა და ქუში აქვს ატეხილი, როგორც ბედლამელ<sup>3</sup> ტომს... ოო, ეს დაბნელებანი განხეთქილებას გვიქადის! ფა, სოლ, ლა, მი.

### ედგარი

რადაგემართა, ძმაო ედმუნდ, ასეღრმად რაზე დაფიქრებულხარ?

### ედმუნდი

ვფიქრობ, ძმაო, ვფიქრობ, იმ წინასწარმეტყველებაზე, ამ რამდენიმე დღის წინ რომ წავიკითხე იმის შესახებ, თუ რა უნდა მოყვეს ამ დაბნელებებს.

3 ბედლამი – ლონდონის სულით ავაღმყოფთა ჰოსპიტალი.

**ედგარი**

ეგ გაინტერესებს?

**ედმუნდი**

გარნმუნებ, ყველა ეს წინათქმანი, საუბედუროდ, ახდება ხოლმე; მაგალითისათვის, მშობლებისა და შვილების არაბუნებრივი ურთიერთობა, სიკვდილიანობა, სიძვირე, ძველი მეგობრობის მოშლა, უთანხმოებანი სახელმწიფოში, მუქარა და წყევლა-კრულვა მეფეთა და დიდებულთა მიმართ, ამარ ეჭვნეულობა, მეგობართა განდევნა, ჯარში დისციპლინის დაცემა, ცოლქმრული აღთქმის დარღვევა და მრავალი სხვა...

**ედგარი**

დიდი ხანია, რაც ეგ ასტროლოგიური მოვლენები იწამე?

**ედმუნდი**

კარგი, ამას თავი დავანებოთ. უკანასკნელად როდის ნახე მამაჩვენი?

**ედგარი**

გუშინ საღამოს.

**ედმუნდი**

დაელაპარაკე?

**ედგარი**

კი, მთელი ორი საათი ვისაუბრეთ.

**ედმუნდი**

მშვიდობიანად დასცილდით ერთმანეთს? სახეზე ან ლაპარაკში რაიმე უკმაყოფილება ხომ არ შეგიმჩნევია?

**ედგარი**

არაფერი არ შემიმჩნევია.

### ედმუნდი

აბა, კარგად გაიხსენე, რაიმე ხომ არ აწყენინე. გეხვეწები, მას თავი მოარიდე, სანამ ბრაზი არ გაუფლის. ახლა ისეა შენზე გაცეცხლებული, რომ არაფერზე უკან არ დაიხევს.

### ედგარი

ეტყობა, ვილაც ნაძირალამ უთხრა ჩემზე რაიმე.

### ედმუნდი

მეც ეგრე მგონია. გთხოვ, ჩემო ძმაო, ცოტახანს მოერიდო, სანამ რისხვა არ გაუნელდება. ახლა ჩემს ოთახში წამომყევი, მე იქ ისე მოვახერხებ, რომ შენი ყურით მოისმინო, რასაც მამაჩვენი შენზე იტყვის. გთხოვ წამოხვიდე; აი, ოთახის გასაღებიც. თუ გარეთ დააპირო გამოსვლა, უიარალოდ ნუ გამოხვალ.

### ედგარი

უიარალოდ?

### ედმუნდი

ძმაო, მე ისევ შენი სიკეთისთვის გირჩევ. უსინდისო ვიყო, თუ რაიმე ცუდს არ გიპირებდნენ. მე მარტო ის გითხარი, რაც ვნახე და რასაც ყური მოგკარი; ეს იმის ლანდიც კი არ არის, რაც სინამდვილეშია მოსალოდნელი. გთხოვ, რომ აქედან ნახვიდე.

### ედგარი

ალბათ, ჩქარა მეტყვი რაშია საქმე.

### ედმუნდი

ამ საქმეში ჩემი იმედი გქონდეს.

*/ედგარი გადის/*

მამა მიმნდობი, ძმა ღირსეული,

ბოროტებისგან ისე შორსაა,  
რომ არა სჯერა მისი ჩადენა.  
თავის სულელურ პატიოსნებით  
ხელს მოუმართავს ჩემს გულში ჩათქმულს.  
ნაღდი საქმეა. სისხლით თუ არა,  
ჭკვით ხელში ვიგდებ მემკვიდრეობას.  
ამ მიზნისათვის ყველაფერს ვიზამ,  
რომ ჩემს განზრახვას ხორცი შეესხას.  
*/გადის/*

### სცენა III

#### ჰერცოგ ოლბანის სასახლე

*/შემოდიან გონერილი, ოსვალდი, მისი მოურავი/*

**გონერილი**

ნუთუ მამაჩემმა ჩემს ქვეშევრდომს გაარტყა თავისი ხუმა-  
რას გულისთვის?

**ოსვალდი**

დიახ, მაღამ.

**გონერილი**

ერთი დღე-ღამე არ გავა ისე,  
რომ რამე წყენა არ მომაყენოს!  
ამ დღიდან ამას ვეღარ ავიტან.  
რაინდები ჰყავს თავაშვებული,  
და თვითონ იგიც გვლანძღავს და გვთათხავს  
სულ უმიზეზოდ. აი, როდესაც  
ის დაბრუნდება ნადირობიდან,

ხმასაც არ გავცემ, არაფერს ვეტყვი,  
შენ მოახსენე, რომ შეუძლოდ ვარ.  
იმას ფეხებქვეშ ნუ გაეგები,  
როგორაც ადრე; შენს საქციელზე  
მე ვაგებ პასუხს.

*/ისმის სანადირო ბუკის ხმა/*

### ოსვალდი

ის უკვე მოდის.

მისი ბუკის ხმა მომესმა, მადამ.

### გონეროლი

იყავით მასთან დაუდევარნი  
შენცა და შენი ყველა მსახურიც.  
მე მას ყველაფერს პირდაპირ ვეტყვი  
და თუ არ მოსწონს, დასთან ნაბრძანდეს.  
ჩვენ ორივენი ერთგვარად ვფიქრობთ,  
არც იმას მოსწონს სხვის ბატონობა.  
მთლად გასულელდა მოხუცი კაცი,  
ისევ ბავშვობის წლებს დაუბრუნდა;  
როცა ცელქობენ, მაშინ სჭირდებათ  
დამშვიდება და კარგი ლაგამი.  
არ დაგავინყდეს, მე რაც გითხარი.

### ოსვალდი

კეთილი, მადამ.

### გონეროლი

მის რაინდებსაც

ცივად შეხედე. რაც გინდა გითხრან,  
ეს ნუ იქნება საყურადღებო;  
შენს მსახურებსაც ასე უთხარი.  
მე კი ვიპოვი იმის მიზეზს, რომ

სუყველაფერი ვუთხრა მას პირში.  
ახლავე მივწერ წერილს ჩემს დასაც,  
რომ დამიჭიროს იმანაც მხარი.  
წადი, სადილი მოგვიმზადე ჩვენ.  
*/გადიან/*

## სცენა IV

**დარბაზი იმავე სასახლეში.**

*/შემოდის გადაცმული კენტი/*

**კენტი**

თუ მოვახერხე კილოს გამოცვლაც  
და საუბარი ასე შევნიღბე,  
აღსრულდეს მაშინ კეთილი ზრახვა,  
რისთვისაც სახე გამოვიცვალე.  
დევნილო კენტო! თუ იმსახურებ  
იქ, სადაც ადრე დაგდეს სასჯელი,  
მაშინ ის მეფე, რომელიც გიყვარს,  
ირწმუნებს მას, რომ მისთვის ირჯები.

*/სცენის გარედან ისმის საყვირების ხმა,  
შემოდიან ლირი, რაინდები და თანმხლებელნი/*

**ლირი**

მე სადილს ერთ წუთსაც ვერ დაველოდები; ახლავე  
მომართვით!

*/მსახური გადის/*

შენ ვილა ხარ?

**კენტი**

ადამიანი, სერ.

**ღირი**

რა ხელობის კაცი ხარ? რას ითხოვ ჩვენგან?

**კენტი**

ჩემი ხელობაა, ის ვიყო, რაცა ვარ, ვემსახურო, ვინც მენდობა, შევიყვარო, თუ პატიოსანია; თავი გავუყადრო მას, ვინც ჭკვიანია, ცოტას ლაპარაკობს და ღვთის რიდი აქვს. ვიბრძვი, როცა მეტი გზა არ მაქვს და არ გეახლები თევზს.<sup>4</sup> სუსტი, უღონო არ გახლავართ; მეძავები არ მიყვარს.

**ღირი**

მაინც ვინა ხარ?

**კენტი**

ძალზე პატიოსანი გულის კაცი და მეფესავით ღარიბი.

**ღირი**

თუ ისეთი ღარიბი ხარ, როგორც მეფეა მეფის კვალობაზე, მაშინ საკმაოდ ღარიბი ყოფილხარ. აბა, მითხარი რა გნებავეს?

**კენტი**

სამსახური.

**ღირი**

ვის გინდა რომ ემსახურო?

**კენტი**

თქვენ.

<sup>4</sup> „არ გეახლები თევზს“, - Eat no fish, - ე.ი. კათოლიკე არა ვარ. შექსპირის დროს კათოლიკური ეკლესია სახელმწიფო წყობის მტრად ითვლებოდა.



**ლირი**

ყმანვილო, მერე იცი მე ვინა ვარ?

**კენტი**

არა, სერ, მაგრამ ისეთი გამომეტყველება გაქვთ, რომ სიამოვნებით დაგიძახებდით ბატონს.

**ლირი**

რა არის ასეთი ჩემს გამომეტყველებაში?

**კენტი**

ძალაუფლება.

**ლირი**

რა სამსახურის განევა შეგიძლია?

**კენტი**

სინდის-ნამუსით დავიცვა საიდუმლო, ვიცი ცხენოსნობა, სირბილი, არ შემიძლია კარისკაცით გასხეპილი საუბარი; შემიძლია ამანათის ან უსტარის მიტანა, პირდაპირ ჩაბარება; რისი უნარიცა აქვთ ჩვეულებრივ ადამიანებს, მეც შემიძლია იმის გაკეთება და ყველაზე საუკეთესო რაცა მაქვს, ეს გულმოდგინებაა.

**ლირი**

რამდენი წლისა ხარ?

**კენტი**

არც ისე ახალგაზრდა გახლავარ, სერ, რომ ქალი სიმღერის გულისთვის შევიყვარო და არც ისე ხნიერი, რომ განუსჯელი სიყვარული დამეუფლოს; ორმოცდარვა წელია მზეს ვუყურებ.

**ლირი**

დარჩი ჩემთან. შენ ჩემთან იმსახურებ. სადილის შემდეგაც



თუ ასე მომეწონე, მაშინ კარგა ხანს დაჰყოფ ჩემთან. სადილი!  
 ეი, სადილი მეთქი! სად არის ჩემი ხუმარა? წადით და აქ  
 მომგვარეთ ჩემი ხუმარა!

*/მხლებელი გადის. შემოდის ოსვალდი/*  
 ეი, ვაჟბატონო, სად არის ჩემი ქალიშვილი?

**ოსვალდი**

თქვენის ნებართვით...

*/გადის/*

**ლირი**

რაო, რა თქვა? ახლავე დააბრუნეთ ეგ ბრიყვი!

*/რაინდი გადის/*

სად არის მეთქი ჩემი ხუმარა? თქვენ რა, დაგეძინათ?

*/რაინდი ბრუნდება/*

ის ძაღლის გაგდებული მსახური სადღაა?

**რაინდი**

იგი მოგახსენებთ, მილორდ, რომ თქვენი ქალი შეუძლოდა  
 ბრძანდება.

**ლირი**

თვითონ რატომ აღარ მობრუნდა ის მონა, როცა მას  
 მოეუხმე?

**რაინდი**

სერ, მან ერთობ უხეშად მიპასუხა, რომ არა მნებავს და არ  
 მოვბრუნდებიო.

**ლირი**

არ მოვბრუნდებიო?!

**რაინდი**

მილორდ, მე არ მესმის რაშია საქმე, მაგრამ მე მგონია,

თქვენს უმაღლესობას ჩვეული პატივისცემით აღარ ეპყრობიან. მსახურები კი არა, თვით ჰერცოგი და თქვენი ქალიშვილი ადრინდელი პატივისცემით აღარ გეკიდებია.

**ლირი**

რაო! შენ ასე გგონია?

**რაინდი**

გთხოვთ მომიტევეთ, მილორდ, თუ მე ვცდები; მაგრამ ჩემი მოვალეობა არ მაძლევს ნებას დავდუმდე, როცა ვხედავ, რომ თქვენს უმაღლესობას უკადრისად ექცევიან.

**ლირი**

ეგ მხოლოდ ადასტურებს იმას, რაც მე უკვე შევამჩნიე. ამ უკანასკნელ დროს მე ვხედავ ამ დაუდევარ გულგრილობას, რასაც მე მივანერდი ჩემს წყვეულ იჭვინეულობას, ვიდრე რეალურ განზრახვასა და უკეთურ მიზნებს. ვნახოთ, რა იქნება. სად არის ჩემი ხუმარა? ორი დღეა, თვალი არსად მომიკრავს.

**რაინდი**

მას შემდეგ, რაც უმცროსი ქალიშვილი საფრანგეთში გაემგზავრა, სერ, თქვენი ხუმარა ერთობ დაღონებულია.

**ლირი**

მაგაზე ხმა აღარ ამოიღოთ; ეგ მე თვითონაც შევნიშნე. ახლა წადი და ჩემს ქალიშვილს გადაეცი, რომ მასთან ლაპარაკი მსურს. შენ კი წადი და ჩემს ხუმარას დაუძახე.

*/ერთ-ერთი მსახური გადის/*

შემოდის ოსვალდი

ო, ეს შენ ბრძანდები, ვაჟბატონო, აბა, მომიახლოვდი! მე ვინა ვარ, სერ?

**ოსვალდი**

ჩემი ქალბატონის მამა.

**ლირი**

„ჩემი ქალბატონის მამა“? აი, შე ქალბატონის გაიძვერა, შე ძუკნა ძაღლის გავარდნილო, უღირსო მონავ, შე ძაღლო!

**ოსვალდი**

ნურას უკაცრავად, მილორდ, მე არც ერთი არა ვარ. კეთილი ინებეთ და ბოდიში მომიხადეთ.

**ლირი**

სიტყვასაც მიბრუნებ, შე გაიძვერა?  
*/ცემას დაუნყებს ოსვალდს/*

**ოსვალდი**

მე ხელნამოსაკრავი კაცი არა ვარ, მილორდ...

**კენტი**

არც ფეხნამოსაკრავი, შე არამზადა!  
*/ფეხს გამოკრავს და ძირს დააგდებს ოსვალდს/*

**ლირი**

გმადლობთ, ჩემო ძმაო, შენ უკვე გამიჩიე სამსახური და ამის შემდეგ მეყვარები.

**კენტი**

აბა, აბრძანდი, ვაჟბატონო და მოშორდი აქაურობას. მე შენ გასწავლი, სად როგორ უნდა მოიქცე. გადი აქედან, თუ არ გინდა ხელმეორედ გაიშხლართო. მოსწყედი თავიდან, თუ ჭკუა გაქვს. აი, ასე...

*/კინწისკვრით გააგდებს ოსვალდს/*

**ლირი**

აბა, ჩემო კეთილო მსახურო, მე შენი მადლობელი ვარ. აი, შენი გასამრჯელო.

*/აძლევს კენტს ფულს/*

## შემოდის ხუმარა

ხუმარა

მოდ, მაგას მეც დავიქირავებ. ინებე ჩემი ჩაჩი.  
/სთავა ზოვს კენტს თავის ჩაჩს/

ლირი

სადა ხარ დაკარგული, ჩემო კობტა გაიძვერავე, როგორა  
ბრძანდები?

ხუმარა

აგელო რა, ჩემი ჩაჩი, მეგობარო.

კენტი

რად მინდა შენი ქუდი, შე მასხარა?

ხუმარა

რად მინდაო? რათა და იმის მხარე რომ დაიკავო, ვისაც  
ახლა მეფის კეთილგანწყობილება არა აქვს. თუ იმას ვერ  
არჩევ, ქარი საიდან უბერავს, მაშ ჩქარა გაცივდები. აილე,  
აილე, ჩემი ჩაჩი! ამ ყმანვილს ხომ ხედავ, ორი ქალიშვილი  
მოიშორა და მესამე, თავისდაუნებურად, დალოცა. თუ მაგის  
სამსახური გნებავს, მაშინ ეს სულელური ჩაჩი აუცილებელია.  
აბა, რაო, ბიძაჩემო? ნეტავი ჩაჩი მქონოდა და ორი ქალიშვილი  
მყოლოდა;

ლირი

რად გინდა, ბიჭო?

ხუმარა

მთელ ქონებას იმათ მივცემდი და მე ორი ჩაჩი დამრჩებოდა.  
აჰა, აილე ჩემი, მეორე კი შენ გოგოებსა სთხოვე.

ლირი

ამ მათრახს უფრთხილდი!

ხუმარა

სიმართლე ძალია, ბუდრუგანაში შეაგდებენ ხოლმე.  
ქალბატონ ძუკნას კი შეუძლია ბუხართან ეგდოს მაშინაც კი,  
როცა იქაურობას აყროლებს.

ლირი

ეგ ჩემი უკურნებელი წყლულია.

ხუმარა

გინდა ერთი ლექსი გასწავლო?

ლირი

მასწავლე.

ხუმარა

მაშ, დაიმახსოვრე, ბიძაჩემო:  
შენტვის შეინახე მეტი,  
გამოაჩინე სხვა კლებით,  
რაც იცი, მასზე გარუმდი,  
ილაპარაკე ნაკლები.  
უფრო მცირედი გაეცი,  
ვიდრე შენა გაქვს ქონება;  
ფეხით ნუ ხვალ, ცხენს მოაჯექ,  
იხმარე ამის გონება.  
უფრო მეტი შეისწავლე,  
ვიდრემდე გაქვს ნასწავლები.  
ფსონზე უფრო ნაკლებს ჩადი,  
სანამ ძვლებსა ყრი წვალეებით.  
მიატოვე სმა და ქალი,  
სტუმრად მიდი იშვიათი,

ამით უფრო მეტს მოიგებ,  
ვიდრე გქონდეს ორჯერ ათი.

**კენტი**

მაგაში არაფერი აზრი არა ღვეს.

**ხუმარა**

როგორც მუქთა ვექილის სიტყვაში, გასამრჯელოდ არაფერს რომ არ უხდიან... არც თქვენ მოგიციათ რამე. შენ შეგიძლია არაფრისაგან რამე შექმნა, ბიძია?

**ლირი**

არა, არაფრისგან არაფერი გამოვა.

**ხუმარა**

/კენტს/

ერთი უთხარი ამას, რომ ასეთსავე შემოსავალს მიიღებს თავის მამულეებიდან. ჩემი, ხუმარასი, არა სჯერა.

**ლირი**

ენამნარე სულელი ხარ.

**ხუმარა**

იცი კი, ჩემო ბიჭუნი, ენამნარე და ენატკბილი ხუმარების გარჩევა?

**ლირი**

არა; აბა, ერთი მასწავლე როგორ უნდა.

**ხუმარა**

ის ლორდი, ვინც გირჩია,  
მინის ჩუქნა ამიერ,  
მოვიდეს გვერდს დამიგდეს,  
ან დადექ მის მაგიერ.

ტკბილიც არის და მწარეც  
ეს სულელი ხუმარა,  
სულ ეს არის, რაც არის  
თავის თავის ამარა.  
ულიმლამოდ ძლივს ჩნდება,  
ესეც აქა ბრძანდება.<sup>5</sup>

**ღირი**

ბიჭო, მასხარასაც მიმატოლე?

**ხუმარა**

სხვა დანარჩენი ტიტულები გაეცი; ამითი კი ქვეყნად  
გაჩნდი.

**კენტი**

ეს არც ისე სულელია, მილორდ.

**ხუმარა**

არა, ღმერთმანი; ლორდები და დიდებულები მაგას არ  
მიყაბულებდნენ, სულელობაზე მთელი მონოპოლია რომ  
მხოლოდ მე ამელო, შეეცდებოდნენ ნაწილი მაინც წაერთმიათ.  
არც ქალბატონები დამრთავდნენ იმის უფლებას, რომ მხოლოდ  
მე ვყოფილიყავი სულელი. წილს წამგლეჯდნენ. აბა, ბიძია,  
ერთი კვერცხი მომეცი და ორ გვირგვინს მოგართმევ.

**ღირი**

ეგ რა ორი გვირგვინი უნდა იყოს?

**ხუმარა**

რა და გავჭრი იმ კვერცხს და გულს გეახლები, - დარჩება  
ორი ნაჭუჭი. შენ რომ შენი გვირგვინი გადააპე და ორივე  
ნახევარი გაეცი, ახლა? „თვალი დაუდგეს ხუროსა, დაჯდეს

5 ხუმარა მოუთითებს მეფეზე



და ურახუნოსა". მაგ მოტვლეპილ კინკრიხოში ერთი ბენო ტვინი არა გქონდა, რომ მოიხადე და საკუთარი ხელით გაეცი ოქროს გვირგვინი? თუ მე ამას სისულელით ვამბობ, მაშინ ის გაამათრახონ, ვინც პირველი მიხვდება, რომ ეს ასეა.

*/მღერის/*

ხუმარები გაიფდა,  
 ბრძენ კაცს ხუმარობა უნდა,  
 არ იციან, ტვინს რა უყონ  
 ხუმარაც გამამიუნდა.

**ლირი**

შენ როდის აქეთია ეგ სულელური სიმღერები დაინყე?

**ხუმარა**

მას აქეთ, ბიძია, რაც შენი ქალიშვილები შენს დედიკოებად გადააქციე, ნკეპლა ხელში მიეცი და შარვალი ჩაიხადე.

*/მღერის/*

თვალთაგან ცრემლმა იწვიმა  
 უეცარი სიხარულით.  
 მე კი სიმღერა დავინყე  
 მწუხარებით დამწვარ გულით.  
 რომ ჩვენს მეფეს ბიჭუნასებრ  
 ჩვილი გონი აერია,  
 ბავშვის თამაშსა თამაშობს  
 ხუმარებში გაერია.

ერთ რამესა გთხოვ, ბიძაჩემო, მასწავლებელი დაიქირავე, რომ მან შენ ხუმარას ტყუილი ასწავლოს. მე სიამოვნებით ვისწავლიდი სიცრუეს.

**ლირი**

თუ ტყუილებსაც დაინყებ, ვაჟბატონო, ერთი კარგად გამათრახდები.

## ხუმარა

ვერ გამიგია, რა ნათესაური კავშირი გაქვს შენს ქალიშვილებთან? ისინი სიმართლის ლაპარაკისთვის მპირდებიან გამათრახებას, შენ კი ტყუილისთვის. ხოლო ხანდისხან იმისთვისაც მომხედება ხოლმე, რომ ჩუმადა ვარ. რაც გინდა ის ვიყო, ოღონდ ხუმარა ნუ ვიქნები; მაგრამ შენს ადგილზე კი, ბიძაჩემო, ნამდვილად არ მინდა ყოფნა. შენ შენი გონება ორად გაყავი და დაარიგე, შენთვის კი არაფერი მოიტოვე. აგერ ერთ-ერთი ნახევარი მობრძანდება.

*/შემოდის გონერილი/*

## ლირი

აბა, რას გვეტყვი, ჩემო ასულო? რასა ნიშნავს ეგ მოლუშულობა? ამ ბოლო დროს წარბს ხშირად იკრავ.

## ხუმარა

რა კარგი ყმანვილი ბრძანდებოდი მაშინ, როდესაც ყურსაც არ იბერტყავდი იმაზე, შენი ქალი დაბლვერილი იყო თუ არა. ახლა კი შენ ნული ხარ, რომელსაც წინ ციფრი არ უზის. მე ახლა შენზე უკეთესი ვარ; მე მასხარა ვარ, შენ კი არაფერი.

*/გონერილს/*

დიახ, ენას დავიმოკლებ; სახეზე გატყობთ, რომ ასე აჯობებს, თუმცა არას მეუბნებით. ჩუმადა ვარ, ჩუმადა.

არც ქერქი გაქვს,

ალარც გული,

გათავდა და

ხარ ნაკლული.

*/ლირზე მიუთითებს/*

ცერცვის დაჩურჩული პარკი.

## გონერილი

ეს უტიფარი ბრიყვი კი არა,

არამედ თქვენი ურცხვი ამალაც

შარზე არიან, მუდამ ჩხუბობენ;  
მათი პარპაში აუტანელი,  
მთლად გაუგონარ ქცევად გადიქვა.  
მე მეგონა, თუ ამას გეტყოდით,  
ამით ვპოვებდი რამე სავანეს,  
მაგრამ როს ვხედავ, როგორ იქცევით  
და ვუსმენ იმას, რას ლაპარაკობთ,—  
მე მგონი, თქვენვე მათ აგულისებთ.  
თუ ეს ასეა, მსჯავრიც მზადაა,—  
ჩვენ მათ საქციელს გამოვასწორებთ,  
რაც სურს ამ ქვეყნის კეთილდღეობას,  
ეს ყველაფერი თქვენ დაგამცირებთ,  
მაგრამ მე რომ ეს არ გავაკეთო,  
ეს არ იქნება შვილური ქცევა.

#### ხუმარა

ეს იმიტომ, ჩემო ბიძიკო, რომ  
ჩიტსა გუგულის მზრდელსაო,  
გუგული თავს მოკვენეტსაო.

სანთელი რომ გარეთ გაგქონდა, არ იცოდი, რომ ბნელში  
დავრჩებოდით.

#### ლირი

შენ ჩემი ქალიშვილი ხარ?

#### გონერული

კარგით, სერ, კმარა, სჯობს ჭკვას მოუხმოთ,  
თქვენ არ გაკლიათ ამისი ნიჭი,  
და მოიცდილეთ ეგ საქციელი,  
რაიც თქვენ უკვე აღარ შეგფერით,  
ის აღარა ხარ, რაც უნინ იყავ.

#### ხუმარა

ვირმაც კი იცის თავმსუბუქი ურემი როდის ახრჩობს ხარს,

ჰამო, ხარო, აი, მაგისტვის მიყვარხარ!

**ლირი**

აქ ვინმე მიცნობს? მე ლირი არ ვარ.  
ლირი ამგვარად დაიარება?  
ანდა, ამგვარად თუ ლაპარაკობს?  
სად დაეკარგა იმას თვალები?  
სადაა მისი მიხვედრილობა,  
დამბლა დაეცა?.. ნუთუ აღსდგება?  
ასე არ არის. აბა, ვინ მეტყვის,  
ვინა ვარ, რა ვარ?

**ხუმარა**

ლირის აჩრდილი.

**ლირი**

მე ეს უნდა შევიგნო, იმიტომ, რომ ჩვენი მეფური ღირსებით,  
ცოდნით და ჭკვა-გონებით ყალბი წარმოდგენა შემექმნა იმაზე,  
რომ ქალიშვილი მყავდა.

**ხუმარა**

რომელსაც უნდა, რომ მორჩილი მამიკო ჰყავდეს.

**ლირი**

სახელად რა გქვიათ, მშვენიერო მანდილოსანო?

**გონერილი**

ეგ გაოცება, ჩემო ბატონო,  
ახალ ხუმტურის შესაფერია.  
მე თქვენა გთხოვთ, რომ გამიგოთ სწორად;  
თქვენ ხართ მოხუცი, პატივსაცემი  
და ამის გამო თქვენ სიბრძნე გმართებთ.  
მხლებლებადა გყავთ დიდი ამალა,-  
ასი რაინდი და ესკვაირი,

ხალხი უნესო, მოუხეშავი,  
რომ ჩვენი კარი მათ შემხედვარე  
ქარვასლასა ჰგავს აურზაურით.  
ეპიკურობამ და ავხორცობამ  
უფრო ტავერნას ის დაამსგავსა,  
ანდა ბორდელად გადააქცია,  
ვიდრე დიდებულ მეფის სასახლედ.  
ეს ყველაფერი უნდა დამთავრდეს!  
ამას გთხოვს იგი, ვისაც ძალუძს,  
თხოვნის გარეშე გიკლოთ ამაღა,  
დატოვოს ის, ვინც შეგეფერებათ  
ასაკით, რანგით და ვისაცა აქვს  
თავისი თავის და თქვენი რიდი.

#### ლირი

ჰოი, ნყვდიადო და ტარტაროზნო!  
ჩქარა ცხენები! მსლებელნი იხმეთ!  
შენ უკანონოდ გაჩენილი ხარ!  
ჩემი აქ ყოფნით არ შეგაბეზრებ,  
მე ერთი ქალი კვლავ დამრჩენია.

#### გონერული

თქვენ სცემთ ჩემს მსახურს, თქვენი ხროვა კი  
იმსახურებს ხალხს, მათ რომ სჯობია.

*/შემოდის ოლბანი/*

#### ლირი

უკვე გვიანი სინანულია!  
ო, სერ, მოხვედით?  
თქვენც თანაუგრძნობთ ამ თქვენს მეუღლეს?  
მითხარით რამე. შეკაზმეთ ცხენი!  
უმადურობავ, ქვის გულიანო!  
ბოროტო სულო!

უფრო საშიში ხარ ზღვის ურჩხულზე!  
როცა თავს იჩენ თვით ჩვენს შვილებში.

### ოლბანი

დამშვიდდით, მილორდ, მე გევედრებით.

### ლირი

*/გონერილს/*

სტყუი, შე ყვაავო, მძორიჭამია,  
ჩემთან არიან მხოლოდ რჩეულნი,  
მათ ზედმინევენით იციან ვალი,  
წმინდად იცავენ თავის ღირსებას.  
მცირედი ბრალი კორდელიასი  
მე ვით მეჩვენა ესოდენ დიდად!  
რომ ამომღვრია ასე ბუნება;  
ვით ამომგლიჯა ჩემი გულიდან  
სიყვარული და იმის მაგიერ  
შიგ ჩაანვეთა მხოლოდ ნალველი.  
ო, ლირ, ლირ, ახლა ურტყი შენ იმ კარს,  
სიდან განდევნეს ეგ საღი აზრი.  
და შიგ შეუშვეს უგუნურება.

*/ირტყამს თავში/*

აბა, მხლებელნო, ახლა ნავედით!

### ოლბანი

მე დამნაშავე არა ვარ, მილორდ,  
და არც ის ვიცი, რამ აგალეღვათ.

### ლირი

შესაძლო არის, ჩემო ბატონო.  
დედა ბუნებავ, შენ მე გამიგე,  
ოო, ღმერთქალო შენ მომისმინე!  
შენ გააუქმე შენი განზრახვა,

თუ ამ არსებას ხდი ნაყოფიერს,  
ბერნი გახადე ის საშვილოსნო,  
რომ იმის არსში არ ჩაისახოს  
აროდეს ჩვილი სასიხარულო.  
ნაყოფი თუკი ჩაისახება,  
იყოს ბოროტი და ავზნიანი.  
დე, გაიზარდოს, ოლონდ ის იყოს  
დაუთმობელი და ჭირვეული  
დედის ვაებად და სანამებლად.  
დე, დაულაროს სახე ნაოჭით,  
მლაშე ცრემლებმა ჩამოსწვან ლანწნი  
და დედობრივი სიყვარულისთვის  
მიუზღას ზიზლი, გაქიაქება,  
რათა შეიგნოს, გველის ნესტარი  
არის შვილების უმადურობა.  
ნავედით, ნავედით!

*/გადის/*

**ოლბანი**

ო, ღმერთო ჩემო, ეს როგორ მოხდა?

**გონერილი**

ამის მიზეზით თავს ნუ იწუხებ,  
იმის ხუმტურებს ყურს ნუ ათხოვებ,  
ეს მოხუცობის ჭკვასუსტობაა.

*/ბრუნდება ლირი/*

**ლირი**

ვინ შეამცირა ჩემი ამალა?  
ორმოცდაათით, სულ ორ კვირაში!

**ოლბანი**

გამაგებინეთ, რაშია საქმე?

## ლირი

რაშია საქმე? ვარგი, მე გეტყვით!

*/გონერილს/*

ვფიცავ, მრცხვენია, რომ შენ შესძელი  
ჩემი კაცობის ასე შერყევა.

თვალთაგან ცხარე ცრემლი დამდინდა  
მე უნებლიეთ შენი გულისთვის,  
თითქოსდა იყო ამისი ღირსი.

წყევლა და კრულვა დაატყდეს მაგ თავს!

დე, მამის წყევლამ უკურნებელმა  
განგმიროს შენი ყოველი გრძნობა!

სულელნო თვალნო, თუ კიდეც ტირით  
ამის გულისთვის, მაშინ დაგიოხრით  
და გადაგისვრით თქვენ ცრემლთან ერთად  
თიხის საზელად, ასაჩვილებლად!

ასეა საქმე, ესეც ვიხილეთ?

დე, ასე იყოს. სხვა შვილიცა მყავს,

უფრო კეთილი, მე ასე მჯერა,

უფრო მზრუნველი, მაამებელი.

როცა შეიტყობს იგი ამ ამბავს,

ფრჩხილით დაკანწრავს მაგ შენს მგლურ სახეს.

შენ ნახავ, რომ მე კვლავ დავიბრუნებ

მეფურ დიდებას, შენ რომ გგონია,

მე მივატოვე სამარადისოდ.

*/გადიან ლირი, კენტი და მხეებლები/*

## გონერილი

ხომ დაინახე?

## ოლბანი

მე ვერ ვიქნები

შენი მომხრე და მიმკერძოები,



თუმცა შენს მიმართ ვგრძნობ დიდ  
სიყვარულს...

### გონერლი

გთხოვ, საკმაოა. ეი, ოსვალდ, სად ხარ?

/ხუმარას/

შენ კი, სერ, უფრო არამზადა ხარ,  
ვიდრე ხუმარა, დაჰყევ შენს ბატონს!

### ხუმარა

ბიძია, ბიძია, მომიცადე, წაიყვანე შენი ხუმარა შენთან ერთად.

თუ ვიჭერთ მელას ავსულსა,

ანდა ამნაირ ქალწულსა,

გაგაფრთხოვინებ წამს სულსა.

ჩაჩით იყიდეთ ყულფები,

გააყოფინეთ თავები,

მე კი ბიძიას გავყვები.

/გადის/

### გონერლი

კი, ამ კაცს კი ჰყავს კარგი მფარველი.

ასი რაინდი! რომ საიმედოდ

დაცული იყოს, ას კბილებამდე

შეიარალებულ რაინდის მიერ.

რომ ქვეყნად რაც კი მოელანდება,

ჭორს მოკრავს ყურს თუ წარმოისახავს,

ნებისმიერი საჩივრისაგან,

შეძულების თუ ცუდ განწყობისგან,

სიბერისა და ჭკვასუსტობისგან,

ყველაფრისაგან დაცული იყოს

ასი რაინდის ძლიერი ხელით.

ჩვენი სიცოცხლეც მას ხელთ უჰყრია.

ოსვალდ, სადა ხარ!

## ოლბანი

მეტისმეტია ეგ შენი შიში.

### გონერული

სრულად მინდობას ასე სჯობია,  
ჯერ მოვიცილოთ ამ ვნების შიში,  
ვიდრე ერთთავად იმაზე ვთრთოდეთ,  
რომ ის უეცრად თავს დაგვატყდება.  
მამაჩემს ვიცნობ რა ზნისაც არის,  
რაც აქა ბრძანა, ჩემს დას მივწერე;  
თუ ის გაუძლებს მას და ას რაინდს,  
რაც მე ვაცნობე უვარგისობა...

*/შემოდის ოსვალდი/*

მითხარი, ოსვალდ, ნიგნი მზად არის,  
რაც ჩვენ დავწერეთ ჩვენი დისათვის?

### ოსვალდი

დიახ, მილედი.

### გონერული

იახლე ვინმე,

ჩქარა ცხენებზე. ჩემს დას უამბე  
ის, რისი შიშიც მე მაქვს პირადად,  
ისიც, რაც შენი თვალით იხილე,  
რაც განამტკიცებს ჩემს მოსაზრებას.  
მიდი, ახლავე გზას გაუდექი,  
ეცადე ისევ სწრაფად დაბრუნდე.

*/ოსვალდი გადის/*

არა და არა, ჩემო ბატონო,  
მაგ თანაგრძნობით, გულკეთილობით,  
თუმცა მე ამას მსჯავრს სულაც არ ვსდებ,  
მაგრამ, მე თქვენთან ბოდიშს მოვიხდი,  
დაგდებენ ბრალს, რომ საკმაოდ არ გაქვთ

გონიერება, არ უნდა ქება  
ამ სახიფათო შემწყნარებლობას.

#### ოლბანი

მე არ ვიცი და ვერც მოგახსენებ,  
რამდენადა ხარ შენ შორსმჭვრეტელი;  
მაგრამ ხშირად გვსურს ვქმნათ უკეთესი  
და ამით ვავნებთ თვით იმ უკეთესს.

#### გონერლი

მაშინ...

#### ოლბანი

ვნახოთ, თუ აქ რა მოხდება.  
*/გადიან/*

### სცენა III

#### ოლბანის სასახლის ეზო

*/შემოდიან ლირი, კენტი და ხუმარა/*

#### ლირი

ეს წერილები გლოსტერში წაიღე<sup>6</sup>. ჩემს ქალიშვილს  
წურაფერს ეტყვი იმის შესახებ, რაც შენ იცი. ამ წყეული წერ-  
ილების ნაკითხვის შემდეგ რასაც შეგეკითხება, იმაზე უპა-  
სუხე. თუ არ იჩქარებ, იქ შენზე ადრე მივალ.

#### კენტი

თვალს არ მოვხუჭავ, მილორდ, სანამ ამ წერილს არ  
ჩავაბარებ.

6 ქალაქი გლოსტერი, გლოსტერის საგრაფოს ცენტრი, კორნუოლის რეზი-  
დენცია

### ხუმარა

კაცს ტვინი რომ ქუსლებში ჰქონდეს, მოყინულ ადგილებს შეუშინდებოდა?

### ლირი

კი, ყმანვილო.

### ხუმარა

აბა, კარგად გქონია საქმე: შენი ტვინი არასოდეს მოექცევა ფოსტლებში.<sup>7</sup>

### ლირი

ჰა, ჰა, ჰა.

### ხუმარა

შენი მეორე ქალიშვილი უფრო ნაზად დაგხვდება, რადგან იგი ისე წააგავს თავის დას, როგორც მაშალო ვაშლს. მე გეუბნები იმას, რაც უნდა მეთქვა.

### ლირი

რა უნდა გეთქვა, ჩემო ბიჭუნი?

### ხუმარა

ისა, რომ იმასაც მაშალოსავით გემო აქვს. შენ იცი, ადამიანს რატომა აქვს ცხვირი შუა სახეზე?

### ლირი

არა.

### ხუმარა

იმიტომ, რომ თვალები აქეთ-იქით ისხდნენ. რასაც კაცი ყნოსვით ვერ მიაკვლევს, ის თვალით დაინახოს.

7 ხუმარა მიანიშნებს, რომ რაც არა გაქვს, რა მოექცევა ქუსლებში.

ლირი

მეც მივაყენე მას შეურაცხყოფა.

ხუმარა

შენ იცი, ხამანწკა ნიჟარას როგორ იკეთებს?

ლირი

არა.

ხუმარა

არც მე ვიცი. მაგრამ მე შენ გეტყვი, ლოკოკინა რატომ იკეთებს სახლს.

ლირი

რატომ?

ხუმარა

იმიტომ, რომ თავი შეაფაროს; თავის ქალიშვილებს არ გაუბოძოს და თავისი რქები დაუფარავი არ ღარჩეს.

ლირი

მე უნდა დავივიწყო ჩემი მამობრივი ინსტინქტები. ასეთია კეთილი მამა! ჩემი ცხენი მზადაა?

ხუმარა

შენი ვირები ნავიდნენ შენი ცხენის მოსაყვანად; როგორა გგონია, დიდი დათვის თანაფარსკველავედში შვიდი მნათობი რად არის? ამას სათანადო საფუძველი უნდა ჰქონდეს.

ლირი

იმიტომ, რომ რვა არ არის.

ხუმარა

ნამდვილად! შენგან კარგი ხუმარა გამოვიდოდა.

ლირი

ძალაუფლება ძალმომრეობით უნდა დავიბრუნო! ო, საზარელო უმადურობაე!

ხუმარა

შენ რომ ჩემი ხუმარა ყოფილიყავი, ბიძია, ერთი კარგად მიგბრეგვავდი, რომ დროზე ადრე დაბერდი.

ლირი

ეგ როგორ?

ხუმარა

სანამ ჭკუაში არ ჩავარდები, არ უნდა დაბერდე.

ლირი

ო, ნუ გამაგიჟებ, ჭკუიდან ნუ შემშლი, ზეცავ მადლიანო! შემინარჩუნე ჭკუა და გონება! მე არ გავგიჟდები!

*/შემოდის ჯენტლმენი/*

რაო, ცხენები მზადაა?

ჯენტლმენი

მზადაა, მილორდ.

ლირი

წამობრძანდი, ყმანვილო.

ხუმარა

ახლა ქალწული დასცინის  
ჩვენს გამგზავრებას ხალისით.  
ქალწულად დიდხანს ვერ გაძლებს,  
თუ არ მოკვეცეთ ფალოსი.

*/გადიან/*

## მოქმედება II

### სცენა I

#### გრაფი გლოსტერის სასახლე.

*/შემოდიან ედმუნდი და კურანი სცენის სხვადასხვა მხრიდან/*

#### ედმუნდი

ღმერთი გფარავდეს, კურან.

#### კურანი

თქვენც, სერ. ახლაზან მამათქვენთან ვიყავი და ვაცნობე, რომ კორნუოლის ჰერცოგი და მისი მეუღლე რეგანა ამაღამ სტუმრად ენვევიან.

#### ედმუნდი

მაგ სტუმრობის მიზეზი რა უნდა იყოს?

#### კურანი

არ ვიცი. ახალი ამბები გაიგეთ? მე იმაზე მოგახსენებთ, რაზედაც ჯერ ჩურჩულით ლაპარაკობენ იმიტომ, რომ ეს ისეთი ამბავია, რომ მარტო ყურში ითქმის.

#### ედმუნდი

არაფერი გამიგია. რაშია საქმე?

#### კურანი

რა და კორნუოლის და ოლბანის ჰერცოგები ომს აპირებენ.

#### ედმუნდი

სიტყვაც არა მსმენია მაგაზე.

## კურანი

თავის დროზე ყველაფერს შეიტყობთ. კარგად ბრძანდებოდეთ, სერ.

/გადის/

### ედმუნდი

ჰერცოგი მოვა? ძალიან კარგი!  
საქმეს თავისით ეწყობა ხელი.  
მამამ ჩემი ძმის აყვანა ბრძანა;  
გულის ამრევი საქმელა მელის,  
რაც უსათუოდ უნდა გაკეთდეს.  
დრო და იღბალო, თქვენ შემენიეთ!  
ედგარ, რაღაცა მინდა რომ გითხრა,  
ქვემოთ ჩამოდი, შენ გესმის ჩემი?

/შემოდის ედგარი/

მამა გვადევნებს ორივეს თვალყურს.  
გირჩევ, ახლავე გაქრე აქედან.  
მას უკვე უთხრეს, სად იმალები.  
თავს გადაირჩენ შენ მხოლოდ ღამით,  
კორნუოლს რამე ხომ არ აწყენინე?  
ის ამ საღამოს აქ მობრძანდება  
ერთობ საჩქაროდ, რეგანაც ახლავს.  
იქნება სადმე ვინმეს შემთხვევით  
გაუმჟღავნე, რომ ჰერცოგ ოლბანთან  
ის ომს აპირებს; აბა დაფიქრდი.

### ედგარი

კრინტი არვისთან მე არ დამიძრავს.

### ედმუნდი

მამა აქეთკენ მოემართება.  
განგებ მახვილი უნდა დავაძრო,  
შენც ამოიღე, ვითომ თავს იცავ,



დამრჩი!.. აქ მოდი, მამაჩემისკენ...  
სინათლე ჩქარა!.. ახლავე წადი.  
ეი, ჩირაღდნები!.. მშვიდობით, ძმაო.

*/ედგარი გადის/*

სისხლს გამოვუშვებ იმის საბუთად,  
რომ ერთობ მე აქ ვიბრძოდი.

*/ხელს გაიჭრის/*

მინახავს, როცა ლოთბაზარები  
ცუდუბრალოზე ხელს იკანრავენ.

მამა, ო, მამა! შესდექი, მეთქი!

აქეთ, არავინ არ ხართ მშველელნი?

*/შემოდინ გლოსტერი და მსახურები მაშხალებით/*

**გლოსტერი**

რა იქნა, ედმუნდ, ის ავაზაკი?

**ედმუნდი**

აქ, სიბნელეში, იდგა ხმლით ხელში,  
რალაცა ჯადოს იგი ინვევდა,  
მთვარეს შესთხოვდა შველას ბუტბუტით.

**გლოსტერი**

ახლა სადღაა?

**ედმუნდი**

უყურეთ... სისხლი!

**გლოსტერი**

ედმუნდ, რა იქნა ის ავაზაკი?

**ედმუნდი**

ამ გზით წავიდა, როცა მიხვდა, რომ  
ალარ შეეძლო...

### გლოსტერი

იმას მიყევით,

ჩქარა მღევარი!

*/რამოდენიმე მსახური გადის/  
რა ველარ შეძლო?*

### ედმუნდი

თქვენს მოკვლაზე ვერ დამიყოლია.  
ვუთხარი, ღმერთი გაზღვევინებს-თქო,  
მამის მკვლელია მეხთა სამიზნე,  
რომ ძლიერია და მრავალგვარი  
შვილის კავშირი მამებისადმი.  
სერ, ბოლოს იგრძნო, რომ გააფთრებით  
მე მის განზრახვას წინ ვუდგებოდი,  
სწრაფად აღმართა თავის მახვილი,  
მომზადებული ხელში რომ ჰქონდა,  
ზუსტად დამკრა მე უიარალოს  
და დამჭრა ხელში; მაგრამ რომ ნახა,  
როგორ აღვშფოთდი და დავაპირე  
სიმართლისათვის ხმალდახმალ შებმა,  
თუ შეეშინდა ჩემი ყვირილის,  
მყისვე გაიქცა.

### გლოსტერი

დე, შორს გაიქცეს,

ჩვენს მამულში ვერ დაიმალება;  
როცა დავიჭერთ, იგი მოკვდება.  
ჩვენი პატრონი, კეთილშობილი,  
ღირსი ჰერცოგი აქ მობრძანდება.  
მისი სახელით მე განვაცხადებ,-  
ვინც დაიჭერს და მოგვგერის ავაზაკს,  
ის ჩვენს მადლობას დაიმსახურებს;  
იმ ლაჩარ მკვლელს კი ბოძზე გავაკრავთ;

ვინც შეიფარებს, იმას სიკვდილი.

### ედმუნდი

ვცდილობდი მე მის გადარწმუნებას,  
მაგრამ წავეანყდი შეუპოვრობას.  
დავემუქრე, რომ მას ვამხილებდი,  
მან ასე მითხრა: „შე ნაბიჭვარო  
და მათხოვარო, ნუთუ გგონია,  
შენს წინააღმდეგ რომ გამოვიდე,  
ვინმე გენდობა ან დაგიჯერებს,  
რომ ხარ ალალი და ღირსეული?  
არვინ ირწმუნებს. მე კი უარვყოფ  
შენს ყოველ ნათქვამს. ჩემს ხელნაწერსაც...  
ამას ყველაფერს შევატრიალებ,-  
ვიტყვი შენ თვითონ რომ მაქეზებდი;  
ხომ არ გგონია ყველა ბრიყვია,  
რომ ვერ ხვდებიან ჩემი სიკვდილი  
შენთვის იქნება ძალიან სარგო.  
ეს არის შენი წამქეზებელი,  
ძლიერი სული ბოროტებისა,  
რისკენაც ილტვი.“

### გლოსტერი

ნაღდი ყაჩაღი!

რაო, წერილზეც უარს ვიტყვიო?  
არა, არ არის ის ჩემი შვილი.  
*/სცენის გარეთ ისმის საყვირების ხმა/  
აჰა, ჰერცოგის საყვირებია.*  
არ ვიცი, იგი რად მობრძანდება.  
ყველა გზას შევკრავ, ვერსად წამივა;  
ჰერცოგი ამის უფლებას დამრთავს.  
გარდა ამისა, იმის პორტრეტებს

შორსაც გავგზავნი და ახლო-მახლოც,  
რომ სამეფოში ის ყველამ იცნოს.  
ჩემს მამულს, მიწებს, ერთგულ შვილო,  
მე შენ გადმოგცემ მემკვიდრეობიდ.  
*/შემოდინ კორნუოლი, რეგანა და მხლებლები/*

### კორნუოლი

როგორ ბრძანდებით, ჩვენო კეთილო,  
წარჩინებულო და ღირსეულო!  
მოსვლისთანავე მე დამახვედრეს  
გასაოცარი თქვენი ამბავი.

### რეგანა

თუ ეს ასეა, მაშინ ყოველი  
შურისძიება მისთვის ცოტაა,  
რომ იმსახურებს ამის ჩამდენი.  
სხვაფრივ როგორ ხართ, ჩემო ბატონო?

### გლოსტერი

ო, მადამ, გული გამიტყდა, ნახდა,  
ჩემი მოხუცი და ძველი გული.

### რეგანა

მაშ, მამაჩემის ნათლულს უნდოდა  
თქვენს სიცოცხლეზე ხელის აღმართვა?  
რომელსაც მამამ უნოდა ედგარ?

### გლოსტერი

ო, ქალბატონო, სირცხვილით ვინვი.

### რეგანა

ურთიერთობა ხომ არა ჰქონდა  
იმ რაინდებთან, მამას რომ ახლავს?

### გლოსტერი

არ ვიცი, მადამ; ცუდია, ცუდი...

### ედმუნდი

კი, ქალბატონო, ჰქონდათ კავშირი.

### რეგანა

მაშ საოცარი ეს აღარ არის,  
იმათ უბიძგეს მამის მოკვლისკენ,  
რომ გაეფლანგათ თქვენი ქონება.  
რის გამო ჩემი დაც ინერება  
და თან მაფრთხილებს ამის შესახებ;  
მას ერთობ კარგად მოეხსენება  
მათი ქცევები. ჩემთან რომ მოვლენ,  
შინ არ დავხვედები.

### კორნუოლი

არც მე, რეგანა,  
ამას გარნმუნებ. ედმუნდ, შევიტყვე,  
ამოსდგომიხარ მამაშენს გვერდში.

### ედმუნდი

ეს იყო ჩემი მოვალეობა.

### გლოსტერი

ამან ამხილა მისი განზრახვა,  
მასთან ბრძოლაში დაიჭრა კიდეც,  
როდესაც გულმა ცუდი შეიგრძნო.

### კორნუოლი

მერე, მდედარი თუ დაადევნეთ?

### გლოსტერი

კი, დაედევნენ, კეთილო მილორდ.

### კორნუოლი

თუ დაიჭირეს, ველარ გაბედავს  
ის მომავალში რამე მზაკვრობას.  
ჩემი სახელით, როგორც გენებოთ,  
ის გააკეთეთ და მოიქეცით.  
ხოლო შენ, ედმუნდ, ვისი ღირსებაც  
დამჯერი არის თავისი მამის,  
ამიერიდან ჩვენთან მსახურობ.  
ასეთი ხალხი ჩვენა გვჭირდება,  
ვისაც ენდობი სულით და გულით.  
ახლა, პირველად, შენ ჩვენთან გინვევთ.

### ედმუნდი

სერ, მთელი გულით გემსახურებით,  
თქვენი ერთგული ვიქნები მუდამ.

### გლოსტერი

მე ამისათვის მადლობას ვუხდი  
თქვენს მონყალეობას.

### კორნუოლი

თქვენ ვერა ხვდებით,  
რატომ მოვედით ჩვენ თქვენთან სტუმრად?

### რეგანა

მოულოდნელად ამ შუა ღამეს.  
ეს გვაიძულა გარემოებამ.  
და თქვენი რჩევაც გვჭირდება, გლოსტერ.  
მამამ მოგვწერა, ჩვენ დამაც გვამცნო,  
მათ შორის მომხდარ ჩხუბის შესახებ.  
ახლა კი ვფიქრობთ, უკეთესია  
ჩვენი სახლიდან არ ვუპასუხოთ.  
შიკრიკნი უკვე ელიან ნერილს;

ჩვენო კეთილო და მეგობარო,  
ახლა დამშვიდდით და შეგვანიეთ  
ერთობ საჭირო რჩევა ამაზე.  
არ შეიძლება აქ დაყოვნება.

**გლოსტერი**

გმსახურებთ, მადამ, კეთილი იყოს  
თქვენ ბრწყინვალეების ჩამობრძანება.  
/გადიან/

## სცენა II

**გლოსტერის ციხე-დარბაზის წინ სხვადასხვა მხრიდან**

*/შემოდიან კენტი და ოსვალდი/*

**ოსვალდი**

დილა მშვიდობისა, მეგობარო, აქა ცხოვრობ?

**კენტი**

ჰო.

**ოსვალდი**

ცხენები სად დაგაყენო?

**კენტი**

აგერ იქ, ლაფიან გუბეში.

**ოსვალდი**

თუ ძმა ხარ, წესიერად მითხარი.

**კენტი**

მე შენი ძმა არა ვარ.

### ოსვალდი

თუ ეგრეა, არც მე მენალღვლები არაფრად.

### კენტი

ლიპსბერი პინფოლდში<sup>8</sup> ჩამვარდნოდი ხელში და მე შენ გაჩვენებდი, გენალღვლებოდი თუ არა.

### ოსვალდი

მასე რად მელაპარაკები? მე ხომ შენ არც კი გიცნობ.

### კენტი

სამაგიეროდ მე გიცნობ ვინცა ბრძანდები.

### ოსვალდი

მაინც ვინა გგონივარ?

### კენტი

არამზადა, გაიძვერა, ნარჩენი ლუკმის ქურდულად მლოკავი, გათახსირებული, თვითკმაყოფილი ვიგინდარა, ფუქსავატი, მათხოვარი, ორი გროშის მონა, ბინძური, ოფლით აყროლებული წინდა, ლაჩარი, მხდალი, ბოზის შვილი, პატივმოყვარე, მლიქვნელი, გლახა ყალთაბანდი, თაღლითი, მატყუარა, ხარახურით გამოტენილი ტომარა; მონა, ვისაც სურს მამამებლობა და თვით არაფერია გარდა ავაზაკობის, მათხოვრობის, ლაჩრობისა და მაჭანკლობის დომხალისა; ქოფაკი ძუკნას გაგდებული; ამ მაღალ ტიტულებში ერთ ასოზედაც რომ უარი თქვა, იმდენს გირტყამ, რომ შენმა ნივილ-კივილმა აქაურობა აიკლოს.

### ოსვალდი

ეი, ეს რა ოხერი, ავყია და გულანჩხლი ვინმე ყოფილხარ. კაცს არ მიცნობ და მინასთან კი გამასნორე!

8 Lipsburg Pinfeld – ეს შეიძლება ნიშნავდეს ლიპსბერის ბაქებს, სადაც დაკარგულ ან ჩამორჩენილ საქონელს შერეკავდნენ;



### კენტი

შენ კი რა უტიფარი არამზადა ხარ ისეთი, რომ გაიძახი არ გიცნობო? ჯერ ხომ ორ დღესაც არ გაუვლია მას შემდეგ, მეფის წინ რომ გაგშხლართე და ერთი კარგად მიგბეგვე.

*/ხმალს გააშიშვლებს/*

ამოიღე ხმალი, შე გაიძვერა! მართალია ღამეა, მაგრამ მთვარე საკმაოდ ანათებს; ჰოდა, ერბოკვერცხივით შეგბრანავ მთვარის შუქზე. ამოიღე ხმალი, შე ნაბიჭვარო, შე დედალო, ამოიღე მეთქი!

### ოსვალდი

თავი დამანებე, მე შენთან საქმე არა მაქვს.

### კენტი

ამოიღე ხმალი, შე გაიძვერა. აქ მეფის სანინაალმდეგო ბარათებით მობრძანდი, არა? დიდების მოყვარულ თოჯინას უჭერ მხარს მისი მამის, მისი მეფური უდიდებულესობის, წინააღმდეგ, არა? ამოიღე, ხმალი, შე სალახანა, თორემ მაგ წვივებზე ხორცს სულ ზოლ-ზოლად ჩამოგათლი, გამოდი-მეთქი!

### ოსვალდი

მიშველეთ! მკლავენ, მიშველეთ!

### კენტი

შემებრძოლე, შე უბადრუკო მონავ! თავი დაიცავი, შე თაღლითო! დადექ, შე მოპრანჭულო მაიმუნო, იბრძოლე!

### ოსვალდი

მიშველეთ! მკლავენ! მიშველეთ!

*/შემოდინან – ედმუნდი, გააშიშვლებული მახვილით ხელში, კორნუოლი, რეგანა, გლოსტერი და მსახურები/*

### ედმუნდი

რა ამბავია? რა ხდება? განზე გადაექით!

### კენტი

შენ შეგებრძოლები, ყმანვილო, თუ გნებავს! აბა, მობრძანდი, თუ გული გერჩის! შენც მოგართმევ, მოდი, ყმანვილო კაცო!

### გლოსტერი

ხმლები? იარალი? აქ რა ამბავია?

### კორნუოლი

შეჩერდით, თუ სიცოცხლე არ მოგბეზრებიათ. ვინც კიდეც დაარტყამს, ის მოკვდება. რა ამბავია?

### რეგანა

ესენი ჩემი დის და მეფის შიკრიკები არიან.

### კორნუოლი

რაზე იჩხუბეთ? თქვით.

### ოსვალდი

სულს ძლივს ვითქვამ, მილორდ.

### კენტი

მამ რა მოგივიდოდა, ისე ვაჟკაცურად იბრძოდი. შე მხდალო გაიძვერა, ბუნებამაც კი ზურგი შეგაქცია, შენ ადამიანის შექმნილი კი არა, თერძის ამოჯღანული ხარ.

### კორნუოლი

შენ უცნაური კაცი ჩანხარ. თერძმა კაცი როგორ შეკერა?

### კენტი

დიახ, თერძმა, სერ. ქვისმთლელი თუ მხატვარი ასეთ მახინჯს ვერ შექმნიდნენ, თუგინდ მთელი ორი წელი გარჯილიყვნენ.

### კორნუოლი

რაზე წაეკიდეთ ერთმანეთს?

### ოსვალდი

აი, ეს ბებერი ჩხუბისთავი, სერ, რომელიც მე დავინდე და მაგის სიცოცხლე ქალარა წვერებს ვაპატიე...

### კენტი

ეს ბოზის შვილი, ეს ანბანის უკანასკნელი და უსარგებლო ასო!<sup>9</sup> მილორდ, თუ ნებას დამრთავთ, მე ამ ნაძირალას გავაცხავებ, ტალახს ავზელ და ფეხსადგილის კედლებს შეველესავ. ჩემი ქალარა დაინდო! აი, შე ბოლოქანქარა!

### კორნუოლი

ეი, შენ, გეყო, მორჩი ლაპარაკს,  
უგნურო მონავ, ნუთუ არ იცი  
ვისთან და როგორ უნდა მოქცევა?

### კენტი

ვიცი, სერ, მაგრამ გულის წყრომასაც  
თავისი გააქვს.

### კორნუოლი

რამ აგაშფოთა?

### კენტი

იმან, რომ ასეთ სულმდაბალ მონას  
ხმალი კიდია, ნამუსი არ აქვს.  
ეს კბილკრეჭია გაიძვერა კი  
მზად არის გაღრღნას, როგორც ვირთაგვამ,  
გულთა კავშირის წმინდა კვანძები;  
რაც ისედაც მთლად აწეწილია.

9 შექსპირის დროინდელი გრამატიკოსები თვლიდნენ, რომ ასო „Z“ არ იყო საჭირო, რადგან მის მნიშვნელობას ასო „S“ ასრულებდა.

და ვითომ თავის მოთაფლულ ენით  
 ბატონთა შფოთვას მთლად აძლიერებს,  
 ცეცხლზე ნავთს ასხამს, ყინულივით გულს  
 გათბობის ნაცვლად, ის თოვლს ზედ აყრის;  
 უარსაც ამბობს, კიდეც ამონმებს,  
 ბუმბულების საფრთხობელასავით  
 საიდანაც ქრის, იქით ტრიალებს.  
 თან არაფერი არ გაეგება,  
 გარდა ძალღივით კუდში დევნისა.  
 ჭირიც შეყრია მაგ მახინჯ სიფათს!  
 დამცინი, არა, როგორც სულელ კაცს?  
 ერთი მოეცათ ეგ შენი თავი  
 მარტო, აი, იქ, სარუმის ველზე  
 და სულ ყიყინით, ფარფატ-ბაჯბაჯით  
 ჩამოგიყვანდი კამელოტამდე.

#### კორნუოლი

სულ გადირია ეს ბერიკაცი,  
 რამ გაგაგიჟა?

#### გლოსტერი

რაზე იჩხუბეთ?  
 ეს მოგვახსენე.

#### კენტი

არ შეიძლება  
 რომ განიმსჭვალო ანტიპატიით  
 მეტად, ვიდრე ამ თალღითისადმი.

#### კორნუოლი

რატომ უნოდებ შენ ამ კაცს თალღითს?  
 ასეთი ამან რა დაგიშავა?

### კენტი

არ მომნონს მისი სახის იერი.

### კორნუოლი

იქნება ჩემიც, ან ამის, იმის?

### კენტი

ჩემი ვაღია მართალი ვიყო:  
მე უკეთესი სახეც მინახავს,  
ვიდრემდე ახლა რასაც ვუყურებ  
მე სხვების მხრებზე; აი, ახლაც ჩემს წინ.

### კორნუოლი

აღბათ, ეს ერთი მათგანი არის,  
პირში თქმისთვის რომ ერთხელ შეაქეს;  
მას აქეთ ასეთ იერს ატარებს –  
თავხედურსა და ვითომ პირდაპირს,  
ძალდატანებით სახეს, ვითომდა  
მას სხვანაირად არ შეუძლია;  
იგი არ არის არსით მლიქვნელი,  
ის ალაღია, ერთობ უბრალო,  
მხოლოდ და მხოლოდ სიმართლეს ამბობს,  
თუ დაუჯერეს, ხომ ძლიერ კარგი,  
ხოლო თუ არა, ის გულწრფელია!  
ამ გაიდვერებს მე კარგად ვიცნობ,  
მათ სიმართლეში უფრო ბევრია  
ავი განზრახვა, შავი მზაკვრობა,  
ვიდრე ოც მორჩილ, გამგონ მსახურში,  
თავის საქმეს რომ ასრულებს კარგად.

### კენტი

სერ, სრული ნდობით, ალალ სიმართლით,  
თქვენი ნებით და თქვენი დასტურით,

რაც ასე ჰფერობს თქვენს გარეგნობას,  
რომლის გავლენა და ძალა ზეცის,  
როგორც კაშკაში სხივოსან ცეცხლის,  
ფებისა შეშლის შარავანდედი...<sup>10</sup>

### კორნუოლი

რისი თქმა გნებავს?

### კენტი

იმის, რომ თავი უნდა დავანებო ჩემი მეტყველების მანერას,  
რომელიც თქვენ ასე მოგნონთ. მე ვიცი, სერ, რომ პირმოთნე  
კაცი არ გახლავარ. ის, ვისაც პირში თქმით თქვენი მოხიბვლა  
სდომებია, კარგი გაქნილი და გაიძვერა კაცი ყოფილა. მე  
მასეთი პიროვნება ვერ გავხდები, თუნდაც ამით თქვენი  
მონყალემა გავანაწყენო.

### კორნუოლი

რას ერჩოდი ამ კაცს?

### ოსვალდი

მე? არაფერს.

მაგის ბატონმა, დიახ, ხელმწიფემ  
ახლახან მცემა – გაუგებრობით;  
ამან კი, მეფის რისხვასთან ერთად,  
ფეხი წამომდო და ძირს გამშხლართა.  
ძირს დაგდებულზე და გალანძღულზე  
მან თავი გმირად წარმოიდგინა  
ასეთ ვაჟკაცურ, გმირული ქცევით  
და მეფის ქებაც დაიმსახურა.  
რომ მოერია ისეთ კაცს, ვინაც  
წინაღმდეგობას სულ არ უწევდა;

10 კენტი ხაზგასმული ევფუიზმებით ლაპარაკობს, – მაღალფარდოვანი სტილით. ასეთი სტილით განსაკუთრებით მდიდარია უ. შექსპირის „შეცდომათა კომედია“.

იმ წარმატებით აღტყინებულმა,  
საგმირო საქმე გაიხსენა და  
აქაც დამიძრო თავის მახვილი.

### კენტი

ასე ცბიერი და არამზადა  
ამ ბრიყვ აიაქსს<sup>11</sup> მოეწონება.

### კორნუოლი

ეი, მოიტათ ფეხბორკილები!  
აი, შე უხეშო, ძველო თაღლითო,  
აი, შე ბებერო, მკვებხარა კაცო,  
მე ჭკუას გასწავლი!

### კენტი

სერ, მე კი გეტყვით,  
ძალზე დიდი ვარ ჭკუის სასწავლებლად.  
ნუ უხმობთ ხუნდებს, მეფეს ვმსახურებ,  
მან გამომგზავნა აქ დავალებით.  
პატივისცემა ეს არ იქნება,  
პირიქით, ამით თქვენ შეურაცხყოფთ  
ჩემი ბატონის ხარისხს, ღირსებას,  
თუ იმის შიკრიკს ხუნდებს დამადებთ.

### კორნუოლი

ხუნდებში ჩასვით! ვფიცავარ სინდისს,  
აქ ბრძანდებოდეს ეს შუადღემდე.

### რეგანა

შუადღემდეო? სალამომდე და  
მთელი ღამეც კი იგი აქ იჯდეს.

11 კენტი კორნუოლს ადარებს აიაქსს. /აიაქსი - ძველი ტროას გმირი/

### კენტი

მე თქვენი მამის ძალღიჯ რომ ვიყო,  
ასე არ უნდა მომექცეთ, მადამ.

### რეგანა

მისი ფლიდი ხართ, მიტომ გექცევით!

### კორნუოლი

ეს კაცი ერთი იმათგანია,  
შენი და რომ გვნერს. სად არის ხუნდი?  
*/შემოაქვთ ხის ხუნდები/*

### გლოსტერი

მეც გევედრებით, ნუ იზამთ მაგას.  
მან დააშავე და ამისათვის  
მას დასჯის ჩვენი კეთილი მეფე.  
ეს სამარცხვინო სასჯელი არის,  
ასე თუ სჯიან ქურდბაცაცებს და  
არამზადებს ან ბოროტმოქმედებს.  
ჩვენს ხელმწიფეს კი ეგ ეწყინება,  
რომ იმის შიკრიკს ასე მოექცნენ,  
მეფის სახელი არ დააფასეს  
და მისი კაცი აქ დააკავეს.

### კორნუოლი

ამ საქციელზე მე ვაგებ პასუხს.

### რეგანა

ჩემი და უფრო არ ითაკილებს,  
როცა გაიგებს რომ იმის მსახურს  
თავზე დაეცნენ და შეურაცხყვეს,  
მაშინ, როცა ის ვალს ასრულებდა.  
ჩასვით ხუნდებში!



*/კენტის ფეხებზე დაადებენ ხუნდებს/  
ახლა წავიდეთ, მეუღლე ჩემო.  
/ყველა გადის გლოსტერიისა და კენტის გარდა/*

### გლოსტერი

მე მებრალეები, ეჰ, მეგობარო,  
მაგრამ რას იზამ, ასე სურს ჰერცოგს,  
იმის ნებას კი ვერ აღუდგები,-  
ეს ყველამ იცის, რომ იმის სურვილს  
ველარც მოშლი და ვერც გააჩერებ.  
მე ვეცდები რომ გამოგესარჩლო.

### კენტი

სერ, ეგ არ გინდათ. ძნელი გზა მქონდა,  
არ მომიხუჭავს ერთ ნამსაც თვალი.  
ცოტას ნავუთვლემ, მერე კი სტვენით  
თავსაც შევიქცევ. თურმე კარგ კაცსაც  
ენვევა ხოლმე ცუდი იღბალი.  
ღმერთი გწყალობდეთ!

### გლოსტერი

ამ საქციელით

ჰერცოგს ვერაფრით ვერ გაამართლებ.  
ეს საქმე ცუდად დაბოლოვდება.

*/გადის/*

### კენტი

ეჰ, ჩემო კარგო, კეთილო მეფე,  
შენ თავზედა სცდი ასეთ ანდაზას:  
«ვაის გავეყარე და უის შევეყარეო».  
ამოანათე, მზევ დიდებულო,  
მე შენს ამოსვლას წინასწარა ვჭვრეტ,  
რომ მაცოცხლებელ მაგ შენს სხივებზე

მე წავიკითხო, აი, ეს წერილი.  
სასწაული ხომ მაშინ მოხდება,  
როცა საწყალი განსაცდელშია.  
ვიცი, ამ წერილს კორდელია სწერს.  
აღბათ, მას უკვე ბედად გადასცეს,  
ასე ფარულად რომ ვიმალები.  
და აღბათ, იგი მოიცლის, რათა  
აღმოგვიჩინოს ჩვენც დახმარება.

*/იძინებს/*

### სცენა III

#### ტყე. შემოდის ედგარი.

##### ედგარი

გამომაცხადეს კანონგარეშე.  
ბედად ვიპოვე აქ ხის ფულურო  
და გადაფურჩი მე ამით მდევრებს.  
ნავსაყუდლებიც ჩაკეტილია;  
ხოლო ჯაშუში ყველგან დამეძებს;  
სანამ შევძლებ აქ დავიმალები.  
მოდი, მივიღებ უბადრუკ სახეს,  
რაც სილატაკე კაციშვილს აძლევს  
და დაამსგავსებს ის ლამის პირუტყვს;  
მე გავითხოპნი სახეს ტალახით,  
ტანთ მოვიხურავ რაიმე ჩულოს,  
თმებს ავინენავ, დავიკუნუბებ,  
და ასე, თითქმის შიშველ-ტიტველი  
გავუძლებ ქარსაც და ჭექა-ქუხილს.

ამ ქვეყნად ბევრი დაეხეტება  
 ბედლამის გიჟი ყვირილ-ლრიალით,  
 გაფიჩხებულ და შეუგრძნობ ხელებს  
 ქინძისთავებით რომ იჩხლეტავენ,  
 ხის ჩხირით, ლურსმნით, ნემსით, სამსჭვალით,  
 და როზმარინის წვეტიან ეკლით,  
 ხოლო საშინელ, აი, ამ სპექტაკლით,  
 ღარიბ ფერმიდან, ცხვრის ბაკებიდან,  
 წისქვილებიდან, ისიც ხანდისხან,  
 ეს შემლილები ტანჯვა-წვალებით  
 შეაგროვებენ თავის გასაკითხს.  
 სანყალი შლეგი, სანყალი ტომი<sup>12</sup>—  
 ეს ვილაცაა, ედგარი მორჩა.

*/გადის/*

## სცენა IV

**გლოსტერის ციხე-დარბაზის წინ.**

*/კენტი ზის ხუნდებდადებული/*

*/შემოდიან ლირი, ხუმარა და სამეფო კარის მსახური/*

**ლირი**

უცნაურია, ისე ნავიდნენ,  
 ჩემი შიკრიკი არ დააბრუნეს.

**მსახური**

მე როგორც ვიცი, ჯერ კიდევ წუხელ,

12 ედგარი თავის თავს უწოდებს ტომს, როგორც ბედლამის გიგები ირქმევდნენ ხოლმე სხვადასხვა სახელებს.

არ აპირებდნენ არსაით წასვლას.

**კენტი**

სალამი თქვენდა, ხელმწიფევე ჩემო.

**ლირი**

ეს რა, თავს ირთობ შენ ასეთ ყოფით?

**კენტი**

ო, არა, მილორდ.

**ხუმარა**

ჰა, ჰა, ეს რა უხეში წვივსაკრავები შემოუკრავს. ცხენებს თავით აბამენ, ძალსა და დათვს – კისრით, მაიმუნებს – წელით და კაცებს – ფეხებით. თუ კაცი მანანნალაა, სწორედ ამისთანა ხის პაჭიჭებს ჩააცვამენ ხოლმე.

**ლირი**

ვის შეეშალე ჩემი შიკრიკი  
და ამდაგვარად ჩაგსვა ხუნდებში?

**კენტი**

ორივეს – სიძეს და ქალიშვილსაც.

**ლირი**

არა.

**კენტი**

დიახ.

**ლირი**

არა-მეთქი.

**კენტი**

მე ვამბობ – დიახ.

ღირი

არა და არა, ამას არ იქმდნენ.

კენტი

დიახაც, რომ ქმნეს.

ღირი

იუპიტერს ვფიცავ, რომ არ იზამდნენ!

კენტი

ვფიცავ იუნონას, ეს ჩაიდინეს!

ღირი

არ გაბედავდნენ. ვერც შეძლებდნენ და  
არც ჩაიდენდნენ.

ეს მკვლელობაზე უარესია,  
მეფის ღირსების შეურაცხყოფა,  
ჩქარა მითხარი, თუ აქ რა მოხდა?  
ალბათ, შენ ყველა დაიმსახურე,  
აიძულე, ეგ ხერხი ეხმარათ  
ჩემი შიკრიკის მოსათოკავად.

კენტი

მაშ ასე, მილორდ:  
როდესაც თქვენი უმაღლესობის  
მე წერილები მათ გადავეცი,  
და დაუწოქე, როგორც წესია;  
მერე ის იყო წამოვდექი და  
აქ სხვა შიკრიკი გამოგვეცხადა,  
ოფლში გაღვრილი, ქოშინ-ქოშინით;  
მან გონერილს მოკითხვა უთხრა  
და თან გადასცა მისი წერილი.  
ამით მან სიტყვა გამანყვეტინა.

მათ წაიკითხეს მყისვე წერილი,  
იხმეს ამაღა, შესხდნენ ცხენებზე,  
მე კი მიბრძანეს ცივად და მკაცრად,  
მათ გავყოლოდი, დავლოდებოდი  
მათ პასუხს. ხოლო მე კი აქ შევხვდი  
მეორე შიკრიკს, რომლის მოსვლამაც  
მთლად ნაახდინა ჩემი მიღება.

ეს ის ყმანვილი გამოდგა, ვინაც  
თქვენ თავზედურად მოგმართათ, მილორდ.  
ჩემს ჭკვა-გონებას გულმა დასძლია –  
ხმალი დავაძვრე და ამ მხადღმა კი  
შიშის ღრიალით აიკლო სახლი.  
ხოლო სიძემ და თქვენმა ასულმა  
ეს სამარცხვინო სასჯელი დამდეს,  
რისგანაც ახლა მე ვიტანჯები.

### ხუმარა

ზამთარს ჯერ კიდევ არ გაუვლია, რაკი გარეული ბატები  
აქეთ მოფრინავენ.

### */მღერის/*

მამას მათხოვარის ჩანთით  
არ აფასებენ შვილები.  
თუკი მამას აქვს საფულე,  
კი, ხდებიან კეთილები.  
ბედი წააგავს ბოზ ქალსა,  
არ გაულებს ლატაკს კარსა.

ისე რომ, შენი ქალიშვილები იმდენ ხურდას დაგიბრუნებენ<sup>13</sup>,  
რომ მთელი წელი ვერ დათვალო.

13 – ხუმარა ორაზროვნად ხმარობს სიტყვა "DOLOR"-ს, რაც ერთი მნიშვნელობით გულისტკენას ნიშნავს, ხოლო მეორე მნიშვნელობით – ასე უნოდებენ ინგლისელები ესპანურ და გერმანულ ხურდა ფულს.

**ლირი**

ლამის დამახრჩოს, გამგუდოს ბოლმამ!  
გულს ნუ მიხუთავ, ჯავრო, ვარამო!  
შენი ადგილი უფრო ძირს არის.  
ახლა სად არის ის ჩემი შვილი?

**კენტი**

ჰერცოგთანაა, ციხე-დარბაზში.

**ლირი**

არვინ გამომყვეს; ყველა აქ დარჩით.  
/გადის/

**კარის მსახური**

მაშ, რაც თქვი, მეტი ბრალი არა გაქვს?

**კენტი**

სხვა არაფერი, ეს როგორ მოხდა,  
მეფეს რად მოჰყვა ცოტა მხლებელი?

**ხუმარა**

აი, მაგ კითხვისათვის შენთვის ხუნდები რომ დაედოთ,  
მაშინ კი ახი იქნებოდა.

**კენტი**

რატომ, შე ლაზლანდარავ?

**ხუმარა**

იმიტომ, რომ ჭრიჭინასავით ჭიანჭველას უნდა მიებარო, რომ  
ჭკუა გასწავლოს – ზამთრისათვის სარჩოს უნდა დაგროვება.  
ვისაც ყნოსვა აქვს და ცხვირს მიყვება, იმას თვალებით  
მართავენ, რა თქმა უნდა, ბრმების გარდა. ოც ცხვირში ერთი  
არ მოიძებნა, რომ ეგრძნო, რომ გვამი იხრწნება. თავქვე  
დაქანებულ დიდ ბორბალს ხელი არ უნდა სტაცო, თორემ

კისრისტეხით თან ჩაგითრევს, მაგრამ როცა დიდი ბორბალი  
 აღმა მიგორავს, მაშინ ხელი ჩასჭიდუ, შენც თან აგიყოლებს.  
 თუ ვინმე ჭკვიანი კაცი უკეთეს რჩევას მოგცემს, მაშინ ჩემი  
 უკან დამიბრუნე. თაღლითების მეტი ამ შეგონებას არავინ  
 მიყვება, რადგან ეს სულელის რჩევაა.

ვინც გამსახურებს სარფისათვის,  
 მოჩვენებით უკან დაგდევს,  
 უეცრად თუ განვიმდება,  
 თქემში უმაღვე მიგაგდებს.  
 თუკი გაიძვერა გარბის,  
 ხუმარაა, ასეც ხდება;  
 ხუმარა კი გაიძვერა,  
 ღმერთსა ვფიცავ, არ გახდება.

**კენტი**

ეგ სად ისწავლე, სულელო?

**ხუმარა**

ხუნდებში ჩასმულს არ მისწავლია, სულელო.  
*/შემოდინ ლირი და გლოსტერი/*

**ლირი**

ვერ მიმიღებენ? ავად არიან?  
 დაილაღნენო? ღამით იმგზავრეს?  
 ეს ხომ ხრიკია, უბრალო ფანდი  
 და სიძულვილით პირის შექცევა;  
 შენ უკეთესი პასუხი მითხარ.

**გლოსტერი**

ძვირფასო მილორდ, მოგეხსენებათ,  
 როგორ გულფიცხი არის ჰერცოგი,  
 ერთობ ჯიუტი, თავისნათქვამა.



ლირი

შურისძიება, ჭირი, სიკვდილი!  
გულფიცხიაო?! რა მოხდა, გლოსტერ,  
ლაპარაკი მსურს მე კორნუოლთან  
და იმის ცოლთან.

გლოსტერი

უთხარი, მილორდ.

ლირი

უთხარი იმათ? ჩესმის, რა გითხარ?

გლოსტერი

დიახ, მეფეო.

ლირი

მეფეს სურს სიძის – ჰერცოგის ხილვა,  
ძვირფას მამას კი ქალთან სიტყვის თქმა!  
ვბრძანებ... იქნებ ვთხოვ... მომსახურებას.  
ეს ყველა უთხარ? ჩემს სისხლსა და ხორცს?  
გულფიცხიაო? და ქედფიცხელი?  
მაშ, ასე უთხარ იმ გულფიცხ ჰერცოგს...  
არა, ჯერ არა. იქნება მართლა  
ავად შეიქნა, ეს კი ხელს უშლის,  
რასაც ჯანმრთელნი კარგად ვაკეთებთ.  
თავს ვერ ვეკუთვნით, როცა ბუნება  
სტანჯავს ჩვენს სულელებს, ჩვენს ხორცთან ერთად.  
მე აქ მოვიცდი. ცუდად გავბრაზდი,  
ამ ჩემი სწრაფი გულისნადილით.  
არ შეიძლება სნეულს ის სთხოვო,  
რაც კი ჯანმრთელ კაცს მოეთხოვება.

*/შეხედავს კენტს/*

სიკვდილი მეფურ დიდებულებას!

მითხარ, ხუნდებში იგი რატომ ზის?  
 ეს მოქმედება მე მარწმუნებს, რომ  
 ჩვენი თავიდან ჩამოშორება  
 მხოლოდ და მხოლოდ თვალთმაქცობაა  
 ჰერცოგისა და იმისი ცოლის,  
 ახლავ აყარეთ მსახურს ხუნდები!  
 შენ კი წადი და იმათ უთხარი,  
 აქ ჩამობრძანდნენ და ყური მიგდონ,  
 ახლავე, ამ ნუთს, თორემ მათ კარზე  
 ავტეხავთ ისეთ ბრაახუნს და ბრაგუნს,  
 რომ მთლად დავუფრთხოთ ანგელოზები.

### გლოსტერი

მინდა თანხმობა იყოს თქვენ შორის,  
 /გადის/

### ღირი

ო, ჩემო გულო, ყელს მობჯენილო,  
 ისევ ძირს ჩადი, ჩადექ საგულეს!

### ხუმარა

დაუყვირე მაგას, ბიძია, ისე როგორც კოკნი<sup>14</sup> ქალი  
 დასჭყიოდა ცოცხალ სალამურა თევზებს, როცა მათ  
 ცოცხლადვე ტენიდა ღვეზელებში, ჯოხს თავში უკაკუნებდა  
 და თან ომახმიანად დასძახოდა: „ძირს! „აი, იმ ქალბატონსა  
 ჰყავდა მამა, რომელიც ისეთი კეთილი იყო, რომ თივას საპოხს  
 უსვამდა და ისე მიართმევდა თავის ცხენს.<sup>15</sup>

/შემოდინ კორნუოლი, რეგანა, გლოსტერი და მსახურები/

14 ლონდონის მცხოვრებთა უმდაბლესი ფენა

15 უფიცები თივას საპოხ მასალას უსვამდნენ, რომ ცხენი „გასუქებულიყო“, ხოლო ეშმაკი და უსინდისო მეფინიბეები ცხენებს უყრიდნენ ასეთ თივას, რომ მათ არ ეჭამათ, ხოლო თივა კი ხელმეორედ გაეყიდათ.

### ღირი

დილა მშვიდობის, გითვლით ორთავეს.

### კორნუოლი

დილა მშვიდობის, თქვენო ღირსებავ.

*/კენტს ფეხბორკილებს ხსნიან/*

### რეგანა

გახლავარ ერთობ მოხარული, რომ  
კარგად ვხედავ თქვენს უმაღლესობას.

### ღირი

მე მგონი, მაგას შენ მართალს ამბობ,  
ისიც ვიცი, თუ რატომ მგონია,  
ჩემი ნახვა რომ არ გიხაროდეს,  
მაშინ ახლიდან გავუყრებოდი  
შენს მიცვალეზულ დედას, მის საფლავს,  
რადგან ჩავთვლიდი, რომ ჩემი შვილი  
სხვა კაცისაგან ხარ ჩასახული.

### */კენტს/*

გათავისუფლდი? მაგაზე შემდეგ,  
შესაფერის დროს ვილაპარაკოთ.  
ჩემო რეგანა, შენი დაიკო  
ძლიერ მკაცრი და უგულო არის.  
უმაღურობის დამასვა კლანჭი  
აი, აქ, სვაფივით.

### */აჩვენებს მკერდზე/*

მე ვერ აგინერ  
ამას სიტყვებით, არ დამიჯერებ,  
ბუნებით იგი სულმდაბალია.  
ოო, რეგანა!

### რეგანა

დამშვიდდით, მილორდ, ასე მგონია,  
თქვენ არ აფასებთ დას სათანადოდ,  
ვიდრე ის თავის მოვალეობას.

### ლირი

ეს რასა ნიშნავს?

### რეგანა

დამ დაარღვია ვალდებულება.  
აღბათ, ალაგმა თქვენ მხლებლების  
თავანყვეტილი თარემ - პარპაში.  
ხოლო ასეთი კეთილ საქმისთვის  
ის გასაკიცხი სულაც არ არის.

### ლირი

წყეულიმც იყოს!

### რეგანა

ო, სერ, მოხუცდით,  
თქვენმა ბუნებამ მიაღწია ზღვარს;  
ახლა გჭირდებათ თქვენ პატრონობა  
ისეთ გონებამოქნილ კაცისა,  
რომელიც უფრო უკეთ გაგიგებთ,  
ვიდრე თქვენ გესმით თქვენი თავისა.  
ამიტომ მე გთხოვთ დაბრუნდეთ დასთან  
და მოიხადოთ მასთან ბოდიში.

### ლირი

ბოდიში ვთხოვო?! მაშ შენ გგონია  
ეს ეკადრება მეფურ დიდებას:  
„ძვირფასო შვილო, ვალიარებ, რომ  
მე ბებერი ვარ და ჩაჩანაკი...

/იჩოქებს/

ხნიერი კაცი არვის სჭირდება  
და დაჩოქილი გემუდარები  
მომცე სამოსი, ბინა, საკვები".

### რეგანა

საკმარისია. თქვენ არ შეგფერით  
ასეთი უშნო ხერხით მოქცევა.  
დაბრუნდით დასთან.

### ღირი

ო, არასოდეს!

მე მან მხლებლები გამინახევრა.  
როგორც ღრუბელი ჩაშავებული  
ისე მიცქერდა; მან ენით დამჭრა  
ვით გველის ნესტრით, პირდაპირ გულში.  
შურისძიება დაეფრქვეს ზეცის  
მის უმადურ თავს!  
და მონამლულმა შხამმა, ჰაერმა  
დაამახინჯოს იმისი მოდგმა.

### კორნუოლი

სირცხვილია, სერ, ეგ სირცხვილია!

### ღირი

ელვის ისრებო, თქვენ დააბრმავეთ  
მისი აბუჩად ამგდები თვალნი!  
მზით ანაორთქლო ჭაობის ბულო,  
დაამახინჯე მისი მშვენება  
და ააბებრე მისი ზვაობა.

### რეგანა

ო, ღმერთო, მამ მეც მასე დამწყველი,  
როცა იქნებით განრისხებული?

### ღირი

არა, რეგანა, შენ არასოდეს.  
ეგ ნაზი გული ვერ გამკაცრდება.  
შენს დას აქვს თვალი მკაცრი, ბოროტი,  
შენი თვალი კი არ წვავს, ამშვიდებს.  
შენ მე ცხოვრებას არ ჩამიმწარებ,  
არ შემიმცირებ თანმხლებ ამაღლას,  
სეტყვასავით არ მომაყრი სიტყვებს  
და ურდულით არ ჩამიკეტავ კარს,  
როს დავაპირებ შენთან შემოსვლას.  
შენ უკეთა გრძნობ ბუნების კავშირს,  
შვილის ვალს თავის მშობლებისადმი;  
რომ ამ ზრდილობის გამოვლინება  
არის ნიშანი მადლიერების;  
და არასოდეს დაგავინყდება,  
რომ ნახევარი სამეფო გიძღვენ.

### რეგანა

სერ, თქვენს საქმეზე ილაპარაკეთ.  
*/ისმის საყვირების ხმა/*

### ღირი

ვინ ჩასვა ჩემი კაცი ხუნდებში?

### კორნუოლი

ეს ვისი უნდა იყოს საყვირი?

### რეგანა

მე ვცნობ... ჩემი დის საყვირებია.  
ამას წერილში იწერებოდა,  
რომ იგი ჩქარა ჩამოვიდოდა.  
*/შემოდის ოსვალდი/*  
მაშ, ჩამობრძანდა შენი ბატონი?

### ლირი

აი, მონა, ვინაც ამპარტავნება  
ისესხა თავის ქალბატონისგან,  
ისე, რომ უკან არ ჩაასესხებს.  
თვალთ დამეკარგე, უღირსო მონავ.

### კორნუოლი

რისი თქმა ნებავს თქვენ მონყალებას?

### ლირი

ვინ გაუყარა ჩემს მსახურს ხუნდი?  
რეგანა, მე მაქვს დიდი იმედი,  
ამის შესახებ შენ არ იცოდი.

#### */შემოდის გონერილი/*

ეს აქ ვინ მოდის? ო, ღმერთო ჩემო!  
თუ შენა სწყალობ ჩემებრ მოხუცებს,  
ტკბილი, სათუთი ეგ მონყალება  
მე განმიტკიცებს შენს მორჩილებას;  
და თუ თვითონ ხარ მოხუცებული,  
ეს ჩემი ყოფა- ძალით განდევნა,  
ისე განსაჯე, ვით საკუთარი.  
ჩამოდი ძირს და შენ შემენიე.

#### */გონერილს/*

არა გრცხვენია ამ თეთრი ნვერის,  
ასე უტიფრად მომჩერებიხარ?  
ოო, რეგანა, ნუთუ ხელს მისცემ?

### გონერილი

რატომ არ უნდა მომცეს დამ ხელი?  
ისეთი რა ვქმენ, რა დავაშავე?  
ყველა არ არის დანაშაული,  
რასაც სიბერის ქკვამოკლეობა  
მოურიდებლად უწოდებს ასე.

### ღირი

რას არ გაუძლებ, კაცისა გულო!  
ამას აიტან? რომელმა ჩასვა  
კაცი ხუნდებში?

### კორნუოლი

ეს მე ვქმენ, მილორდ.  
ეს ამის ქცევამ დაიმსახურა.

### ღირი

შენ? შენა ქმენი?

### რეგანა

მამა, მე შენ გთხოვ.  
თქვენ ულონო ხართ და ნურცა ცდილობთ,  
რომ მოგვაჩვენოთ თავი ძლიერად.  
ახლა მიბრძანდით ისევე ჩემს დასთან,  
განახვერეთ ამაღლა თქვენი  
და ერთი თვე რომ მიიწურება,  
მაშინ მიბრძანდით ისევე ჩვენთან.  
ახლა ხომ ხედავთ, სახლში არა ვარ,  
არ მაქვს მარაგად დამზადებული  
ის ხორაგი, რაც თქვენ დაგჭირდებათ.

### ღირი

მასთან დავბრუნდე? ჩემი ამაღლაც  
გავანახვერო? მე მიჩვენია,  
რომ უსახლკაროდ ცის ქვეშევე დავრჩე  
და შევებრძოლო უამინდობას,  
დავუმეგობრდე მგლებს, ბუკიოტებს;  
ისევე ავირჩევ შიმშილს, წვალებას!  
დავბრუნდე მასთან? ამას ისა სჯობს  
კარზე მივადგე იმ გულფიცხ ფრანგსა,



რომ წაიყვანა უმცროსი ქალი,  
 ღარიბ-ლატაკი, არაფრის მქონე,  
 მუხლებზე ვთხოვო იმის ტახტს სარჩო,  
 რომ მის მსახურებს, ვასალის დარად,  
 ცხოვრებისათვის ლუკმა მიბოძოს.  
 მასთან დავბრუნდე? მონად ვიქცევი,  
 ვიდრე ასეთი ბილწი გავხდები.

*/მიუთითებს ოსვალდზე/*

### გონერლი

როგორც ინებებ.

### ლირი

მე გვედრები,

ჩემო ასულო, ნუ გამაცოფებ.  
 მე ამის შემდეგ არ შეგანუხებ.  
 შენ, შვილო ჩემო, კარგად იყავი.  
 ჩვენ დღეის იქით აღარ შევხვდებით  
 და არც ვიხილავთ კვლავ ჩვენ ერთმანეთს.  
 მაგრამ შენ მაინც ჩემი სისხლი ხარ,  
 ჩემი ხორცი და ჩემი ასული,  
 შენა ხარ ჩემი არსების სენი,  
 მინდა თუ არა, ეს არის ასე.  
 შენ ხარ მუნუკი, მტანჯველი იარა,  
 გასიებული ხარ ძირმაგარა  
 ავადმყოფ სისხლზე. მე შენ არ გლანძღავ.  
 დაე, სირცხვილი თვისით მოვიდეს,  
 მე მას არ ვუხმობ. არც იუპიტერს ვთხოვ  
 მეხთა სატყორცნად. არც ზლაპრებს გითხრობ  
 რაღაც უმალლეს შენს სიყვარულზე.  
 თუ შეგიძლია გადასხვაფერდი,  
 უკეთეს იყავ. როცა მოიცლი,  
 აღვიჭურვები მე მოთმინებით.

მე აქ დავრჩები ჩემს რეგანასთან,  
ჩემი მხლებელი ასი რაინდით.

### რეგანა

არა, ჯერ არა; მე არ გელოდით  
და ვერც დაგხვდებით შესაფერისად.  
ჩემს დას, ბატონო, დაუგდეთ ყური,  
ვინც თქვენს მშფოთვარე მაგ ყოფაქცევას  
უცქერის ცივი გონიერებით.  
უნდა შეიგნოთ, რომ მოხუცი ხართ;  
და ამდაგვარად...  
ჩემმა დამ იცის, რასაც აკეთებს.

### ღირი

მაშ, მასე ამბობ?

### რეგანა

დიახ, სერ, ვამბობ.

ნუთუ მხლებელი ორმოცდაათი,  
თქვენთვის არ არის ეს საკმარისი?  
ამაზე მეტი რაში გჭირდებათ?  
მათი შენახვა ერთობ ძვირია  
და მასთანავე საშიშიც არის.  
ამდენი კაცი, ისიც ერთ სახლში,  
ორი ბატონის ქვეშევრდომები,  
მეგობრულად და ტკბილად იცხოვრებს?  
ძალზე ძნელია, შეუძლებელი!

### გონერილი

რატომ არ ძალუძთ ჩემს დის მსახურებს  
და თუნდაც ჩემებს, რომ გემსახურონ?

### რეგანა

დიახაც, რატომ? თუ ჯეროვანად  
არ მოგაქციეს თქვენ ყურადღება,  
ჩვენ გავუნევდით ამაზე კონტროლს.  
თუ ჩემთანა გსურთ ნამობრძანება,  
(ახლა მეც კი ვგრძნობ საშიშროებას).  
მე გთხოვთ იახლოთ სულ ოცდახუთი.  
ამაზე მეტს მე ვერ შევიფარებ.

### ლირი

მე ყველაფერი თქვენ გადმოგეცით...

### რეგანა

ძალიან დროზე.

### ლირი

ეს მე გაგზადეთ  
ჩემი მეურვე, ჩემზე მზრუნველი,  
იმ პირობით, რომ მეყოლებოდა  
მე ეს ამაღლა, ასეთი რიცხვით.  
მაშ ასე გნებავს, შენთან მოვიდე  
მე ოცდახუთი კაცით, რეგანა?  
შენ ასე ბრძანე?

### რეგანა

დიახ, მასე ვთქვი;  
და ვიმეორებ, - არც ერთი კაცი  
არ იყოს მეტი.

### ლირი

ავი არსებაც  
მშვენიერია, როცა სხვა არის  
უფრო ბოროტი. გონიერილი რომ

შენ არა გჯობნის, უკვე ეს არის  
იმისთვის კარგი.

*/გონერრის/*

შენთან მოვდივარ.

ორმოცდაათი ეს ხომ იქნება  
ოცდახუთი რომ ორზე ვამრავლოთ.  
მაშ, შენ გიყვარვარ გაორმაგებით.

**გონერრილი**

რაში გჭირდება ან ოცდახუთი?  
ათი? კი არა, ხუთი მსახურიც  
საკმარისია იმ სახლში, სადაც  
გაორკეცებით ზრუნავენ შენზე.

**რეგანა**

მე კი რომ მკითხო, ერთიც არ უნდა!

**ლირი**

აჰა, ეს გახდა განხილვის საქმე  
და არა ის, რომ ეს მე მჭირდება!  
ყველაზე ლატაკ მათხოვარსაც კი  
აქვს თავის ნივთი სრულად ურგები.  
თუკი ბუნება ნებას არ დართავს  
გააჩნდეს მეტი, ვიდრე სჭირდება,  
კაცის ცხოვრება გაიფრდება,  
იგი მთლად პირუტყვს დაემსგავსება.  
თქვენა ბრძანდებით ქალბატონები:  
ბუნებით გინდათ მხოლოდ დათბობა,  
მაშ რაღად იცვამთ ბრწყინვალე სამოსს,  
რაიც ბუნებას სულ არ სჭირდება;  
არა მგონია, სამკაულებმა  
მხოლოდ და მხოლოდ ტანი დაგიტბოთ.  
რაც ჩვენთვის არის გარდაუვალი...

ღმერთო, მომეცი შენ მოთმინება,  
 რადგანაც იგი ახლა მჭირდება.  
 აქ ხომ მხედავთ მე, მოხუცებულ კაცს,  
 აღსავსეს ნლებით და მწუხარებით,  
 ბედკრულს, საცოდავს ორივე მხრიდან.  
 თუ თქვენი ძალით აემღვრათ გული  
 თავის მოხუცი მამის წინააღმდეგ,  
 ასე ძლიერად ნუ შეურაცხმყოფთ  
 და ნუ ამომდებთ ბოლომდე ლაგამს,  
 ნუ დამამცირებთ განწვრთნილ დათვივით.  
 აღმაშფოთეთ ვით ღირსეულს ფერობს;  
 და დედაკაცის იარალი – ცრემლი  
 ნუ ჩამონუნავს კაცის ყვრიმალებს.  
 წადით, გამშორდით, კუდიანებო!  
 თორემ მე ისეთ ვიძიებ თქვენ შურს,  
 რომ მთელ ქვეყანას... მე ამას ვიზამ...  
 ის რა იქნება, ჯერ მეც არ ვიცი,  
 მაგრამ იქნება ისე მზარავი,  
 რომ შეძრავს გულით ქვეყნიერებას.  
 თქვენა გგონიათ, რომ მე ვიტყვებ?  
 მე არ ვიტყვებ.

*/ცა გრგვინავს, გრიგალი აბობოქრდება/  
 სრული მიზეზი მაქვს ვიქვითინო;  
 გული მემსხვრევა ათას ნატეხად,  
 სანამ დავიწყებ მოთქმა-გოდებას.  
 ო, შე სულელო! მე გავგიჟდები!*

*/გადიან ლირი, გლოსტერი, კენტი და ხუმარა/*

### კორნუოლი

ჩვენც გავემართოთ, თავსხმა იქნება.

### რეგანა

სახლი მცირეა. მოხუცი კაცი

თავის მხლებლებით ვერ მოთავსდება.

### გონერლი

თვითონ იჩივლოს. თვით არ ინება  
აქ მოსვენება. ახლა იგემოს  
თავის კაპრიზის მინალწევარი.

### რეგანა

პერსონალურად მე მას მივიღებ;  
ოღონდ არც ერთი მისი მხლებელი.

### გონერლი

ზუსტად მეც მასე მაქვს განზრახული.  
სადა ბრძანდება ლორდი გლოსტერი?

### კორნუოლი

მან გააცილა მოხუცი კაცი.  
აჰა, დაბრუნდა.

*/შემოდის გლოსტერი/*

### გლოსტერი

ხელმწიფე იყო განრისხებული.

### კორნუოლი

ახლა სად მიდის?

### გლოსტერი

ცხენები ბრძანა,  
მაგრამ სად მიდის, ეგ აღარ ვიცი.

### კორნუოლი

დაე, ნავიდეს, გზას თვით გაიგნებს.

### გონერლი

ნურც დაიყოლებთ აქ დარჩენაზე.

### გლოსტერი

ჩქარა წყვდიადი ღამე დადგება,  
ძლიერი ქარიც ამოვარდება,  
გარშემო, მრავალ მილის მანძილზე  
ერთი ბუჩქიც არ მოიძებნება.

### რეგანა

ო, სერ, ჯიუტ და კერპ ადამიანს  
რაც კი ეწევა თავის ბრალია;  
ეს გაკვეთილი იქნება მისთვის.  
ახლა დაგმანეთ კარგად ჭიშკარი.  
მას უგუნური ამაღა ახლავს,  
აიძულებენ ყური დაუგდოს  
იმათ ცუდ რჩევას, ჭკუის დარიგებას;  
სიბრძნეს ყოველთვის სიფრთხილე მართებს.

### კორნუოლი

ჩაკეტეთ თქვენი ჭიშკარი, მილორდ;  
რალაც გიჟური ღამე მოგველის.  
ჩემი რეგანა კარგ რჩევას გვაძლევს.  
ქარიშხალს თავი უნდა ვარიდოთ.

/გადიან/

# მოქმედება III

## სცენა I

ვაკე ადგილი  
ქარიშხალი მძვინვარებს. სხვადასხვა მხრიდან

*/შემოდინ კენტი და ჯენტლმენი/*

**კენტი**

ეი, ვინა ხარ ასეთ ამინდში?

**ჯენტლმენი**

ის, ვისაც გულში აქვს ქარიშხალი.

**კენტი**

მე შენ მეცნობი. სად არის მეფე?

**ჯენტლმენი**

ის გაავებულ ბუნებას ებრძვის;  
ქარიშხალსა სთხოვს, რომ დედამინა  
ამ ყალყზე შემდგარ ზღვაში ჩახვეტოს,  
ან დედამინა დაფაროს ტალღამ,  
რომ შეიცვალოს რაღაც ამ ქვეყნად,  
ან დაიღუპოს ქვეყნად ყოველი;  
თეთრ თმას იგლეჯავს გაშმაგებული,  
ხოლო მძვინვარე, სწრაფი გრიგალიც  
აიტაცებს და ამ ბლუჯას ფანტავს.  
ადამიანის მცირე სამყარო  
აბუჩად იგდებს დელგმა ქარიშხლის  
მეტოქეობას. ასეთ ღამეში  
ძუძუდამშრალი და დამშეული



დათვიც არ გავა თვის ბუნაგიდან.  
თვითონ ლომიც კი გამოლასტული  
და მგელიც ერთობ მშვიერ-მწყურვალა  
ასეთ ავდარში ბენვს არ დაილტობს;  
ეს კი უქუდო და თავშიშველი  
დაეხეტება ამ ყიამათში,  
საფრთხეში აგდებს თავის სიცოცხლეს.

### კენტი

თან ახლავს ვინმე?

### ჯენტლმენი

მხოლოდ ხუმარა,  
ვინც ხუმრობებით ერთობ ირჯება,  
რომ გაუქარვოს გულისტკივილი.

### კენტი

სერ, მე გიცნობთ თქვენ და გუმანით ვგრძნობ,  
რომ შეიძლება გაგანდოთ საქმე  
ერთობ საჭირო თქვენთვის და ჩვენთვის,—  
კარგა ხანია უთანხმოება  
სუფევს ოლბანს და კორნუოლს შორის,  
თუმც ეშმაკურად ამას ფარავენ;  
იმათ ჰყავთ, ისე როგორც ჰყავს ყველას,  
ვისაც ქუდბედი გვირგვინს უბოძებს,  
მსახურნი — მხოლოდ ფრანგთა ჯამუშნი,  
ვისაც ანვდიან ცნობებს, მონაცემს  
შენი ქვეყნის და სახელმწიფოსი.  
გარდა ამისა, რასაც ხედავენ,  
იციან შულლი ჰერცოგთა შორის  
და ის სასტიკი კონტროლიც, რასაც  
ორივე უწევს ჩვენს მოხუც მეფეს.  
სხვაც ბევრი არის მნიშვნელოვანი;

ახლა მართალი მხოლოდ ის არის,  
რომ საფრანგეთის სრული ლაშქარი  
უკვე მოადგა ორად გათიშულ  
ამ ჩვენს სამეფოს. ისინი უკვე,  
ჩვენი უთავო დაუდევრობით,  
გადმოსხდნენ ჩვენს დიდ ნავსადგურებში  
და მზად არიან ომის ალამთა  
უკვე გაშლისთვის.

აი, რას გეტყვით: თუ მე მენდობით,  
ახლა დოვრს ნახვალთ და იქ შეხვდებით  
იმ პირებს, ვინც თქვენ მადლობას გეტყვით,  
თქვენ მოახსენებთ მათ დანვრილებით,  
რაოდენ არაბუნებრივი და  
ჭკვაზე შემშლელი საქმე დამართეს;  
მეფეს აქვს სრული საბაბი ამის,  
რომ აღძრას საქმე, მათზე იჩივლოს.  
მე ვარ ღირსეულ ოჯახის შვილი  
სისხლით და მოდგმით, მიტომ გენდობით,  
რომ ჩაიტანოთ ამბავი დოვრში.

### ჯენტლმენი

ამაზე უნდა უფრო ვრცლად მითხრათ.

### კენტი

არა, ამის მეტს მე ვერას გეტყვით.  
მე უფრო მეტი რანგის კაცი ვარ,  
ვიდრე ზერელე გარეგნობა მაქვს.  
ამის დასტურად გახსენ ეს ქისა  
და ამოიღე რაც კი შიგ არის.  
როცა შეხვდები შენ კორდელიას,  
ექვი არ არის, შეგახვედრებენ,  
იმას აჩვენე, აი, ეს ბეჭედი.  
მაშინ ის გეტყვის, თუ ვინ იქნება

შენი თანმდგომი, კომპანიონი.  
უჰ, რა დარი დგას! მე ახლა წავალ,  
მეფეს მოვძებნი.

### ჯენტლმენი

მაშ, კარგად იყავ.  
ყველაფერი სთქვი?

### კენტი

არა, ჯერ არა,  
ცოტა დამრჩა, თუმც მნიშვნელოვანი.  
როცა ვიპოვით აქ ჩვენს ხელმწიფეს, -  
შენ აქეთ წადი, მე იქით წავალ, -  
შევატყობინოთ მყისვე ერთმანეთს.  
*/სხვადასხვა მხარეს გადიან/*

## სცენა II

მინდვრის მეორე მხარე, ავდარი გრძელდება.

*/შემოდიან ლირი და ხუმარა/*

### ლირი

დაბერე ქარო, ვიდრე დასკდება  
ეგ დაბერილი შენი ლოყები!  
და იბობოქრე გამძვინვარებით!  
დელგმა და თქეში ჩამოიქეცით,  
წყალში დაძირეთ მთელი ქვეყანა,  
ძილგამფრთხალ ხალხის ფლუგერი!  
გოგირდის ცეცხლო, ფიქრებზე სწრაფად  
ხორცს რომ შეისხამ და აღსრულდება,

მუხის გამპობო მეხისა მაცნევ,  
 შენ გამირუჯე ეს თეთრი თავი!  
 ყველას შემძრავო ჭეჯა - ქუხილო,  
 შენ დაანგრიე მთელი სამყარო,  
 წიაღი, სადაც კაცი შეიქმნა!  
 დაბუგე თესლი და ჩანასახი  
 ამ სიცოცხლისა, რისგანაც გაჩნდა  
 უმადურობა კაცთა შვილისა.

### ხუმარა

ეე, ბიძია, პირფერობა და მლიქვნელობა მშრალ სახლში  
 გაცილებითა სჯობს ტრიალ მინდორში წვიმით თავიდან ფეხე-  
 ბამდე გალუმპვას. ჩემო კარგო ბიძია, ნავიდეუთ სახლში, პატიე-  
 ბა სთხოვე შენს ქალიშვილებს. ამალამ ეს ავდარი არც ბრძენს  
 დაინდობს და არც სულელს.

### ღირი

იგრგვინე ზეცავ, ცეცხლი აფრქვიე,  
 ჩამოაქციე თქორი, ღვართქაფი!  
 არც წვიმა, ქარი, ქუხილი, ცეცხლი  
 არ არის ჩემი ქალიშვილები!  
 მე ბრალს არა გდებთ სისასტიკეში,  
 თქვენ სტიქიონის შემადგენელნო,  
 არ მომიცია თქვენთვის სამეფო,  
 მე არ გინოდებთ ჩემს ქალიშვილებს,  
 მოვალე არ ხარ მორჩილებისა.  
 მაშ, იბობოქრეთ საზარელ ნებით.  
 აი, აქ ვდგავარ მე თქვენი მონა,  
 სუსტი, უძლური, ერთობ სანყალი  
 და შებლაღული მოხუცი კაცი.  
 მაინც თქვენ გიხმობთ, მაამებელნო,  
 თქვენ შეუერთდით ჩემს მავნე შვილებს  
 და უძლიერეს ძალით დაატყდით

ჩემს მოხუცებულ, გათეთრებულ თავს.  
ე, ჰე, ჰე! არასაკადრისია.

### ხუმარა

ვისაც ახლა თავშესაფარი აქვს, იმას ტვინი აქვს.  
კაცს როცა ჟინი მოუვლის  
და არა აქვს სახურავი,  
გათავებს ისე, როგორც  
ტილიანი მათხოვარი.  
თუ ფეხის ნვერით აკეთებ  
იქ, სად გული უნდა მუშად,  
გამოგივა ცერზე კორძი,  
ძილი კი გექცევა ქუშად.

იმიტომ, რომ ქვეყნად არ არსებობს ისეთი მომხიბლავი  
ქალბატონი, რომელიც სარკის წინ არ გაიპრანჭოს.

*/შემოდის კენტი/*

### ღირი

არა, ვიქნები თმენის ნიმუში;  
კრინტსაც არ დავძრავ!

### კენტი

აქ რომელნი ხართ?

### ხუმარა

რომელნიო? ღვთისმშობელს მარიამ, მისი უმაღლესობა  
მეფე და ლობიოს დაჩურჩული პარკის ნაგლეჯი; ბრძენკაცი  
და სულელი.

### კენტი

მეფე, ეს თქვენ ხართ? თვით ღამეულნი  
ასეთ ღამეს ცხვირს გარეთ არ ყოფენ.  
ეს ყიამათი, პირქუში ღამე

აშინებს ღამით მოხეტიალეს  
და თბილ ბუნაგს არ დააგდებინებს.  
რაც თავი მახსოვს, ასე საშიში  
ჭექა-ქუხილი, ქარის ზუზუნი  
და თავსხმა წვიმა მე არ მინახავს.  
კაცის ბუნება ვერ გადაიტანს  
ასეთ საშინელ დავიდარაბას.

### ღირი

დე, დიდმა ღმერთმა, თავს რომ გვატეხავს  
ამ შფოთვა-ღელვას, გამოავლინოს  
ყველა ცოდვილი! თრთოდე სანყალო,  
ვის მიჩქმალული დანაშაული  
დაფარულია კანონს წინაშე.  
დამალე ხელი სისხლში გასვრილი,  
ფიცის გამტეხო, ფარისეველო,  
ბინიერებავ, სისხლის აღმრევო;  
თრთოდე ბოროტო, უმანკო ნიღბით,  
რომ პირმოთნეობ და თვალმაქცურად  
ხრიკებსა ქსელავ კაცის წინააღმდეგ.  
დანაშაულნო მიჩქმალულებო,  
გაადეთ თქვენი ფარული სკივრი,  
სთხოვეთ შენდობა ღმერთს შურისმგებელს;  
მე ცოდვილი ვარ, უფრო უმეტეს  
თვით არის ცოდვა.

### კენტი

თავშიშველი ხართ,  
მონყალო მილორდ! აქ ახლო-მახლო  
რალაც ქობია, თავშესაფარი,  
ამ ქარიშხალს იქ გადაურჩებით,  
იქ შეეფარეთ, ხოლო მე ისევ  
იმ სასტიკ ციხეს დავუბრუნდები.

რაც იმ ლოდებზე უფრო ცივია,  
რომლითაცაა იგი ნაგები,  
(ჩემი შეშვება იქ არ ინებეს,  
როდესაც ისევ თქვენ დაგეძებდით).  
ახლა ნავალ და ძალით წავგლიჯავ  
იმათ უბადრუკ ზნეკეთილობას.

### ლირი

მე გავგიჟდები. წამო, ძამიკო,  
ჰა, როგორა ხარ? ძლიერ შეგცივდა?  
მეც გავიყინე. აბა, სად არის  
შენი ქოხმახი და ჩალა-ბულა.  
უცნაურია ეს გაჭირვება,  
ჯადოქარივით უბრალო რამეს  
მთლად უძვირფასეს ნივთად გარდაქმნის.  
აბა, წავიდეთ იმ ხუხულაში.  
ჩემო ხუმარა, აი, შე საბრალო,  
გულის კუნჭულში ბრალი მაქვს შენი.

### ხუმარა

ვისაცაა აქვს მცირე ტვინი,  
არად უღირს ნვიმა, ქარი.  
ბედის არის კმაყოფილი,  
თუნდაც სულ იყოს ავდარი.

### ლირი

შენ მართალი ხარ, კარგო ბიჭუნი,  
ახლა წამოდი, მიგვიყვა ქოხში.

*/ლირი გადის კენტთან ერთად/*

### ხუმარა

ასეთი ღამე ნებისმიერ კურტიზან ქალს  
დააგრილებს. სანამ აქედან ნავალ,

მოდი, ვინასნარმეტყველებ:  
 როს მღვდლის სიტყვა ღვანლზე მეტს ხამს  
 და მელუდე ლუდს წყალს ასხამს;  
 ღირსი თერძს ბიჭად უდგება;  
 ცოდვიანი არ ინვება;  
 ყველა საქმე სამართალში  
 გამართლდება, გასწორდება;  
 როს თავადს და ღარიბ რაინდს  
 ვალი, ვახში მოშორდება;  
 როცა ცილისმწამებელსა  
 ენა ძირში მოეჭრება;  
 ჯიბგირს იქ არ მიესვლება,  
 სადაც ხალხი შექუჩდება;  
 როცა ძუნწა და მევახშეს  
 ფული ღიად დაეთვლება;  
 როცა ბოზი, მაჭანკალი  
 საყდრის შენებას მოყვება,  
 მაშინ ამ ჩვენს ალბიონში  
 დიდი ღელვა დაიწყება.  
 ასეთი დროც დაგვიდგება,  
 ყველა ფეხზე ნამოდგება.

ამას მერლინი<sup>16</sup> იწინასწარმეტყველებს, რომელიც ამ ქვეყნად ჩემს შემდეგ გაჩნდება.

/გადის/

16 მეფე არტურის დიდი გრძნეული და წინასწარმეტყველი მერლინი, რომელიც პოლინშედის ქრონიკების მიხედვით მეფე ლიონ III-ზე გვიან ცხოვრობდა.



## სცენა III

### გლოსტერის ციხე-სასახლე.

*/შემოდინ ედმუნდი და გლოსტერი/*

#### გლოსტერი

არა, არა, ედმუნდ, არ მომწონს ასეთი უაღამიანო დამოკიდებულება. მე რომ სურვილი გამოვთქვი, რაიმეთი დავეხმარები მეთქი, ხმაც კი არ ამომადებინეს ჩემს სახლში იმის მუქარით, რომ სამუდამოდ ზურგს შემაქცევდნენ; ხსენებაც კი ამიკრძალეს, რაიმე დახმარებაზე ლაპარაკიც ხომ ზედმეტია.

#### ედმუნდი

ეს ძალზე მკაცრი და არაბუნებრივია.

#### გლოსტერი

ნადი მათთან. ამაზე კრინტი არ დასძრა. ორ ჰერცოგს შორის რალაც უთანხმოებაა, უფრო სერიოზული ამბავია, ვიდრე უბრალო ცილობა. ამ საღამოს წერილი მივიღე... ამაზე ლაპარაკიც კი სახიფათოა. წერილი ჩემს ოთახში ჩაეკეტე. მეფისადმი მიყენებული შეურაცხყოფა უდიდეს შურისძიებას ითხოვს. ლაშქრის ნაწილი უკვე გადმოსხდა სანაპიროზე. ჩვენ მეფეს უნდა მივემხროთ. მე მას მოვძებნი და საიდუმლო დახმარებას აღმოვუჩენ. შენ ნადი და ჰერცოგი შეიქციე საუბრით, რომ მე არ მომისაკლისოს. თუ მიკითხონ, უთხარი შეუძლოდ შეიქნა და ლოგინში ჩანვა-თქო. სიცოცხლის ფასად რომ დამიჯდეს, რაც შემუქრება კიდევ, მაინც დავეხმარები ჩემს მეფეს, ჩემს ძველ მბრძანებელს. საშიში ამბები გვიახლოვდება, ედმუნდ; ფრთხილად იყავი.

*/გადის/*

### ედმუნდი

მაგ შენს სიკეთეს ჰერცოგს შევასმენ,  
წერილის ამბავს სასწრაფოდ ვეტყვი.  
დამსახურებულ ქმედების გამო  
მივიღებ, რასაც მამა დაკარგავს...  
არა ნაკლები, ამაზე მეტი.  
ახალგაზრდობა იქ აყვავდება,  
სადაც სიბერე ძირს დაეცემა.  
*/გადის/*

## სცენა IV

### მინდორი ქოხის წინ.

*/შემოდინა ლირი, კენტი და ხუმარა/*

#### კენტი

აი, ეს არის, მილორდ, ის ქოხი.  
შებრძანდით, იგი მეტად მკაცრია,  
ამის ატანა არ შეიძლება.  
*/ქარიშხალი ბობოქრობს/*

#### ლირი

დამტოვეთ მარტო.

#### კენტი

შებრძანდით, მილორდ.

### ლირი

გინდა გამიპო ამითი გული?<sup>17</sup>

### კენტი

უნინამც ისევ ჩემს გულს გავიპოვ.  
შებრძანდით, მილორდ.

### ლირი

მაშ, შენა ფიქრობ,  
გადაუღები ასეთი წვიმა,  
რაკი გაგვატანს ძვალსა და რბილში,  
ამას რაიმე მნიშვნელობა აქვს?  
სადაც კი სენი ჩაბუდებულა,  
იქ მასზე მცირეს უკვე ველარ ვგრძნობთ.  
როცა მძვინვარე დათვს გაურბიხარ,  
წინ კი ზღვა გელის აზვირთებული,  
პირს ისევ დათვის სახისკენ იქცევ.  
როცა გონებას საზრუნავი აქვს,  
სხეული უფრო მგძნობიარეა.  
ტვინში ბობოქრობს ახლა გრიგალი  
და ერეკება ყოველგვარ გრძნობას  
გარდა ერთისა, – ჩემი შვილების  
უმაღურობის, თითქოსდა პირი  
იმ ხელსა კბენდეს, ხელებს რომელიც  
საკვებს აწვდიან. მე შურს ვიძიებ.  
ალარ ვიტირებ. ასეთ ღამეში გამომაძევეს;  
ყველას ავიტან! ამნაირ ღამეს!  
ო, რეგანა და გონერილ!  
თქვენმა მოხუცმა, კეთილმა მამამ,  
თავის სულგრძელი და უხვი გულით,  
ყველა თქვენ მოგცათ...

17 ლირის ქვეტექსტია, რომ ამ ქარიშხალს მომაცილოს და ველარ ვიფიქრო ჩემი საფიქრალიო.

ეს სიგიჟეა; აღარ ვიფიქრებ.  
არც ერთი სიტყვა.

### კენტი

შებრძანდი, მილორდ.

### ლირი

ჯერ შენ შებრძანდი და მოისვენე.  
ეს ქარიშხალი ხელს მიშლის ფიქრში,  
რაც უფრო მტანჯავს, მაგრამ მე შევალ.

*/ხუმარას/*

აბა, გასწიე, პირველი შედი,  
შე უსახლკარო საცოდაობავ...  
წინ გაგვიძეხი. მეც ვილოცებ და  
თვალს მოვატყუებ.

*/ხუმარა შედის ქობში/*

თქვე უბედურო,  
შიშველ-ტიტველო საცოდავებო,  
სადაც არ უნდა იყოთ ახლა თქვენ,  
როგორ იტანთ ამ უწყალო გრიგალს,  
მიუსაფარნი, მშიერი კუჭით  
და დაგლეჯილი თქვენი ჯღანებით  
როგორ უძლებთ ამ უამინდობას?  
ძალიან ცოტას ვზრუნავდი მათზე!  
აჰა, წამალი თქვენს სამკურნალოდ,-  
შეიგრძნე, რასაც სანყალნი გრძნობენ,  
მაშინ სიუხვეს მათ უნილადებ,-  
ცასთან იქნები სამართლიანი.

### ედგარი

*/ქობის შიგნიდან/*

აქ ღრმია, ძალზე ღრმია, სანყალი ტომი!

*/ხუმარა ბრუნდება/*

**ხუმარა**

არ შეხვიდე, ბიძია, იქ ავსულს დაუბუდებია. მიშველეთ, მიშველეთ!

**კენტი**

მოიტა ხელი. იქ ვინ არის?

**ხუმარა**

სულია, სული. სანყალ ტომს უწოდებს თავის თავს.

**კენტი**

მანდ რომელი ხარ, თივაში რომ წუნუნებ? აქეთ გამოდი!

**ედგარი**

ნადით აქედანი მე ავი სული დამდევეს ფეხდაფეხ! „კუნელის ეკლის ბუჩქიდან ცივი ქარი მოზუზუნებს“<sup>18</sup> ვვვ... ჩანექით გაყინულ სანოლში და ჩაითბუნეთ!

**ლირი**

შენც შენს გოგოებს მიეცი ყველაფერი და ახლა ასეთ დღეში ჩავარდი?

**ედგარი**

უნყალობეთ რამე სანყალ ტომს. ავმა სულმა გამომატარა ცეცხლში და მხურვალე აღში, მორევში, ქაობსა და ქანჭრობში, საბანში მჭრელ დანებს მიყოლებდა, აივანზე თოკებს მიკიდებდა ჩამოსახრჩობად, სალაფავივით ფაფაში ვირთხების შხამს მირევდა; გულს მივაჟკაცებდა რომ სიცოცხლის ფასად, ერთმტკავლიან ბონდის ხიდზე მეჭენებინა ცხენი. საკუთარ ჩრდილს გამომადევენებდა, როგორც მოლალატეს; ღმერთო, შენ დამიფარე გრიგალისაგან, ავი ვარსკვლავისა და ჭირისაგან... კურთხეულ იყოს შენი არსი, სცივა ტომს. ო, და, და, და,

<sup>18</sup> ბნკარი ბალადიდან „რუხი ორდენის მონაზონი“.

და, და. უწყალობეთ რაიმე საწყალ ტომს; ბოროტი სული ჩას-  
ძრომია გვამში და აწვალებს. აი, ისიც, მე ახლა მას დავიჭერ...  
აი, სად არის... აგერ... აგერ...

*/ქარიშხალი ისევ ბობოქრობს/*

**ღირი**

აი, რა უყვეს ქალიშვილებმა!  
შენთვის აღარა შემოიტოვე?  
სულყველაფერი იმათ უბოძე?

**ხუმარა**

ერთი ძონძის საბანილა დაიტოვა, თორემ ყველა შევრცხვებოდი.

**ღირი**

დე, ყველა ჭირი, რაც ირგვლივ სუფევს  
და რაც კაცთათვის განკუთვნილია,  
შენს ქალიშვილებს დაატყდეთ თავზე.

**კენტი**

ქალიშვილები არა ყავს, მილორდ.

**ღირი**

ცრუობ, გამცემო! ვერაფერი სძლევს  
ბუნებას ქვეყნად, გარდა მდაბალი  
უმაღურობა ქალიშვილების.  
ეს არის წესი, დევნილმა მამამ  
აღარ დაინდოს თავისი ხორცი?  
ეს სასჯელია სამართლიანი,  
მიტომ, რომ შობა ისევე შვილი,  
როგორც არიან პელიკანები.<sup>19</sup>

<sup>19</sup> აღბათ იგულისხმება, რომ პელიკანები მშობელთა ხორცსაც არ ინდობენ  
საჯიუგნად და სისხლის შესასმელად.

### ედგარი

პილიკოკი ზის პილიკოკის მთაზე.<sup>20</sup> მიდი, მიდი, ოჰო, ჰოო!<sup>21</sup>

### ხუმარა

ეს სუსხიანი ღამე, ალბათ, ყველას გამოგვაყვეყნებს და გაგვაგვიყნებს.

### ედგარი

ერიდე უნმინდურს; შენს მშობლებს უგდე ყური, სიტყვის კაცი იყავი, ცუდუბრალოდ ნუ დაიფიცებ და სხვის ცოლს ნუ შეაცდენ, შენ შეყვარებულს ამპარტავნული, მდიდრული სამოსით ნუ შემოსავ; სცივა ტომს, სცივა.

### ღირი

ადრე ვინ იყავი?

### ედგარი

შეყვარებული, ამაყი გულითა და გონებით; ქოჩორს ვიხუჭუჭებდი, ქუდზე ჩემი გულის სწორის ხელთათმანს ვატარებდი, როგორც ჩვენი სიყვარულის სანინდარს. ყოველნაირად ვემსახურებოდი ჩემი ქალბატონის გულისთქმას, ვცოდავდი მასთან ერთად, წარამარა ვეფიცებოდი და ღვთის წინაშე ჩემს ფიცსა ვტეხდი. დაძინებისას ჩემს ავხორცობაზე ვოცნებობდი და გაღვიძებისას ისევ იმას ჩავდიოდი. ძლიერ მიყვარდა ღვინო, კამათლის თამაშზე უძვირფასესი არა იყო რა ჩემთვის. სულთანზე მეტი ხასა მყავდა. გული ყალბი მქონდა, ყური პირფერობისა და ჭორისთვის დაცქვეტილი, ხელები სისხლში გასვრილი; სიზარმაცით ღორი ვიყავი, ეშმაკობით მელა, სიანჩხლით ძაღლი, ნადავლის მოპოვებაში ღომი. ერთის წუთით არ დაუშვა, რომ ქალის ფეხსაცმლის ქუსლების ბაკი-ბუკმა ან მისი

20 პილიკოკი არის ტერმინი ეროტული სიყვარულისა და ფალოსისა.

21 allow... loo – მონადირეთა ძაბილი, ან მონადირეთა სიმღერის მინამღერი. (დასაშვებია ისიც, რომ ედგარი ვითომ თავის „პილიკოკს“ შეუძახებს).

აბრეშუმის კაბის შარი-შურმა შენი საცოდავი გული დაატყვევოს. ბორდელებს ახლოს არ გაეკარო, ქალის ჩახსნილ ქვედა კაბაში ხელს ნუ ჩააფათურებ, შენი კალამი მოარიდე მევალეთა ნიგნებს, უწმინდურ სულს ებრძოლე. სანამ ეკლიანი კუნელის ბუჩქიდან ცივი ქარი მოზუზუნებს, ასე უბერავს სსუუ, შუუ, ფუუ; დოფინო, ჩემო ბიჭო, ბიჭიკო, ნადი!<sup>22</sup> გაუშვით გვერდზე ჩაცუნცულდეს!

*/წვიმა და ქარიშხალი ბობოქრობს/*

**ღირი**

გერჩივნა სამარეში ნოლილიყავ, ვიდრე მაგ შიშველი სხეულით ამ უღმობელი ზეცის დარტყმა აგეტანა. სულ ეს არის ადამიანი? კარგად შეხედეთ. არავის უმადლის არაფერს, – არც აბრეშუმის ყიას აბრეშუმს, არც ტყიურს სამაღლავს, ცხვარს მატყლს და არც კატას<sup>23</sup> წელსურნელებას. ასეა! აი, სამში ერთ-ერთი უკანონოდ შეთითხნილი. არაცივილიზებული ადამიანი სხვა არაფერია, თუ არა ეს საცოდავი, შიშველ-ტიტველი ორფეხა ცხოველი, აი, ამისი მსგავსი. მომაცილეთ ეს ნათხოვარი სამოსი! გამიხსენით ჩქარა!

*/ტანისამოსს შემოიხევეს/*

**ხუმარა**

ბიძიკო, გემუდარები, დამშვიდდი, ასეთ ავ ღამეში ბანაობა მაინცდამაინც სასიამოვნო არ არის. ახლა მცირე ცეცხლი ამ ტრიალ უნაყოფო მინდორში, ბებერი მუსუსის გულივით იქნებოდა – პატარა ნაპერწკალი გაყინულ სხეულში. აგერ მოციმციმე ცეცხლი გვიახლოვდება.

22 სანყალ ტომს, სავარაუდოდ, მოყავს ციტატა ფრანგული ბალადიდან.

23 კატის სახეობა, აფრიკული ციბეტა, მელიისხელა მტაცებელი ცხოველი. განსაკუთრებული ჯირკვლებიდან გამოყოფს სურნელოვან სეკრეტს – ციბეტინს.



*/შემოდის გლოსტერი ლამპრით ხელში/*

**ედგარი**

ეგ ავი სულია ფლიბერტჯიბერტი.<sup>24</sup> სალამოთი გამოდის და მამლის პირველ ყივილამდე დაძრნის. კაცს თვალეზზე ლიბრს აკრავს, აელმებს, კურდღლის ტუჩად გადაუპობს ბაგეს, შემოსულ ხორბალს გუდაფშუტას უჩენს, მინის ყველა არსებასა ვნებს.

ნმინდა ვიტოლდმა<sup>25</sup> ქვეყანას  
სამ-სამჯერ შემოუარა.  
ეშმაკი ცხრა ნაშიერით  
ყველა ნინ შემოეყარა.  
ცხენიდან არც გადმოსულა,  
ისე უბრძანა ავსულებს, –  
აქაურობას გასცილდნენ, აქაურობას გასცილდნენ!

**კენტი**

თავს როგორა გრძნობთ, თქვენო მოწყალებაგ?

**ლერი**

ის ვინ არის?

**კენტი**

მანდ რომელი ხარ? აქ რას დაეძებ?

**გლოსტერი**

თქვენ ვილანი ხართ, თქვენი სახელი?

**ედგარი**

მე სანყალი ტომი ვარ. ბაყაყებსა ჭამს სანყალი ტომი, გომბეშოებს, თავკომბალებს, კედლის ხელიკებს და მწვანე ჯოჯოებს. გაცეცხლებულ გულზე, როცა ავი სული მას

24 დედოფალ ელისაბედის ეპოქის თქმულებათა ერთ-ერთი ბოროტი სული.

25 ანგლო-საქსონთა წმინდანი, რომელიც დემონებს იმორჩილებს.

გააშმაგებს, სალათად ძროხის ნეხვს გეახლებათ, ვირთხებსა  
 სანსლავს და თხრილში გადაგდებულ ძაღლის მძორსაც  
 შეექცევა. დამდგარ, ხავსმოდებულ გუბის წყალსა სვამს;  
 ყოველ პატარა სოფელში მას ამათრახებენ, ფეხბორკილებს  
 ადებენ, შავ დღეს აყენებენ, ციხეში ამწყვდევენ. ოდესღაც კი  
 სამი ხალათი ეცვა, ექვსი პერანგი ტანზე,

ცხენიც ჰყავდა საჯირითოდ,  
 ხმალი გვერდზე საფარიკოდ;  
 თაგვები და წრუნუნები  
 და სულ პატარა ნუკრები,  
 ეს არის ტომის საქმელი,  
 აი, უკვე შვიდი წელი.<sup>26</sup>

ფრთხილად, ჩემო კეთილნო! მშვიდად სმულკინ,<sup>27</sup> მშვიდად,  
 შენ ბოროტი სული ხარ!

### გლოსტერი

როგორ, მეფეო, ნუთუ ამაზე  
 თქვენ უკეთესი ამაღა არ გყავთ?

### ედგარი

წყვდიადის პრინცი ჯენტლმენი გახლავთ,  
 სახელად ჰქვია მოდი და მაჰუ.<sup>28</sup>

### გლოსტერი

ჩვენი სისხლი და ეს ჩვენი ხორცი  
 მთლად ნაიბილნა, ჩემო ბატონო,  
 ის აღარ მოსწონს, ვინაც წარმოშვა.

### ედგარი

სცივა საწყალ ტომს!

26 გადაკეთებულია ციტატა ცნობილი რომანიდან „უმპტონელი ბევისი“.

27, 28 სმულკინი, მოდი, მაჰუ – ელისაბეის ეპოქის დემონები, სამუელ პარს-  
 ნეტის „დეკლარაციიდან“ 1603 წელი.

### გლოსტერი

წამოდით ჩემთან. მე ჩემი ვალი  
 ნებას არა მრთავს, დავემორჩილო  
 თქვენი შვილების იმ მკაცრ ბრძანებებს.  
 თუმცა მე მითხრეს, რომ ჩამეკეტა  
 ყველა ჭიშკარი და დამეტოვეთ  
 ასეთი მკაცრი ღამის ამარა,  
 მე მაინც ვცადე თქვენი მონახვა  
 და შეფარება იქ, სადაც გელით  
 ჭერი, სითბო და კარგი ვახშამი.

### ლირი

ჯერ დამაცადე, მინდა რომ ვუთხრა  
 ამ ფილოსოფოსს ორიოდ სიტყვა.

*/ედგარს/*

ერთი მიბრძანე, რატომ ქუხს ასე?

### კენტი

გემუდარებით, მილორდ, ნავიდეთ.

### ლირი

ჯერ ერთი-ორი სიტყვა მსურს ვუთხრა  
 ამ განსწავლულ და მეცნიერ თებელს.<sup>29</sup>  
 ერთი მითხარი, რა სწავლას მისდევ?

### ედგარი

უყურადღებოდ დავტოვო ეშმა,  
 მავნებლები კი სრულიად მოვსპო.

### ლირი

მალულად მინდა რაღაცა გკითხო.

<sup>29</sup> ბერძენი ფილოსოფოსი, ქალაქ თებეს მცხოვრები.

## კენტი

დაიყოლიეთ გამოგვყვეს, მილორდ,  
ამას თანდათან გონი ერევა.

## გლოსტერი

მერედა ეგ რა გასაკვირია?

*/ავდარი ბობოქრობს/*

შვილები ამის სიკვდილს ნატრობენ.  
ე, ჩემო კარგო, კეთილო კენტო,  
მან ადრე თქვა, რომ ასე იქნება,  
ეს საცოდავი, დევნილი კაცი!  
მეუბნება, რომ მეფე გიჟდება...  
მაშ, მე შენ გეტყვი, ჩემო კეთილო,  
მეც მაგ დღეში ვარ, ლამის გავგიჟდე.  
მე ვაჟი მყავდა, ჩემგან განვდევნე,  
მან გადაწყვიტა ჩემი მკვლელობა,  
აი, ახლახან, ამ ცოტა ხნის წინ.  
ისე მიყვარდა, ჰო, მეგობარო,  
რომ მამას შვილი არ ჰყვარებია.  
მართალი გითხრა ამ მსუხარებამ  
მთლად შეარყია ჩემი გონება.  
ეს რა ღამეა! მე გთხოვთ, მეფეო...

## ღირი

გთხოვთ მაპატიოთ, თქვენც ნამობრძანდით,  
ო, ღირსეულო ფილოსოფოსო.

## ედგარი

ტომი გაიყინა.

## გლოსტერი

შედი ქოხში და  
შენც ჩათბუნდები.

ლირი

აბა, წავიდეთ,  
შევიდეთ ქოხში.

კენტი

აქეთ მობრძანდით.

ლირი

ამასთან ერთად! ფილოსოფოსი  
თან უნდა მახლდეს.

კენტი

/გლოსტერს/

თქვენც გაეხუმრეთ;  
წამოიყვანოს თან ეგ ყმანვილი.

გლოსტერი

წამოიყვანეთ, ბატონო, ეგეც.

კენტი

აბა, წამოდი შენც, მეგობარო.

ლირი

აქეთ მობრძანდი შენც, ათენელო.<sup>30</sup>

გლოსტერი

კრინტი არ დაძრა! ჩუმად იყავი.

ედგარი

ჩაილდ როლანდი<sup>31</sup> ქუშ ბურჯს მოადგა

30 ადრე ლირი ედგარს თებეს ფილოსოფოსს უწოდებდა, ახლა ათენელს ეძახის.

31 Child – ნიშნავს ან რაიდობის კანდიდატს, ან ინგლისის უმაღლესი ორდენის კავალერს. როლანდი იყო შუასაუკუნეების საფრანგეთის პეროიკული პოემის „სიმღერა როლანდზე“ გმირი. მისი ყველაზე ადრეული და სრულყოფილი პირია ოქსფორდის ვარიანტი.

და თქვა თავისი წესით დევიზი –  
„ფიი, ფოო და ფამ“, აი, აქა ვგრძნობ  
მე ბრიტანელი კაცის სისხლის სუნს“.

*/გადიან/*

## სცენა V

**გლოსტერის ციხე-სასახლე.**

*/შემოდიან კორნუოლი და ედმუნდი/*

**კორნუოლი**

მე შურს ვიძიებ, სანამ მის სახლს დავტოვებ.

**ედმუნდი**

მაშინ მე ბრალს დამდებენ, მილორდ, რომ თქვენდამი  
ერთგულეობამ ბუნებრივ მამაშვილურ გრძნობას აჯობა; ამაზე  
ფიქრი, ცოტა არ იყოს, მაშინებს.

**კორნუოლი**

ახლა ვხედავ, რომ შენმა ძმამ მამის სიკვდილი მხოლოდ  
სიბოროტით არ განიზრახა. ეს ედგარის სიკეთის შედეგი იყო,  
მან ვერ აიტანა გლოსტერის დანაშაულებრივი ზრახვები და  
საქციელი.

**ედმუნდი**

ღვარძლიანი და ავგულია ჩემი ბედის მწერალი, სანანებლად  
მიხდის ჩემს პატიოისნებას! აი, ის წერილი, რომელიც იმის  
დამადასტურებელი საბუთია, რომ იგი კარგად ინფორმირებული

ჯაშუშია საფრანგეთისა. ო, მაღალო ზეცავ, ნეტავი იგი გამცემი  
და მოღალატე არ ყოფილიყო! მე კი მისი მამხილებელი!

### კორნუოლი

წამოდი ჩემთან ერთად, დედოფალს ვეახლოთ.

### ედმუნდი

რაც ამ წერილში წერია, თუ მართალი გამოდგა, მაშინ მძიმე  
საზრუნავი გაგიჩნდებათ.

### კორნუოლი

მართალია თუ არ არის მართალი, მაგან შენ გრაფი გლოსტერი  
გაგზადა; მოძებნე, სად არის მამაშენი, რათა ჩვენ იგი  
დაუყოვნებლივ დავაპატიმროთ.

### ედმუნდი

#### */გვერდზე/*

თუ მე მას ვიპოვი და იგი მეფის მხარეზეა, ეს უფრო  
გაადლიერებს მასზედ ეჭვებს... სერ, მე შეუდრეკელი ვიქნები  
ჩემს თქვენდამი ერთგულებაში, თუმცა ამ გრძნობასა და  
სისხლის ყვირის შორის დაუნდობელი ბრძოლა გაჩაღდება.

### კორნუოლი

მე შენ გენდობი, ჩემს შენდამი სიყვარულში უფრო ძვირფას  
მამასა პოვებ.

#### */გადიან/*

## სცენა VI

ფერმერის სახლი გლოსტერის ციხე-სასახლის ახლოს.

*/ოთახში შემოდიან კენტი და გლოსტერი/*

### გლოსტერი

აქ ნამდვილად უკეთესია, ვიდრე გარეთ. ღმერთს მადლობა შევნიროთ. მე ვეცდები ყველაფერი მოგართვათ, რაც კი შემიძლია, რომ უკეთ იგრძნოთ თავი. ჩქარა დაგბრუნდები.

### კენტი

მეფის გონებამ ამდენ დაცინვა-გამასხარაგებას ველარ გაუძლო. ღმერთი გადაგიხდით სამაგიეროს მაგ სიკეთისთვის.

*/გლოსტერი გადის; შემოდიან ლირი, ედგარი და ხუმარა/*

### ედგარი

ფრატერეტო<sup>32</sup> მიხმობს და მეუბნება, რომ ნერო<sup>33</sup> ბნელეთის ტბის მეთევზეაო. ღოცე, სულელო და ავ სულს ერიდე.

### ხუმარა

ერთი მიბრძანე, ბიძია, რომელი უფრო სულელია – ჯენტლმენი თუ გლეხი?

### ლირი

მეფე, მეფე!

### ხუმარა

არა. გლეხია, რომლის შვილი ჯენტლმენი გახდა. აბა, როგორ

32 ფრატერეტო – ელისაბედის ეპოქაში უწოდებდნენ დემონს; გადმოღებულია პარსნეტის „დეკლარაციიდან“.

33 ნერო – ავი სული, ნახსენებია პარსნეტთან, უფრო ადრე ჯეფრი ჩოსერის „მონაზვნის ნაამბობში“.



გინდა ჭკვიდან არ შესცდე, როცა შვილი მამაზე წინა დგას და  
ახლოსაც არ იკარებს?

**ღირი**

დე, ათასებმა რკინის შანთებით  
ამოუბუგონ მათ გულ-მუცელი.

**ედგარი**

ბოროტი სული ზურგზე მკბენს.

**ხუმარა**

გიჟი ის არის, ვისაც სჯერა მგლის თვინიერება, ცხენის დაუ-  
ღვეველი ჯანი, ყმანვილკაცის სიყვარული და როსკიპის ფიცი.

**ღირი**

დე, ასე მოხდეს; მათ კვალს გავეყვები  
და იმ საათში სამსჯავროს მივცემ!

*/ედგარს/*

აი, აქ დაბრძანდი, დიდო მსაჯულო.

*/ხუმარას/*

თქვენ კი, ბრძენო სერ, აქეთ დაჯექით.  
ახლა გიჩვენებთ, მელაკუდებო...

**ედგარი**

აგერ იქა დგას ბოროტი სული  
და დაჟინებით ჩვენ შემოგვცქერის.

თქვენ გნებავთ, რომ თვალები მასე გვიყურებდნენ თქვენს  
სასამართლო პროცესზე, მაღამ? ბესი,<sup>34</sup> ჩემთან გადმოდი მაგ რუზე.

**ხუმარა**

ე, მაგის ნავს ჩასდის წყალი,  
ხმას ვერ იღებს თვითონ ქალი.

34 ედგარი ისევ ერთ-ერთი პოპულარული ბალადის ციტატას ამბობს.

ამიტომ ვერ მოდის შენთან.<sup>35</sup>

**ედგარი**

ბოროტი სული საწყალ ტომს ბულბულის ჭიკჭიკით არ ასვენებს.<sup>36</sup> ჰოპედანსი<sup>37</sup> გრგვინავს ტომის მუცელში და ორ შეუბოლავ ქაშაყს ითხოვს. ნუ მგვრემ ცარიელ მუცელში, შავო ანგელოზო. მე შენთვის საჭმელი არა მაქვს რა.

**კენტი**

ნუ ხარ, მეფეო, განცვიფრებული,  
აი, ბალიში და დაისვენეთ.

**ღირი**

არა, ჯერ ამათ სამსჯავროს ვნახავ,  
შემოიყვანეთ საქმის მოწმენი.

*/ედგარს/*

მსაჯის მანტიით გამონყობილო,  
შენ დაიკავე შენი ადგილი.

*/ხუმარას/*

შენც, მოსამართლის მარჯვენა ხელო,  
გვერდით მიუჯექ მართლმსაჯულებას.

*/კენტს/*

შენც აღჭურვილო მეფის უფლებით,  
შენც აქ დაბრძანდი.

**ედგარი**

განვსჯით სამართლით,  
გძინავს თუ გლვიძავს, მწყემსო კეთილო?  
ყანაში არის ეგ შენი ფარა.

35 ხუმარაც ბალადის ციტატიტ პასუხობს.

36 ბულბულის ჭიკჭიკს ედგარი ხუმარას ლაპარაკს ადარებს.

37 Hoppedance=Hoberdidance - ავი სული, ისევ პარსნეტის „დეკლარაციიდან“.

ძლიერ ჩაბერე მაგ შენ სალამურს,  
მაგითი შენ ცხვრებს ევენებათ არა.  
აი, აკრუტუნდა რუხი კატუნაც.<sup>38</sup>

#### ლირი

პირველად ეგ დაკითხეთ. ეგ გონერილია. ამ პატივცემული  
კრებულის წინაშე ფიცით განვამტკიცებ ჩემს ნათქვამს, რომ  
მაგან კინნისკვით გამოაგდო თავისი მამა, საცოდავი მეფე.

#### ხუმარა

აქეთ მობრძანდით, ქალბატონო. მაშ, თქვენი სახელი გონერ-  
ილია?

#### ლირი

მაგაზე უარს ვერ იტყვის.

#### ხუმარა

უკაცრავად. მე თქვენ გაჩირკნილი სკამი მეგონეთ.<sup>39</sup>

#### ლირი

აი, მეორეც, ალმაცერ მზერით,  
იგი აცხადებს აქვე, საჯაროდ,  
რანაირია მის მკერდში გული,  
მანდ შეაჩერეთ! ჩქარა იარალი,  
იარალი მეთქი, მახვილი, ცეცხლი!  
სამსჯავროშია მექრთამეობა,  
მოსამართლეა ყალბი, გამცემი,  
როგორ გაუშვით იგი ხელიდან?

#### ედგარი

ღმერთო, შენ იხსენ ამის გონება!

38 თქმულებით, ეშმაკი რუხი კატის ფორმით ევლინებოდა ადამიანებს.

39 ხუმარას კადნიერი და თავხედური მობოდიშება, რომ გონერილი მან ადა-  
მიანს საერთოდ ვერ მიაშგავსა. იგივეს ეუბნება იგი რეგანასაც.

### კენტი

ეს საცოდავი! სერ, სად არის  
ის მოთმინება, რომლითაც ხშირად  
თავს იკავებდით და ამაყობდით?

### ედგარი

*/გვერდზე/*

სიბრალულის ცრემლს ველარ ვიკავებ,  
ეს გასცემს ამ ჩემს ვითომ სიგიჟეს.

### ლირი

უყურეთ, ჩემი გოშებიც კი –  
ტრეი, ბლანჩი და ჩემი სვიტპარტი,  
მე შემომყეფენ.

### ედგარი

ტომი ეძგერა,

გადით, ნყუულნო!

*/ლექსს ამბობს/*

გინდა შავი გქონდეს პირი,  
გინდაც თეთრი, იქ იქნება,  
კბილი მაინც იკბინება.  
მასტიფია, ლეგა ანჩხლი,  
სპენიელი თუ მწევაარი,  
ძუკნაა თუ მეძებარი,  
კუდიანსაც და კუდალას  
აგაყმუვლებთ ტომი ყველას!  
ტომის თავის დაძგერებით  
ყველა კარში დაცვივდებით!

აბა, აბა, გადით აქედან! მოუსვით საეკლესიო დღეობებზე და  
ბაზრობებზე. სანყალ ტომს რქა<sup>40</sup> ამოუშრა.

40 რქა იყო ჭურჭელი, რომლითაც ლონდონის საგიჟეთში, ბედლამში, ავად

### ლირი

მაშ, გაკვეთეთ რეგანა. გამოიძიონ, მაგას რაღამ გამოუშრო  
გული. რა მიზეზია ბუნებაში ასეთი, რისგანაც გული ასე  
მკაცრდება?

### /ედგარს/

თქვენ, სერ, ჩემს ას რაინდში გრიცხავთ ერთ-ერთ რაინდად.  
ოღონდ თქვენი ტანისამოსი არ მომწონს. თქვენ მეტყვით, რომ  
ეგ სპარსული სამოსია<sup>41</sup> – ბრწყინვალე და ჩინებული. მაგრამ  
მაინც უნდა გამოიცვალოთ.

### კენტი

ჩემო კეთილო მილორდ, აქ წამოწეკით და ცოტა მოისვენეთ.

### ლირი

ნუ ხმაურობთ, ნუ ხმაურობთ; ფარდა ჩამოუშვით.<sup>42</sup> მასე, მასე;  
ხვალ დილით ვივახშმობთ.

### ხუმარა

მე კი შუადღისას დავიძინებ.

### /შემოდის გლოსტერი/

### გლოსტერი

აქ მოდი, მეგობარო, სად არის მეფე?

### კენტი

აქ არის. იმას ნუ შეაწუხებთ;  
ის გონებიდან უკვე გადაცდა.

---

მყოფებს წამალს ასმევდნენ. ედგარი აქ იმასაც გამოხატავს, რომ აღარ  
შეუძლია თავისი მოჩვენებითი როლის თამაში. (გული ბედლამის რქასა-  
ვით გამომშრალი და უხეშია).

41 ლირი ირონიულად უწოდებს ედგარის ძონძებს ძვირფას სპარსულ სამოსს.

42 „ლირს თავი მეფურ ბალდახინში წარმოუდგენია.“

### გლოსტერი

მაშ, მეგობარო, მე ამასა გთხოვთ,  
ხელი მოკიდეთ, ისე ატარეთ.  
მე შეთქმულებას მოგკარი ყური –  
გადუნყევტიათ ამისი მოკვლა  
აგერ აქ არის მცირე საკაცე,  
ზედ დაანვინეთ და დოვრში წადით,  
იქ მიგიღებენ თქვენ საიმედოდ,  
დაცვაც გექნებათ. ასნიეთ მეფე.  
თუ შეყოვნდებით ნახევარ საათს,  
ამის სიცოცხლე, ყველა თქვენგანი,  
ვინც დააპირებს ხელმწიფის დაცვას,  
დაიღუპება. ჩქარა ასნიეთ.  
მე გამომყევით. მე მოგცემთ საგზალს.  
გზასაც გასწავლით.

### კენტი

ძლივს დაიძინა,  
ეს დასვენება ნამლად ექცევა  
და დაუმშვიდებს დატანჯულ ნერვებს.  
მხოლოდ და მხოლოდ ბედის წყალობით  
ძნელი იქნება მისი განკურნვა.

*/ხუმარას/*

მოდე, ავნიოთ შენი პატრონი,  
უკან ნუ დგახარ.

### გლოსტერი

სწრაფად, იჩქარეთ!

*/ყველა გადის ედგარის გარდა/*

### ედგარი

როცა ახლობლის ტანჯვასა ვხედავთ,  
პირადი მტერი არ გვახსენდება.  
ვინც მართო წვალობს, წვალობს გონებით,  
ვერ ცხოვრობს ბედით, უზრუნველობით.  
გონება ძლიერ ვერა გრძნობს ზიანს,  
როს ქირში ხედავს თვის თანაზიარს.  
მე ახლა ტანჯვა ასატანი მაქვს,  
რადგან მეფესაც ეს ტკივილი აქვს.  
მას შვილებისგან, მე მამისაგან,  
ტომ, თავს დაიხსნი შენ ამისაგან;  
ყური მიაპყარ ქორებს შენ კარგად,  
ამ ქვეყნის ძლიერთ ბრძოლას და კამათს.  
როცა სიყალბე დაბოლოვდება,  
შენი სიმართლეც ცხადი გახდება.  
რაღა მოხდება მეტი ამ ქცევით,  
მეფეს ვუშველოთ ახლა გაქცევით!  
დავიმალოთ, დავიმალოთ.

*/გადის/*

## სცენა VII

### გლოსტერის ციხე-სასახლე.

*/შემოდინ კორნუოლი, რეგანა, გონერილი, ედმუნდი და მსახურები/*

კორნუოლი

*/გონერილს/*

სასწრაფოდ გაემგზავრეთ თქვენს მეუღლესთან; აჩვენეთ ეს წერილი. საფრანგეთის არმია ხმელეთზე გადმოსხდა.

*/მსახურებს/*

დაუყოვნებლივ იპოვეთ მოლალატე გლოსტერი.

*/რამდენიმე მსახური გადის/*

**რეგანა**

მაშინვე ჩამოახრჩვეთ.

**გონერილი**

თვალები ამოუშანთეთ.

**კორნუოლი**

ეგ მე მომანდეთ. ედმუნდ, ჩვენს დას თან ეახლები. არ არის საჭირო შენ უცქირო იმ შურისძიებას, რომელიც იძულებულნი ვართ გამოვიყენოთ შენი მოლალატე მამის მიმართ. გადაეცი ჰერცოგს, რომ რაც შეიძლება სწრაფად მოემზადოს. ჩვენც მასევე მოვიქცევით. ჩვენს შორის უნდა დამყარდეს სწრაფი და უწყვეტი კავშირი. შიკრიკები აღჭურვილნი უნდა იყვნენ სრული ინფორმაციით. მშვიდობით, ჩემო ძვირფასო დაო. მშვიდობით, ლორდ გლოსტერ.

*/შემოდის ოსვალდი/*

აბა, რას გვეტყვი? სად არის მეფე?

**ოსვალდი**

მილორდ, გლოსტერმა ის გააპარა. მეფის რაინდი ოცდათხუთმეტი, იქნებ თექვსმეტი, მისი მცველები, ჭიშკართან დახვდნენ და თან ეახლნენ; იქ ლორდნიც იყვნენ, მეფის თანმხლებნი, მათ დოვრისაკენ აიღეს გეზი. თან იქადნიდნენ, რომ იქ დახვდებათ კარგად აღჭურვილ მეგობართ ჯგუფი.



კორნეოლი

ცხენები ჩქარა ქალბატონისთვის!

/ოსვალდი გადის/

გონერილი

მშვიდობით მილორდ, და ჩემო დაო.

კორნუოლი

მშვიდობით, ედმუნდ.

/გონერილი და ედმუნდი გადიან/  
წადით, მონახეთ

ის მოლალატე ლორდი გლოსტერი!  
გათოკეთ, როგორც ქურდი, ბაცაცა  
და აქ მომგვარეთ.

/დანარჩენი მსახურნიც გადიან/  
თუმც არ იქნება

უსასამართლოდ მისი წამება,  
მაგრამ ჩვენ ჩვენი ძალაუფლებით  
მსჯავრს გამოვუტანთ მრისხანე გულით,  
რომელსაც ბევრნი მწარედ კიცხავენ,  
მაგრამ კონტროლს კი მას ვერ უწევენ.

/ორ თუ სამ მსახურს შემოყავს გლოსტერი/  
ეს არის, არა, ის მოლალატე?

რეგანა

აი, უმადური, ბებერი მელა.

კორნუოლი

გაბოჭეთ მაგის კნაჭა ხელები.

**გლოსტერი**

ეს რასა ნიშნავს, თქვენო ღირსებავ?  
ნუ გავიწყდებათ, სტუმრად ხართ ჩემთან,  
ნუ შეურაცხმყოფთ მე, მეგობრებო.

**კორნუოლი**

შეუკარით-მეთქი!

*/მსახურები ხელებს უკრავენ გლოსტერს/*

**რეგანა**

მაგრად, მაგრად! საზიზღარი მოლალატე!

**გლოსტერი**

მე არა ვარ მოლალატე, შენა ხარ შეუბრალებელი ქალბატონი.

**კორნუოლი**

ამ სკამზე მიაბით. მე შენ გიჩვენებ, არამზადავ...

*/რეგანა გლოსტერს წვერს გამოაგლეჯს/*

**გლოსტერი**

ღმერთმანი, სულმდაბლობა და უნამუსობაა ჩემი თეთრი  
წვერის ასე გლეჯა.

**რეგანა**

თეთრი და მოლალატე, არა?

**გლოსტერი**

მკაცრო დიაცო, ეს თეთრი წვერი,  
შენ რომ ამგლიჯე, ისევ ამოვა  
და ბრალს დაგდებს შენ.  
მე დღეს აქ თქვენი მასპინძელი ვარ.  
როგორ იქნება ყაჩაღებით

ძალით შელახოთ მასპინძლის სახე.  
ამას რას სჩადით?

**კორნუოლი**

ერთი მიბრძანე,  
რა წერილი გაქვს საფრანგეთიდან?

**რეგანა**

გვითხარ მიუკიბ-მოუკიბაჲად,  
რადგან ისედაც ჩვენ ყველა ვიცით.

**კორნუოლი**

რა კავშირი გაქვს შენ შეთქმულებთან,  
ან სამეფოში შემოსულ მტრებთან?

**რეგანა**

უჭკუო ხელმწიფე ვის ჩააბარე,  
თქვი!

**გლოსტერი**

დიახ, წერილი მე მომივიდა,  
არა რაიმე მნიშვნელობისა,  
არამედ ყოველად ნეიტრალური;  
და არა თქვენი საწინააღმდეგო.

**კორნუოლი**

ემშაკობ.

**რეგანა**

ცრუობ.

**კორნუოლი**

სად გააგზავნე  
მეფე, გვითხარი!

**გლოსტერი**  
იგი დოვრშია.

**რეგანა**  
დოვრში რა უნდა? ხომ იცოდი, რომ  
ეკრძალებოდა მას სადმე გასვლა?

**კორნუოლი**  
დოვრში რა უნდა? ეს გვიპასუხოს.

**გლოსტერი**  
ძელზე გაკრულმა უნდა ილმინოს  
ღრენა და კბენა...

**რეგანა**  
რა უნდა დოვრში?

**გლოსტერი**  
ის, რომ არ მსურდა მისთვის მეცქერა,  
როგორ დასთხრიდა უწყალო ბრჭყალით  
საცოდავ ბებერს დაბინდულ თვალებს.  
გამმაგებული შენი დაიკოც  
ემვით დაჭრიდა მის წმინდა სხეულს,  
როგორც სასტიკი ველური ტახი.  
ჯოჯობებით უკუნეთ ღამეს  
ის თავშიშველი დანანნალებდა;  
ასეთ ქარიშხლით, ასეთ გრიგალით  
ზღვაც თვალუნვდენი აზვირთდებოდა  
და ჩააქრობდა მოჭედილ ზეცას.  
მისი საბრალო, მოხუცი გული,  
თვით ზეცასავით, ცრემლებს აფრქვევდა.  
ასეთ შემზარავ დროს თქვენს ჭიშკართან  
მგელს რომ მოერთო ღმუილ-ყმუილი,

აღბათ, ეტყოდი ასე მეკარეს:  
„კეთილო კაცო, გააღე კარი“.  
ყოველი მკაცრი, მძვინვარე მხეცი  
თანამგრძნობია, გარდა კაცისა.  
მაგრამ მე ვნახავ, რომ თქვენებრ შვილებს  
თავზედ ღვთის რისხვა ჩამოექცევა.

### კორნუოლი

მაგას ვერასდროს შენ ვერა ნახავ.  
აბა, მსახურნო, დაიჭით სკამი!  
ფეხით გავსრისავ მე მაგ შენს თვალებს.

*/ავლევჯავს თვალს/*

### გლოსტერი

ვისაცა გსურთ, რომ ტკბილად დაბერდეთ,  
მოდით, მიშველეთ... ო, შე ჯალათო!  
ო, ღმერთო ჩემო!

### რეგანა

ერთი მეორეს აღარ შეჰფერის,  
მიდი, მეორეც!

### კორნუოლი

მაშ „რისხვას“ ნახავ...

### პირველი მსახური

ნუ იზამთ, მილორდ! მე ბავშვობიდან  
მუდამ ვიყავი თქვენი მსახური;  
ახლა უკეთესს ვერაფერს ვიზამ,  
გარდა მე თქვენი შეჩერებისა.

### რეგანა

როგორა ბედავ, ძაღლო, შენ მაგას?

### პირველი მსახური

თქვენ რომ ნიკაპზე გქონდეთ წვერები,  
დაგაგლეჯავდით, ამას რას სჩადით?

### კორნუოლი

ჩემი ყმა, მონა!

*/ხმალს ამოიღებს და მსახურს შეებრძოლება/*

### პირველი მსახური

მაშ, თუ ასეა, აჰა, აქა ვარ,  
მობრძანდი, ჯავრი ამოვიყაროთ!

*/დაჭრის კორნუოლს/*

### რეგანა

ახლავ მომეცი აქ შენი ხმალი!  
გლეხი აჯანყდა!

*/რეგანა უკნიდან წამოუვლის მსახურს და მახვილს ჩასცემს.  
მსახური დაეცემა/*

### პირველი მსახური

მე მომკლეს, მილორდ! ხომ დაინახეთ  
დარჩენილ თვალით, – მე ის დავეჭერი! ო!

*/დაეცემა და კვდება/*

### კორნუოლი

ველარა ნახავს!

*/აგლეჯს გლოსტერს მეორე თვალსაც/*

აი, ბილნი ლორწო!  
ახლა სადღაა შენი კრიალი?

### გლოსტერი

ირგვლივ სიბნელე... და მწუხარება...  
სად არის ჩემი შვილი ედმუნდი?  
აინთე გული შვილური წყრომით,  
შენებრ მიუზღე სამაგიერო  
ამ საზარელი საქმის ჩამდენებს.

### რეგანა

ან გაეთრიე, შე მუხანათო!  
ორგულო, სწორედ შენ იმას უხმობ,  
ვინც შენ ვერ გიტანს და ეზიზღები;  
მან გაგვიმხილა შენი ლალატი,  
იგი იმდენად ერთგულია, რომ  
არ შეგიბრალებს.

### გლოსტერი

ო, მე უგზური!

მაშ ედგარს ასე დასწამეს ცილი.  
ო, ღმერთო, ეს მე მაპატიე და  
ის დაიფარე.

### რეგანა

გარეთ გააგდეთ!

ყნოსვით გაიგნოს დოვრისაკენ გზა.

*/გლოსტერი ერთ მსახურს გაყავს/  
როგორ ხართ, მილორდ?*

### კორნუოლი

მე მძიმედ დამჭრეს,  
თან გამომყვევი. ის უსინათლო  
არამზადა კი გარეთ გააგდეთ.  
ამ მონის გვამი გადაათრიონ

სანებვეებზე. ძლიერ მდის სისხლი.  
ვაი, რომ ცუდ დროს დამჭრა იმ ძაღლმა.  
მომეცი ხელი.

*/გადიან/*

### **მეორე მსახური**

თუ კი ეს ცოდვაც  
ჰერცოგს ჩაუვლის კვლავ დაუსჯელად,  
მე აღარ ვიცი, რა ცოდვას ვიზამ.

### **მესამე მსახური**

და თუ ეს ქალიც ტკბილად დაბერდა,  
და გარდიცვალა წელთა სიმრავლით,  
ქალნი ურჩხულად გადიქცევიან.

### **მეორე მსახური**

წამოდი, გავყვეთ მოხუც გლოსტერს და  
ვინმე ვუშოვოთ ბედლამელი, რომ  
სადაც ეტყვიან, იქ წაიყვანოს.  
ახლა მას თავგზა აბნეული აქვს  
და რასაც ეტყვი, მას დაგიჯერებს.

### **მესამე მსახური**

შენ გაყევ, მე კი სადმე ვუშოვი  
აქვე სელის ჩვარს და კვერცხის ცილას,  
რომ შეუჩეროს სახეზე სისხლი.  
ღმერთო, უშველე ასეთ საცოდავს.

*/გადიან სხვადასხვა მხარეს/*



## მოქმედება IV

### სცენა I

ტრიალი მინდორი. შემოდის ედგარი.

#### ედგარი

ისა სჯობია კაცმა იცოდეს,  
 ასე რად ვძულვართ, აბუჩად გვიგდებს,  
 ვიდრე გვძაგდეს და ცამდე აგვყავდეს.  
 იყოს მოთხრილი, დამცირებული,  
 კნინი არსება ბედის ტრიალის  
 და მაინც ჰქონდეს რალაც იმედი;  
 არ ეშინია, რომ სამწუხაროდ,  
 მისი ცხოვრება საუკეთესო,  
 ასე შებრუნდა, გარდაისახა;  
 ოღონდაც ახლა უარესია  
 მხოლოდ ცვლილება უკეთესისკენ.  
 მაშ, გამარჯობა, ფუჭო ჰაერო,  
 გულში რომ მიკრავ! აი, იმ უბედურს,  
 რომ დაუბერე ასე ძლიერ და  
 ცუდ ცხოვრებაში გადაუძახე,  
 აღარაფერი არ მართებს შენი.

*/შემოდის გლოსტერი, რომელსაც მოხუცი კაცი მოუძღვება/*  
 ეს ვინდა მოდის? მამაჩემია!  
 და მათხოვარი მოუძღვის მხოლოდ?  
 ოო, სანუთრო, ოო, ქვეყანავ!  
 არ ვისურვებდი არც ხანში შესვლას  
 და მითუმეტეს, არც შენთან გაყრას,  
 რომ არა შენი სისაძაგლე და  
 ეგ საზიზღარი ცვალებადობა.

### მოხუცი

მე, ჩემო კეთილო ბატონო, ოთხმოცი წელია თქვენი მოიჯარ-  
ადრე ვარ, მანამდე კი მამითქვენისა ვიყავი.

### გლოსტერი

ახლა წადი, წადი, ჩემო მეგობარო, უკან დაბრუნდი. შენი  
დახმარება მე აღარ მჭირდება, შენ კი ავნებ შენს თავს.

### მოხუცი

გზას ვერ გაიგნებთ, ვერაფერს ხედავთ.

### გლოსტერი

მე გზა აღარ მაქვს, არც თვალი მინდა.  
მაშინაც კარგად ნავიბორძიკე,  
როდესაც ორთავ თვალით ვხედავდი.  
სანამ რაიმის საშუალება გვაქვს,  
დაუკვირვებლად ვიყენებთ იმას,  
ვიდრე წუხილი, გულისტკივილი  
არ დაგვაფიქრებს. ძვირფასო ედგარ,  
მოტყუებული მამის სიშმაგე  
ჩაცხრა, დანავლდა! მე ახლა მხოლოდ  
ხელის შეხებით თულა გიხილავ  
და მაშინ ვიტყვი, – თვალხილული ვარ!

### მოხუცი

მანდ რომელი ხარ?

### ედგარი

ო, ღმერთო, ნუთუ ვინმესა ძალუძს  
თქვას – „არ შემხვდება მე უარესი“.  
აი, ახლა მაქვს ის უარესი.

### მოხუცი

ეს საცოდავი გიჟი ტომია.

### ედგარი

/გვერდზე/

გიჟბედაც მეტი იქნება ვიყო,  
ეს ჯერ არ არის მთლად უარესი,  
რომა თქვას კაცმა: „ამაზე მეტი  
უკვე არაფრით აღარ იქნება“.

### მოსუცი

ეი, ყმანვილო, საით მიდიხარ?

### გლოსტერი

მათხოვარია?

### მოსუცი

მათხოვარიც და  
ჭკუაზე შემცდარიც.

### გლოსტერი

მიზეზი თუ აქვს,  
უმიზეზოდ არ იმათხოვრებდა.  
ნუხელ ავდარში მასეთი ვნახე,  
ვიფიქრე – კაცი მატლია მეთქი.  
და ვაჟიშვილი წამომავონდა,  
თუმცა მე მაშინ მას მტრად ვთვლიდი,  
მერე გავიგე ამაზე მეტი.  
რაც ბუზი არის ბიჭებისათვის,  
ზუსტად ისა ვართ ღმერთებისათვის, –  
გვხოცავენ თავის შესაქცევარად.

### ედგარი

როგორ მოხდა ეს საშინელება?  
ეს არის საქმე? ამ ქირში უნდა  
ისევ სულელი გავითამაშო,

სხვაც შევანუხო და ჩემი თავიც.  
ღმერთმა გაკურთხოთ, თქვენ ბატონებო!

### გლოსტერი

ეს ის შიშველი მათხოვარია?

### მოხუცი

დიახ, ბატონო.

### გლოსტერი

მაშინ, შენ ნადი.

ხოლო თუ გინდა მომემსახურო,  
ნამოგვეწიე დოვრისკენ გზაზე.  
ერთი ან ორი მილით თუ წავალთ,  
ეს გააკეთე ჩემი გულისთვის,  
თან ნამოიღე რამე საცმელი,  
ამ გაშიშვლებულ სულიერისთვის;  
ახლა იმას ვთხოვ, რომ წინ გამიძღვეს.

### მოხუცი

რას ბრძანებთ, მილორდ, ეგ ხომ გიჟია?

### გლოსტერი

ჩვენი დროების ნიშანია ეგ, –  
რომ გიჟებს დაყავთ უსინათლონი.  
ან შემისრულე მე რაცა გთხოვე,  
ან რაც გენებოს, ოღონდ კი ნადი.

### მოხუცი

მაგას მივცემ ჩემს უკეთესს სამოსს.  
რაც არის, არის.

/გადის/

გლოსტერი  
ეი, შიშველო...

ედგარი  
მთლად გაიყინა სანყალი ტომი...  
/გვერდზე/  
აღარა ძალმიძს ეს მაიმუნობა.

გლოსტერი  
აბა, ყმანვილო, მომიახლოვდი.

ედგარი  
/გვერდზე/  
უნდა მივიდე... აკურთხოს ღმერთმა  
შენი თვალები. მაგათ სისხლი სდით.

გლოსტერი  
ერთი მითხარი, დოვრის გზა იცი?

ედგარი  
ყველა ბჭე და ჭიშკარი, ცხენის შარაც და კაცის ბილიკიც.  
სანყალ ტომს თავისი კარგი ტვინი ეღრძო. ღმერთმა დამი-  
ფაროს, კეთილო კაცო, ავი სულისაგან! ხუთი ეშმაკი ჩაუძვრა  
სანყალ ტომს გვამში: ავხორცობის ეშმაკი – ობიდიკუნტი; მუნ-  
ჯობისა – ჰობიდიდენსი; ქურდობისა – მაჰუ; მკვლელობისა –  
მოდო; სახის მანჭვისა – ფლიბერტიჯიბეტი;<sup>43</sup> რომელიც ყველა  
მხეველსა და მოახლესაც ეპატრონება. ღმერთმა გაკურთხოს,  
ჩემო ბატონო!

გლოსტერი  
აჰა, აიღე ეს ჩემი ქისა;  
შენ ზეცას ისე დაუსჯიხარ, რომ

43 ეშმაკისეულნი ჰარსნეტის „დეკლარაციიდან“.

ეგ ყველაფერი უნდა ითმინო,  
როგორც მდაბიომ, ერთობ მორჩილად.  
თავს დატეხილი ჩემი ვაგლახი  
შენ კი ბედსა გწევს. ასე ქმენ, ღმერთო!  
დეე, უხვმა და დოვლათიანმა,  
მდიდარმა კაცმა, რომლის გულისთქმა  
სიმდიდრის ჟინზე ან ჩამცხრალია,  
ვინც როგორც მონას დასცინის ღარიბს,  
რადგან ის ვერ გრძნობს, რადგან ვერ ხედავს  
შენს ძალას უმალ; აი, იმ მდიდარმა  
გაუნანილოს ღარიბს, უპოვარს;  
ყველას ექნება მაშინ საკმაო.  
შენ იცი დოვრი?

**ედგარი**

დიახ, ბატონო.

**გლოსტერი**

იქ ერთი კლდეა, წვერნამოხრილი,  
იმ სიმაღლიდან საშიშად მოჩანს  
მიხეთქებული ლოდებზე ტალღა;  
იმ კლდის ნაპირას მე მიმიყვანე.  
იქ ვუშველი შენს უბედურ ყოფას,  
რალაცას მოგცემ შენ გასამრჯელოდ,  
ხოლო იქიდან მეგზური უკვე  
არ დამჭირდება.

**ედგარი**

მომეცი ხელი.

საწყალი ტომი შენ იქ მიგიყვანს.

/გადიან/

## სცენა II

### ოლბანის სასახლის წინ.

*/შემოდიან გონერული და ედმუნდი/*

#### გონერული

მობრძანდი, მილორდ. შაკვირველია,  
რომ თვინიერი ჩვენი მეუღლე  
არ გვეგებება.

*/შემოდის ოსვალდი/*

სადა ბრძანდება

შენი ბატონი?

#### ოსვალდი

სახლშია, მადამ.

კაცი ჯერ ასე არსად შეცვლილა.  
მე მტერთა ლაშქრის გადმოსვლა ვუთხარ,  
მან გაიღიმა; როდესაც თქვენი  
მოსვლა ვუთხარი, – მან მიპასუხა –  
„უარესია“. ხოლო როდესაც  
გლოსტერის ვუთხარ მუხანათობა  
და იმისი ძის პირიანობა,  
მან მე სულელი, შტერი მინოდა,  
რომ მე ყველაფერს უკულმა ვხედავ;  
რაც სანყენია, მას სიამოვნებს,  
რაც საამოა, ის კი ერთობ სწყინს.

#### გონერული

*/ედმუნდს/*

თქვენ ამის იქით ნუ წამოწყვებით.  
ეს არის მისი სულის ლაჩრობა,

რომ ვერა ბედავს რისკის განევას:  
იგი არა გრძნობს საშიშროებას,  
ეს ყველაფერი ხელ-ფეხს უბოჭავს  
სამაგიეროს გადასახდელად.  
ხოლო ჩვენს სურვილს, რაც გზაში დავთქვით,<sup>44</sup>  
მგონი, აქ უნევს მას ასრულება.  
ახლა დაბრუნდი, ედმუნდ, ჩემს ძმასთან,<sup>45</sup>  
თქვენ დააჩქარეთ ჯარის შეკრება  
და ჩაუდექი თავში იმ ლაშქარს.  
მე კი აქ უნდა მთლად გარდავიქმნა,  
სახელს შევიცვლი და „ქალბატონი“  
გადავიქცევი უცებ „ბატონად“,  
ქმარს კი თითისტარს დავაჭვრინებ.  
ეს ერთგული ყმა იქნება მსრბოლი:  
და ვიდრემდე შენ აქ არ იქნები,  
გააჩნია თქვენს რისკიანობას,  
ეს მოგიტანს შენ, თუ კი ინებებ,  
შენი მიჯნურის განკარგულებას.  
ჩემგან ეს გქონდეს; ნურაფერს მეტყვი.

*/აძლევს ედმუნდს სამახსოვრო საჩუქარს/  
დახარე თავი.<sup>46</sup> ამ ჩემს კოცნას რომ  
სიტყვები ჰქონდეს, გადაგიხსნიდა  
შენ გულის კარებს. შენ ხომ მიმიხვდი;  
ახლა კი ნადი, მშვიდობით იყავ.*

### ედმუნდი

შენი ვარ მარად.

44 ედმუნდმა და გონერლიმა დათქვეს მომავალში ცოლ-ქმრობა.

45 ასე უწოდებს გონერლი თავის სიძეს კორნუოლს.

46 გონერლი ეუბნება კოცნის მიზნით.



### გონერილი

ძვირფასო გლოსტერ!

*/ედმუნდი გადის/*

დიდი სხვაობა არის კაცთ შორის!  
ეს თაყვანების ღირსია, მე კი  
აი, ის რეგვენი მეპატრონება.

### ოსვალდი

მადამ, აქ მოდის ჩვენი ჰერცოგი.

*/გადის. შემოდის ოლბანი/*

### გონერილი

იქნება ძალღადავ მანინც ჩამაგდო?

### ოლბანი

იმ მტვრის ღირსადაც არ მიმაჩნიხარ,  
ქარი რომ ხვეტს და სახეში გაყრის.  
საშიში არის შენი ბუნება;  
ვინც თავის სანყისს აბურად იგდება,  
ვერ ჩაეტევა ბუნებრივ ზღვარში.  
ტოტი, რომელიც ხის ტანს ეჭრება,  
საკვები წვენი მას შეუწყდება,  
უნდა თუ არა, იგი გახმება  
და გამოდგება მხოლოდ ცეცხლისთვის.

### გონერილი

კარგი, გეყოფა. სულელურია  
ეგ ქადაგება.

### ოლბანი

სიკეთე, სიბრძნე

ბილნ კაცს მოუჩანს ყოველთვის ბილნად:

სიბუნძურეს აქვს ბინძურის გემო.  
 რა ჩაიდინეთ, ქალიშვილებო?  
 შვილი კი არა, ძუ აფთრები ხართ.  
 მამა, ასაკით დამძიმებული,  
 ვისაც პატივით ხელს აუტლეკდა  
 დათვიც ძაღლისგან მთლად დაგლეჯილი,  
 ბარბაროსულად ჭკვიდან შეშაღეთ.  
 ვით აიტანა ეს კეთილმა ძმამ?  
 კაცმა, ჰერცოგმა და ჩემმა ქვისლმა,  
 მეფისგან ფრიად დავალებულმა!  
 თუ ზეცა მალე არ ნარმოგზავნის  
 შურისმძიებელ თვის ხილულ სულებს,  
 რათა აღკვეთოს ეს ბოროტება,  
 მაშინ დრო მოვა, კაცი კაცს შეჭამს,  
 როგორც ურჩხული ოკეანესი.

#### გონერული

მხდალი, ლაჩარი გაფითრებული!  
 ლოყები აქვს, რომ გაუსილაქონ,  
 ხოლო თავი კი ბოროტ აზრისთვის.  
 შენი თვალები ვერ ასხვავებენ  
 შეურაცხყოფას ღირსებისაგან;  
 შენ არც ის იცი – მხოლოდ სულელებს  
 ებრალებათ ის, ვისაცა სჯიან  
 უკვე განზრახულ ბოროტებისთვის  
 და იცილებენ ამით თავიდან.  
 სადა გაქვს დოლი?<sup>47</sup>  
 ფრანგებმა უკვე გაშალეს დროშა  
 ჩვენს მშვიდობიან სახელმწიფოში,  
 ფრთებით შემკული მუზარადებით  
 ემუქრებიან მაგ შენს სამეფოს;

47 დოლის ხმა ნიშნავდა ჯარის შეკრებას, ლაშქრის მზადებას.

შენ კი სულელი და მორალისტი  
აქ გაიძახი: „ამას რას სჩადით?“

**ოლბანი**

შენ თავს შეხედე, ბოროტო სულო!  
გონჯობა სადა და ბუნებრივი  
არ მოჩანს ისეთ ქაჯად, ავსულად,  
რა საზარლადაც ესა ჩანს ქალში.

**გონერილი**

ო, შე სულელო, არადმაქნისო!

**ოლბანი**

დაგიმახინჯდა ეგ სახე სრულად,  
იყავ ურჩხული, ოლონდაც იმას  
შენი იერი ნუ დაედება.  
ახლა სიბრაზეს, გრძნობებს რომ ავყვე  
და ხელებს მივცე ამის უფლება, –  
სულ ნანილ-ნანილ დაგგლეჯდი ასე  
და აგირევი ძვალ-რბილს ერთურთში.  
ეშმაც რომ იყოს, ბოროტი სული,  
ქალის იერი გიფარავს მაინც.

**გონერილი**

ო, ღვთისმშობელო, თუ ეს მიფარავს...

*/შემოდის შიკრიკი/*

**ოლბანი**

რა ამბავია?

**შიკრიკი**

კეთილო მილორდ,  
გარდაიცვალა ჰერცოგი კორნუოლ, –

მსახურმა მოკლა, როდესაც სურდა  
მეორე თვალიც ამოეგლიჯა  
გლოსტერისათვის.

**ოლბანი**

გლოსტერის თვალი?!

**შიკრიკი**

მსახური მთავრის გაზრდილი გახლდათ,  
ის აიტანა სიბრალულმა და  
ჰერცოგს ხმლით ხელში წინ გადაუდგა;  
ის კი ამ ამბით გაცეცხლებული,  
თავს დაესხა და მოკლა მსახური,  
მაგრამ თვითონაც მძიმედ დაიჭრა  
და ამის გამო გარდაიცვალა.

**ოლბანი**

მაშასადამე, ზეცაში შენ ხარ,  
დიდო მსაჯულო, ვინაც სასწრაფოდ  
იძიე შური. სანყალი გლოსტერ!  
თვალი დაკარგა?

**შიკრიკი**

ორივე, მილორდ.

აი, წერილი თქვენი დისაგან.  
იგი გთხოვთ, მადამ, სასწრაფოდ პასუხს.

**გონერილი**

*/გვერდზე/*

გარკვეულ წილად ეს საქმე მომწონს,  
მაგრამ ქვრივმა დამ, გრაფმა გლოსტერმა,  
ვშიშობ ოცნების სასახლეები  
არ დამიმსხვრიონ. მეორე მხრით კი  
ეს ამბები მთლად არ არის ცუდი.

/შიკრიკს/

წავიკითხავ და პასუხსაც მოგცემ.

/გადის/

**ოლბანი**

ის ვაჟიშვილი მაშინ სად იყო,  
როდესაც გლოსტერს თვალეზსა სთხრიდნენ?

**შიკრიკი**

აქეთ წამოსულ ლედის ეახლა.

**ოლბანი**

აქ არ მინახავს.

**შიკრიკი**

ვერც ნახავთ, მილორდ,  
მიტომ რომ გზაში შემომეყარა,  
ისევე უკან დაბრუნებული.

**ოლბანი**

მერე, მან იცის მამის წამება,  
რა ბოროტება დამართეს მამას?

**შიკრიკი**

კი, იცის, მილორდ; მამა თვით გასცა,  
სასახლე, ყველა, დააგდო, რათა  
მკაცრი წამება არ ჩაშლილიყო.

**ოლბანი**

გლოსტერ, ხანამ მე პირს სული მიდგას,  
ვიქნები შენი მადლიერი, რომ  
ასე ერთგული იყავი მეფის  
და შურს ვიძიებ შენს თვალეზისთვის.

ჰე, მეგობარო, წამოდი ჩემთან  
და მომიყევი კიდევ რა იცი...

*/გადიან/*

### სცენა III

**ფრანგთა ბანაკი დოვრის მახლობლად.**

*/შემოდიან კენტი და ჯენტლმენი/*

**კენტი**

რატომ გაბრუნდა ფრანგთა მეფე ასე სწრაფად საფრანგეთში,  
თქვენ ხომ არ იცით მიზეზი?

**ჯენტლმენი**

რალაც საქმეები დარჩა დაუმთავრებელი თავის სახელმწიფოში.  
გამოირკვა, რომ სამეფოს საშიში საფრთხე ემუქრება და მისი  
პერსონალურად იქ ყოფნაა საჭირო.

**კენტი**

აქ მთავარსარდლად ვინ დატოვა?

**ჯენტლმენი**

საფრანგეთის მარშალი, ბატონი ლა ფარი.

**კენტი**

თქვენმა წერილმა ხომ დაამწუხრა დედოფალი?

**ჯენტლმენი**

დიახ, სერ;

ჩემი დასწრებით ის წაიკითხა

და ჩამოსცვივდა ცრემლები უხვად  
მას ნაზ ლანვებზე. ვით დედოფალი  
თავს მოერია და დაამარცხა  
ის მნუხარება, რომ აპირებდა  
ვით ამბოხებულს ეჯობნა მისთვის.

### კენტი

მაშ, მას შეუძრავს.

### ჯენტლმენი

სულ არ გამწყრალა:

მოთმინებითა დაიცხრო ჯავრი,  
ეს მას სახეზე გამოესახა;  
თქვენ თუ გინახავთ მზე რომ პირს იბანს?  
მისი ღიმილი ცრემლებთან ერთად  
სწორედ მას ჰგავდა, უფრო უკეთესს.  
და ამ ღიმილმა ბედნიერების,  
ბაგეებზე რომ დასთამაშებდა,  
თითქოსდა სრულად არა იცოდა  
იმ ცრემლებისა, რომ დაუგორდა  
მას თვალებიდან ვით მარგალიტი,  
დაცილებული აღმასებისგან.  
მოკლედ, ჯავრს ფასი არ ექნებოდა,  
რომ ამნაირად შვენოდეს ის კაცს.

### კენტი

თუ გკითხათ რამე?

### ჯენტლმენი

„მამა“, – ესა თქვა,

ერთხელ თუ ორჯერ დაიწურჩულა  
იმან ეს სიტყვა, თითქოს გულ-მკერდი  
მას შეუხუთა რალაც სიმძიმემ.

შემდეგ კი უცებ წამოიძახა, –  
„ო, დებო, დებო, სირცხვილი თქვენდა,  
მამა და კენტი ღამე გრიგალში?!  
ნუთუ ამ ქვეყნად გაქრა ყოველი  
ღმობიერება და სიყვარული?!“  
და თვალებიდან ნაწვიმიან ცრემლმა,  
ამ უწმინდესმა ცვარმა ციურმა,  
დაუხშო სიტყვა; მერე გაგვშორდა,  
რომ თავის დარდი მარტოს ეგლოვა.

### კენტი

ვარსკვლავებია, თავს რომ დაგვნათის  
და განაგებენ ჩვენს ბედს და იღბალს.  
თორემ იგივე დედა და მამა  
ვერ გააჩენდა ქვეყნად ამდაგვარ  
შვილებს ურთიერთ განსხვავებულებს.  
მას შემდეგ აღარ გაგიცია ხმა?

### ჯენტლმენი

მას შემდეგ არა.

### კენტი

ეგ ადრე იყო,  
ვიდრე ფრანგთ მეფე ჩამოვიდოდა?

### ჯენტლმენი

არა, მას შემდეგ.

### კენტი

ახლა იცოდეთ,  
დაღლილი მეფე ქალაქში არის,  
დროდადრო გონი გაუნათდება,  
გაახსენდება რაც დაგვემართა,



გაგონებაც კი არ სურს ამისი, –  
არ უნდა ნახვა კორდელისი.

### ჯენტლმენი

რატომ, ბატონო?

### კენტი

მოჭარბებული,  
დიდი სირცხვილი გზას უხშობს მისკენ.  
მას ახსენდება ის სისასტიკე,  
როგორ მოექცა თავის ქალიშვილს:  
არ მისცა მამის ლოცვა-კურთხევა,  
განირა უცხო ქვეყნის ამარად,  
მისი უფლება კანონიერი  
გადასცა მის დებს, გულქვა ქალიშვილთ;  
ეს მას უნამლავს სულს და გონებას,  
მწვავე სირცხვილი მისვლას უყოვნებს.

### ჯენტლმენი

საბრალო არის.

### კენტი

ოლბანისა და  
კორნუოლის ჰერცოგთ, შენ ხომ არ იცი  
რა ძალები აქვთ?

### ჯენტლმენი

ასე შევიტყვე,  
აქეთ მოდიან.

### კენტი

ასე მოვიქცეთ:  
მე თქვენ მიგიყვანთ ჩვენს ხელმწიფესთან,  
მასთან დარჩებით, რომ თან ეახლოთ.

მე ვიმალები გარკვეულ მიზნით;  
როცა შეიტყობთ ჩემს ვინაობას,  
არ ინანებთ, რომ მე გამიცანით.  
ახლა ნავედით.

*/გადიან/*

## სცენა IV

**იგივე ბანაკი. კარავი.**

*/დოლების ბრაგუნითა და ალმების ფრიალით შემოდინ  
კორდელია, მკურნალი და ჯარისკაცები./*

**კორდელია**

დიახ, ის არის. ახლაც რომ შეხვდნენ  
როგორც შმაგს, როგორც აღელვებულ ზღვას.  
იგი მაღალი ხმითა მღეროდა,  
თავზე კი ადგა ყვავილთ გვირგვინი,  
მათოთი, სვია, რაღაც მცენარე,  
თესლი თხრილებში გახარებული,  
ბირკავა, შხამით სავსე კონიო  
და დამსუსხავი ჭინჭრების კონა,  
მინდვრის ყვავილი თუ სარეველა,  
მოდებული რომ აქვს პურის ყანებს.  
წინ ასეული ჯარი გაგზავნეთ.  
ყველგან დაძებნეთ, ყველა მტკაველი  
ამ მაღალ ბალახმოდებულ მინდვრის  
და აქ მომგვარეთ.

*/ერთი ოფიცერი გადის/*

### რა შეუძლია

მეცნიერებას, რომ აღადგინოს  
მისი მოშლილი გონიერება?  
ვინც მას უშველის, მისთვის გავიღებ  
მთელ ჩემს სიმდიდრეს.

### მკურნალი

ო, დედოფალო,  
არის ნამალი მაგის მომრჩენი,  
ძილია მთელი ბუნების ძიძა,  
იგი გვაძლევს ჩვენ მრავალ მცენარეს,  
რომლის ძალითაც იგი აყუჩებს  
ყოველ დიდ ტკივილს.

### კორდელია

კურთხეულ იყოს  
ის საიდუმლო, რაც კი არსებობს  
იმ სამკურნალო ბალახის არსში,  
დედამინაზე რომ ამოზრდილა,  
დე, ჩემი ცრემლი ესხუროს წვიმად!  
თქვენ შეენიეთ და მოარჩინეთ  
კეთილი კაცი მსუხარებისგან!

### */შემოდის შიკრიკი/*

### შიკრიკი

ახალი ცნობა მე მომაქვს, მადამ;  
აქ ბრიტანეთის ლაშქარი მოდის.

### კორდელია

ეგ ჩვენთვის უკვე ცნობილი არის  
და დასახვედრად უკვე მზადა ვართ.  
ძვირფასო მამა, შენი გულისთვის

მე გადავწყვიტე ასე მოქცევა.  
მძლე საფრანგეთმა ეს ყველაფერი –  
ჩემი ცრემლი და ჩემი ნუხილი,  
შეისმინა და მითანაგრძნობა.  
არავითარი ამბიციები  
არ არის ამის ნამქეზებელი.  
სიყვარულია მხოლოდ ძვირფასი,  
ხანშიშესული ჩვენი მამისა;  
მისი ყოველი უფლება აღსდგეს!  
ჩქარა ვნახავ და გავიგებ მის ხმას.

*/გადიან/*

## სცენა V

**გლოსტერის ციხე-დარბაზი.**

*/შემოდიან რეგანა და ოსვალდი/*

**რეგანა**

დაიძრა ჩემი სიძის ლაშქარი?

**ოსვალდი**

დიახ, მადამ.

**რეგანა**

თვითონ, პირადად, აქ თუ ბრძანდება?

**ოსვალდი**

იქ გახლავთ, მადამ, აცმუკებული  
და თავის თავში დაეჭვებული.  
მას თქვენი და სჯობს, ვით ჯარისკაცი.

**რეგანა**

ლორდმა ედმუნდმა ნახა ის სახლში?  
ელაპარაკა?

**ოსვალდი**

არა, მილედი.

**რეგანა**

ნეტავ რას სწერდა ჩემი და იმას?

**ოსვალდი**

არ ვიცი, მაღამ.

**რეგანა**

ასე სასწრაფოდ

რადგან წავიდა, ეტყობა იმას  
მნიშვნელოვანი საქმე რამ ჰქონდა.  
ეს იყო დიდი სისულელე, რომ  
თვალეზდათხრილი გლოსტერი ისევ  
დარჩა ცოცხალი. სადაც იქნება  
აუმღვრევს ხალხს გულს ჩვენს წინააღმდეგ.  
მგონი, ედმუნდი მიტომ წავიდა,  
რომ ეცოდება ბედშავი მამა,  
სურს სიბრალულთ ბოლო მოუღოს  
იმის სიცოცხლეს ჩაშავბნელებულს.  
ამასთანავე ისიც შეიტყოს,  
რა ძალასა ფლობს ჩვენი მეტოქე.

**ოსვალდი**

მე უნდა მივყვე, მაღამ, წერილით.

**რეგანა**

ჩვენი ჯარები დილით გადიან.  
აქ დარჩი, გზები საშიში არის.

### ოსვალდი

არ შემიძლია; ქალბატონისგან  
ნაბრძანები მაქვს, რომ შევასრულო  
მნიშვნელოვანი მინდობილობა.

### რეგანა

რასა წერს ედმუნდს? არ შეგიძლია  
სიტყვებით მითხრა წერილის არსი?  
ალბათ, რაღაცა მე აქ არ მესმის.  
მაგის გულისთვის მე დაგაფასებ,  
თუ მაგ წერილის ბეჭედს ამიხსნი.

### ოსვალდი

მე მიჯობს, მადამ...

### რეგანა

მე კარგად ვიცი, რომ შენ ქალბატონს  
არ უყვარს ქმარი. მე ასე მჯერა.  
ამას წინ, როცა იგი აქ იყო,  
ის სიყვარულით სავესე თვალებით,  
მრავლისმეტყველი გამოხედვებით,  
უცქერდა ედმუნდს. მე ვიცი, შენ ხარ  
იმისი ნდობით აღვსილი პირი.

### ოსვალდი

მე, ქალბატონო?

### რეგანა

მე გასაგებად ვამბობ, შენა ხარ.  
ეს კარგად ვიცი. ამიტომ გირჩევ,  
კარგად განსაჯო შენ ეს ამბავი:  
ქმარი აღარ მყავს, მე და ედმუნდმა  
მოვისაუბრეთ და მისი ქმრობა

უფრო შემფერის, ვიდრე შენს ლედის.  
კარგად დაფიქრდი ამის შესახებ,  
თუ ედმუნდს შეხვდი, გთხოვ ეს გადასცე.  
ჩემი და როცა შენგან შეიტყობს  
იმას, რაც გითხარ, ურჩიე უხმოს  
ჭკვას და გონებას. კარგად იყავი.  
თუ ბრმა გამცემზე რამე შეიტყო,  
იცოდე, მის მკვლელს ჩინი მოელის.

**ოსვალდი**

თუ სადმე შევხვდი მე იმას, მაღამ,  
მაშინ შეიტყობთ ვის მხარეზეც ვარ.

**რეგანა**

კარგად იყავი.

*/გადიან/*

## სცენა VI

**მინდორი დოვრის მახლობლად.**

*/შემოდიან გლეხის ტანსაცმელში გადაცმული  
გლოსტერი და ედგარი/*

**გლოსტერი**

როდის მივალწევთ ჩვენ ამ მთის მწვერვალს?

**ედგარი**

მაღლა მივდივართ და გვიჭირს ასვლა.

**გლოსტერი**

მე კი მგონია ვაკე ადგილი.

### ედგარი

სულ ციცაბოა. არ გეყურებათ  
ზღვის ხმიანობა?

### გლოსტერი

ნამდვილად არა.

### ედგარი

ჩანს თქვენ სხვა გრძნობაც დაგრჩლუნგებიან  
თვალეების მწვავე ტკივილის გამო.

### გლოსტერი

ალბათ, მასეა. ახლა მგონია  
ხმა შეგეცვალა და ლაპარაკიც  
გაუმჯობესდა.

### ედგარი

ეგ კი გეშლებათ, მე არ შევცვლილვარ,  
გამოვიცვალე მხოლოდ სამოსი.

### გლოსტერი

მე კი მგონია, უკეთ საუბრობ.

### ედგარი

აჰა, მოვედით. ნყნარად იდექით.  
საშინელია მაღალ კლდის ძირში  
თვალის ჩანვდენა, თავბრუ მეხვევა!  
ყვავებია თუ სხვა ზღვის ფრინველი  
კლდის შუა წელზე რომ მიმოქრიან,  
აქედან ბუზისხელა მოჩანან.  
კაცი კიდია ქვემოთ სალ კლდეზე  
და კრეფავს მწვანილს,<sup>48</sup> საშიში არის!

48 Sampire – ლათ. *Crithnam maritimam*, ეკუთვნის ობრაბუმის ოჯახს. იყენებენ მწნილულობისათვის როგორც სურნელოვან მწვანილს.



სულ კაცის თავისოდენადა ჩანს.  
მეთევზეები მისდევენ ნაპირს,  
აქედან ჩანან, როგორც თაგვები;  
ღუზაზედა დგას მაღალი ბარკა,  
ისე ჩანს როგორც პატარა ვარცლი,  
ხოლო ბოლოში მიბმული ნავი  
აქედან მოჩანს როგორც ნაფოტი.  
ამ სიმაღლეზე ძლივსლა მოისმის  
ზეირთის ხმაური, მთლად უსარგებლოდ  
რომ მიდი-მოდის გაუთავებლად.  
აღარ ჩაეხედავ. თავს რეტი მესხმის,  
გადავვარდეები ამ ციცაბოზე  
სულ კისრისმტვრევით.

#### გლოსტერი

მანდ დამაყენე,  
სადაც შენ დგახარ.

#### ედგარი

მომეცი ხელი,  
ახლა თქვენა ხართ დაშორებული  
ერთი ნაბიჯით უფსკრულისაგან.  
რომ მიბოძონ, რაც ცის ქვეშეთშია,  
მაგ ნაბიჯს მე წინ არ გადავდგამდი.

#### გლოსტერი

გამიშვი ხელი. აი კიდევ ქისა,  
ისე ძვირფასი ქვა ძევს მაგაში,  
აღება კი ღირს საწყალ კაცისთვის.  
ღმერთმა გიმრავლოს ეს საგანძური!  
ახლა კი წადი, მშვიდობა მითხარ  
და ისე წადი, რომ გავიგონო.

### ედგარი

მშვიდობით იყავ, კეთილო მილორდ.

### გლოსტერი

კარგად იყავი.

### ედგარი

მე ახლა ამის

გავათამაშებ სასონარკვეთას,  
რათა როგორმე განვკურნო იგი.

### გლოსტერი

ო, ყოვლისშემძლე, ძლიერნო ღმერთნო!

### */იჩოქებს/*

ამ ქვეყანას ვთმობ და თქვენს წინაშე  
უდრტვინვლად აღვკვეთ ჩემს დიად ტანჯვას.  
ამ ტანჯვის ზიდვა მე რომ შემეძლოს,  
შენს სურვილის წინ ავმბობდებოდი,  
რომ ამდაგვარად მომედოს ბოლო:  
ჩემი ცხოვრების სანთლის პატრუქი  
დაინვებოდა თვისით ბოლომდე.  
ხოლო ედგარი თუ ცოცხალია,  
ის დაიფარე! ახლა მშვიდობით.

*/გადაიწვეს წინ და მინაზე დაეცემა/*

### ედგარი

მაშ, ნახვედი, სერ, კარგად იყავი.  
მაინც არ ვიცი, ეს წარმოსახვა  
როგორ იპარავს ამ განძს – სიცოცხლეს,  
როცა სიცოცხლე თვითა რთავს ნებას.  
ეს რომ იქ იყოს, სადაც ჰგონია,  
იფიქრებდა, რომ ეს უკვე მოხდა.

ცოცხალი ხარ თუ მკვდარი? მითხარი  
როგორ ბრძანდები, სერ! მეგობარო!  
გესმის ჩემი, სერ! ხმა ამოიღეთ!  
მართლა არ მოკვდეს, არა, მოცოცხლდა.  
მითხარ, როგორ ხარ?

### გლოსტერი

წადი, დამეხსენ,  
მაცალე, ჩემით დავლიო სული.

### ედგარი

აბლაბუდა ხარ, ბუმბული, ორთქლი?  
იმ სიმაღლიდან ვით ჩამოვარდი?  
კვერცხივით უნდა დაფშვნილიყავი,  
შენ კი ხმას იღებ, სისხლი არა გდის;  
ათი ანძა რომ ერთურთს წააბა,  
ამ კლდის სიმაღლეს ის ვერ ასწვდება,  
შენ თავდაყირა რომ ჩამოვარდი,  
სასწაულებრივ გადურჩი სიკვდილს.  
აბა, თქვი რამე.

### გლოსტერი

მე ჩამოვვარდი?

### ედგარი

აგერ, შეხედე იმ ცარცის კლდის ზოლს,  
მალლა ახედე, თვითონ ტოროლას  
ზარიან ხმასაც ვერ გაიგონებ,  
ვერც დაინახავ, მხოლოდ ახედე.

### გლოსტერი

ეჰ, თვალნი არ მაქვს. უბედურებას  
იმის უფლებაც წაურთმევეია,  
რომ მოვისწრაფო დღენი სიკვდილით?

რალაც ნუგეში ის იყო მაინც,  
თავის მკვლევლობით მოვატყუებდი,  
ტირანის რისხვას ამით ჩავშლიდი,  
მოვსპობდი, იმედს გაფუცრუებდი  
მის ამაყ ნებას.

### ედგარი

მომეცი ხელი.

ჰა, წამოდექი. აბა, როგორ ხარ?  
ფეხებს ხომა გრძნობ? მაგრად დადექი.

### გლოსტერი

ძალიან კარგად, ძალიან კარგად.

### ედგარი

დაუჯერები ამბავი მოხდა.

ის ვილა იყო, ამ კლდის წვერზე რომ  
შენ ჩამოგშორდა?

### გლოსტერი

ერთი სანყალი,

ბეჩავი გლახა.

### ედგარი

მე კი აქედან

მეჩვენებოდა, თითქოს თვალები  
ბადრ მთვარესავით უკაშკაშებდა;  
სახეზე ება ათასი ცხვირი  
და ერთმანეთში ჩანსული რქები  
ზღვის ტალღებივით დაქანაობდნენ;  
ეს, ალბათ, ეშმა, ავსული იყო.  
შენ იღბლიანი კაცი ყოფილხარ,  
უნდა უმადლო იმ წმინდა ღმერთებს,

ვინც მოახდინა ეს სასწაული,  
რაც ადამიანს არაფრით ძალუძს,  
და სიკვდილისგან გადაგარჩინა.

### გლოსტერი

მე ამის შემდეგ დავიმახსოვრებ:  
ტანჯვას ავიტან, სანამ თვითონვე  
არ დაიძახებს „საკმარისია“,  
მაშინ მოვეკვდები. ვიზედაც ამბობ,  
მე ის პირველად კაცი მეგონა.  
პირზე ეკერა „ეშმა, ეშმაკი“,  
მან მიმიყვანა იმ ადგილამდე.

### ედგარი

ახლა მოეშვი ნუხილს, ვაებას,  
სულს რომ თრგუნავს და ასე იმონებს.

*/შემოდის ღირი ფანტასტიურად შემოსილი  
მინდვრის ყვავილებით/*

ეს ვილა მოდის? საღი გონება  
არ შემოსავდა პატრონს ამგვარად.

### ღირი

ხელს ვერვინ მახლებს ფულის მოჭრისთვის,  
რადგან თვით მე ვარ ქვეყნის ხელმწიფე.<sup>49</sup>

### ედგარი

გულის მომკვლელია ამის ცქერა!

### ღირი

ამ საქმეში ბუნება უდიდესი ხელოვანია. აჰა, ფული, ახალ-  
წვეულთა ჯამაგირი. ამ ყმანვილს მშვილდ-ისარი ისე უჭირავს,

<sup>49</sup> ფულის მოჭრა და ზარაფხანის განმგებლობა ხელმწიფის უფლებებში შე-  
დიოდა.

გეგონება ყვაფების დაფრთხობა უნდაო. დამჭიმე შალეუ-  
ლის ვაჭრის არშინივით. უყურეთ, უყურეთ, თაგვი! წყნარად,  
წყნარად; ეს შებრანული ყველის ნაჭერი გამოდგება. აი, ჩემი  
ჯავშნით დაფარული ხელთათმანი. მე ამით გოლიათებს გამოფ-  
ინვევ. მომართვით ალებარდე. ო, კარგად გაფრინდა ისარი!  
მოხვდა მიზანს, ნიშანში მოხვდა: ზუზუნით გააპო ჰაერი! პა-  
როლი მითხარი!

**ედგარი**

ტკბილი მაიორანი.<sup>50</sup>

**ღირი**

გაიარე.

**გლოსტერი**

მე ეგ ხმა მეცნობა.

**ღირი**

რაო? თეთრწვერა გონერილი! მე ძაღლებივით მელაქუცებოდნენ  
და მეუბნებოდნენ ბრძენკაცი ხარო, მაშინ როცა ჯერ წვერიც  
არ ამომსვლოდა. ყველაფერზე „ჰოს“ და „არას“ ვამბობდი. „ჰო“  
და „არა“ ერთდროულად არ შეჭფერის ღვთისმეტყველებას.  
როცა წვიმამ დამალტო და ქარმა გამაშრო ისე, რომ სულ  
კბილს კბილზე ვაცემინებდი; ჭექა-ქუხილი გრიალებდა და ჩემი  
ვედრებით არა ცხრებოდა, მაშინ მივხვდი, ყნოსვით მივაგენი  
მათი სიტყვის ფასს. არა, არ არიან ისინი თავისი სიტყვის  
პატრონნი: მეუბნებოდნენ, რომ მე ვიყავი ყველაფერი; ეს  
სიცრუეა, მე არა ვარ ციებ-ცხელების გამძლები.

**გლოსტერი**

ხმის ეს კილო ჩემთვის კარგად ნაცნობია, ეს მეფე ხომ არ  
არის?

<sup>50</sup> გონებრივად დაავადებულთა სამკურნალო მცენარე.

## ლირი

დიახ, მეფეა თავით ფეხამდე.  
 ჩემს შეხედვაზე კაცი კანკალებს.  
 სიცოცხლეს ვჩუქნი. რა დააშავე?  
 ცოლს უღალატე?  
 შენ არ მოკვდები ადულტერისთვის!  
 ნიბლია მისდევს და ოქროს ბუზი  
 იმას ჩემს თვალნინ შეუწყვილდება.  
 დე, დაგრილებამ გული იჯეროს.  
 გლოსტერის შვილი, უკანონო ძე,  
 უფრო კეთილად ექცევა მამას,  
 ვიდრე მე ჩემი ქალიშვილები  
 გაჩენილები კანონიერად.  
 მამ, ჰე, შეწყვილდით არევ-დარევით!  
 რადგან მჭირდება ჯარისკაცები.  
 აბა, ქალბატონს შეხეთ უზაკველს,  
 რომლის უბინო, უმანკო ქცევა,  
 თუმცა გული აქვს ყინულის თოში,  
 ხომ მეტისმეტად წესიერია?  
 სათნოდ, უმნიკვლოდ იქნევს იგი თავს,  
 როდესაც ესმის სექსის შესახებ.  
 სინამდვილეში იგი ბოზია.  
 იგი ჭაკია ახურებულის,  
 გამლილ საძოვრით გათქვირებული,  
 და მასზე მეტად შმაგი და მრუში;  
 წელს ქვემოთ იგი კენტავრი არის,  
 თუმცა ზემოთ კი იგი ქალია:  
 წელს ზემოთ იგი ღმერთთა ნილია,  
 წელს ქვემოთ არის ეშმაკის კერძი.  
 აქ წყვილია და ჯოჯოხეთი,  
 გოგირდოვანი ორმოა, ფოსო.

ინვის, დულს, ყარს, ქლექივით ხრავს ყველაფერს; ფუჰ, ფუჰ,

ფუჰ! კეთილო მეაფთიაქევ, მომეცი ერთი უნცია სუნამო,  
მოაცილე ჩემს წარმოდგენას ცუდი სუნი: აჰა, შენ ფული.

**გლოსტერი**

ნება მიბოძე ვემთხვიო მაგ ხელს!

**ლირი**

ჯერ გავინმინდო, სიკვდილის სუნი ასდის.

**გლოსტერი**

ოო, ბუნების დაშლილო კუთხევ,  
დიდი სამყაროც მთლად დაინგრევა,  
როგორც პატარა კაცის ბუნება.  
მე თუ მიცანი?

**ლირი**

მე კარგად მახსოვს შენი თვალები. რა აღმაცერად მიყურებ  
ელამივით? არა, უარესი ქმენ, ბრმა კუპიდონო.<sup>51</sup> მე სიყვარ-  
ული არ შემიძლია. ეს გამონგვევის ბარათი წაიკითხე. ნანერს  
დააკვირდი.

**გლოსტერი**

ყოველი ასო რომ მზედ გადიქცეს,  
მე იმას მაინც ვერ დავინახავ.

**ედგარი**

სხვის ნათქვამს მე არ დავიჯერებდი,  
მაგრამ ასეა და გული მტკივა.

**ლირი**

წაიკითხე.

**გლოსტერი**

რითი წავიკითხო, თვალის ბუდეებით?

51 ინგლისში ბრმა კუპიდონის სურათი ეკიდა ბორდელების წინ, რეკლამა იყო.



### ღირი

ეგ არის შენი სათქმელი? არც თვალები გაქვს თვალთა ბუდეში და არც ფული ქისაში? თვალები მძიმე მდგომარეობაში გაქვს, ქისა მსუბუქი და მაინც ხედავ, რა ხდება ამ ქვეყნად.

### გლოსტერი

მე მაგას ვგრძნობ.

### ღირი

რაო, გაგიჟდი? კაცს უთვალეზოდ შეუძლია დაინახოს, რაც ხდება ამ ქვეყანაზე. აბა, ყური მიაპყარ, ხედავ, მოსამართლე როგორ შარსა სდებს სულ უბრალო ქურდს? მოდი, ყურში რა გითხრა: შეუცვალე ადგილები, აქეთ-იქით გადასვი, სკუპ-სკუპ, ახლა რომელია მოსამართლე და რომელი ქურდი? გინახავს, გლექკაცის ქოფაკი როგორა ყეფს-ხოლმე მათხოვარს?

### გლოსტერი

დიახ, სერ.

### ღირი

და ისიც როგორ გაურბის ხოლმე ძალს? აჰა, ესეც ძალაუფლების ნამდვილი სურათი, ძალს ძალა აქვს, მას უნდა დაემორჩილო.

შენ კი საგრაფოს, ოლქის კონსტებლო,  
დაიმოკლე ეგ წყეული ხელი!  
რას ამათრახებ მაგ სანყალ როსკიპს?  
გასაშოლტავი თვითონ შენა ხარ!  
ალტყინებული შეასრულებდი  
მაგასთან იმ აქტს, რის გულისთვისაც  
მას ამათრახებ. ხოლო მევახშე,  
ჯიბესქელი და ყოვლისშემძლები,  
მსაჯულის როლში მას არ დაინდობს,  
სიკვდილს მიუსჯის და ჩამოახრჩობს,

აი, მასეთ წვრილმან ეშმაკობისთვის.  
 მცირე ცოდვა ძონძს ქვეშ გამოჩნდება,  
 ბენეშემოვლებულ მანტიის ქვეშ კი  
 სულ ყველაფერი დაიმალება.  
 დაფარე ცოდვა ოქროს საფარით,  
 მართლმსაჯულების ძლიერი შუბი  
 ზედ მიემსხვრევა, მიეფშვნიტება,  
 ცოდვის ჩამდენს კი არა ევნება.  
 ხოლო თუ იმას ძონძებში გახვევ,  
 მაშინ მას ხმელი ჩალაც განგმირავს.  
 დანაშაული არავისა აქვს,  
 მე გეუბნებით, – არავისა აქვს,  
 მე დავუდგები იმათ თავდებად:  
 ნაილეთ ჩემგან ეს, მეგობარო,  
 შეუვალობა მონიჭებული,  
 ვისაც კი შესწევს იმის ძალა, რომ  
 ბეჭდით დალუქოს ბრალმდებლის ბაგე.  
 ახლა იშოვე შუშის თვალები,  
 ვით უნამუსო პოლიტიკოსმა  
 მოიკატუნე თავი, რომ ხედავ  
 იმას, რასაც შენ სულ ვერა ხედავ.  
 აბა, აბა, აბა, აბა;  
 ახლა გამაძრე ჩემი ჩექმები,  
 მაგრად გასწიე, ჰო, ეგრე, ეგრე.

### ედგარი

ო, არეულო ჭკვავ, უჭკუობავ!  
 გონიერებავ კი სიგიჟეში!

### ღირი

თუ გსურს იტირო მაგ შენს სვე-ბედზე,  
 მაშინ აიღე ჩემი თვალები.  
 შენ კარგად გიცნობ, გლოსტერი გქვია.

წყნარად იყავი;  
ჩვენ ქვეყანაზე ტირილით გაუჩნდით,  
შენ კარგად იცი; და როს პირველად  
ღრმად ჩავისუნთქეთ ცივი ჰაერი,  
დავიკნავლეთ და მერე ავტირდით.  
შენთვის ვილოცებ. დაიმახსოვრე.

### გლოსტერი

ვაი ამ დღის მომსწრეს!

### ლირი

დაბადებისას ჩვენა ვტირივართ,  
რომ მოვევლინეთ სულელთა სცენას.  
კარგი კუნძია.<sup>52</sup>  
სტრატეგიაა ერთობ ცბიერი,  
თეჯა მივაკრათ ცხენებს ფლოქვებზე,  
აუცილებლად ამას გამოვცდი.  
ჩემს სიძეთ ისე მივეპარები,  
მერე კი ხოცვა, ხოცვა და ხოცვა.  
(შემოდის ჯენტლმენი მხლებლებით)

### ჯენტლმენი

აგერ აქ გახლავთ, ხელი ჩაჭიდეთ,  
სერ, მე თქვენი ქალის ბრძანები...

### ლირი

ხსნა აღარ არის? ისევე ტყვე ვარ?  
სულელად შობილს ბედი დამცინის?  
ჩემ გამოსახსნელ თანხას მიიღებ.  
ახლა მომგვარეთ მე დასტაქარი,  
დაკოდილი ვარ ტვინში...

52 ალბათ იგულისხმება, რომ ლირი კუნძზე ცხენითაა გადამჯდარი (და ისე ფილოსოფოსობს).

### ჯენტლმენი

ბატონო,  
თქვენ მოგერთმევით სულყველაფერი.

### ლირი

არა მყავს მომხრე? სულ მარტო დავრჩი?  
ამგვარი ყოფა კაცს გადააქცევს  
ცრემლის მარლით შეძერნილ ძეგლად,  
ხოლო მის თვალებს ბალის სარწყავად,  
შემოდგომაზე მტვრიან გზას რომ რწყავს.

### ჯენტლმენი

სერ...

### ლირი

მე მოვკვდები, როგორც ვაჟკაცი,  
როგორც სასიძო კობტა და ცქვიტი.  
რაო?!

დიახ, ვიქნები მე მხიარული,  
აბა, აბა, მე მეფე გახლავართ;  
ნუთუ არ იცით ეს, ბატონებო?

### ჯენტლმენი

მეფე ბრძანდებით, ჩვენ თქვენ გმორჩილებთ.

### ლირი

მაშ, კიდევ არის რალაც იმედი.  
აბა, მოდით და დამაპატიმრეთ,  
სირბილში მტაცეთ ხელი, ჰე, ჰე, ჰე...

*/გარბის, მხლებლები მისდევენ/*

### ჯენტლმენი

საყურებლადაც საბრალო არის

გლახაკი კაცი მეფის იერით!  
თუმც ერთი ქალი მას კიდევ დარჩა,  
ვინც ბუნებისგან გამოისყიდის  
დების ამ ცოდვას, სასტიკ განაჩენს.

**ედგარი**

სალამი, ღირსო ბატონო ჩემო.

**ჯენტლმენი**

სალამი შენდა, გწყალობდეს ღმერთი,  
გინდა რაიმე?

**ედგარი**

ხომ არ გსმენიათ,  
ომი მოგველის?

**ჯენტლმენი**

აუცილებლად,  
ეგ ყველამ იცის, ვინც რამეს ამჩნევს.

**ედგარი**

ესეც მიბრძანეთ, მტერი ახლოა?

**ჯენტლმენი**

ახლო არის და აქეთ იჩქარის,  
მონინავე ჯარს ნუთი-ნუთს ველით.

**ედგარი**

გმადლობ, ბატონო, სულ ეგ მინდოდა.

**ჯენტლმენი**

თუმც დედოფალი რალაც მიზეზით  
ისევ აქ არის, მისი ჯარი კი  
უკვე დაიძრა.

**ედგარი**

გმადლობ, ბატონო.

*/ჯენტლმენი გადის/*

**გლოსტერი**

კეთილნო ღმერთნო, ნამგვარეთ სული,  
ჩემს ავ ანგელოზს ნუ დაანებებთ  
ისევ მაცდუნოს, ადრე მომკალით.

**ედგარი**

შენ, ძია კაცო, კარგად ლოცულობ.

**გლოსტერი**

ვინა ბრძანდები, ჩემო კეთილო?

**ედგარი**

საწყალი კაცი, ბედის მორჩილი,  
დარდის განმცდელი მწვავე ტკივილით,  
მწუხარების და ჯავრის ქვეშ მყოფი.  
მომეცი ხელი, მიგიყვან სადმე  
თავშესაფარში.

**გლოსტერი**

დიდი მადლობა.

ღმერთმა მოგიზღოს სამაგიერო,  
ლოცვა-კურთხევა ერთი ათასგზის.

*/შემოდის ოსვალდი/*

**ოსვალდი**

ბედის წყალობა დამეფრქვა თავზე!  
რა ჯილდო მელის! ესეც ბედია!  
თვალეზდავსილო თავო, შექმნილხარ

ჩემს წასაწევად, აღსაზევებლად.  
შე უბედურო, ყრანტო გამცემო,  
ხმალი მზადა მაქვს ბოლო მოგილო.

### გლოსტერი

თუ მოკვლა გინდა, მაგრად დამკარი.

*/ედგარი ნინ გადაუდგება/*

### ოსვალდი

როგორ, გლახუჭავ თავაშეებულო,  
როგორა ბედავ, რომ დაიფარო  
ეს მოღალატე საჯაროდ თქმული,  
გაინი-მეთქი! თორემ გენევა  
ამისი ბედი როგორც სახადი.  
ხელი შეუშვი!

### ედგარი

არა, ბატონო, არ გინდა, საბაბს რათა ჩხრეკამ...<sup>53</sup>

### ოსვალდი

იქით გაინი, მონავ, თორემ შენც მოკვდები!

### ედგარი

ჩემო კეთილო ბატონო, შენს გზას ენიე, სანყალ ხალხს თავი  
დაგვანებე. მეც დავინწყებდი ბლენძიაობას ჩემი სიცოცხლით,  
ის ორ კვირასავით მოკლე რო არ იყოს. ახლო არ მოხვიდე ამ  
ბებერთანა. განზე დადექ, თორე გელაპარაკები, აი, ამ კომ-  
ბალსა ვცდი შენს კინკრიხოზე, რომელი უფრო მაგარია, ეგა  
თუ ესა!

### ოსვალდი

იქით დაიკარგე, შე ნეხვის გროვავ!

53 ედგარი უქცევს სოფლურ დიალექტზე.

### ედგარი

მეტი რალა გზაა, სერ, კბილები უნდა დაგაყრევირო. აბა, მოდი.  
მე შენი ხმლისა არ მეშინია.

### ოსვალდი

მომკლა ამ მონამ, აჰა, ყაჩალო,  
ახლა შენ გქონდეს ეს ჩემი ქისა,  
თუ გსურს გამდიდრდე, ოლონდ დამმარხე,  
ხოლო ნერილი რომელიც მე მაქვს,  
ედმუნდს მიეცი, გლოსტერის პატრონს,  
მოძებნე იგი ინგლისის მხარეს.  
ოო, სიკვდილო, ადრე მოხვედი!

### /კვდება/

### ედგარი

მე კარგად გიცნობ. არამზადა ხარ,  
ქლესა, ორპირი, მამებელი.  
მსახური შენი ქალბატონისა,  
ყველა სიბილწის მუდამ მკისვრელი.

### გლოსტერი

რაო, მოკალი?

### ედგარი

დაჯექი, მამავ,  
და შეისვენე. მე კი ჯიბეებს  
დავუჩხრეკავ და ნერილს ვიპოვი,  
იქნებ რამეში გამოვიყენო.  
ის მოკვდა. ახლა მე იმას ვწუხვარ,  
რომ სხვისი ხელით არ განიგმირა.  
აბა, ეს ვნახოთ, ჯერ ლუქი ავხსნათ,  
რიდი და ხათრი ნუ შემოგვწყრება



მიტომ, რომ მტრების აზრი შევიტყვოთ.  
რა დროს რიდია, გულისპირს გავეჭრი,  
წერილის გახსნა მართებულია.

*/წერილს კითხულობს/*

„არ დაივიწყო ჩვენი ერთმანეთისთვის მიცემული აღთქმა და ფიცი. შენ მრავალი შესაძლებლობა გაქვს, იმას ბოლო მოუღო, თუ ამის სურვილი გექნება. ხელსაყრელ დროსა და ადგილს ყოველთვის გამოიხატავ. ყველაფერი ფუჭად ჩაივლის, თუ ის გამარჯვებული დაბრუნდება. მაშინ მე ტყვე ვიქნები, მისი სარეცელი – ჩემი დილეგი. დამიხსენ ამ საპყრობილის სიმყრალისგან და გასამრჯელოდ მისი ადგილი დაიკავე.“

შენი ცოლი... როგორა მსურს, რომ ეს ასე ვთქვა...

შენი მოსიყვარულე მსახური, შენთვის თავგანწირული გონერილი“.

ო, ქალის ვნების უსაზღვროებაე!  
ბოროტი ზრახვა იმ კეთილ ქმარზე,  
მერე ვისზე ცვლის, ჩემს ძვირფას ძმაზე!  
აქვე, ქვიშაში ჩაგმარხავ მე შენ,  
ამ გარყვნილების მყრალო შიკრიკო.  
და როცა ამის ჟამი მოაწევს,  
ამ ბოროტ წერილს მაშინ ვაჩვენებ  
სიკვდილისათვის განწირულ შერცოვს.  
ასე ინება ჩემმა ბედმა, რომ  
მე ვუთხრა მისი დაღუპვის საქმე.

**გლოსტერი**

მეფე გაგიჟდა, როგორღა შემრჩა  
ასე უდრეკი, მტკიცე გონება,  
ეს საზიზღარი შეგრძნების ნიჭი,  
აქა ვდგავარ და ყოველივეს ვგრძნობ,  
რა შავი ბედი დაგვეცა თავზე!

ამასა სჯობდა ჩემი სიგიჟე,  
აქ აზრი ვარამს გაეყრებოდა  
და მწუხარება გაცრუებული  
ამ შემეცნებას დაივიწყებდა.

*/შორიდან ისმის დოლების ხმა/*

**ედგარი**

მომეცი ხელი, დოლის ხმა მესმის.  
წამო, მიგიყვან ჩემს მეგობართან.

*/გადიან/*

## სცენა VII

**კარავი ფრანგთა ბანაკში.**

*/შემოდინ კორდელია, კენტი, მკურნალი და ჯენტლმენი/*

**კორდელია**

კეთილო კენტო, როგორ მოვიქცე,  
სიკეთე რითი გადაგიხადო?  
ჩემი სიცოცხლე ერთობ მოკლეა  
და არც მეყოფა ჩემი სიმდიდრე.

**კენტი**

ეგ სიტყვებიც კი ჩემთვის მეტია.  
რაც მოგახსენეთ, ის სიმართლეა,  
არც მეტია და არც თუ ნაკლები.

**კორდელია**

უკეთ ჩაიცვით. ეგ ტანსაცმელი

მაგონებს ჩემთვის უარეს დღეებს.  
გთხოვ შეიცვალო.

### კენტი

ბოდიში, მაღამ,  
თუ გაემყლავნდები, გეგმას დავლუპავ.  
გთხოვთ ჯერ ეს დარჩეს, არც თქვენ მიცნობდეთ,  
სანამ დრო მოვა.

### კორდელია

მაშ, მასე იყოს.

*/მიუბრუნდება მკურნალს/*

ჩვენი ხელმწიფე თავს როგორა გრძნობს?

### მკურნალი

ჯერ კიდევ სძინავს.

### კორდელია

ო, ზეცის ძალნო,  
თქვენ განუკურნეთ დიდი ჭრილობა  
მისი ბუნების და მისი სულის,  
თქვენ დაანუნარეთ აღტყინებული  
და აწენილი მისი გონება.  
თქვენ დაამშვიდეთ სრულად გრძნობები  
ბავშვად ქვეული მამიჩემისა.

### მკურნალი

თუ ნებას დამრთავთ მე, დედოფალო,  
გამოვაღვიძებ ახლა ხელმწიფეს,  
დიდხანს ეძინა.

### კორდელია

ისე მოიქეც,

როგორც გკარნახობს განსწავლულობა  
და თქვენი ნება. ტანთ ხომ აცვია?

*/მსახურებს შემოყავთ ტახტრევანზე დაბრძანებული ლირი/*

**ჯენტლმენი**

მადამ, მას ისე მაგრად ეძინა,  
ძილში ჩავაცვით ტანისამოსი.

**მკურნალი**

აქ ბრძანდებოდეთ, რომ გავადვიდებთ.  
ექვი არ არის, კარგად იქნება.

**კორდელია**

ძალიან კარგი.

**მკურნალი**

მოუახლოვდით.  
მუსიკოსებო, უფრო ხმამაღლა!

**კორდელია**

ძვირფასო მამა, დე, ჩემს ბაგეებს  
ჰქონდეს წამალი შენი მორჩენის  
და ამ ამბოროთ მთლად განიკურნოს  
ის ბოროტება, რაც ჩემმა დებმა  
შენ მოგაყენეს.

**კენტი**

ო, დედოფა, სათაყვანებო.

**კორდელია**

მათი მამა რომ არც ყოფილიყავ,  
უნდა დაენდოთ ეგ თეთრი თმები.  
განა ეგ სახე იმისთვისა გაქვს,

რომ შეუშვირო ქარს და ქარაშოტს?  
ჭექა-ქუხილს და მეხთა გავარდნას?  
საზარელ ელვის დაკლაკნილ ისრებს...  
ო, საცოდავო ჩემო ეულო,  
ასეთი თხელი, თეთრ მუზარადით.<sup>54</sup>  
მე მტრის ძალსაც კი, თუგინდ მკბენარას,  
ასეთ საშინელ, საზარელ ღამეს  
ჩემს ცეცხლთან ადგილს მოვუნახავდი.  
შენ კი, სანყალო ჩემო მამიკო,  
თავს აფარებდი უბადრუკ ქოხმახს,  
მანანნალებთან, ღორებთან ერთად  
ეგდე შმორიან, დამპალ ჩალაში.  
ვაგლახი ჩემს თავს! საოცარია,  
შენი სიცოცხლეს რომ არ დავკარგე  
შენს ჭკვასთან ერთად. მგონი იღვიძებს,  
უთხარით რამე.

### მკურნალი

სჯობს, რომ თქვენ უთხრათ.

### კორდელია

როგორ ბრძანდება ჩვენი ხელმწიფე?  
როგორ არს მისი დიდებულება?

### ლირი

თქვენა სჩადიხართ დიდ დანაშაულს,  
რომ ამოგყავართ მე საფლავიდან.  
შენა ხარ სული ნეტარებაში;  
მე გაკრული ვარ ცეცხლის ბორბალზე,  
ცრემლები მცვივა, რაიც ყველაფერს  
ისე ფუფქავს, ვით დამდნარი ტყვია.

54 კორდელია მამის თეთრ თმებს გულისხმობს.

**კორდელია**

მე თუ მიცნობთ, სერ?

**ლირი**

ვიცი, სული ხარ.

მითხარ, შენ როდის გარდაიცვალე?

**კორდელია**

წყნარად, წყნარად, ეს ჯერ კიდევ ბოდავს.

**მკურნალი**

ძლივს გაიღვიძა, ცოტა ადროვით.

**ლირი**

მე სად ვიყავი? ახლა სადა ვარ?

დღის ნათელია? მე ძლიერ შევცდი.

სხვა რომ მენახა ამ ჩემს ყოფაში

სიბრალულისგან გარდვიცვლებოდით.

მე აღარ ვიცი ახლა რაღა ვთქვა.

ვერ დავიფიცავ, რომ ეს ხელები

მევე მეკუთვნის. აბა, გავსინჯოთ;

ქინძისთავი მხვლევტს. ნეტავ ვინა ვარ?

**კორდელია**

მე შემომხედეთ, ჩემო ბატონო,

გამომინოდეთ თქვენი ხელები

და მოანიეთ ჩემს თავზე ლოცვა.

არა, მუხლებზე ნუ დაიჩოქებთ.

**ლირი**

გთხოვ, ნუ დამცინი: მე ხანდაზმული

ერთი ყვეყჩი, ბერიკაცი ვარ.

ოთხმოცი წლის ვარ, აღარც მეტი და

აღარც ნაკლები. მართალი რომ ვთქვა,  
მეშინია, რომ ჭკვაზედ ვერა ვარ.  
მე თითქოს გიცნობ, ვიცნობ იმ კაცსაც,  
მაგრამ ეჭვი მღრღნის, რადგან სრულიად  
არ გამეგება რა ადგილია  
და ვერც ვიხსენებ მე ამ ტანსაცმელს,  
ანდა წუხელის სად გავათენე;  
მე ნუ დამცინით, რადგან კაცი ვარ.  
მგონი ეს ლედი ჩემი შვილია, –  
კორდელიაა.

### კორდელია

ეს მე ვარ, მე ვარ.

### ლირი

თვალნი ცრემლით გაქვს დანამულები?  
დიახ, ბეღია; გემუდარები,  
წულარ იტირებ. ხოლო თუ ჩემთვის  
სანამლავი გაქვს, მომეცი დავლევ.  
ვიცი, შენ უკვე აღარ გიყვარვარ;  
შენმა დებმა მე ავ ბედსა მნიეს,  
რამდენად მახსოვს, მთლად უმიზეზოდ.  
შენ ამის რაღაც მიზეზი გქონდა,  
იმათ კი – არა.

### კორდელია

არავითარი მიზეზი, არა.

### ლირი

საფრანგეთში ვარ?

### კენტი

თქვენ სამეფოში ბრძანდებით, მილორდ.

ლირი

ნუ მომატყუებთ.

მკურნალი

დამშვიდდით, მაღამ.

როგორცა ხედავთ, დიდმა სიშმაგემ  
მას გაუარა. თუმცა ჯერ კიდევ  
საშიში არის, რომ შევახსენოთ  
გარდასულ დღეთა უბედურება.  
კარგი იქნება, შინ შევიყვანოთ,  
არ შევანუხოთ, ვიდრემდე იგი  
მთლად დამშვიდდება.

კორდელია

ჩემო ხელმწიფევ,

ხომ არ ისურვებ ჩემთან წამოსვლას?

ლირი

აუცილებლად უნდა შევრიგდეთ.  
მე გევედრები, რომ დაივინყო  
და მაპატიო. ერთი ბებური,  
შტერი კაცი ვარ.

(გადიან. რჩებიან კენტი და ჯენტლმენი)

ჯენტლმენი

მითხარით, სერ,

ჰერცოგი კორნუოლ მართლა მოუკლავთ?

კენტი

დიახ, ნამდვილად.

ჯენტლმენი

ახლა ვინ უდგას



თავში მის ლაშქარს?

**კენტი**

როგორც ამბობენ,  
გლოსტერის ბუში.

**ჯენტლმენი**

იმასაც ამბობენ, რომ მისი განდევნილი ვაჟიშვილი ედგარი  
გერმანიაშიაო გრაფ კენტთან ერთად.

**კენტი**

ბევრ რამეს ამბობენ. ახლა დროა თავსაც მივხედოთ. სამეფოს  
ჯარები სწრაფად გვიახლოვდებიან.

**ჯენტლმენი**

გადამწყვეტი ბრძოლა სისხლისმღვრელი იქნება. კარგად ბრძან-  
დებოდეთ, სერ.

*/გადის/*

**კენტი**

ჩემი სიცოცხლის მიზანი, ბოლო  
მოვალეობის აღსრულებაში,  
კარგად ან ავად თავს იჩენს მხოლოდ  
დღევანდელი დღის შერკინებაში.

*/გადის/*

## მოქმედება V

### სცენა I

ბრიტანელების ბანაკი დოვრის მახლობლად.

*/შემოდინ დოლებით და აღმებით ედმუნდი,  
რეგანა, ჯენტლმენები და ჯარისკაცები/*

ედმუნდი

კარგად შემიტყვევთ ჰერცოგის აზრი,  
აპირებს იგი ბრძოლას თუ არა.  
იქნებ აქეზებს ვინმე იმაზე,  
რომ შეიცვალოს თავის განზრახვა.  
იგი სავსეა სხვადასხვა აზრით,  
საკუთარ თავის საყვედურებით,  
გამიგეთ მისი ბოლო მიზანი.

*/მიმართავს ჯენტლმენს, რომელიც წასვლას აპირებს/*

რეგანა

ჩვენი დის შიკრიკს რაღაც შეემთხვა.

ედმუნდი

მგონი, მასეა.

რეგანა

ახლა კი, მილორდ,  
იცით, მე თქვენთვის სიკეთე მინდა,  
მითხარით, ოღონდ ბრძანეთ მართალი,  
გიყვართ ჩემი და?

ედმუნდი

ღირსების გრძნობით.

რეგანა

და თქვენ არასდროს არ შეგიღაბავთ  
სხვისთვის ნაკრძალი, სიძის საწოლი?

ედმუნდი

თქვენ არა გშენით მასეთი აზრი.

რეგანა

მე კი ვეჭვობ, რომ ისე ახლოს ხართ,  
რომ ამის მეტი აღარ იქნება.

ედმუნდი

მე გეფიცებით პატიოსნებას,  
რომ ეგ არ არის სიმართლე, მაძამ.

რეგანა

მე ვერასოდეს ავიტან მაგას.  
ძვირფასო მილორდ, მოეშვით მასთან  
სიახლოვეს და ფამილარობას.

ედმუნდი

მასე უნდობლად ნუ მომეპყრობით.  
აი, ისიც და იმისი ქმარი!

*/შემოდიან დოლებით და აღმებით ოლბანი,  
გონერილი და ჯარისკაცები/*

გონერილი

*/გვერდზე/*

მე მირჩევნია წავაგო ბრძოლა,  
ვიდრე ჩემი და დაგვაცილებდეს.

ოლბანი

სალამი თქვენდა, ძვირფასო დაო!

მიხარია რომ კარგადა გხედავთ.  
სერ, მე გავიგე, რომ მეფე ღირი  
თვის ქალიშვილთან მიბრძანებულა.  
მასთან არიან ისინი, ვისაც  
არ მოსწონს ჩვენი ტირანია და  
ამას ხმამაღლა კიდეც ამბობენ.  
სადაც არა ვარ პატიოსანი,  
იქ მე მამაცი ველარ ვიქნები.  
ეს საქმე ყველას არ გესიამოვნებს,  
თუმც არა მხოლოდ ფრანგების ჯარი  
მხარს უჭერს მეფეს, არამედ სხვებიც  
ჩვენზე ნაწყენი ძალა საგრძნობი,  
ვინც ისე არის აღშფოთებული,  
რომ აუღიათ ხელთ იარაღი  
ჩვენს წინააღმდეგ მოუმართიათ.

#### ედმუნდი

სერ, ლაპარაკობთ თქვენ ღირსეულად.

#### რეგანა

საკამათოა განა აქ რამე?

#### გონერილი

გავერთიანდეთ მტრის წინააღმდეგ;  
შინაურული, თუნდ პირადული  
უთანხმოების დრო აღარ არის.

#### ოლბანი

მეთაურები მოვიწვიოთ და  
აქ გადავწყვიტოთ ომის გეგმები.

#### ედმუნდი

მე გეახლებით თქვენთან კარავში.

რეგანა

შენ, ჩემო დაო, წამოხვალ ჩემთან?

გონერილი

არა.

რეგანა

ეს სასურველი კი იქნებოდა.  
გთხოვ წამოხვიდე.

გონერილი

*/გვერდზე/*

ოჰო, მე ვიცი

ამის მიზეზი. კარგი ნავიდეთ.

*/ყველანი გადიან. ჯარისკაცებიც. შემოდის გლეხურად  
გადაცმული ედგარი/*

ედგარი

თუკი იკადრებს თქვენი ღირსება  
ჩემებრ საწყალ კაცს რომ მოუსმინოს,  
გეტყვით ერთ სიტყვას.

ოლბანი

*/წამსვლელებს მიმართავს/*  
წამოგენვეით.

*/ედგარს/*

თქვი.

*/ყველა გადის ოლბანისა და ედგარის გარდა/*

ედგარი

სანამდე თქვენ ომს წამოიწყებდეთ,

გთხოვთ წაიკითხოთ, აი, ეს წერილი.  
თუ დაბრუნდებით გამარჯვებული,  
დე, მესაყვირემ იმას მოუხმოს,  
ვინც მოგიტანათ თქვენ ეს ბარათი.  
თუმც საცოდავი შესახედი ვარ,  
მე წარმოგიდგენთ მებრძოლს, რომელიც  
ხმლით დაამტკიცებს მაგის სიმართლეს.  
ხოლო ბრძოლაში თუ დაეცემით,  
მაშინ ყოველი ფუჭია თქვენთვის  
ამქვეყნიური ხრიკი, მზაკვრობა.  
ჯერ ბედი გწყალობთ.

**ოლბანი**

მოიცა, აქ იყავ,  
სანამ ამ წერილს წაუკითხავდე.

**ედგარი**

ვერ გავჩერდები, აკრძალული მაქვს,  
როცა დრო მოვა, საყვირის ხმაზე  
გამოვცხადდები.

**ოლბანი**

მაშინ, მშვიდობით.  
მე გადავხედავ ამ შენს ქალაქებს.

*/ედგარი გადის. შემოდის ედმუნდი/*

**ედმუნდი**

მტერი გამოჩნდა. უნდა დააწყოთ  
თქვენი ლაშქარი. აი, ცნობები  
მტრის რიცხვისა და ძალის შესახებ,  
გადმოცემული დაზვერვისაგან;  
თქვენი ვალია ახლა სიჩქარე.

ოლბანი

დროზე დავხვდებით.

/გადის/

ედმუნდი

მე ორივე დას

ჩემ სიყვარულის ფიცი მივეცი;  
ეჭვი ღრღნით, როგორც გველით დაგესლილთ.  
ვინ ავირჩიო? ორივე? ერთი?  
ბედნიერება სულ არ იქნება,  
ვიდრე ორივე ცოცხალი არის.  
ქვრივი შევიერთო, ეს გაახელებს,  
მთლად გააგიჟებს, დას, გონერილს,  
ხოლო მასთან კი ვერ შევისრულებ,  
ვერ შევიჯერებ მე გულის ნადილს,  
თან მისი ქმარი ჯერ ცოცხალია.  
ხოლო ამ ბრძოლას ახლა სჭირდება  
მისი სახელი, ავტორიტეტი.

რა გავაკეთო?

დე, იმან, ვისაც ის გზას უღობავს  
მსწრაფლ მოიშოროს. თუ გაიმარჯვებს  
და გადაწყვიტავს რომ შეინყნაროს  
მეფე ლირი და მისი ასული...  
ომი დამთავრდეს; და თუ ისინი  
ტყვედ მაშინ ხელში ჩამიცვივიან,  
შემწყნარებლობას ნურავინ ელის.  
მდგომარეობა ჩემი მოითხოვს,  
რომ ვიმოქმედო, კი არ ვიმსჯელო –  
რა არის კარგი და ან რა ცუდი.

/გადის/

## სცენა II

### მინდორი ორ ბანაკს შორის.

*/ისმის საყვირების ხმა. შემოდინ დოლებითა და აღმებით  
ლირი, კორდელია და ჯარისკაცები. შემდეგ გადიან/*

*/შემოდინ ედგარი და გლოსტერი/*

#### ედგარი

აქეთ, მოხუცო, ხის ჩრდილში დაჯექ  
და ილოცე, რომ მართალმა საქმემ  
აქ გაიმარჯვოს. ხოლო თუკი მე  
ისევ დავბრუნდი, დაგეხმარები.

#### გლოსტერი

ღმერთი გფარავდეს.

*/ედგარი გადის/*

*/ისმის ომის გნიასი, ბუკ-ნალარის ცემა, საყვირის ხმა უკან  
დახვევის ნიშნად. ედგარი ბრუნდება/*

#### ედგარი

ნამო, მოხუცო, მომეცი ხელი,  
ჩქარა გავიქცეთ! მეფე დამარცხდა.  
ისა და მისი ქალიშვილი კი  
იქ ტყვედ ჩაეარდნენ. მომკიდე ხელი,  
აბა, გავიქცეთ.

#### გლოსტერი

რატომ გავიქცეთ? აქვე ჩავლპები.



### ედგარი

ისევ ავს ფიქრობ? ადამიანმა  
უნდა მიიღოს თვის აღსასრული,  
როცა დადგება იმისი ჟამი.  
ყველაფერს დრო აქვს. აბა, ნავედით.

### გლოსტერი

ეგეც სწორეა.

/გადიან/

## სცენა III

**ბრიტანელთა ბანაკი დოვრის მახლობლად.**

*/შემოდინან გამარჯვებული ედმუნდი, ჯარისკაცები  
ბაირაღებითა და დოლებით, კაპიტანი.*

*შემოყავთ დატყვევებული ლირი და კორდელია/*

### ედმუნდი

ოფიცრებმა კი ტყვენი წაასხან.  
უდარაჯეთ და კარგად მიხედეთ,  
ვიდრე სარდლობა უზენაესი  
არ გამოუტანს მაგათ განაჩენს.

### კორდელია

/ლირს/

პირველნი არ ვართ, კარგი განზრახვით  
რომ ვეზიარეთ უბედურებას.  
მხოლოდ შენს გამო, მეფევ ჩაგრულო,  
ძალზე ვდარდობ და მიკვდება გული.

მე არ მაშინებს პირქუში ბედი.  
შენს შვილებს, ჩემს დებს, კვლავ ვინახულებთ?

### ლირი

არა და არა! ახლავ ნავიდეთ  
საპყრობილეში. იქ კი მე და შენ  
ვიმღერებთ, როგორც ჩიტნი ყაფაზში.  
როცა ლოცვას მთხოვ, თვით დაგიჩოქებ,  
მე თვითონვე გთხოვ მოტევებასა.  
ასე ვიცხოვრებთ სიმღერით, ლოცვით,  
მე მოგიყვები უძველეს ზღაპრებს  
და ვიცინებთ იმ კარისკაცებზე,  
პეპელასავით აჭრელებულნი,  
თვალის მომჭრელად მოკაზმულები,  
უკან რომ სდევენ გულისფანცქალით  
არარაობას; თანაც მოვისმენთ,  
თაღლითურად და გაიძვერულად,  
ჭორებად ნათქვამ კარის სიახლეს,  
ვინ მოიპოვა და ვინ დაკარგა,  
ვისა სწყალობენ და ვის კი, არა.

### ედმუნდი

გაიყვანეთ ორივე!

### ლირი

აი, ასეთ მსხვერპლს, ქვეყნით განდგომას,  
თვითონ ღმერთებიც კი იწონებენ.  
შენ ჩემთანა ხარ? რომ დაგვაცილონ,  
უნდა მოგვეგვარონ ცეცხლი ზეციდან  
და შეგვიბოლონ, როგორც მელიებს  
შეუხრჩოლებენ თავის სოროში.  
შეიმრე თვალნი; და შავი ჭირი  
ჩვენს მტრებსაც მოსპობს სისხლით და ხორციით;

სანამ ისინი აგვატირებდნენ,  
ჩვენ კიდევ ვნახავთ მაგათ აღსასრულს,  
შემშლილთ სიკვდილს; ახლა წავიდეთ.

*/გადიან ლირი და კორდელია ბადრაგის თანხლებით/*

### ედმუნდი

*/კაპიტანს/*

თქვენ კი აქ მოდით და ყური მიგდეთ.  
აი, გამომართვი მე ეს წერილი  
და უკან მიჰყევ საპრობილემდე.  
მე მოგიმატე ერთი ნოდება;  
თუ შეასრულებ, რაც აქ წერია,  
კარგ მომავლისკენ გზას გაიკაფავ.  
ჩვენ ისეთი ვართ, როგორიც დროა.  
ჯარს არ შეფერის მონყალე გული.  
ამ დავალების დანიშნულება  
ვერ იტანს საქმის განსჯა-განხილვას.  
ან მითხარი, რომ – „შევასრულებ-თქო“,  
ანდა მოძებნე სხვა ბედ-ილბალი.

### კაპიტანი

მე შევასრულებ, ჩემო ბატონო.

### ედმუნდი

მაშ, წადი. საქმეს რომ აღასრულებ,  
მაშინ თქვი, ბედმა გამიღიმა-თქო.  
იცოდე, ზუსტად ეგ შეასრულე,  
რაც შიგ წერია, რაც დაგავალე.

### კაპიტანი

ურემს ვერ ვზიდავ, შვრიას ვერ შევჭამ,  
იმას კი ვიზამ, რაც ვაჭკაცს ძალუძს.

*/კაპიტანი გადის/*

*/ისმის საყვირების ხმა. შემოდინ ოლბანი, გონერლი, რეგანა,  
სხვა კაპიტანი და ჯარისკაცები/*

**ოლბანი**

დღეს თქვენ გვიჩვენეთ, სერ, ვაჟკაცობა,  
ბედისწერამაც თქვენ გაგილიმათ,  
ვინც ჩვენ გვებრძოდა, ხელში ჩაიგდეთ.  
მე თქვენ გიბრძანებთ, ტყვენი გადმოგვცეთ,  
ჩვენ მოვექცევით იმათ იმგვარად,  
როგორაც ეს მათ დაიმსახურეს.

**ედმუნდი**

სერ, მე ვიფიქრე, ამგვარად სჯობდა, –  
რომ უბედური, მოხუცი მეფე  
პატიმარ მეყო და მიმეჩინა  
მისთვის გუშაგი შესაფერისი.  
მის ტიტულში და წლოვანებაში  
არის რაღაცა მომხიბვლელობა,  
რაც მიიზიდავს ხალხის გულს, გრძნობებს,  
ამ ზეგავლენით პირს უზამს ჩვენსკენ  
ახალწვეულთა წვერმახვილ შუბებს  
მათ წინააღმდეგ, ვინც ვმეთაურობთ.  
მას დედოფალიც თან გავაყოლე  
ამდაგვარივე მოსაზრებებით.  
მზად იქნებიან ნებისმიერ დროს,  
ხვალ იქნება თუ მოგვიანებით,  
გაასამართლოთ. ახლა კი ჯერ ჩვენ  
ომის სისხლ-ოფლი არ შეგვეშრობია;  
ბევრმა დაკარგა ძმა, მეგობარი,  
ბრწყინვალე ბრძოლას წყევლიან გულში,

ვისაც კი ახსოვს მისი სიმძაფრე.  
ახლა არ არის იმისი დრო, რომ  
გავასამართლოთ ჩვენ კორდელია  
და მისი მამა.

### ოლბანი

სურ, მოთმინება;  
ამ ომში ჩვენი ხელქვეითი ხართ  
და არა – სწორი.

### რეგანა

ჩვენ მას სწორად ვთვლით.  
მე მგონი ჩვენთვის უნდა გეკითხა,  
ვიდრემდე ასე შორს შეტოპავდი.  
იგი უძლოდა ჩვენს ლაშქარს სარდლად,  
ენაცვლებოდა ჩემს ღირსებას და  
წარმოადგენდა ის ჩემს პერსონას;  
პირადად ჩემი წარდგინებით, ის  
არის ნამდვილად თქვენი ტოლფასი.

### გონერილი

ერთობ მგ ზნებარედ გამოგივიდა,  
თავის ღირსებით უფრო ამალლდა,  
ვიდრე ეგ შენი წყალობა არის.

### რეგანა

ჩემი უფლებით ის მე აღვჭურვე  
და ახლა იგი გაუტოლდება  
უკეთეს პირებს.

### გონერილი

მასე იქნება,  
თუ ის გახდება შენი მუუღლე.

### რეგანა

ხუმრობა ხშირად წინამთქმელია.

### გონერილი

ოლოოლო შენ! თვალს ნუ უჯერებ  
ეგ ელამია.

### რეგანა

ახლა მილუდი,  
თავს ვერ ვგრძნობ კარგად,  
თორემ გაგცემდი საკადრის პასუხს.  
მთავარსარდალო, აჰა, ლაშქარი,  
ჩემი ტყვეები, მემკვიდრეობა,  
დაეპატრონე ამათ და თვით მეც,  
ციხე გნუბდები. მონამე იყოს  
მთელი ქვეყანა, რომ შენ გაცხადებ  
ბატონად და ქმრად.

### გონერილი

გსურს მაგით დასტკბე?

### ოლბანი

მაგის შეწყვეტას შენ არ გკითხავენ,  
შენს ნებას ეგ არ ხელენიფება.

### ედმუნდი

არც თქვენსას, მილორდ.

### ოლბანი

სწორი ხარ, ბუშო.

### რეგანა

*/ედმუნდს/*

დაჰკარით დოლებს, ქვეყანას ამცნე  
შენი ტიტული.

### ოლბანი

ჯერ შეიცადეთ,  
აი, მიზეზი: ედმუნდ, გატყვევებ,  
ვით მოღალატეს სახელმწიფოსი  
და მონაწილეს ამ ლალატისა,  
ამ მოოქროვილ გველსაც ვატყვევებთ.

*/მიუთითებს გონერილზე/*  
თქვენს მოთხოვნას კი, მშვენიერო დავ,  
მე გამოვრიცხავ, ჩემი მეუღლის  
ინტერესიდან გამომდინარე:  
მას პირობა აქვს შეკრული ლორდთან.  
მე, მისი ქმარი, ვკრძალავ თქვენს ქორწილს,  
თუ ასე გნებავთ, მე აგერა ვარ;  
ჩემი ლედი კი დანიშნულია.

### გონერილი

რასა თვალთმაქცობ!

### ოლბანი

იარაღში ზიხარ,  
გლოსტერ, მაცნემ დე, ბუკს ჩაბეროს  
და თუ არავინ არ გამოჩნდება,  
რომ დაამტკიცოს შენი საზარი  
და საზიზღარი მუხანათობა,  
მაშინ მე ვიზამ; ჰა, ხელთათმანი.

*/გადაუგდება ხელთათმანს/*  
მე დავემტკიცებ მაგას მაგ შენს გულს,  
ლუკმა პურს პირში მე არ ჩავიდებ,  
ვიდრემდე იმას არ დავამტკიცებ,  
რაცა ვთქვი ახლა მე შენს შესახებ.

რეგანა

ცუდად ვარ, ცუდად!

გონერილი

/გვერდზე/

აბა, სხვაგვარად

მე სანამლავებს აღარ ვენდობი.

ედმუნდი

/ისვრის ხელთათმანს/

მაშ, აჰა, ჩემიც! ქვეყნად თუ ვინმე  
მე მოლაღატეს, გამცემს მიწოდებს  
და ცილს დამნამებს, - არამზადაა!  
უხმეთ მებუკეს. ვინც გაბედავს და  
აქ მობრძანდება, გინდ ის, გინდა თქვენ,  
ეს სულერთია, - მე დავამტკიცებ  
სიმართლესა და პატიოსნებას!

ოლბანი

ეჰეი, მებუკევ!

ედმუნდი

მებუკე ჩქარა!

ოლბანი

შენ მხოლოდ შენი იმედი გქონდეს,  
ჯარი, რომელიც მე მოვინვიე,  
ჩემივე სიტყვით დათხოვნილია.

რეგანა

ავადმყოფობა უფრო მერევა.

ოლბანი

კი, ცუდად არის; გაყევით ჩქარა  
და მიიყვანეთ იგი კარავში.



*/რეგანას მიაცილებენ, შემოდის მაცნე/  
შენ კი აქ მოდი. ჩაბერე საყვირს...  
ეს წაიკითხე.*

**კაპიტანი**

ჩაბერე საყვირს!

*/ისმის საყვირის ხმა/*

**მაცნე**

*/კითხულობს/*

„თუ ვინმეს, ღირსეულსა და კეთილშობილს, რომელიც  
ახლა ჯარში იმყოფება,

სურს დაუმტკიცოს ედმუნდს, ვინც გლოსტერის გრაფის  
სახელს ჩემულობს, რომ იგი მოლალატეა, გამოვიდეს ბუკის  
მესამე ხმის შემდეგ. ედმუნდი მზად არის დაიცვას თავისი  
სახელი“.

**ედმუნდი**

ჩაბერე!

*/ისმის საყვირის ხმა/*

**მაცნე**

კიდევ!

*/ისმის ბუკის ხმა მეორედ/*

**მაცნე**

კიდევ!

*/ისმის ბუკის ხმა მესამედ. სცენის მიღმა გაისმის  
საპასუხო ბუკის ხმა. შემოდის ედგარი. იგი ბუქთარში ზის.  
წინ მაცნე მოუძღვის/*

### ოლბანი

ჰკითხეთ, რა უნდა, რად გამოცხადდა  
ბუკის ძახილზე.

### მაცნე

ვინ ხარ? სახელი?  
შენი წოდება, ან ბუკის ხმაზე  
რად გამოცხადდი?

### ედგარი

ყველამ იცოდეს,  
ჩემი სახელი დალუპულია,  
მთლად დაღრღნილია მატლების მიერ.  
ღირსებით არ ვარ მტერზე ნაკლები  
და გამოვედი შესარკინებლად.

### ოლბანი

გვითხარ, ვინ არის შენი მოქიშპე?

### ედგარი

ედმუნდი, გრაფის სახელს რომ ირქმევს,  
გლოსტერის გრაფის.

### ედმუნდი

არის კიდევაც!  
აბა, რას მეტყვი?

### ედგარი

ხმალი იშიშვლე,  
თუ შეურაცხვეყოფ გულს კეთილშობილს,  
შენმა იარაღმა გაგეასამართლოს,  
მეც მზად მაქვს ხმალი.  
უფლებას მაძლევს ჩემი ღირსება

და რაინდული ჩემი წოდება  
გამოგინვიო ორთაბრძოლაში.  
მიუხედავად მაგ ძლიერების,  
ახალგაზრდობის, მდგომარეობის,  
განდიდების და ამ გამარჯვების,  
რომ შენ ხარ შენი ბედის მჭედელი,  
მამაციცა ხარ და ხარ ვაჟკაციც,  
მე მაინც გეტყვი – მოლალატე ხარ,  
შენ ულალატე ღმერთებს და შენს ძმას,  
მუხანათურად მოეპყარ მამას,  
შენ ულალატე ბრწყინვალე ჰერცოგს,  
მუხანათი ხარ ტერფით თხემამდე,  
ლალატის დალით დადალული ხარ.  
თუნდ ერთ სიტყვაზე რომ თქვა უარი,  
ეს მკლავი, ხმალი და შემართება  
დაამტკიცებენ ჩემს ყოველ სიტყვას,  
რომ შენა ცრუობ.

### ედმუნდი

შენი სახელი უნდა მეკითხა,  
ამას მკარნახობს გონიერება.  
მაგრამ გეტყობა გვარიშვილობა,  
იერიცა გაქვს ჯარისკაცული,  
ლაპარაკზედაც გეტყობა აღზრდა;  
რაინდთა წესით, მე შემძლია  
ამ შერკინების თავს აცილება,  
არად მიჩნევა, გაბათილება;  
მაგ ლალატის ბრალს უკან გიბრუნებ,  
ჯოჯოხეთურად საძულველ ტყუილს  
ჩამოვირეცხავ, მაგ გულს შევმუსრავ!  
რაც თქვი, შემეხო, თუმცა არ დამჭრა.  
ჩემი ხმალი შენს მკერდში შეაღწევს,

იქ სამუდამოდ დაიდებს ბინას.  
მებუკვევ, ბუკი!

*/ედგარი და ედმუნდი იბრძვიან. ედმუნდი დაეცემა/*

**ოლბანი**  
დაინდეთ იგი!

**გონერილი**  
ფანდია, გლოსტერ, ომის წესებით,  
შენ არ იყავი სულაც მოვალე  
გებრძოლა მასთან, ვინც თავს იმაღავს;  
არა, არა ხარ დამარცხებული,  
შენ გაგაბრიყვეს, თვალი აგიბეს.

**ოლბანი**  
ხმა ჩაინყვიტე, თორემ ამ წერილს  
პირში ჩაგჭურთავ და გაგაჩუმებ.

*/ედმუნდს/*  
ერთ წუთს მოიცა!

*/გონერილს/*  
რალა დაგარქვა!  
უარესი ხარ ყველა სახელზე.  
ჰა, ნაიკითხე შენი სიავე.  
ხელში წუ მწვდები! გეცნო წერილი?

**გონერილი**  
გინდაც მეცნობოს, აქ მე ვბატონობ,  
და არა შენა; ამისათვის კი  
ვის აქვს უფლება გამასამართლოს?

### ოლბანი

ეს საზარელი ამბავი არის!  
მაშ, იცნობ ნერილს?

### გონერილი

ნუ მეკითხები  
იმის შესახებ, რაც კარგად იცი.

/გადის/

### ოლბანი

ნადით, გაყევით, იგი ამჟამად  
გონზე არ არის, მიხედეთ იმას.

### ედმუნდი

რაზეც ბრალსა მდებთ, ყველა მე ვქმენი.  
უფრო მეტიც კი. დრო გამოაჩენს.  
ყველა დამთავრდა. ბოლო მეღება.  
მაგრამ შენ ვინ ხარ, ჩემო მძლეველო,  
თუკი შენა ხარ კეთილშობილი,  
მაშინ ყველაფერს მე გაპატიებ.

### ედგარი

მოდით, ერთმანეთს ცოდვა შევუნდოთ.  
ჩამომავლობით დაბლა არ ვდგავარ,  
ვიდრე შენა ხარ ამიტყ, ედმუნდ.  
უფრო მეტიც ვარ, შენ მეტად მავნე.  
მე ვარ ედგარი, მამიშენის ძე.  
ლმერთნი არიან სამართლიანნი,  
ჩვენ გვისიამოვნებს იგი თუ არა  
და გვიმზადებენ დასასჯელ იარაღს:  
შენი ცოდვებით ქვეყნად გაჩენა  
მამაჩემს თვალის ჩინად დაუჯდა.

### ედმუნდი

სწორედ იძახი, ეგ მართალია.  
ბედის ბორბალი შემოტრიალდა,  
ქვეშ მოვექეცი, ძირს ჩამიტანა.

### ოლბანი

მე კი მგონია, რომ ბედის ეტლმა  
შენ შეგისრულა დანაპირები.

### /ედგარს/

ო, ღირსეულო, მე მინდა, რომ შენ  
გადაგეზვიო. გული გამეპოს,  
თუკი ოდესმე მასში გამეველოს  
მტრობა შენი და მამიშენისა!

### ედგარი

ღირსო ჰერცოგო, ეგ კარგად ვიცი.

### ოლბანი

სად იყავ, ედგარ, მოფარებული?  
როგორ შეიტყვე მამის ამბავი?

### ედგარი

თვითონ დამყავდა და ვპატრონობდი,  
მოკლედ მოგიტხრობთ, ყველაფერს, მილორდ,  
დავამთავრებ და გულიც გასკდება!  
როცა გავიგე, რაც მომისაჯეს, –  
გადასარჩენად... სული ტკბილია!  
მზად ვართ ყოველ ნუთს გარდავიცვალოთ,  
ვიდრემდე უცებ გავქრეთ ამ ქვეყნად.  
მე გადაენყვიტე დავმალულიყავ  
გიჟის ძონძებში, ისეთი გაუხდი,  
თვით ძალღებიც კი არად მაგდებდნენ.

ასე მორთული შევხვდი მამაჩემს,  
 თვალთა ფოსოდან სისხლი სდიოდა,  
 ბუდეებიდან ძვირფასი ქვები  
 მას დაეკარგა, ამოცვენოდა...  
 და ასე გავხდი მისი მეგზური,  
 ნინ ვუძღვებოდი და ვმათხოვრობდი  
 მიტომ, რომ იგი არ მისცემოდა  
 უსასოობას, უიმედობას.  
 მაგრამ ვერასდროს... ჩემი ბრალია,  
 ვერ ვუმხილებდი, თუ ვინ ვიყავი.  
 მხოლოდ ნახევარ საათის უწინ,  
 როცა იარაღი ავისხი ტანზე,  
 თუმც გამარჯვება არ მწამდა სრული,  
 მაგრამ იმედით ვიყავი სავსე,  
 მივედი მასთან, დალოცვა ვთხოვე  
 და გავუმხილე მაშინ ყოველი.  
 ჩვენი ნვალების, თრევის ამბავი,  
 მისმა გულმა კი ძალმილეულმა  
 ველარ გაუძლო სიხარულს, სევდას,  
 ღიმილით პირზე გარდაიცვალა.

### ედმუნდი

მაგ მონათხრობმა სული შემიძრა,  
 იქნებ ეს კეთილს მოასწავებდეს,  
 შენ კი განაგრძე, გატყობ, გინდა რომ  
 კიდევ რაღაც თქვა.

### ოლბანი

თუ შენს ნათქვამში  
 ვარამი უფრო მეტი იქნება,  
 მაშინ არ გინდა; მაგის გამგონეს  
 ლამის ცრემლები წამსკდეს თვალთაგან.

### ედგარი

დიახ, რაცა ვთქვი, ისიცა კმარა  
მათთვის, ვინაც კი ვარამს ვერ იტანს.  
თუმცა კი ერთი უბედურება,  
რასაც ახლა მე სრულად მოგიტხრობთ,  
ყოველგვარ საზღვარს გადააჭარბებს.  
მამიჩემის გვამს რომ დავტიროდი  
გამომეცხადა ერთი ვაჟკაცი,  
ვისაც მათხოვრად ვყავდი ნანახი,  
თავს მარიდებდა ზიზლით, ვით გლახაკს.  
როცა შეიტყო, თუ ვინ ვიყავი,  
მომეხზვია და ყელს გადამეჭდო;  
ისე საზარლად მოჰყვა ქვითინსა,  
რომ ზეცას შესწვდა მისი გოდება.  
ის მამაჩემის ცხედარს დაემხო,  
თავზე და ლირზე მომიყვა ამბებს,  
ისეთს, რომ ყურო, ნუ გაიგონებ.  
ყოველ სიტყვაზე ჭირი უმძიმდა,  
სევდამ დარია საშინლად ხელი,  
სიცოცხლის ძაფიც ლამის გაუნწყდა,  
ამ დროს მომესმა ბუკის ძახილი  
და იქ დავტოვე ლამის უგრძნობი.

### ოლბანი

ვინ ვარო, რა თქვა, რა მოგახსენა?

### ედგარი

ის კენტი იყო, დევნილი კენტი;  
სახეშეცვლილი და გადაცმული,  
თან გაყოლია მეფეს მისდამი  
მტრულად განწყობილს. თან ახლდა თურმე  
და ემსახურა ისე, ვით მონა.



*/შემოდის ჯენტლმენი სისხლიანი ხანჯლით/*

**ჯენტლმენი**

ნადით, უშველეთ, ოო, უშველეთ!

**ედგარი**

ვის მივეშველოთ?

**ოლბანი**

ხმა ამოიღე!

**ედგარი**

ეს სისხლიანი დანა რას ნიშნავს?

**ჯენტლმენი**

ისევ თბილია, ჯერ ორთქლი ასდის;  
მე ამოვაძრე გულიდან... მოკვდა!

**ოლბანი**

გვითხარ, ვინ მოკვდა?

**ჯენტლმენი**

თქვენი მეუღლე,  
სერ, თქვენი ცოლი. და იმისი დაც,  
ვინც მან მონამლა; თვით აღიარა  
ეს სიკვდილის წინ.

**ედმუნდი**

მე ორივეზე  
დანიშნული ვარ. ახლა ჯვარს ვიწერთ  
დაუყოვნებლივ.

**ედგარი**

აი, კენტი მოდის.

**ოლბანი**

გადმოასვენეთ აქეთ ცხედრები.

*/ჯენტლმენი გადის/*

ზეცის განკითხვა ჩვენ თუმცა გვაძრწოლებს,  
მათ სიბრალულს კი გულში არ აღძრავს.

*/შემოდის კენტი/*

ეს არის კენტი? ახლა დრო არ გვაქვს  
შესაფერისი, რომ ღირსეულად  
მივიღოთ იგი.

**კენტი**

მე აქ მოვედი,

რომ მივესალმო ჩემს მეფეს, პატრონს,  
და ვუსურვო მას მშვიდობის ღამე.  
ის აქ ბრძანდება?

**ოლბანი**

მთავარი კი ჩვენ

სულ დაგვაფინყდა! მითხარი, ედმუნდი,  
სად არის მეფე და კორდელია?  
კენტი, თუ გინახავს შენ მსგავსი რამე?

*/შემოაქვთ გონერილს და რეგანას ცხედრები/*

**კენტი**

ამას რას ვხედავ?!

**ედმუნდი**

მე მათ ვუყვარდი;  
ჩემი გულისთვის მონამლა მან და,  
თავიც მოიკლა.

ოლბანი

დიახ, მასეა.

გადააფარეთ სახეზე რამე.

ედმუნდი

სული მეკვრება. ახლა მინდა, რომ  
მეც სიკეთე ვქმნა, ჩემი ბუნების  
სანიშნაობად. ჩქარა გაგზავნეთ,  
აფრინეთ კაცი საპყრობილეში,  
რადგანაც ჩემგან ნაბრძანები აქვთ,  
კორდელია და ლირი დახოცონ.  
დროზე გაგზავნეთ.

ოლბანი

ჩქარა, სირბილით!

ედგარი

ვისთან გავიქცეთ, გვითხარი, მილორდ.

*/ედმუნდს/*

ეგ ვის უბრძანე? ვის დაავალე?  
თან გაგვატანე რამე ნიშანი.

ედმუნდი

კი, მართალია: ჰა, ჩემი ხმალი,  
კაპიტანს მისცენ.

ედგარი

აბა, იჩქარეთ!

*/შიკრიკი გარბის/*

ედმუნდი

შენმა ცოლმა და მე დაავალეთ,  
რომ ჩამოახრჩონ იქ კორდელია,

საპყრობილეში; ხოლო შემდეგ თქვან,  
მწუხარებისგან მოიკლა თავი.

### ოლბანი

ღმერთმა დაიხსნას! ეს გაიტანეთ!

*/ედმუნდი გააქვთ. შემოდის ლირი, ხელებზე დასვენებული ყავს  
კორდელია, თან მოყვებიან ჯენტლმენი და თანმხლები პირნი/*

### ლირი

ივაგლახოს და იგლოვოს ყველამ!  
გულის მაგივრად ქვა გიდევთ მკერდში;  
თქვენი ენა და თვალი რომ მქონდეს,  
ისეთ მოთქმა-ზარს დავაყენებდი,  
რომ ცის კამარას ჩამოვაქცევდი.  
იგი გამცილდა მე სამუდამოდ,  
მკვდარს ცოცხალს ვარჩევ ერთმანეთისგან,  
იგი მკვდარია, ვით დედამინა.  
მომეცით სარკე; თუ დაიორთქლა,  
ის ცოცხალია.

### კენტი

აი, ეს არის  
მეორედ მოსვლა?

### ედგარი

ან მისი მსგავსი  
უბედურება?

### ოლბანი

ცა ჩამოიქცეს  
და მით დამთავრდეს ქვეყნად ყოველი.

### ლირი

მგონი, შეტოკდა, ის ცოცხალია,  
თუ ეს ასეა, მე ყოველ ტანჯვას,  
რაც კი მქონია, ლხინად მივიჩნევ.

### კენტი

ო, ჩემო კარგო, კარგო ხელმწიფე!

### ლირი

მომწყდი თავიდან!

### ედიარი

ეს კენტი გახლავთ,  
ღირსეული და თქვენი ერთგული.

### ლირი

ჭირს წაუღიხართ, მკვლელნო, გამცემნო!  
სიკვდილისაგან უნდა დამეხსნა;  
ახლა გამშორდა ის სამუდამოდ!  
ო, კორდელია, ო, კორდელია,  
ცოტა ხანს დარჩი, ჰა, რა მითხარი?  
იმას ხმა ჰქონდა წყნარი და ნაზი,  
ქალისთვის დიდად მომხიბვლელი რამ;  
მე მოვკალ მონა, ვინც ჩამოგახრჩო.

### ჯენტლმენი

მართალსა ბრძანებს, მან იგი მოკლა.

### ლირი

რაო, ყმანვილო, მე არ მოვკალი?  
იყო დრო როცა ჩემი მახვილით  
მტერს ვაოტებდი, წინ დავიფრენდი,  
ახლა დავბერდი, ჯავრმა გამტეხა,

ვინ ხარ? ახლა მე ცუდადა გხედავ,  
ჩემი თვალები ის აღარ არის,  
თორემ გიცნობდი.

**კენტი**

თუკი ფორტუნას  
ორ არსებიდან კიდეც უყვარდა  
და იმავე დროს კიდევაც სძულდა, -  
ერთი მათგანი აი, აქ გახლავარ.

**ლირი**

ცრემლი თვალს ბურავს. მგონი კენტი ხარ?

**კენტი**

კენტი გახლავართ, თქვენი მსახური.  
სადაა თქვენი მონა კაიუსი?<sup>55</sup>

**ლირი**

კარგი ყმანვილი იყო, მე გეტყვი,  
მარჯვე მებრძოლი. ის დაიღუპა,  
სადღაცა ჩაღბა.

**კენტი**

ო, არა, მილორდ,  
მე ვარ ის კაცი.

**ლირი**

აი, ახლა გხედავ.

**კენტი**

მას შემდეგ რაც თქვენ ბედმა გიმტყუნათ,  
ასე დაგყვებით მწუხარე გზაზე.

<sup>55</sup> გადაცემული და სახეშეცვლილი კენტის სახელი.

### ლირი

კეთილი იყოს შენი აქ მოსვლა.

### კენტი

არა, კეთილი ველარ იქნება,  
ალარც ჩემი და ალარც თუ სხვისი.  
ირგვლივ სევდაა, წყვდიადი, ბოლო.  
თქვენმა უფროსმა ქალიშვილებმა  
სასონარკვეთით მოიკლეს თავი.

### ლირი

მეც მასე ვფიქრობ.

### ოლბანი

მაგას არ ესმის,  
რას გეუბნებათ. და სულ ამოდ  
წარვუდგენთ ჩვენს თავს.

### ედგარი

აზრი არა აქვს.

*/შემოდის შიკრიკი/*

### შიკრიკი

ედმუნდი, მილორდ, გარდაიცვალა.

### ოლბანი

მას მნიშვნელობა უკვე აღარ აქვს.  
თქვენ კი, ლორდებო და მეგობრებო,  
მინდა იცოდეთ ჩვენი განზრახვა:  
რაც ამ დიდებულ ტანჯულს ეკუთვნის,  
ყოველი მისთვის მიგვირთმევია;  
ჩვენ კი გადავცემთ ძალაუფლებას,  
ვიდრემდე იგი ცოცხალი არის.

*/ედგარს და კენტს/*

თქვენ კი მიიღებთ ყველა უფლებას,  
რაც კი კანონით თქვენვე გეკუთვნით.  
უფრო მეტიც, რაც დაიმსახურეთ  
ერთგულებით და თქვენი ღირსებით.  
ყველა მეგობარს ჯილდო მიეცეს,  
დე, მათ იგემონ სიტყბო ღირსების;  
მტრებმა კი შესვან სიმნარის თასი,  
სწორედ ის, რაც მათ დაიმსახურეს.  
ოო, შეხედეთ!

**ღირი**

**ჩემი პატარა**

ტურფა დაახრჩვეს. არა და არა,  
გაქრა ყოველი? ის აღარ არის?  
ძალღმა, ცხენმა და თავგმა იცოცხლოს,  
შენ კი სიცოცხლის სხივი ჩაგიქრეს?  
აღარასოდეს არ დაბრუნდები,  
ო, არასოდეს, ო, არასოდეს.  
გთხოვთ ღილი შემხსნათ. გმადლობთ, ბატონო.  
თქვენ ამას ხედავთ? აბა, შეხედეთ.  
შეხეთ მის ტურჩებს, შეხედეთ, შეხე...

*/იგი კვდება/*

**ედგარი**

გონი დაკარგა. მილორდ, ჰა, მილორდ!

**კენტი**

გამისკდი, გულო, ნეტავ გამისკდეს!

**ედგარი**

გამოახილეთ თვალები, მილორდ!



### კენტი

ნულარ ანუხებთ მის მიმავალ სულს.  
დეე, ნავიდეს. ველარ აიტანს,  
თუ კვლავ გააკრავთ ტანჯვის ბორბალზე,  
სასტიკ ქვეყანას რომ უკვე ჰყავდა  
მასზე გაკრული ის თავის დროზე.

### ედგარი

კი, მიიცვალა იგი ნამდვილად.

### კენტი

გასაკვირი კი აი, ეს არის:  
იმაზე მეტი როგორ იცოცხლა,  
რაც ღეთისგან ჰქონდა დანესებული.

### ოლბანი

მიცვალებულნი გადაასვენეთ.  
ჩვენი ვალია მგლოვიარება.

### */კენტს და ედგარს/*

თქვენ, მეგობრებო, ორივეს გეტყვით,  
სამეფოს უნდა ხელის შეწყობა,  
რომ მოვაშუშოთ მისი ჭრილობა.

### კენტი

მე გზა მელის, სერ, და ნავალ ადრე,  
ბატონი მიხმობს, უარს ვერ ვკადრებ.

### ედგარი

მწუხარე ჟამი უნდა ვიტვირთოთ,  
ვთქვათ, რასაცა ვგრძნობთ, ვერ ვიტყვით სათქმელს.  
ახალგაზრდები ვერ ვიხილავთ მეტს  
და ვერც ვიცოცხლებთ ხანგრძლივად ამდენს,

რაც ამ მოხუცმა თვის სიცოცხლეში  
იხილა ხანგრძლივ წუთისოფელში.

*/გადიან. ისმის სამგლოვიარო მარში/*

## ბრიგალი

### მოქმედი პირნი

ალონზო, ნეაპოლის მეფე  
 სებასტიანი, მისი ძმა  
 პროსპერო, მილანის კანონიერი ჰერცოგი  
 ანტონიო, მისი ძმა, მილანის ტახტის უზურპატორი  
 ფარდინანდი, ნეაპოლის მეფისწული  
 გონზალო, ნეაპოლის ხანდაზმული კანცლერი, პატიოსანი  
 პიროვნება

ადრიანი }  
 ფრანცისკო } ლორდები

კალიბანი, მახინჯი, სასტიკი მონა (მსახური)

ტრინჯულო, მასხარა

სტეფანო, ლოთი მოურავი

გამის კაპიტანი

გოცმანი

მეზღვაურები

მირანდა, პროსპეროს ქალიშვილი

არიელი, ჰაეროვანი სული

ირისი,

ცარარა,

იუნონა,

ნიმფები,

გველები,

} სულელები

სხვა სულელები, პროსპეროს მორჩილნი

კლარიგული

სატეხისი

სცენა – ზღვა, გემი; უკაცრიელი კუნძული.

## მოქმედება I

სცენა I

ზღვაში მოტივტივე გემი.  
ქარიშხალი, ელვა, ჭექა-ქუხილი. შტორმი ზღვაში.

*/შემოდინან გემის კაპიტანი და ბოცმანი/*

კაპიტანი

ბოცმან!

ბოცმანი

აქ ვარ, კაპიტანო! რას მიბრძანებთ?

კაპიტანი

ასე, დაელაპარაკე მეზღვაურებს. საქმეს მოკიდეთ ხელი. ცოცხ-  
ლად! თორემ მეჩერზე დაგვჯდებათ. გაინძერით! გაინძერით!

*/გადის. შემოდინან მეზღვაურები/*

ბოცმანი

აბა, ბიჭებო! ცოცხლად, ცოცხლად! დაამაგრეთ მარსის ანძა!  
ყური უგდეთ კაპიტანის სასტვენს. ახლა კი, დაუბერე, ქარო,  
სანამ ბერვისაგან არ გასკდება, თუ მაგისი არე-მარე გეყოფა!

*/შემოდინან ალონსო, ანტონიო, ფერდინანდი,  
გონზალო და სხვები/*

**ალონსო**

აბა, ჩვენო კარგო ბოცმანო, ზრუნვა არ მოაკლო; კაპიტანი სად არის? გაამხნევე ეკიპაჟი.

**ბოცმანი**

გთხოვთ ქვემოთ დარჩეთ.

**ანტონიო**

სად არის კაპიტანი, ბოცმან?

**ბოცმანი**

მისი ხმა არ გესმით? თქვენ მუშაობაში ხელს გვიშლით. თქვენს კაიუტებში დარჩით. თქვენ აქ მხოლოდ შტორმს უწყობთ ხელს.

**გონზალო**

აბა, ჩემო კარგო, დამშვიდდით.

**ბოცმანი**

როცა ზღვაც დამშვიდდება, მიბრძანდით აქედან! რა ხელი აქვს ამ ყალყზე აფოფრილ ტალღებს თქვენს მეფესთან? აბა, კაიუტებისკენ! წყნარად! ხელს ნუ გვიშლით.

**გონზალო**

კარგი. ოღონდ არ დაივინყო, ვინ არიან შენს გემზე.

**ბოცმანი**

ისეთი არავინ, ვინც საკუთარ თავზე მეტად მეყვარება. აი, თქვენ მრჩეველი ბრძანდებით, ურჩიეთ ამ გადარეულ სტიქიას, რომ დანყნარდეს და შეგიძლიათ მისი დაოკება, არც ერთ თოკს თითსაც არ დავაკარებთ. აბა, მოუხმეთ თქვენს ავტორიტეტს. გამოიყენეთ თქვენი ძალაუფლება. თუ ეს არ შეგიძლიათ, მაშინ მადლობა უთხარით უფალს, რომ ასე დიდხანს იცოცხლეთ ამ ქვეყანაზე; კაიუტებში ნაბრძანდით და თავი შეამზადეთ იმისათვის, რაც ყოველ ნუთას შეიძლება მოხდეს.

აბა, უფრო მხიარულად, კეთილი გულის ადამიანებო! ფეხებში  
ნუ გვებლანდებით, მე თქვენ გეუბნებით!

*/გადის/*

**გონზალო**

ერთი რამ დიდად მამშვიდებს. ამ ყმანვილს რომ ვუყურებ, მას  
დახრჩობისა არაფერი ეტყობა; ნაღდი დასახრჩობი კაცის დალი  
აზის. ჰოი, კეთილო ბედისწერავ! მისი თოკზე ჩამოხრჩობა არ  
გადაიფიქრო! მისთვის გამიზნული ბანარი ჩვენთვის ღუზის  
თოკად იქცეს, ჩვენი თოკი ფრიად უიმედოა. თუ ეს ბოცმანი  
ამ ქვეყნად სახრჩობელისთვის არ არის გაჩენილი, ცუდადაა  
ჩვენი საქმე!

*/ყველა გადის. ბოცმანი ბრუნდება/*

**ბოცმანი**

დაუშვით ბრამშტანგა! ცოცხლად! დაბლა, უფრო დაბლა! მთა-  
ვარი კურსი გადაიტანეთ ფოკ-ზეილზე!

*/ისმის ყვირილი ქვემოდან/*

ჭირსაც ნაულია ეს ყმული! შტორმზე უარესად ღრიალებენ!

*/შემოდინ სებასტიანი, ანტონიო და გონზალო/*

ისევ მოხვედით? გამაგებინეთ, აქ რა გინდათ?  
იქნებ დავანებოთ ყველაფერს თავი და ჩავიხრჩვეთ?  
იქნებ ფსკერზე ჩაბრძანება გსურთ?

**სებასტიანი**

სიფილისსაც უტაცია შენთვის ყრონტში ხელი და მიუხრჩვიხარ!  
აი, შე დოღრიალა, შე ღვთისმგმობელო, შე ანჩხლო ძაღლო!

### ბოცმანი

მაშ, მობრძანდით და თქვენ თითონ იმუშავეთ.

### ანტონიო

უნდა ჩამოგახრჩოს კაცმა, შე გოშია! შე კახპის შვილო, შე თავზედო ჩხავანა; ჩვენ უფრო ნაკლებად გვეშინია დახრჩობისა, ვიდრე შენ!

### გონზალო

არა, მე თქვენ გეუბნებით, რომ ეს არ ჩაიძირება, გინდაც გემი კაკლის ნაჭუჭზე მაგარი იყოს და ისე უშვებდეს წყალს, როგორც აწყვეტილი როსკიპი!

### ბოცმანი

მიუშვი ქარის მიმართულებით! ქარის მიმართულებით-მეთქი! დაუშვით ორი იალქანი! ისევ ზღვის მიმართულებით! მიუშვით!

*/შემოდინ გალუმბული მეზღვაურები/*

### მეზღვაური

ვილუპებით! ვილოცოთ! ვილოცოთ! დავილუპეთ!

*/მეზღვაურები გადიან/*

### ბოცმანი

რაო? მაშ, სიკვდილი პირზეა?

### გონზალო

მეფე და პრინცი ლოცვად დგანან!  
ჩვენც წავიდეთ და მათ შევუერთდეთ,  
რადგან ყველანი ერთ ბედს ქვეშა ვართ.

## სებასტიანი

თავს ვერ ვიკავებ.

### ანტონიო

ჩვენ ვილუპებით,

აი, ამ ლოთების მოწყალე თვალით...

ამ გაფუჭებულ არამზადისგან,

წყეული ყბედი! ათჯერ ჩაიხრჩვი

ამ აქაფებულ ტალღების ზვირთში!

### გონზალო

ოღონდ მანამდე სახრჩობელაზე!

თუმც ამ ზვირთების ყოველი წვეთი,

პირიქით ამბავს გვექადნებიან,

პირდაღებულნი შემოგვცქერიან

და ამის ჩანთქმით იმუქრებიან.

*/ისმის არეულ-დარეული ხმები გემის ტრიუმდიდან/*

### ხმები

ღმერთო, შენ დაგვიფარე! გემი იშლება! მშვიდობით, ჩემო  
ცოლ-შვილო! მშვიდობით, ძმებო! ჩვენ ვიმსხვრევით, ვიმსხ-  
ვრევით, ვიმსხვრევით!

### ანტონიო

მაშ, დავიძიროთ მეფესთან ერთად!

*/გადის/*

## სებასტიანი

წავიდეთ და მას გამოვესალმოთ.

*/გადის/*



### გონზალო

ახლა ათას ფარლონგ<sup>1</sup> ზღვას მივცემდი ერთ აკრ უნაყოფო, მწირ მინაში.

ახლა ათას მილ ზღვას მივცემდი ერთ ყოვლად მწირ, უნაყოფო მინაში – გადახრუკულ კურდღლისცოცხაში, ყველაფერს... მაგრამ აღსრულდეს ნება ღვთისა! თუმცა, მე მაინც მშრალი სიკვდილი მერჩივნა.

*/გადის/*

### სცენა II

*/კუნძული პროსპეროს საბინადრო ადგილთან. შემოდიან პროსპერო და მირანდა/*

#### მირანდა

ძვირფასო მამა, შენს გრძნეულებით  
მთლად გააცოფე ზღვა და ტალღები,  
ახლა მოთოკე და დაანყნარე.  
ზეცას, ეტყობა, მყრალ კუპრს დაგვანთხევს,  
ცის თაღს რომ ტალღა არა სწვდებოდეს,  
ცეცხლს არ აქრობდეს, არ აგრილებდეს.  
ვიტანჯებოდი უბედურებთან,  
როცა ხომალდი ერთობ ნატიფი  
და მასთან ერთად გემზე მყოფები,  
ერთობ ვაჟკაცნი და ღირსეულნი  
იმ გემთან ერთად ილუპებოდნენ;  
მათი ძახილი, შესაბრალისი,  
მე მანამებდა, გულში მწვდებოდა!  
საბრალო სულნი! იქ დაილუპნენ.  
რომ ვყოფილიყავ ღმერთი ძლიერი,

<sup>1</sup> ერთი ფარლონგი უდრის 900 მეტრს.

მინის სიღრმეში ზღვას ჩავძირავდი,  
ვიდრემდე კოხტა გემებს შთანთქავდეს  
და მასთან ერთად ადამიანთა  
გამეტებულ და განწირულ სულებს.

### პროსპერო

წყნარად იყავი; ნუ გაიოცებ.  
უთხარი მაგ შენს შემწყნარებელ გულს,  
ავი საქმე არ ჩავგიდენია.

### მირანდა

ო, ეს დღე არის უბედურების!

### პროსპერო

ზიანი არვის არ მივაყენეთ,  
ეს მხოლოდ შენზე ზრუნვისთვის ვქმენი,  
(ჩემო ძვირფასო და ერთადერთო,  
შენთვის, ძვირფასო, ჩემო ასულო!)  
შენ ხომ არ იცი, თუ შენ ვინა ხარ,  
არც ის, თუ სიდან ვარ წარმოშობით,  
ვარ უკეთესი, ვიდრე პროსპერო?  
კაცი უბადრუკ ბინის მფლობელი  
და მამაშენი.

### მირანდა

თავში ეგ აზრად  
არც გამივლია.

### პროსპერო

ახლა დადგა დრო,  
რომ ყველაფერი ღიად მოგიტხრო.  
მომეცი ხელი და მომაცილე  
ეს ჯადოსნური ჩემი უნარი, –  
ასე;

*/მინაზე ფენს თავის წამოსასხამს/*

აქ წამონეჭი, ჩემო სიცოცხლეც,  
და შეიმშრალე შენი თვალები;  
იყავი მშვიდად, მოხერხებულად.  
გემის დალუპვის მზარავი სცენა,  
რომელმაც შეგძრა თანაგრძნობისგან,  
ჩემი მაგიის უნარით შევექმენ –  
იქ არავინაც არ დალუპულა,  
არ დავარდნია თმის ღერი არვის!  
ვინაც კი იყო იმ დროს ხომალდზე!  
ისინი, ვისი დალუპვაც ნახე,  
მოგესმა მათი ნივილ-კივილი,  
ყველა გადარჩა.  
ახლა შენ დაჯექ და მომისმინე:  
შენ ყველაფერი უნდა შეიტყო.

#### მირანდა

მამა, შენ ხშირად იწყებდი ამბავს,  
იმის სათქმელად, თუ მე ვინა ვარ,  
თუმც ჩერდებოდი, მიმატოვებდი,  
ვით უსარგებლო რაღაც ძიებას,  
და დაასკვნიდი – „შესდექ, ჯერ არა...“

#### პროსპერო

მაგრამ ახლა კი ამის დრო დადგა;  
მოვიდა წუთი, ვთქვა ყველაფერი,  
გადავუშალო შენს სმენას ყველა,  
მაშ, გულისყურით დამიგდე ყური.  
წუთოუ არ გახსოვს შენ ის დროება,  
როცა მე და შენ აქ მოვიდოდით,  
ამ სავეანეში დავსახლდებოდით?  
არა მგონია, შენ ეს გახსოვდეს,  
რადგან სამი წლის თუ იქნებოდი.

### მირანდა

რალა თქმა უნდა მაგას, ბატონო.

### პროსპერო

რას? სხვა სახლს თუ ადამიანებს?  
მაშ, ახლა მითხარ, რაც კი შენ გახსოვს  
და რაც გონებამ შემოგინახა.

### მირანდა

ეს ყველაფერი ძლიერ შორს არის  
და ოცნებას გავს, ვიდრე აშკარას,  
რაც ჩემმა ხსოვნამ შემომინახა.  
ასე მგონია, თან დამყვებოდა  
ოთხი თუ ხუთი მომვლელი ქალი.

### პროსპერო

უფრო ზედმეტი... მაგრამ მითხარი,  
ეს რანაირად დაგამახსოვრდა,  
რომ აქობამდე ცოცხლობს შენ გულში?  
აბა, სხვა რამე კიდევ რა გახსოვს,  
ბნელ წარსულიდან, დროს უფსკრულიდან?  
აბა, რა გახსოვს, როგორ ცხოვრობდი,  
ანდა თუ იცი, აქ როგორ გაჩნდი?

### მირანდა

ეგ მე არ მახსოვს.

### პროსპერო

თორმეტი წლის წინ,  
ჩემო მირანდა, თორმეტი წლის წინ  
მამა გყავდა შენ – მილანის დუკა –  
ერთობ ძლიერი, შემძლე პერცოგი;

### მირანდა

მამ, მამაჩემი თქვენ არ ყოფილხართ?

### პროსპერო

დედაშენმა კი – ღირსებისა და სათნოების განსახიერებამ –  
მითხრა, რომ შენ ჩემი ქალიშვილი არ იყავი და რომ შენი  
მამა იყო მილანის ჰერცოგი, –

ხოლო მემკვიდრე მისი პრინცესა,  
მხოლოდ შენა ხარ.

### მირანდა

ო, ღმერთო ჩემო!

რა ღალატმა თუ ბედის ღიმილმა,  
ჩვენ გამოგვდევნა იმ ქალაქიდან?

### პროსპერო

ორივემ, ჩემო პატარა გოგო,  
გამოგვაძევა დიდმა ღალატმა,  
ბედმა კი სწორედ აქ მოგვიყვანა.

### მირანდა

ძლიერ ვნანობ, რომ ჩემი ამბებით...  
რაც გამახსენდა, – გული გატკინე.  
გთხოვ, რომ განაგრძო ამბავი, მამა.

### პროსპერო

ჩემი ძმა, იგი ბიძად გეკუთვნის,  
სახელად ერქვა მას ანტონიო,  
გთხოვ დაიხსომო, რომ ძმასაც ძალუძს  
იყოს გამცემი და მუხანათი!  
იგი მიყვარდა ყველაზე მეტად  
მთელ მსოფლიოში, ოღონდ შენს შემდეგ,  
მას გადავეცი სამეფოს მართვა;

ის სამთავროში პირველი გახლდათ,  
 ხოლო პროსპერო ვიცე-ჰერცოგი.  
 ღირსებასა და ხელოვნებაში  
 მე არა მყავდა ტოლი და სწორი.  
 მაგრამ ამითი გატაცებულმა  
 ჩემს ძმას დაფუთმე ქვეყნის განგება  
 და ჩამოვცილდი ამითი საქმეს,  
 მთლად გამიტაცა მეცნიერებამ  
 და მაშინ შენმა ვერაგმა ბიძამ...  
 მირანდა, მისმენ?

### მირანდა

გისმენ, ბატონო,  
 მე გულისყურით.

### პროსპერო

მან შეისწავლა ის ხელოვნება,  
 თუ როდის უნდა თხოვნის დაყოლა,  
 ან ვინმეს ხვეწნის უარისყოფა.  
 ვისი უნდოდა მას აღზევება,  
 ან ჩამოგდება ნაყარ-ნუყარში  
 გამდიდრებულის და მაგრად მდგომის, –  
 როდესაც იგი ამასა სჯიდა  
 კადნიერება-უტიფრობისთვის.  
 ჩემი ერთგულნი გადაიბირა;  
 შეეძლო ხალხის ხელახლა აღზრდა,  
 ან მათი შეცვლა.  
 ხელში ჩაიგდო ხალხის და საქმის  
 ყველა კლიტენი და ყველას გული  
 მოინადირა სიამტკბილობით.  
 ის იქცა სუროდ, შემოეხვია  
 ჩემს მმართველ სკიპტრას,  
 კარგად დაფარა და გამოსწოვა

სისხლი და ნვენი. შენ გესმის ჩემი?  
მე გთხოვ, ეს კარგად დაიმახსოვრო.

### მირანდა

მე კარგად გისმენთ, ჩემო ბატონო.

### პროსპერო

უგულველყავ რა ეს მინიერი  
ყველა მიზანი, განზრახულობა,  
სამსახურიდან კარჩაკეტილი,  
ერთობ ხმამაღლა შევაფასებდი  
ყველა ხარისხს და ღირებულებას,  
ჰოდა, ამითი გამოვალვიძე  
ჩემი ყალბი ძმის ავი ბუნება.  
ასეთმა დიდმა ნდობამ მისდამი,  
როგორც მშობელმა უძვირფასესმა  
შვა სიცრუე და მატყუარობა,  
რაც ისეთივე დიადი იყო,  
როგორიც ჩემი ნდობა მისდამი.  
ნამდვილად ზღვარი რომ არ გააჩნდა,  
მინდობა, სრული და ულიმიტო;  
ის გახდა ყველას ბატონ-პატრონი.  
ის ახლა უკვე აღარა ფლობდა  
მხოლოდ და მხოლოდ ჩემს შემოსავალს,  
იმ ყველაფერსაც, რასაც ვითხოვდი  
როგორც ჰერცოგი და მეპატრონე;  
ახლა ის გავდა სიმართლის დამრღვევს,  
ვისი გონებაც ისე დაეხშო,  
რომ თვითვე სჯერა თავის სიცრუე -  
და რომ ის გახდა ახლა ჰერცოგი  
და არა მხოლოდ მისი მონაცვლე.  
მას ახლა ჰქონდა ყველა ნიშანი  
უზენაესი ძალაუფლების,

იზრდებოდა ვით პატივმოყვარე,  
შენ მისმენ?

**მირანდა**

თქვენი მოთხრობა ყრუს განკურნავდა.

**პროსპერო**

ჰოდა ოცნება რომ ქცეულიყო  
რეალობად და სრულ სინამდვილედ,  
მან გადაწყვიტა, რომ გამხდარიყო  
მილანის სრული ბატონ-პატრონი;  
მე კი, საცოდავს მბრძანებლობისთვის,  
ბიბლიოთეკები მეკმარებინა.

ხოლო ქვეყნიერ მმართველობისთვის  
მთვლიდა უნიჭოდ და უმაქნისად.

(ისე სწყუროდა მას ბატონობა), –

რომ ნეაპოლის მეფესთან იმან

გააბა ძმობა, ურთიერთობა:

აღუთქვა მეფეს მორჩილება და

ხარკი, ჯეროვნად პატივისცემა.

თავის გვირგვინი დაუმორჩილა

მისი გვირგვინის ძალა-უფლებას,

და საჰერცოგოც თავისუფალი, –

(ო, საცოდავი ჩემი მილანი!)

დაამდაბლა და ნელში გალუნა.

**მირანდა**

ო, ზეცის მაღლო, შენ დაგვიფარე!

**პროსპერო**

ახლა შენ უკვე ყველა გაიგე

და აბა, მითხარ: შეეძლო ჩემს ძმას

ასე მოქცევა?



### მირანდა

ცოდვა იქნება

ცუდი ვიფიქრო ბებოზე, მაგრამ  
ხშირად კეთილი ადამიანი  
შობს აი, ასეთ საშინელებას.

### პროსპერო

შემდეგ რა მოხდა: ნაპოლის მეფემ  
დიდი ხნის მტერმა, ჩემმა მეტოქემ,  
მან გადაარწმუნა ჩემი ღვიძლი ძმა,  
რომ მორჩილების, ხარკის გულისთვის, –  
მე არ ვიცი თუ რაოდენ დიდის, –  
განვდეგნილიყავ ჩემი ოჯახით  
საჰერცოგოდან სამარადისოდ!  
ხოლო ლამაზი, ტურფა მილანი,  
მთელი ღირსებით, პატივისცემით  
გადაელოცათ ჩემი ძმისათვის.  
მათ გამცემელთა შეკრიბეს ჯარი  
და აი, ამ ლაშქრით შუაღამისას,  
ბედისწერით თუ ასეთი ხვედრით,  
ანტონიომ მთლად გააფრიალა  
მილანის კარი;  
ლამის წყვდიადის საფარველის ქვეშ  
გამოგვაძვეეს იმ ქალაქიდან  
ჩვენ სამუდამოდ. შენა სტიროდი.

### მირანდა

ღმერთო, რა ბედი დაგვტეხია თავს!  
არ მახსოვს, მაშინ როგორ ვტიროდი  
თუმცა სატირლად ახლაც მზადა ვარ,  
შენმა ამბავმა ცრემლი მომგვარა.

### პროსპერო

ცოტასაც გეტყვი, მოვუახლოვდეთ  
 დღევანდელსა დღეს, დღევანდელ ამბებს;  
 რაც ჩვენთან არის, თავს დაგვეტრიალებს,  
 სხვაგვარად მთელი ჩემი ნათხრობი  
 იქნება ფუჭი და უადგილო.

### მირანდა

გასაკვირია, რომ არ დაგვხოცეს.

### პროსპერო

სწორს ბრძანებ, შვილო. ჩვენი ამბავი  
 მაგ კითხვას ბადებს.  
 მაგრამ მოკვლა მათ ველარ გაბედეს.  
 (ჩემს ხალხს მე მუდამ ძლიერ ვუყვარდი)  
 და ეშინოდათ სისხლიან საქმის;  
 თუმც ეს აუგი დაბოლოება  
 შეაფერადეს ამაო მიზნით:  
 სასწრაფოდ ჩაგვსხეს ანძიან გემზე  
 და გაგვიყვანეს შორს, შუა ზღვაში;  
 იქ ჰქონდათ ჩვენთვის მომზადებული  
 ნავის კარკასი, ერთობ დამპალი:  
 არავითარი აღჭურვილობა,  
 არც აფრები და არც ერთი ანძა,  
 ვირთხებმაც დიდხანს რომ მიატოვეს.  
 იმაში ჩაგვსვეს,  
 ყალყზე შემდგარი ტალღებისა და  
 გამძვინვარებულ ქარის ამარა;  
 ისლა დაგვრჩა, რომ გვეთხოვა ზღვისთვის,  
 თხოვნა ღრიალით გვიბრუნდებოდა,  
 ხოლო თუ გრიგალს ვთხოვდით ნყალობას,  
 იგი უკანვე მოგვიმღერებდა  
 და „სიყვარულით“ გვაზიანებდა.

### მირანდა

ვაიმე! ალბათ, მაშინ როგორი  
თავში საცემი ვიყავი თქვენთვის!

### პროსპერო

შენ ქერუბიმი იყავი ჩემი  
ჩემი დამცველი და გადამრჩენი!  
ილიმებოდი შენ იმდაგვარად,  
ვით სანახევრო ღვთიური ძალა,  
როდესაც მე ზღვას ცრემლებს ვაფრქვევდი.  
და გამწარებულ დარდით ვგოდებდი;  
შენმა ღიმილმა ძალა შემმატა,  
რომ დამეძლია ის ყველაფერი,  
რაც ჩვენ ორივეს გვემუქრებოდა.

### მირანდა

კი მაგრამ მითხარ, როგორ გადავრჩით?

### პროსპერო

ბედისწერის და განგების ნებით.  
წყლისა და საქმლის მარაგიც გექონდა,  
კეთილშობილმა ნეაპოლელმა  
გონზალომ ამით მოგვამარაგა, –  
(ვინც განაგებდა ასეთ საქმეებს), –  
ეს ყველაფერი გამოგვიბოძა:  
სამოსი, საქმელ-სასმლის მარაგი,  
მდიდართ შარვლები და თეთრეული,  
წამალი, ყველა გარდაუვალი,  
გარდაუვალი, საჭირო რამე;  
თავის მოწყალე, კეთილი გულით,  
რაკი იცოდა, წიგნი მიყვარდა,  
ის წიგნებიც კი გამომატანა,  
რომლებიც ფასობს უფრორე მეტად,  
ვიდრემდე სულ მთლად საპერცოგოა.

### მირანდა

ნეტავ ოდესმე მანახა იგი!

### პროსპერო

ახლა ავდგები. წყნარად იჯექი.  
 უსმინე რითი მორჩება ზღვის შფოთი.  
 მგონი გაგვრიყა რალაც კუნძულზე.  
 აქ კი, მე შენი მასწავლებელი,  
 გასწავლი როგორ უნდა მოიქცე,
 სხვა პრინციპებზე უფრორე უკეთ,  
 რომელთაც ქონდათ უფრო მეტი დრო,  
 ყოვლად ფუჭი და უსარგებლო დრო,  
 არც ისე მზრუნველ ტიტოტორთა ხელში.

### მირანდა

მადლი უფალსო!  
 ახლა კი თქვენ გთხოვთ, ჩემო ბატონო,  
 გამცეთ პასუხი ჩემს შეკითხვაზე,  
 რაც მიბურღავს ტვინს, –  
 რა მიზეზით ან რა საფუძველით  
 გამოინვიეთ ეს ქარიშხალი?

### პროსპერო

აჰა, ინებე,  
 რალაც უცნაურ ამბის წყალობით,  
 ჩემი ფორტუნის გულუხვობისგან,  
 გეტყვი შენ, ჩემო ძვირფასო ლედი,  
 რომ ყველა ჩემი მტერი, მოძულე,  
 მოიყვანა ამ კუნძულის პირას,  
 და ჩემი წინათჭვრეტის ვარსკვლავი  
 არის მწვერვალზე, თავის ზენიტში,  
 თუ არ ვიხელთებ იმის გავლენას,  
 ჩემი იღბალი ჩაესვენება.

მორჩი შეკითხვებს; – შენ გეძინება!  
ძილმა შენ კარგად დაგრია ხელი,  
წინააღმდეგობას ნულარ გაუნევე;  
სხვა არჩევანი შენ აღარა გაქვს.

*/მირანდა იძინებს/*

ახლა გამოჩნდით, ჩემო მსახურნო,  
მე ახლა მზად ვარ. აბა, გამოდი,  
ჩემო არიელ.

*/შემოდის არიელი/*

**არიელი**

სალამი შენდა!

დიდო ოსტატო. ჩვენო ბატონო,  
დარბაისელო, სალამი თქვენდა!  
მე აქ გახლავარ, რომ ვემსახუროთ,  
საუკეთესო სიამოვნებას, –  
ვიფრინო, ვცურო, გნებავთ, დავეყვინთო  
გავარვარებულ კოცონის გულში,  
ან ვიქენაო ხუჭუჭ ღრუბლებზე,  
ოლონდ გვიბრძანე და არიელი  
მზადაა შენთვის, რომ გემსახუროს  
სრული პატივით, მთელი ღირსებით.

**პროსპერო**

აბა, ახლა შენ მითხარი, სულო,  
შტორმს უხმე, როგორც მე შენ გიბრძანე?

**არიელი**

ყველა წვრილმანით.  
მე შეფის ხომალდს დავესხი თავზე, –

ცხვირზეც, გემბანზეც და კაიუტებში,  
ვაგიზგიზებდი პანიკის ალებს.  
ზოგჯერ დავყოფდი გემს ნაწილებად  
და იქ ვუნთებდი ცეცხლისა ენებს, –  
ანძებს, ბუშ-პრიტს თუ რაინას, რეას  
ყველას ცალ-ცალკე ცეცხლი ეკიდა,  
იმ ელვა-ჭექად, – იუპიტერი  
ჩვენ რომ გვიგზავნის დიდი წვიმის წინ,  
ამაზე ხნრაფად, მოულოდნელად,  
არ შეიძლება ჭექა-ქუხილი,  
და ჭახა-ჭუხი მოულოდნელი  
გრგვინვის და დამწვარ გოგირდის სუნით  
თვითონ ნეპტუნიც კი შეკრთებოდა,  
თითქოს ტალღებსაც ეცა თავზარი,  
მისი სამთითაც კი კანკალებდა.

### პროსპერო

ჩემო მამაცო, გულადო სულო!  
ვინ იქნებოდა იქ ისე მტკიცე,  
რომ ამისთანა ბობოქარ ზღვაში  
არ დაეკარგა გონიერება.

### არიელი

არც ერთი სული. გაგიჟებულნი,  
უსასონი და უიმედონი,  
მეზღვაურთ გარდა, წყალში ხტებოდნენ  
იმ აქაფებულ, ბობოქარ ზღვაში,  
ალში გახვეულ გემის ბანიდან,  
ნიჩბებს ყველანი თავს ანებებდა,  
და ჩემთან ერთად ცეცხლში იწვოდა.  
ხოლო მეფის ძე, პრინც ფერდინანდი,  
შიშისგან თმებით ყალყზე დამდგარით,  
(ვით არამტკიცე, უპირო კაცი)

პირველი იყო გადმობტომაში  
და მხოლოდ ესლა წამოიყვირა, –  
„– ჯოჯოხეთი მთლად დაცარიელდა,  
ყველა ბოროტი სული აქ არის!“

**პროსპერო**

გმირი ხარ, ჩემო მამაცო სულო!  
მაგრამ ნაპირი ახლოს არ იყო?

**არიელი**

კი ახლოს იყო, ჩემო ბატონო.

**პროსპერო**

ყველა გადარჩა?

**არიელი**

ერთი ბენვიც კი

იმათ თავებს არ ჩამოვარდნია.  
სამოსი არც კი გაფუჭებიათ,  
როგორც მიბრძანე, ჩემო ბატონო.  
ტან-ფეხი უფრო ცინცხალი ეცვათ,  
ვიდრე ემოსათ იგი თავიდან.  
როგორც მიბრძანეთ, – ახლა ისინი  
კუნძულზე ისე მე მიმოვფანტე.  
მხოლოდ მეფის ძე დავტოვე მარტო,  
ოხვრა-ქოშინით აგრილებს ჰაერს,  
ის ერთ მივარდნილ კუთხეშია და  
ეულადა ზის გულხელდაკრეფით.

**პროსპერო**

მეფის ხომალდი? მეზღვაურები?  
მისი მგზავრები და ეკიპაჟი?  
მითხარი, იმათ რალა დამართე?  
სად არის ახლა ფლოტის ნანილი?

### არიელი

გემი დგას ახლა სანდო ნაპირთან,  
 ყურე იქ ღრმაა; ერთხელ მიმიხმე  
 იმ ადგილს რათა, –  
 მისი ცვარ-ნამი რომ აგვეკრიფა; –  
 ნადავლი მუდმივ მღელვარებისა.  
 ზღვა იყო მშვიდი და ერთობ წყნარი...  
 მე იქ დავმალე: მეზღვაურები  
 და გემზე მყოფი მოგზაურები,  
 მაგრად ჩავკეტე ვით პატიმრები.  
 განამებულებს, ჩემს თილისმისგან,  
 დაეძინათ ვით მკვდრებს უსიცოცხლოთ, –  
 ასე დავტოვე.  
 ხოლო ის ფლოტი, მე რომ გავფანტე,  
 ნელ-ნელა ისევ თავს მოიყრიან.  
 ახლა ისინი ხმელთაშუა ზღვით,  
 ყურჩამოყრილნი ეშურებიან  
 ისევ სახლისკენ, ნეაპოლისკენ.  
 ვარაუდობდნენ, რომ მათ იხილეს,  
 როგორ დაიმსხვრა მეფის ხომალდი  
 და თვით ხელმწიფეც იქ დაიღუპა.

### პროსპერო

ეს დავალება ზუსტად შესრულდა.  
 თუმც ბევრი დარჩა ჯერ კიდევ საქმე.  
 ახლა რა დროა?

### არიელი

გასცდა შუადღეს.

### პროსპერო

მაშ, ორი შუმა<sup>2</sup> უკვე გასულა;

2 პროსპერო გულისხმობს ქვიშის საათს.



ახლა ჩვენი დრო ექვს საათამდე,  
გონივრად უნდა გამოვიყენოთ.

### არიელი

ისევე საქმე? სხვას რას მიბრძანებ?  
ოლონდ მანამდე, ნება მიბოძე,  
მე შეგახსენო დანაპირები,  
რომელიც ჯერ არ შესრულებულა.

### პროსპერო

ეს რა? ხუშტური? გამაგებინე  
რა გნებავს ჩემგან?

### არიელი

თავისუფლება.

### პროსპერო

როცა დრო მოვა, მანამდისინ კი  
არაფრისათვის!

### არიელი

გემუდარები.

გახსოვდეს კარგად, მე გემსახურე  
რწმენით, ღირსებით;  
არა ვსტყუოდი, არცა ვცდებოდი,  
არა გსმენია ჩემგან ბუზღუნი,  
სამდურავი თუ გულნაკლულება;  
შენ დამპირდი, რომ შემიმოკლებდი  
ნელინადს მაინც.

### პროსპერო

შენ დაგავინყდა,  
როგორ ტანჯვისგან გამოგიხსენი?

### არიელი

არა.

### პროსპერო

მე კი მგონია, რომ დაგავინყდა;  
და გეჩვენება ახლა სამძიმოდ  
მლაშე სიღრმეთა პირზე ხრიალი,  
ჩრდილოეთ ქარზე ამხედრებული;  
და მინის გულში ჩაეშვა ჩემთვის,  
ყინვებისაგან გამოფიტულში.

### არიელი

არა, ბატონო.

### პროსპერო

ახლა კი სცრუობ,  
ბოროტო სულო! მაშ დაგავინყდა  
სიკორაქსელი ჯადოქრის სული?  
რომელიც მტრობის თუ ნღების გამო,  
მთლად მოიკაკვა ბორბალის დარად,  
მაშ დაგავინყდა ის კუდიანი?

### არიელი

არა, ბატონო.

### პროსპერო

კი, დაგავინყდა.  
აღარც ის გახსოვს, სად დაიბადა?  
ხმა ამოიღე, აბა, მითხარი.

### არიელი

აღუფირში, სერ.

### პროსპერო

ოო, ნამდვილად?

თვეში ერთხელ მე უნდა მოგიყვე,  
სადაც ყოფილხარ, თორემ ივინყებ;  
ის ბებერი კი სიკორაქსელი,  
ჯადოქრობისთვის და საშინელი  
ბოროტებისთვის, რის გახსენებაც  
ჩემთვის ერთთავად სამძიმო არის,  
გამოაძევეს ის ალჟირიდან.  
ვერ გამიგია, რა მიზეზებით.  
დატოვეს იგი ცოცხალთ სიაში;  
ასე არ არის?

### არიელი

დიახ, ასეა,

ჩემო ბატონო.

### პროსპერო

თვალამღვრეული

ეს ჯადოქარი, ვიღაცა ბავშვით,  
მეზღვარებმა აქ დაარჩინეს.  
შენ, ჩემი მონა, მაშინ იმასთან  
მსახურად იყავ; და მაშინ რაკი  
შენ ბრძანდებოდი ერთობ ფაქიზი  
იმისათვის, რომ ხელი შეგეწყო  
მინიერსა და ბოროტ საქმეში,  
ყურს არ უგდებდი ბებრის ბრძანებებს  
და უფრო ძლიერ სულთა შენევნით,  
დაუოკებელ თავის სიავით,  
ჩაგტენა ნაძვის გაპობილ ტანში,  
სადაც ტანჯვით და ვაი-ვაგლახით,  
თორმეტი წელი უნდა დაგეყო,  
მაგრამ ამ დროს მან ფეხი გაჭიმა

და შენ სულყველას გადაავინყდი.  
აქ შენ კვნესოდი, შენა სტიროდი,  
ოხრავდი, როგორც ნისქელის დოლაბი.  
მაშინ კუნძულზე არვინ ცხოვრობდა,  
იყო უკაფი და უდაბური,  
(გარდა შვილისა, რომელიც იმან,  
ზღვის ნაგავივით აქ მიატოვა).  
სხვა კაციშვილი არ ჭაჭანებდა.

### არიელი

ის ვაჭიშვილი იყო კალიბან.

### პროსპერო

ერთი შტერი და გონებაჩლუნგი  
იყო ის შვილი, რომელიც ახლა  
ჩემი მონაა, მოსამსახურე.  
შენ კარგად გახსოვს ტანჯვა-ნამება;  
როცა გიპოვე, შენი ღმუილი  
მგლების ხროვასაც ააყმუველებდა,  
შეაშინებდა გაავებულ დათვის;  
ნამება იყო ჯოჯოხეთური.  
თვით სიკორაკსის თილისმებიც კი  
ვერ მოგიხსნიდა შენ იმ ნამებას.  
მე მაშინ ჩემი ხელოვანებით, –  
როცა მოვედი და გავიგონე,  
შენი ღმუილი ნამებისაგან,  
იმ ნაძვს ნახეჩი გავუფართოვე  
და შენი თავი გავაშვებინე.

### არიელი

მადლობას გიხდი, ჩემო ბატონო.

### პროსპერო

შენს ჩივილს კიდევ თუ გავიგონებ, –  
მუხას გავაპობ და მის კორძიან  
გულში იღმუველებ კიდევ ოც ზამთარს.

### არიელი

ო, მაპატიე, ჩემო ბატონო, –  
მე ვარ დამჯერი შენი ბრძანების,  
საქმის მორჩილად შემსრულებელი.

### პროსპერო

ასე მოიქეც; ორი დღის შემდეგ  
გათავისუფლებ.

### არიელი

ო, მბრძანებელო!  
რა გავაკეთო? ოღონდ მითხარი,  
რა გავაკეთო?

### პროსპერო

ახლა ნადი და  
ზღვის ნიმფად ჩქარა გადაიქეცი;  
ხილული მხოლოდ ჩემთვის იყავი;  
უხილავი კი ყველა თვალისთვის.  
ნადი, ის ფორმა ხელად მიიღე  
და გამოცხადდი ისევე ჩემთან.  
ახლა კი გასწი.

### /არიელი გადის/

გამოიღვიძე, ჩემო ძვირფასო,  
გამოიღვიძე, ბევრი გეძინა;  
გამოიღვიძე!

### მირანდა

მაგ მონათხრობის  
უცნაურობა მძიმედ დამანვა.

### პროსპერო

შენც ადექი და ჩამოიფერთხე.  
აბა, ეს სცადე. ახლა ვენვევით  
კალიბანს, მონას, კეთილ პასუხს რომ  
აროდეს გვეტყვის.

### მირანდა

ის არამზადა!  
მისი დანახვაც არ მსურს, ბატონო;

### პროსპერო

კი, მაგრამ ახლა  
არ შეგვიძლია უმაგისობა.  
მას შეშა მოაქვს, კოცონს აჩალებს,  
გვემსახურება ამ სამყოფელში,  
სადაც ჩვენ ვცხოვრობთ. ეი, სადა ხარ!  
მონავ! კალიბან!  
შე მინის ბელტო, ხმა ამოიღე!

*/კალიბანი კულისებიდან/*

მანდ კიდე არის სამყოფი შეშა.

### პროსპერო

ნინ წამოდექი, მე გეუბნები,  
სხვა დავალებაც აქა მაქვს შენთვის;  
გამოდი მეთქი, კუს ნაშიერო,  
მოხვალ თუ არა!

*/ბრუნდება წყლის ნიმფასავით გამოწყობილი არიელი/*

მშვენიერი ხარ,  
ჩემო არიელ, მომიახლოვდი,  
რალაცა მინდა რომ ჩნაგჩურჩულო.

*/ჩასჩურჩულებს ყურში/*

არიელი  
ეგ გაკეთდება, ჩემო ბატონო.

*/გადის/*

პროსპერო  
*/მიმართავს სცენის მიღმა დამალულ კალიბანს/*

შე, შხამიანო, უღირსო მონავ,  
იქედნესა და ეშმას ნაშობო,  
ნინ ნამოდექი!

*/შემოდის კალიბანი/*

კალიბანი  
ის ცუდი ნამი, დედა რომ კრეფდა  
ყვავის ბუმბულით მავნე ჭაობზე,  
თავს დაგეფრქვიოს! ხოლო ტანი კი  
სამხრეთ-დასავლეთ ქარმა დაშუშხოს  
და დაგიფაროს ტანი ბებრებით.

პროსპერო  
რის გულისთვისაც, მე შენ გარნმუნებ,  
შუბს გაძგერებენ ამაღამ გვერდში,  
ამით მოგეზღვის ყველაფრისათვის;  
ამოსუნთქვასაც კი ვერ მოასწრებ,  
და უნმინდური ეგ ავი სული

მთელი ცხოვრება არ მოგასვენებს:  
განამებს, დაგჩხვლეს, ასე განვალებს,  
დაგაფაცხავენს, ვით ფუტკრის ფიჭას,  
ოლონდ ფუტკარზე უფრორე მწვავედ!

### კალიბანი

ჯერ დამაცადე, რომ ვისადილო;  
ეს კუნძული ხომ ისეც ჩემია, –  
დედისგან მერგო მემკვიდრეობად,  
შენ კი აილე და ჩამომართვი.  
ჭირველად, როცა აქ ჩამოხვედი,  
მომეალერსე და მომეფერე;  
კენკრების წვენიტ გამიმასპინძლდი.  
შენ შემასწავლე დიდ ცეცხლს რა ერქვა,  
დანარჩენებიც მოციმციმენი,  
დღისით და ღამით რომ კაშკაშებდა  
და ამისათვის შენ შეგიყვარე,  
სულ მოგატარე მთელი კუნძული,  
მარილიანი ტბა და ტბორები  
და მოჩუხჩუხე კამკამა წყარო,  
გამოფიტული, მშრალი უდაბნო,  
ნაყოფმდიდარი, უხვი ადგილნიც;  
წყეულიმც ვიყო მე ამისათვის!  
დე, სიკორაქსის ყველა თილისმამ,  
გომბეშოებმა და ხოჭოებმა,  
მწვანე ვასაკამ და ღამურებმა  
გადაგილობონ გზა და სავალი;  
ახლა მე თქვენი მონა-მორჩილი,  
ერთხელ კუნძულის ვიყავი მეფე!  
თქვენ გამომკეტეთ ამ მკაცრ კლდეებში,  
ამით გამმიჯნეთ კუნძულისაგან.



### პროსპერო

ცბიერო მონავ, სიკეთის ნაცვლად,  
გამათრახება უფრო გჭირდება;  
ხოლო მე შენზე გამოვიჩინე, –  
კაცზე კი არა ნამდვილ ტალახზე, –  
ეს ჰუმანური ზრუნვა-ამაგი.  
ჩემთან გაცხოვრე, ჩემსავ სენაკში,  
მანამდე ვიდრე შენ არა სცადე,  
რომ წარგეტაცა უმანკოება  
ჩემი ბავშვისთვის.

### კალიბანი

ო, ჰო, ჰო, ოჰო!

ვაი, რომ მე ეგ ვერ მოვახერხე!  
შენ გადმეღობე, თორემ კალიბნებს  
მოვამრავლებდი მე ამ კუნძულზე.

### პროსპერო

მურტალო მონავ!

შენთვის სიკეთე მიუწვდომია,  
შენ ბოროტება თუ შეგიძლია!  
მე მებრალები! მე შენ გასწავლე  
ლაპარაკი და შრომა და ჯაფა,  
როცა ნამდვილი ველურის მსგავსად  
შენ სურვილებს ვერ გამოხატავდი,  
მხოლოდ ღმუოდნი.  
მე აგისენი რაც გჭირდებოდა –  
ნამდვილ სიტყვების თქმა, მოხმარება.  
თუმც ვერ შეეძლო ავ ბუნებიდან  
სიკეთით მაგის მთლად ამოძირკვა,  
რანაირად არ ვცდილობდი მაგას.  
აი, მაგისთვის მოგეცი ბინა  
კლდის პირას, ერთობ უკაცურ ალაგს,  
თუმც ავ ციხეს კი იმსახურებდი.

### კალიბანი

კი, ლაპარაკი შენ მე მასწავლე, –  
იმისათვის რომ წყევლა შემეძლო,  
ჭირს ნაულიხარ შენ ამისათვის,  
რომ შემასწავლე ეგ შენი ენა!

### პროსპერო

თავიდან მომწყდი, ეშმას ნაშობო!  
აბა, საჩქაროდ შეშა მოზიდე,  
პასუხი უნდა სხვა საქმეებსაც.  
მხრებსაც იჩეჩავ მაგ ავკაცობით?  
იქნებ არა გსურს, ანდა უარყოფ  
იმას, რასაც მე გიბრძანებ სწრაფად,  
მე გაგანამებ ძველი კრუნჩხვებით,  
ძვლების ტკივილით ისე გაგთანგავ,  
ისე გაღმუვლებ, რომ შიშისაგან  
ველური მზეცნიც კი შეკრთებიან.

### კალიბანი

ო, შემიბრალე! შენი მონა ვარ,  
შენს წინაშე მე ახლა ქედს ვიხრი.

### /გვერდზე/

ეს თვის საქმეში ხელოვანია,  
ვერ შეედრება თვით სეტებოსი,  
დედაჩემის ღმერთს. იმასაც დასცემს  
და გადააქცევს თავის ვასალად.

### პროსპერო

აბა, მსახურო, ახლავე ნადი!

### /კალიბანი გადის/

*/შემოდის უხილავი არიელი; იგი უკრავს და მღერის. მას  
შემოჰყვება ფერდინანდი/*

*/არიელის სიმღერა/*

**არიელი**

*/მღერის/*

ყვითელ ქვიშის ნაპირზე,  
მოდით ჩავჭიდოთ ხელი!  
ერთმანეთს თუ აკოცებთ,  
(ტალღაც მშვიდდება ხელი!)  
ფეხიც მაგრად გაუსვით;  
ტკბილნო სულნო, ფრენ-ფრენით  
აქეთ-იქით დაჰკარით,  
მომიმღერეთ რეფრენი.

*/ისმის მისამღერი ყოველი მხრიდან/*

ჰე, ჰე, ჰე!

აგერ ჯაჭვით დაბმული  
ძალღებიც სადღაც ყეფენ,  
გულის გასანვრილებლად,  
თავის მომაბეზრებლად, –  
ჰავ, ჰავ, ჰავ!

სადღაც ყივის მამალიც, –  
ყიყლიყოო, ყიყლიყოო!

**ფერდინანდი**

ნეტავ საიდან ისმის ეს ხმები,  
ზეცით მოდის თუ მინის გულიდან?  
ახლა კი შეწყდა, აღარ გაისმის,  
რომ ეს სიმღერა ისევ გაიბას.  
აღბათ, ნამდვილად ის ელოდება

ამ კუნძულების ერთ-ერთ ღვთაებას.  
როცა ნაპირზე მარტო ვიჯექი,  
ვგლოვობდი მეფე-მამის დაღუპვას,  
ეს მელოდია, ზღვით მომეპარა,  
ჩააცხრო ტალღა და ჩემი სევდა.  
მან გამიტაცა და უცებ გაქრა.  
არა, აგერ ის გაისმის ისევ.

**არიელი**

*/მღერის/*

მამაშენი წევს ზღვის ფსკერზე,  
მარჯანი აქვს იმას ძვლებზე.  
და სადაც მას ქონდა თვალი,  
მარგალიტის ბრწყინავს ალი.  
არ გაქრა, არც დაიღუპა,  
ზღვების განძად გადაიქცა,  
დამკრძალავი მესმის ზარი, -

*/მისამღერი/*

დინ-დინ-დონ! დინ-დინ-დონ!

**ფერდინანდი**

სიმღერა დამხრჩვალ მამას მაგონებს: -  
ეს მოკვდავების საქმე არ არის,  
ეს მინიერი ხმები არა უღერს.  
ისინი მალლით, ზეცით გაისმის.

**პროსპერო**

*/მირანდას/*

ასწიე მალღა შენი წამწამი  
მითხარ, რას ხედავ?

### მირანდა

რასა და სულებს?

ღმერთო, რაგვარად მიყურებს იგი!  
ო, დამიჯერეთ, ჩემო ბატონო,  
ვაჟკაცურია, მაგრამ სულია.

### პროსპერო

არა, ასულო. ის ჭამს და სძინავს,  
და იგივეს გრძნობს, რასაც ჩვენა ვგრძნობთ,  
რასაც შენ ხედავ; – ვაჟკაცი არის,  
ის მოხვდა გემის კატასტროფაში.  
დარდი რომ ასე გულს არ უკლავდეს –  
ეს სილამაზის წყლული და მღრღნელი –  
შენ უწოდებდი იმას მშვენიერს;  
ახლა ის ეძებს დამხვრჩვალ მეგობრებს.

### მირანდა

მართლა ღვთიური სილამაზე აქვს!  
უკეთესი მე არსად მინახავს.

### პროსპერო

/განზე/

საუცხოოა! აჩრდილო ჩემო,  
საუკეთესო! ერთ-ორ დღეში მე  
განთავისუფლებ!

### ფერდინანდი

აგერ ღმერთქალიც,  
ვისი ხმაც მესმის, – ეს აღიარეთ,  
ჩემო მლოცველნო! – ერთიც ვიცოდეთ,  
თუ თქვენ დარჩებით ამ კუნძულებზე;  
მაშ დამარიგე, როგორ მოვიქცე,

ოღონდ მითხარი, თუ აქა ცხოვრობ?  
ესაა ჩემი პირველი ლოცვა,  
მას ბოლოს ვიტყვი,  
ო, მიპასუხე, შენ სასნაულო,  
ქალნული თუ ხარ?

### მირანდა

მერნმუნე, არ ვარ მე სასნაული,  
ერთი უბრალო ქალიშვილი ვარ.

### ფერდინანდი

შენ ჩემს ენაზე მესაუბრები?  
ო, ღმერთო ჩემო!  
მე ვარ მათ შორის საუკეთესო,  
ვინც ლაპარაკობს, აი, მაგ ენაზე.  
ვიყავი, სადაც ლაპარაკობდნენ...

### პროსპერო

როგორ! შენ ამბობ საუკეთესო?  
გამაგებინა რა იქნებოდი,  
ეგ რომ გაეგო ნაპოლის მეფეს.

### ფერდინანდი

იგივე კაცი: განცვიფრებული,  
რომ ლაპარაკობ დიად მეფეზე.  
მას ჩემი ესმის, მიტომ ვტირივარ;  
ამჟამად მე ვარ ნაპოლის მეფე.  
მე საკუთარი თვალებით ვნახე,  
ვით დაილუპა დიადი მეფე, –  
მშობელი ჩემი, ზღვის მოქცევისას.

### მირანდა

საბრალო კაცი!

### ფერდინანდი

ყველა დაიხრჩო:

მილანის დუკა, თავისი ვაჟით...

### პროსპერო

მილანის დუკა... მისი ქალწული,  
უფრო მამაცი, გულადი ქალი,  
დააკვირდება შენს მოქმედებას.

### /გვერდზე/

(და სულ იოლად დაამხოვს შენს ტახტს,  
თუმცა მაგისი დრო ჯერ არ არის;  
უკვე აღმაცრად დაუნყეს ცქერა);  
ყოჩაღ, არიელ! განთავისუფლებ!

### /ფერდინანდს/

ორიოდ სიტყვა, ჩემო ბატონო,  
ვშიშობ ის არ ხართ, თავი რომ მოგაქვთ;  
ერთი სიტყვა...

### მირანდა

რად ლაპარაკობთ, მამა, უხეშად?  
ეს მესამეა, ვინც კი მე ვნახე;  
ხოლო პირველი, ვისზედაც ვოხრავ.  
სამნუხაროა, მე გამაჩნია  
ჩემი გზისაკენ მიდრეკილება!

### ფერდინანდი

თუ ქალწული ხარ, თავისუფალი,  
მაშინ მე გაქცევ შენ დედოფლად,  
ნეაპოლისა.

### პროსპერო

წყნარად, ბატონო,

*/განზე/*

ამათ ერთურთი გავლენის ქვეშ ყავთ,  
უნდა გართულდეს ეს სიყვარული,  
არ გახდეს იგი ხელმისაწვდომი,  
ერთობ იოლი და მისაღწევი.

*/ფერდინანდს/*

კეთილინებე და მომისმინე, –  
შენ ვინაობის გაუმფლავნებლად  
მე ამ კუნძულზე გამომეცხადე,  
როგორც ჯაშუში, რათა წარმტაცო,  
ჩემი მამული...

**ფერდინანდი**

არა, ვფიცავარ

მე ჩემს კაცობას!

**მირანდა**

ვერავითარი ბოროტი სული  
ასეთ ტაძარში ვერ დაიბუდებს,  
მხოლოდ სიკეთე აქ დასახლდება.

**პროსპერო**

მე გამომყევით,

*/ფერდინანდს/*

მაგას ნუ იცავ,  
მოლაღატეა. აბა, წავედით.  
ფეხზე და ყელზე ბორკილს დაგადებ,  
სასმელად მხოლოდ ზღვის წყალსლა მოგცემ;  
ხოლო საჭმელად გექნება მხოლოდ  
მუხის რკოებს რომ ბუდე დარჩება;  
მომყევით მეთქი!



### ფერდინანდი

არა და არა!

მე ვერ ავიტან ასეთ მოქცევას,  
სანამდე მტერი არ დამამარცხებს.

*/ხმალს გააშვივლებს, მაგრამ ბიჯის წინ წადგმასაც ვერ  
ახერხებს მოჯადოებული/*

### მირანდა

ძვირფასო მამა, აბა, რად გინდა  
მისი ასეთი მკაცრი გამოცდა?  
წყნარი კაცია, არ არის მხდალი.

### პროსპერო

როგორ?! შეგირდი მევე მასწავლის?  
ჩააგე, მეთქი, ხმალი, გამცემო!  
ყოყლოჩინობ კი, მაგრამ ხმლის დაკვრას  
ვერ გაბედვინებს შენი სინდისი.  
ისე არის ის დამძიმებული  
დანაშაულით;  
აბა, ეს დარტმა მოიგერიე,  
თორემ ამ კეტიტ განგიარაღე  
და მაგ ხმალს ჯოხით გაგაგდებინებ.

### მირანდა

ოო, მამიკო, მე გვეედრები!

### პროსპერო

მომწყდი თავიდან; ნუ შეკიდები.

### მირანდა

მონყალე იყავ, ჩემო ბატონო,  
თავდებად ამას მე დაუუდგები.

## პროსპერო

ჩუმადა!

ერთი სიტყვა რომ კიდევ წამოგცდეს,  
შენ თავს ის კარგად გამალანძღვინებს,  
ან უფრო მეტი, – თავს შემაძულე.  
როგორ? ბედავ და შენ თაღლითს იცავ?  
გაიკმინდე ხმა! შენა გგონია,  
აღარ არიან  
კაცები მასზე მომხიბვლელები,  
შენ მხოლოდ მას და კალიბანს იცნობ  
აი, შე ბრიყვო! სხვასთან ტოლობით, –  
ეს კალიბანია,  
ხოლო სხვები კი, – ანგელოზები.

## მირანდა

ასე ჩანს, ჩემი პრეტენზიები  
ყოფილა უფრო მოკრძალებული.  
მე არ მქონია ის ამბიციია,  
რომ მომენონოს უფრო ლამაზი

## პროსპერო

აბა, ჰე, მაშ მე დამემორჩილე.

## /ფერდინანდს/

ბავშვივით გითრთის ყოველი კუნთი,  
მათ აღარა აქვთ ძალა, მხნეობა.

## ფერდინანდი

დიახ, ბატონო.  
ეს ჩემი სული სიზმრებში არის  
და მეჩვენება, რომ შებორკილი ვარ.  
მამის დაკარგვა...  
ეს ჩემი უღონობაა,

რომელსაც ასე ძლიერ განვიცდი;  
იქ ყველა ჩემი მეგობრის მარცხი  
და ყველა მყოფზე ავი მუქარა,  
იოლად არის გადასატანი,  
მე რომ შემეძლოს ციხის სარკმლიდან  
დღეში ერთხელ რომ გადმომეხედა  
და დამენახა ეს ქალიშვილი,  
გავუბოძებდი ქვეყნიერებას  
თავისუფლებას!  
მე მეყოფოდა ციხის სამყაროც.

### პროსპერო

/განზე/

ეს უკვე თავის საქმესა სჩადის.

/ფერდინანდს/

მამ, გამომყევი! -  
კარგად მოქმედებ, ჩემო არიელ! -  
შენც გამომყევი!

/ფერდინანს და მირანდას/

აბა, წამოდით!

/არიელს/

აი, შენ ჩემთვის კიდევ რას იზამ...

### მირანდა

ახლა გამაგრდით.  
მამა უფრორე კეთილი არის,  
ვიდრემდე იგი თავს მოგაჩვენებთ.  
ვერ გამიგია, რა დაემართა.

პროსპერო

/არიელს/

მთის ნიავევით ლალი იქნები,  
როდესაც ყველა საქმეს მორჩები  
ისე, როგორც ეს მე დაგავალე.

არიელი

შევასრულებ.

პროსპერო

/ფერდინანდს/

აბა, ნავედით.

/მირანდას/

არ გაბუდო და  
ამ კაცისათვის რამე არ მთხოვო.

/გადიან/

## მოქმედება II

### სცენა I

#### კუნძულის მეორე მხარე.

*/შემოდინ ალონსო, სებასტიანი, ანტონიო, გონზალო,  
ადრიანი, ფრანცისკო და სხვები/*

#### გონზალო

გემუდარები, ჩემო ბატონო,  
გადაიყარე გულიდან სევდა,  
გამხიარულდი, მიზეზიცა გვაქვს,  
(როგორც თქვენ, ისე ჩვენ ყველა აქ მყოფს)  
ის, რომ გადავრჩით, ყველა ზიანზე  
უფრო მაღლა დგას.  
ასეთი დარდის მიზეზი მუდამ  
ადამის ძისთვის ჩვეული არის;  
ყოველდღე ვინმე ზღვაოსანის ცოლის,  
ან ზღვით მოვაჭრის დამხმარე მსახურთ,  
ანდა თვით ვაჭარს, იგივე მიზეზი  
აქვთ სამწუხაროდ;  
და სასწაული, რაც ჩვენ შეგვემთხვა,  
მილიონიდან ძალიან ცოტა  
ილაპარაკებს ასე ჩვენსავით  
ჩვენს თავს დატეხილ კატასტროფაზე.  
ახლა კი ბრძნულად თქვენ შეაფასეთ –  
უბედობა თუ ბედის წყალობა.

#### ალონსო

ძალიანა გთხოვთ ყური დამიგდოთ.

### სუბასტიანი

ეს მაგ წყალობას ისე მიირთმევს,  
როგორც ცივ ფაფას.

### ანტონიო

აბა, ნუგეშო,  
შენგან იოლად თავს ვერ დავიხსნით.

### სუბასტიანი

ინწყებს მახვილი გონების ქოქვას,  
საათივით რომ დროდადრო რეკავს.

### გონზალო

ჩემო ბატონო...

### სუბასტიანი

ეს ერთი: აბა,  
დაიწყეთ დათვლა.

### გონზალო

ბატონო ჩემო...

### სუბასტიანი

ერთი მეთქი! დაითვალებ.

### გონზალო

თუ კაცი გულს ჩაიგუბებს ყველა მწუხარებას, რომელსაც კი  
მას მიაყენებენ, მაშინ ამისაგან იგი მიიღებს...

### სუბასტიანი

ერთ დოლარს!

### გონზალო

ნამდვილად დოლარს; თქვენ სიმართლე ბრძანეთ, ვიდრე ამას  
მოელოდით.

**სებასტიანი**

ეს უფრო ბრძნულად შეიგნეთ, ვიდრე მე მეგონა, რომ თქვენ  
ეს შეგეძლოთ.

**გონზალო**

მიუხედავად ამისა, მილორდ...

**ანტონიო**

ფუი, რა უთავბოლოდ ალაქლაქებს ენას!

**ალონსო**

გთხოვ თავი დამანებო.

**გონზალო**

კარგი, მე დავამთავრე. მაგრამ მე მაინც...

**სებასტიანი**

მაგრამ ის მაინც ილაპარაკებს.

**ანტონიო**

მოდით დავნაძლევედეთ, ვინ დაინწყებს პირველად სიმღერას – ეს  
თუ ადრიანი. ვინც პირველი გარისკავს, ის დაინწყებს ჩხავილს?

**სებასტიანი**

ბებერ მამალზე ჩამოვდივარ!

**ანტონიო**

მე – მამლაყინნაზე ვდებ.

**სებასტიანი**

მოდის! რას ჩამოდიხარ?

**ანტონიო**

პირველ სიცილს.

სებასტიანი

დაკარი ხელი!

ადრიანი

ამ კუნძულს ეტყობა, რომ უკაცურია...

სებასტიანი

ჰა, ჰა, ჰა!

ანტონიო

აბა, გადაიხადე შენი გირაოსი.

ადრიანი

დაუსახლებელი და მოუვალია...

სებასტიანი

მაგრამ...

ადრიანი

მაგრამ...

ანტონიო

იგი ამ თქვენ „მაგრამებისგან“ თავს ვერ შეიმაგრებდა!

ადრიანი

უდავოა, რომ მისი კლიმატი სავსეა ნაზი, სათუთი და დელიკატური სიმშვიდით.

ანტონიო

ზომიერება ნმინდა ქალწული გახლდათ.

სებასტიანი

დიახ; და დახვეწილი, როგორც ამან ერთობ ბრძნულად და არაჩვეულებრივად აღნიშნა.



### ადრიანი

ნიავე დანავარდობს აქ, როგორც შერბეთის წყარო...

### სებასტიანი

...თითქოს მას დაფუტუროებული ფილტვები გააჩნია.

### ანტონიო

ან თითქოსდა იგი ჭაობის თავისთავადი სურნელით ყოფილიყოს გაჯერებული.

### გონზალო

აქ ყველაფერი სიცოცხლისთვისაა გაჩენილი...

### ანტონიო

ჭემმარიტად. გარდა სამყოფ-საცხოვრებლისა.

### სებასტიანი

რაც აქ სრულიად არ არის, ან ძალიან ცოტა თუ მოიძებნება.

### გონზალო

რა ხასხასა და ცვრიანია აქ ბალახეული! რა ხასხასა მწვანეა!

### ანტონიო

დიახ, მინა აქ მურა ნახშირის ფერისაა.

### სებასტიანი

ალაგ-ალაგ ნორჩი ბალახით დაფარული.

### ანტონიო

მე მგონი, ეს მთლად არ უნდა ცდებოდეს.

### სებასტიანი

არა; იგი მხოლოდ ჭემმარიტებაში უნდა ცდებოდეს მთლიანად.

### გონზალო

მაგრამ მთავარი ამ მოვლენაში ის არის, რისი დაჯერებაც შეუძლებელია.

### სებასტიანი

ისევე, როგორც მრავალ ნამდვილად იშვიათ მოვლენაში ხდება.

### გონზალო

ეს ჩვენს სამოსსა გავს, რომელიც ზღვაში ერთიანად დასველდა, მაგრამ მაინც შეინარჩუნა თავისი პენი – როგორც იყო ისეთივე დარჩა. თითქოს მარილიანმა ნყალმა კი არ წაახდინა, არამედ ხელმეორედ შეღებო.

### ანტონიო

რომელიმე ჯიბემ რომ დაილაპარაკოს, ალბათ, იტყოდა, რომ ეს ტყუილია.

### სებასტიანი

სხვანაირად, თავისი პატრონის ჯიბეს ხელს დააფარებდა.

### გონზალო

მე მგონია, ჩვენი სამოსი ისევე ახლად გამოიყურება, როგორც იმ დღეს, პირველად რომ ჩავიცვით, აფრიკაში, ტუნისის მეფის მომხიბლავი ასულის კლასიბალის ქორწილში.

### სებასტიანი

შესანიშნავი ქორწინება იყო და მშვიდობიანადაც დავბრუნდით.

### ადრიანო

ტუნისს არასოდესა ქონია ასეთი ბედნიერება, რომ დედოფალი ეწოდებინა ასეთი სრულყოფილი მშვენიერებისათვის.

### გონზალო

დიდონას ქვრივის დროს თუ არ ჩავთვლით.

### ანტონიო

ქვრივიო? ჭირსაც გადავყრივართ! რომელი ქვრივი? რა შუაშია აქ ქვრივი? დიდონას ქვრივი?

### სეზასტიანი

იქნებ ენეასაც ვუნოდოთ ქვრივი? ღმერთო ჩემო, რატომ აგაღელვათ ამ ამბავმა ასე?

### აღრიანი

დიდონას ქვრივი, ასე ამბობთ, არა? მეც კი ჩამაფიქრეთ. ის ხომ კართაგენიდან იყო, ტუნისიდან კი არა.

### გონზალო

ეგ ტუნისი, ჩემო ბატონო, კართაგენი იყო.

### აღრიანი

კართაგენი?

### გონზალო

გარწმუნებთ, - კართაგენიდან.

### ანტონიო

მაგისი სიტყვა ჯადოსნურ არფაზე ძლიერია.

### სეზასტიანი

იგი აღმართავს კედლებს და აგებს ქალაქებს.

### ანტონიო

რას მოახდენს კიდევ შეუძლებელს.

### სეზასტიანი

მე მგონი, ჯიბით წაიღებს ამ კუნძულს სახლში და შვილს მიართმევს ვაშლის მაგივრად.

### ანტონიო

ჰოდა, მარცვლებს ჩათესავეს ზღვაში და ახალ კუნძულებს ამოზრდის;

**გონზალო**

ნამდვილად?

**ანტონიო**

რა თქმა უნდა, როცა კარგი დრო დადგება.

**გონზალო**

*/მიმართავს ალონზოს/*

ბატონო ჩემო, ჩვენ ახლა ვლაპარაკობდით იმაზე, რომ ჩვენი სამოსი ისევე ახლებურად გამოიყურება, როგორც მაშინ, ტუნისში რომ ვიყავით თქვენი ქალიშვილის ქორწინებაზე, რომელიც ახლა უკვე ტუნისის დედოფალი ბრძანდება.

**ანტონიო**

ყველა დედოფალზე უმშვენიერესი, რომელთაც კი ოდესმე უდებოფლიათ ტუნისში.

**სებასტიანი**

ქვრივ დიდონას გარდა-თქო, მე თქვენ გევედრებით.

**ანტონიო**

ო, დიდონას ქვრივი. დიახ, ბატონო, რა თქმა უნდა, ქვრივი დიდონას გარდა.

**გონზალო**

*/ალონზოს/*

ჩემი ტანისამოსი ისევე ახლებურად გამოიყურება, როგორც პირველ დღეს, არა? თქვენ რას იტყვით, ჩემო ბატონო? რა თქმა უნდა, მცირეოდენი გამონაკლისით.

**ანტონიო**

„მცირეოდენი გამონაკლისი“ ძალიან დროზე დაურთეთ.

**გონზალო**

როცა ჩავიცვი მე ეს სამოსი,

თქვენი ქალწულის ქორწილი იყო.

### ალონსო

გამომიტენეთ ყური ამითი,  
მას ჩემი ტვინი ველარ აღიქვამს.  
ნეტავ ქორწილი არ ყოფილიყო!  
იმ მიზეზით მე შვილი დავკარგე;  
და ფაქტიურად, ჩემი ასულიც;  
იტალიას ის ისე დაშორდა,  
რომ ხელმეორედ ველარ ვიხილავ.  
ხოლო მემკვიდრე ჩემი ნაპოლის,  
და მასთან ერთად მილანის ტახტის;  
ურჩხული თევზის სადილი გახდა!

### ფრანცისკო

იქნებ გადარჩა, ჩემო ბატონო,  
მე დავინახე ებრძოდა ტალღებს,  
ზვირთების ზურგზე ამხედრებული  
ის მიაპობდა ბობოქარ ტალღებს;  
ყალყზე შემდგარ ზღვას მკერდს აგებებდა,  
მე ვხედავდი მის ამაყ თავს მაღლა;  
როგორც ნიჩბებით ის მიაპობდა  
მძლავრი მკლავებით ნაპირისაკენ,  
რომელიც ნელა ძირს მიიწევდა,  
თითქოს მზად იყო მის მისაღებად;  
მე თქვენ გარნმუნებთ ეჭვის გარეშე,  
რომ მოაღწია მან ხმელეთამდე.

### ალონზო

არა და არა, ის დაილუპა.

### სებასტიანი

ბატონო ჩემო, თავს უმადლოდეთ,

ასეთი დიდი დანაკარგისთვის.  
თქვენი ასულიც კი არ დაინდეთ,  
გეჩუქებინათ ევროპისათვის,  
ისე არჩიეთ, იგი მიგეძღვნათ  
აფრიკელისთვის; და მოიცვილეთ  
იგი თვალთაგან,  
რომელთაც ისლა დარჩენიათ, რომ  
მწუხარებისგან ღვარონ ცრემლები.

### ალონსო

გთხოვ რომ დადუმდე.

### სებასტიანი

მუხლმოდრეკილი გევედრებოდით  
ყველანი იმის შეწყნარებაზე,  
ლამაზმა სულმა აღარ იცოდა  
რა ექნა, როგორ მოქცეულიყო, –  
მერყეობას და სიძულვილს შორის;  
კი, ჩვენ დაგკარგეთ თქვენი ძე, შვილი,  
ვშიშობ ეს მოხდა სამარადისოდ.  
ახლა მილანში და ნეაპოლში  
ქვრივი მეტია, ვიდრე კაცები,  
რომლებიც იმათ დაამშვიდებდა;  
ეს ყველაფერი თქვენი ბრალია.

### ალონსო

დანაკარგია ერთობ ძვირფასი.

### გონზალო

ო, სებასტიან, ჩემო ძვირფასო,  
მაგ თქვენ სიმართლეს, ჭეშმარიტებას,  
რასაც თქვენ ამბობთ და ლაპარაკობთ,  
სირბილე მართლაც მოუხდებოდა;

ამისი თქმის დრო ჯერ არ დამდგარა;  
თქვენ ამიზეზებთ ამით ჭრილობას,  
იმის ნაცვლად რომ სალბუნს ადებდეთ.

**სებასტიანი**

ძალიან კარგი.

**ანტონიო**

თქვენ ლაპარაკობთ დასტაქარივით.

**გონზალო**

მოქურუხდება ხოლმე ყველასთვის,  
როცა, ბატონო, მოლუშული ხართ.

**სებასტიანი**

მოლუშული ამინდი?

**ანტონიო**

ძალიან მოლუშული.

**გონზალო**

მე რომ ამ კუნძულზე პლანტაცია  
მქონოდა, მილორდ...

**ანტონიო**

ჭინჭარს დათესავდა.

**სებასტიანი**

ამ მჭაუნას, ბალბას.

**გონზალო**

ამ კუნძულის მეფე რომ ვყოფილიყავი, მაშინ რას გავაკეთებდი?

**სებასტიანი**

ვერ დათვრებოდი, ღვინო არ არის.

### გონზალო

მე ავაგებდი სხვაფრივ ქვეყანას,  
ვიდრე ესაა ყველგან ნაგები.  
გავაუქმებდი ყოველგვარ ტრანსპორტს,  
სრულად მოვსპობდი ალებ-მიცემას,  
მოვსპობდი ჩინებს და განათლებას,  
მდიდარს, ლატაკის მომსახურებას,  
გარიგებას და მემკვიდრის წესებს;  
მინების ზღვარიც მოისპობოდა,  
ხვნას ავკრძალავდი ერთობ სასტიკად;  
სახელმწიფოში მთლად აღმოვფხვრიდი  
ვენახს და მეტალს, პურს და ცხიმეულს.  
მოვსპობდი შრომას; და იცხოვრებდა  
ყველა მოლხენით, ქალებთან ერთად;  
ყველა იქნება უმანკო, სუფთა;  
გავაუქმენდი სუვერენიტეტს!..

### სებასტიანი

თუმც იქნებოდი მმართველი – მეფე?

### ანტონიო

დაბოლოება ამ სახელმწიფოს  
დაივინყებდა თავის დასაწყისს.

### გონზალო

ბუნება ნაყოფს გამოიღებდა  
მძიმე შრომის და ოფლის გარეშე.  
გაცემისა და ლალატის გარდა,  
უდანებოთ და უმახვილებოთ,  
შუშებისა და თოფის უქონლად  
და ზარბაზნების...  
ასეთ იარაღის საჭიროებას  
არ დაუშვებდი არაფრით, არა!



თვითონ ბუნება გამოგზავნიდა  
ყველაფერ იმას, რაც საჭიროა,  
ხალხს რაც სჭირდება გამოსაკვებად,  
ხალხს ალალსა და უბრალოდებულოს.

### სებასტიანი

ქორწინებას სცნობ კანონიერად?

### ანტონიო

რას ამბობ, კაცო, რა საჭიროა?  
ყველა მეძავი ქლესა იქნება.

### გონზალო

ასეთ სრულყოფილ მმართველობით მე  
ნაღდად ვაჯობებ ოქროს ეპოქას.

### სებასტიანი

მაშ, გაუმარჯოს მეფეს დიდებულს!

### ანტონიო

მაშ, გაუმარჯოს ამ ჩვენს გონზალოს!

### გონზალო

ჩემი მოსმენა გსურთ, ბატონებო?

### ალონზო

არ გინდა მეტი! შენი სიტყვები  
მე სულ არაფერს მეუბნებიან.

### გონზალო

მე მჯერა თქვენი უდიდებულესობისა. სიცილის მიზეზი მე გა-  
ვუჩინე ამ ვაჟბატონებს. ამათ კი ისეთი სათუთი და მოქმედი  
ფილტვები აქვთ, რომ არაფრის გულისათვის სიცილისათვის  
ყოველთვის მზად არიან.

### ანტონიო

ამჯერად შენ დაგცინოდი.

### გონზალო

დიახ, მხაირულ სისულელეებში მე თქვენთან შედარებით არა-  
რაობა ვარ; ამიტომ თქვენ შეგიძლიათ არაფერზე იცინოთ.

### ანტონიო

მაგარი დარტყმა მოგვაყენა!

### სებასტიანი

სიბრტყით კი არა, მჭრელი პირით!

### გონზალო

მაგარი ბატონები ბრძანდებით: მთვარეს ჩამოიღებთ ორბიტი-  
დან, თუ ღმერთი გაუნყრა და ხუთი კვირა თავის შეუცვლელ-  
ლად სვლა განაგრძო.

*/შემოდის უჩინარი არიელი,  
გაისმის საზეიმო მუსიკა/*

### სებასტიანი

ჯერ ასე ვიყოთ და რომ დაღამდება, ფრინველებს დავუგოთ  
მახე.

### ანტონიო

აბა, ჩემო კეთილო ბატონო, ნუ გაბრაზდებით.

### გონზალო

მე არა ვბრაზობ; შენ ხომ არა გგავარ. მასე იოლად არ გავრ-  
ისკავ ჩემს კეთილგონიერებას. მაგ შენი ანგლობებით სჯობს  
იავნანა მიმღერო. რალაც ძალიან მომერია ძილი.

### ანტონიო

ნუთით დაიძინეთ და ყური მოგვაპყარით.

*/ყველა წამოწვევა დასაძინებლად, ალონზოს,  
სებასტიანისა და ანტონიოს გარდა/*

**ალონზო**

აი, ასე ჩქარა ჩათვლიმა ყველამ,  
ნეტავ მეც ასე მოვხუჭო თვალი,  
რომ დავამშვიდო ჩემი ფიქრები.  
მგონი, მეცა მთვლემს.

**სებასტიანი**

ნუ მოიცვილებთ  
ძილის ერთობ რთულ მომსახურებას.  
ჩემო ბატონო, მძიმე ყოფაში  
ასეთი ძილი იშვიათია.  
როცა გენვევა, მაშინ სიმშვიდეს  
თან მოიყოლებს.

**ანტონიო**

ჩვენ ორივენი  
თქვენ გიდარაჯებთ, სანამ ინებებთ  
აქ მოსვენებას; დავიცავთ მტკიცედ  
უსაფრთხოებას.

**ალონზო**

დიდი მადლობა,  
რა უცნაურად მერევა ძილი.

*/ალონსო იძინებს. არიელი ქრება/*

**სებასტიანი**

რა უცნაური ძილი მოერია ყველას.

**ანტონიო**

ეს სულ კლიმატის ბრალი იქნება.

### სებასტიანი

აბა, ჩვენ თვალებს რად არ გვიბლიტავს?  
ერთი ბენოთიც არ მეძინება.

### ანტონიო

არც მე;  
ჩემი სული მთლად ფხიზელი არის.  
ისე უეცრად მოცელა ძილმა,  
გეგონება კაცს, ერთად დათქვესო,  
ან თითქოს მეხმა დაარტყა ყველას.  
ჰა, სებასტიანი? რა უნდა იყოს?  
მეტი რაღა... მე მაინც მგონია,  
სახეზე უნდა გენეროს ყველა,  
შენი ბედი და რაც შეგვემთხვევა; –  
წარმოსახვით მე შენ უკვე გხედავ  
გვირგვინით თავზე.

### სებასტიანი

შენ არა გძინავს?

### ანტონიო

რა, ლაპარაკი ჩემი არ გესმის?

### სებასტიანი

მესმის. ჩხადია, საუბრობ ძილში.  
შენ ბოდავ. აბა, მითხარ რას ამბობ?  
ეს რა ძილია ღია თვალებით?  
დგახარ, მოძრაობ, ასე ბაასობ,  
ამას ყველაფერს სწადიხარ ძილში.

### ანტონიო

ეჰ, ჩემო, ღირსო სებასტიანო,  
ნებას რთავ იღბალს, უცებ ჩატვლიმოს

ისე, რომ ვინმეს გონიხარ მკვდარი,  
ანდა ცოცხალი; მაშინ როდესაც  
შენ გამართულად მიდი-მოდიხარ.

### სებასტიანი

შენც გარკვეულად, აშკარად ხვრინავ,  
რალაც აზრი დევს მაგ შენს ხვრინვაში.

### ანტონიო

მე ახლა ისე სერიოზული ვარ,  
რომ არ ვყოფილვარ ასე ჩემს დღეში.  
მე თუ გამიგებ, მაშინ სამმაგად  
გახალვათდები და აღზევდები.

### სებასტიანი

კარგი, ბატონო, გუბის ნყალი ვარ.

### ანტონიო

გასწავლი, როგორ გადმოიღვარო.

### სებასტიანი

კარგი, მასწავლე: ეს სიზარმაცე  
მიღებული მაქვს მემკვიდრეობით.

### ანტონიო

ო, რომ იცოდე რა ლოლიავით  
უნდა ენიო დანიშნულ მიზანს,  
იმის ნაცვლად, რომ დასცინოდე მას!  
თავიდან გინდა მოიცილო და  
აღყასავით კი ირტყავ გარშემო!  
კაცთა მოქცევა, ვით ზღვის მოქცევა,  
ნამდვილად აჩენს თავის ფსკერს ახლოს,  
თავისი შიშით თუ ზარმაცობით.

### სეზასტიანი

გემუდარები, რომ განმიმართო,  
შენი თვალები, შენი იერი,  
რასა ფარავენ,  
რაც ასე ტანჯვით იბადებიან,  
მაგრამ ამ ქვეყნად კი გაჩნდებიან.

### ანტონიო

ამრიგად, სენიორ, მოკლე ხსოვნისა,  
(ისეთისავე, როგორსაც თვითონ  
დასტოვებს ამბავს თავის ხსოვნისა).  
დარწმუნებაში ერთობ გულუხვი,  
თვით მეფეც თითქოს კი დაარწმუნა,  
რომ გადაურჩა ზღვას მისი შვილი,  
ეს მისთვის იყო ისე საძნელო,  
როგორც ამათთვის, ვისაც აქ სძინავს,  
ახლა იქ ცურვა.

### სეზასტიანი

იმედი არ მაქვს,  
რომ არ დაიხრჩო.

### ანტონიო

#### უიმედობას

ხშირად თან მოაქვს დიდი იმედი.  
ისეთი, რასაც იმ სიმაღლეზე  
მისწრაფებასაც არ აქვს უნარყ,  
რომ მას ჩახედოს ასე თვალებში, –  
ერთობ გულადად და უშიშარად.  
მაშ ასე, – შენ თუ დამეთანხმები,  
რომ ფერდინანდი ზღვაში დაიხრჩო?

### სებასტიანი

კი, დაილუპა.

### ანტონიო

მამ, ახლა მითხარ, –  
ვინ არს მემკვიდრე ნეაპოლისა?

### სებასტიანი

კლარიბელი.

### ანტონიო

ეგ ხომ ტუნისის დედოფალია,  
ის, ვინცა ცხოვრობს ცხრა მთის იქით, და  
იქამდე მისვლას კაცის ცხოვრება რომ არ ეყოფა; –  
ახლა ნაპოლის დედოფალია,  
მაგრამ არა აქვს ამისი ცნობა,  
სანამ დილის მზე მიუტანს ამბავს,  
(რადგანაც მთვარე მისთვის ნელია),  
მისთვის ჩვენ ყველა ზღვამ გადაგვყლაპა,  
თუმც ზოგიერთი მისგან გადარჩა,  
დაიხსნეს თავი გემის კრაზისგან,  
აქტი წინასწარ დათქმული იყო,  
ერთარსებისგან,  
ვისთვის წარსული დასაწყისია.  
და რაც იქნება, ის უკვე ხელთ გვაქვს.

### სებასტიანი

ეგ ყველაფერი მონაჩმახია? –  
გაიმეორე ეგ როგორა სთქვი?  
მაშასადამე, ჩემი ძმისშვილი  
დედოფალია ტუნისის ქვეყნის, –  
ჰოდა, ამგვარად ის მემკვიდრეა  
ნეაპოლისა;

თუმც ამ სამეფოს მიღწევამდე კი  
დიდი სივრცეა ორივეს შორის.

### ანტონიო

სივრცეა, რომლის ყველა კვადრატი  
თითქოს და ყვირის, გადამზომავენ,  
სანამ მიაღწევს იგი ნეაპოლს;  
დარჩა ტუნისში, – სეზასტიანი  
კი გაიღვიძებს!  
სიკვდილს მათთვის რომ ბოლო მოეღო,  
არ იქნებოდა ის უარესი  
ასეთ ძილქუშზე. მე შენ გარნმუნებ,  
მოიძებნება ნეაპოლისთვის  
ისეთი მეფე, ე, იქ რომ სძინავს.  
მოიძებნება ყბედი ბატონიც,  
თვით გონზალოზეც კი უარესი.  
მეც ვიკრიახებ, როგორც კრუხები,  
შენ რომ გაგიჩნდეს ჩემი ფიქრები, –  
იმათი ძილი შენ რას მოგიტანს!  
ხომ გეყურება, მე რასაც ვამბობ?

### სეზასტიანი

მე მგონი, მესმის.

### ანტონიო

კმაყოფილი ხარ  
შენი ფორტუნის?

### სეზასტიანი

მე კარგად მახსოვს,  
როგორ განდევნე შენ ძმა პროსპერო.



### ანტონიო

ეგ მართალია, მაგრამ შემხედე,  
ეს ტანსაცმელი უფრო მიხდება;  
ძმის მსახურები იყვნენ დოსტები,  
ახლა არიან ჩემი მსახურნი.

### სებასტიანი

მაგრამ სინდისი სად დაგეკარგა.

### ანტონიო

ეი, სენიორ, სად შეყუჟულა?  
კოჭრი რომ იყოს, ნამუსის ნაცვლად,  
უმალ ჩუსტებში ნავყოფდით ცხვირებს;  
ასეთ ღვთაებას მკერდში ვერა ვგრძნობ;  
ოც სინდისს ჩემსა და მილანს შორის  
ისე გავადნობ, ვით შაქარყინულს,  
რომ სადმე ხელი არ შემიშალოს!  
აგერ, იქა წევს შენი ძამიკო,  
იგი არ არის უფრო ძვირფასი,  
ვიდრე ის მინა, რომლზედაც წევს,  
იმას რომ გავდეს, რაზედაც ის წევს:  
ის რომ არ იყოს, რასაც ახლა გავს:  
მაშინ დამჯერი ამ ჩემ ფოლადის  
წვერის სულ რაღაც სამიოდ ინჩით,  
იქ მივანვენდი მე სამუდამოდ.  
ხოლო შენ ამ დროს,  
გამუდმებული თვალის ხამხამით,  
მიასვენებდი სამარადისოდ  
ამ მოხუც ჯღან-მანს, მოარულ მორალს,  
მზეს ჩაუქრობ, რომ ბრალი არ დაგვდოს  
ჩვენს საქმესა და აღებულ კურსში.  
დანარჩენი კი ყველა მიიღებს  
იმას, რასაც ჩვენ მათ შევთავაზებთ, -

როგორც კატა რძეს;  
თვითვე გვეტყვიან დროს და საათსაც  
ისეთს, რომელიც გვანყობს, ხელს მოგვცემს;

### სებასტიანი

მაშ შენ იქნები ჩემი ბელადი:  
და როგორაც შენ მიიღებ მილანს,  
ისე მივიღებ მაშინ ნეაპოლს.  
ჰე, ამოიღე შენი მახვილი,  
ერთი დარტყმა შენ გიხსნის ხარკისგან  
და სიყვარულიც მეფის შენია.

### ანტონიო

ხმლები დავაძროთ უეცრად ერთად  
მაშინ, როდესაც დაშნას აღვმართავ,  
შენ ამ ნიშანზე დასჭერ გონზალო.

### სებასტიანი

ო, მათქმევინე ჯერ ორი სიტყვა.

*/გვერდზე გადგებიან და ლაპარაკობენ. ისმის მუსიკა.  
სცენაზე ბრუნდება უხილავი არიელი/*

### არიელი

ჩემმა ბატონმა ის განჭვრიტა, რომ  
იმის მეგობრებს საფრთხე უქადის  
და გამომგზავნა მათი სიცოცხლის  
გადასარჩენად, – თორემ ის გეგმა  
დაელუპება.

*/მღერის გონზალოს ყურთან/*

„სანამდის აქ წევხართ, ხვრინავთ,  
შეთქმულებას არა სძინავს, –  
ის თავის დროს არ გაუშვებს.

თუ სიცოცხლე რამედ გიღირთ,  
გაიღვიძეთ, გამოფხიზლდით:  
წამოდექით! წამოდექით!"

**ანტონიო**

ახლა უეცრად უნდა დავესხათ.

**გონზალო**

ახლა, კეთილო ანგელოზებო,  
თქვენ დაიფარეთ ჩვენი ხელმწიფე!

*/ყველა იღვიძებს/*

**ალონსო**

ეჰე! აქ ეს რა ამბავი ხდება!  
გამოიღვიძეთ! შიშველი ხმლები?  
რად იყურებით ასე საშინლად?

**გონზალო**

გამაგებინეთ, რაშია საქმე?

**სებასტიანი**

სანამდის თქვენ აქ გყარაულობდით,  
უცებ მოგვესმა ბულის ბლავილი,  
მე მგონი, უფრო ღომისას გავდა...  
არ გაგალვიძათ თქვენ ამ ღრიალმა?  
მე კი თითქმის და მთლად დამაყრუა.

**ალონსო**

მე არაფერი არ გამიგია.

**ანტონიო**

ის ხმა ურჩხულსაც შეაშინებდა,  
მგონი მინასაც შეატოკებდა!

ლომების ხროვის ღრიალი იყო...

**ალონსო**

შენ თუ გაიგე რამე, გონზალო?

**გონზალო**

რაღაც გუგუნი კი გავიგონე.  
სინდისსა ვფიცავ, უცნაური ხმაც,  
რომელმაც უცებ გამომადვიდა, –  
შენ შეგანჭყრიე და დავიყვირე;  
თვალი გავაღე და გამოვფიხზლდი;  
პირველი, რაც მე აქ დავინახე,  
იყო შიშველი, ლაპლაპა ხმლები,  
რაღაც ხმაც იყო, – ეს სიმართლეა;  
ჩვენი გუშაგი წინ წავიმძღვაროთ,  
უნდა გავცილდეთ ახლა ამ ადგილს;  
ხმლები მზად გქონდეთ.

**ალონსო**

აბა, ნავედით,

უნდა დავტოვოთ ეს მიწები და  
მოვძებნოთ ჩემი სანყალი შვილი.

**გონზალო**

შენ დაიცავი, ღმერთო, ნადირთგან,  
რადგანაცა ვარ დარწმუნებული,  
რომ ის აქ არის, სადღაც კუნძულზე.

**ალონსო**

ნავედით.

**არიელი**

/განზე/

ყველაფერს ეტყვის არიელ მეფეს,

გასნი, მეფეო, შვილის საშველად.

*/ყველანი გადიან/*

## სცენა II

### კუნძულის მეორე მხარე.

*/შემოდის კალიბანი, ფიჩხის გუდურიით წამოკიდებული.*

*გაისმის გრგვინვა!*

#### კალიბანი

დე, ყველა ჭირის ინფექციები,  
რასაც მზე იწოვს ჭანჭრობებიდან,  
გუბეებიდან, ჭაობებიდან,  
ყველა პროსპეროს შეეყაროს და  
ცოტ-ცოტა შეხვდეს ყველა იმ სნების!  
იმის სულს ესმის, მე რასაც ვამბობ,  
მაგრამ არ ძალმიძს, რომ არ დავწყევლო.  
ჩემი ჩქმეტა და ტანჯვა-წვალემა,  
ლაფში ხელის კვრა, თუ წყვდიადში სვლა,  
ვერ გაბედავდნენ, სანამ ის ამას  
არ უბრძანებდა. მის სულებს ესმით,  
ახლა რაცა ვთქვი.  
წინაც არავინ არ წამიმძღვარებს  
როგორც მუგუზალს წკვარამ ლამეში,  
რათა ჩემ გზიდან გადამიყვანოს,  
სანამ პროსპერო მათ არ უბრძანებს;  
მცირე რამისთვის დამესვევიან,  
როგორც მაიმუნნი დამეხვევიან,  
გამაშმაგებენ ასე ყბედობით,

შემდეგ დამკბენენ; ხან კი მაჩვ-ზღარბნი  
გზაზე შიშველ ფეხს დამიჩხვლეტავენ;  
ხან გველგესლები ნესტრის სისინით  
ლამის არის და გამაგიჟებენ.  
ახლა კი სუუ! უნდა გავჩუმდე,

*/შემოდის ტრინკულო/*

აგერ იმისი ერთ-ერთი სული,  
ჩემს სანამებლად მოუგზავნია,  
მიტომ, რომ ზანტად მიმაქვს ეს შეშა.  
ახლავე პირქვედ უნდა ჩავემხო,  
იქნებ მოხდეს და ვერ შემაძნისო.

*/მინაზე ნვება/*

**ტრინკულო**

არც ჯაგია სადმე, არც ბუჩქნარი, რომ ამ უამინდობას თავი  
შევაფარო. მე მგონი, სხვა შტორმიც გვიახლოვდება. ქარის  
სტვენა მესმის. იმ მხრიდან იგივე მძიმე, შავი ღრუბელი ახ-  
ლოვდება. ავი ბომბარდირივით მზადაა წამოგვიშინოს წვიმა.  
თუ ჭექა-ქუხილიც ატყდა, როგორც ამას წინებზე იყო, მაშინ  
აღარ ვიცი სად შევაფარო თავი. მაგრამ ეს ღრუბელი გაირღვა.  
მაშინ კოკისპირულად დაუშვებს. ეს რაღაა? კაცია თუ თევზი?  
ცოცხალია თუ მკვდარი? თევზია, იმისი სუნი ასდის. ძველი,  
აყროლებული თევზის სუნი. ეს მთლად ახალი თევზის სუნი არ  
არის. უცნაური თევზია! ეს თევზი ინგლისში უნდა გამოიტა-  
ნოს კაცმა (როგორც ერთხელ უკვე გავაკეთე, იქ რომ ვიყავი);  
გინდაც ამის ნახატი გამოაფინო, ერთი მოყიალე დალლარასაც  
ვერა ნახავ, რომ მის სანახავად ერთი ვერცხლი არ გაიღოს.  
ეს ურჩხული იქ კაცს გააკეთებდა. ყოველი ასეთი საოცრება  
მთელ ქონებას მაშოვნინებდა. იქაური ხალხი ცალფეხა მათხ-  
ოვარს ერთ პენისაც არ მისცემს, მაშინ როცა მკვდარი ინდიე-

ლის სანახავად ათსაც არ დაიშურებს. ამ ცხოველს ფეხები  
 კაცისას მიუგავს, ფარფლებიც ხელებისნაირი აქვს; ეს ჯერ  
 კიდევ თბილია, სინდისს გეფიცებით! რაღაც შემეშალა! ჩემი  
 სიტყვები უკან მიმაქვს; რამ გაათევა? ეს აქაური მცხოვრე-  
 ბია, რომელსაც ეს-ესაა მეხი დაეცა.

*/გაისმის ქუხილი/*

აჰა, ისევ შტორმი იწყება. სხვა გზა არ არის, ისევ ჩემი სანვი-  
 მარი უნდა გადავიფარო. სხვა თავშესაფარი აქ არა ჩანს.  
 გაჭირება კაცს უცნაურ სანოლის მოზიარეს უჩენს. ამ საფა-  
 რის ქვეშ მოვიკუნტები, სანამ თავსხმა გადაივლის.  
 შემოდის სტეფანო სიმღერით. ხელში ბოთლი უჭირავს.

**სტეფანო**

*/მღერის/*

მეტი აღარ მინდა ზღვაში, არ მინდა,  
 აი, აქვე, ზღვის ნაპირას მოვკვდები.

საზიზღარი სიმღერაა, იმისთვისაც კი, რომ დასაფლავებაზე  
 იმღეროს კაცმა. მაგრამ, აი, ჩემი ნუგეში */სვამს/*.

*/მღერის/*

ბოცმანი და მეზარბაზნე,  
 შტურმანი თავის ბიჭებით,  
 გოგოებში სეირნობენ.  
 ყველას თავისი გოგო ყავს, -  
 მარჯერი და მარიანი,  
 მალი, კიტი - უკარება,  
 ის არავის ეკურკურება, -  
 ქცევით ერთობ ჯიუტია,  
 ენით მწარე, გატლექილი, -

- „გამეცალეთ, არ მოხვიდეთ,  
თავშიაც ქვა გიხლიათო!“  
დამიხედეთ, - კუპრის სუნი  
არ მოსწონს, არ სიამოვნებს!  
მაგრამ თერმი ხელს მოუსვამს,  
სადაც გაუხარდება!  
მამ, ნავიდეთ, ბიჭო, ზღვაში,  
კიტი იყოს ჯანდაბაში!

*/ბოთლს ხელს უსვამს/*

არც ეს არის დიდი ბედენა, მაგრამ ჩემი გულის მურაზია.

*/სვამს/*

**კალიბანი**

ნუ მანუხებ, ოჰ!

**სტეფანო**

ეს რაღაა? ეს ხომ არ არის ეშმაკი? ველურ კაცებად ან ინდიე-  
ლებად ხომ არ გამოგვეცხადნენ? ჰა! იმიტომ კი არ გადავურჩი  
დახრჩობას, რომ შენი ოთხი ფეხისა შემშინებოდა; ნათქვამია,  
ყველაზე მამაცი კაცი ოთხ ფეხზე ისე დადის, რომ ფეხი არ  
აერევო.<sup>3</sup> ეს ასეც იქნება, სანამ სტეფანო ნესტოებით ჰაერს  
ისუნთქავს.

**კალიბანი**

სული მანამებს, ოოო!

**სტეფანო**

ეს რაღაც ადგილობრივი, ამ კუძულის ოთხფეხა ურჩხულია;  
თითქოს ციებისაგან კანკალებს. მაგრამ, დალახვროს ეშმაკ-

3 სტეფანო ამბახინუებს ძველ ინგლისურ ანდაზას, როცა კალიბანისა და ტრინკულოს ერთმანეთში გადახლართულ ოთხ ფეხსა ხედავს, ადარებს ურჩხულის ფეხებს.



მა, სად ისწავლეს ამათ ჩვენი ენა? სხვა რომ არ იყოს, ამის გულისთვისაც კი შეიძლება დავეხმარო! ახლა მე ეს რომ მოვარჩინო, გავწვრთნა და ნეაპოლში მივიყვანო, ყველა იმპერატორისათვის კარგი საჩუქარი იქნებოდა, რომელიც კი ოდესმე გაჩენილა ამ ქვეყანაზე.

### კალიბანი

ნუ მანამებ, გემუდარები, ამ შეშას მე ჩქარა მივიტან.

### სტეფანო

ახლა ამას ავმა ზნემ მოუარა და არც ისე ქკვიანურად ლაპარაკობს. ჩემი ბოთლის გემო უნდა გავასინჯინო. ღვინის გემო თუ არასოდეს გაუსინჯავს, მაშინ გულყრა ღვინისაგან გაუფლის. ნეტავი მე ეს მომარჩენინა და გამეწვრთნა, მაშინ ამას იაფად არ გავეყიდი. ვინც იყიდის, კარგ ფულსაც გადამიხდის!

### კალიბანი

ჯერჯერობით ისე ძალიან არა მტანჯავ, მაგრამ ჩქარა დაინყებ ჩემს ტანჯვა-წამებას. მე ეს ვიცი იმიტომ, რომ შენც გაკანკალებს. ეს შენზე პროსპერო მოქმედებს ასე.

### სტეფანო

აბა, ერთი მოდი აქ, გააღე პირი, ამ ბოთლში ზის ის ჯადოქარი, რომელმაც შენ ენა გასწავლა. გააღე-მეთქი პირი. ახლა ეს უცებ შეაჩერებს მაგ კანკალს. გეუბნები, უცებ გაგიჩერებს მაგ ცახცახს. შენ არც კი იცი, ვინ არის შენი მეგობარი; აბა, დააღე ხახა.

### ტრინკულო

მე ეგ ხმა მეცნობა, ეგ ეკუთვნის... არა, არა, ის დაიხრჩო, ეს კი ავი სულია. ოჰ, გვიშველეთ!

### სტეფანო

ოთხი ფეხი და ორი ხმა, ჰა, როგორია, ერთობ შნოიანი ურჩხუ-

ლია! წინა ხმა მეგობრების საქებ-სადიდებლადა აქვს, უკანა კი ლანძღვა-გინებისა და დამცირებისათვის. რაც ბოთლში დამრჩა თუ იმ ღვინომ ეს გამოაკეთა, მაშინ მის ციებ-ცხელებასაც მოვუვლი. მოდი... ამინ! ცოტაოდენს ჩავასხამ ხახაში.

### ტრინკულო

სტეფანო...

### სტეფანო

ეს შენი სხვა პირი მეძახის? მერსი! მერსი! ეს ავი სულია და არა ურჩხული. ცოდვებს თავი უნდა ავარიდო. გრძელი კოვზიც არა მაქვს.<sup>4</sup>

### ტრინკულო

სტეფანო! შენ თუ სტეფანო ხარ, ხელი შემახე და დამელაპარაკე; მე ტრინკულო ვარ... ნუ გეშინია... შენი კარგი მეგობარი ტრინკულო.

### სტეფანო

შენ თუ ტრინკულო ხარ, გამოძვერი მაქედან. მე ფეხებით გამოგნე. ეს თუ ტრინკულოს ფეხებია, მაშინ ის შენია, ჰოდა, შენ იქნები ტრინკულო. მართლა ტრინკულო ყოფილხარ. ნამდვილად. აქ საიდან გაჩნდი? როგორ მოახერხე ამ მახინჯის ნამატობა. ნუთუ მას შეუძლია ტრინკულოების შობა?

### ტრინკულო

მე რომ არ შემეფარებინა, მეხი დაეცემოდა და მოკვდებოდა. შენ არ დაიხრჩე, სტეფანო? ახლა ნამდვილად გამიჩნდა იმედი, რომ არ დამხრჩვეალხარ. გრიგალმა გადაიარა? გრიგალით დაშინებულმა ამ მახინჯ სანვიმარს შეაფარე თავი. შენ ცოცხალი ხარ, სტეფანო? ორი ნეაპოლიტანელი გადავრჩით, ოო, სტეფანო!

4 ასეთი ანდაზაა: „ვინც ეშმაკთანა ჭამს, მას გრძელი კოვზი უნდა ჭონდეს მომარაგებული“.

### სტეფანო

ნუ მატრიალებ მასე, მე სუსტი კუჭი მაქვს.

### კალიბანი

/განზე/

აი, საოცარი ქმნილებები,  
და ესენი სულები არ იყვნენ,  
არამედ მამაცი ღმერთები, ხელში არაამქვეყნიური სასმელით,  
მათ წინაშე დავიჩოქებდი.

### სტეფანო

შენ როგორ გადარჩი, ან აქ საიდან გაჩნდი? დაიფიცეთ ამ  
ბოთლზე და მითხარით, აქ რანაირად მოხვედით? მე ღვინის  
ტიკმა გადამარჩინა, მეზღვაურებმა რომ გადაყარეს ზღვაში,  
გემი რომ იძირებოდა; ამ ბოთლს გეფიცებით, რომელიც საკუ-  
თარი ხელით გამოვჩორკნე ხის ქერქისაგან, როგორც კი მინა-  
ზე გადმოვედი.

### კალიბანი

გეფიცები მაგ ბოთლს, რომ შენი ერთგული ქვეშევრდომი ვიქ-  
ნები იმიტომ, რომ ეგ შენი სასმელი ღვთოურია.

### სტეფანო

აბა, ახლა ფიცის ქვეშ მომიყევი, როგორ გადარჩი.

### ტრინკულო

როგორ და იხვივით გამოვცურე ნაპირისაკენ. მე ცურვა იხვი-  
ვით ვიცი, სინდისს გეფიცები.

### სტეფანო

აჰა, უმთხვრე სახარებას /ბოთლს გაუნვდის/. თუ იხვივით ვერ  
იცურებ, მაშინ ბატივით ნამდვილად იცურავებ.

**ტრინკულო**

ო, სტეფანო, მეტი აღარ გაქვს?

**სტეფანო**

მთელი კასრი, კაცო! ჩემი მარანი ზღვის პირას კლდეშია. იქა მაქვს ჩემი ღვინო დაბინავებული. ახლა რას იტყვი, მაიმახო? როგორაა შენი ციებ-ცხელება?

**კალიბანი**

შენ რა, ციდან ჩამოვარდი?

**სტეფანო**

მთვარიდან. გარნმუნებ, თავის დროზე მთვარის კაცი ვიყავი.

**კალიბანი**

მე დაგინახე მთვარეზე და მიტომ გაღმერთებ. ჩემმა დიასახლისმა დამანახა შენი თავი, შენი ძალღი და ბუჩქები.

**სტეფანო**

აბა, დამიფიცე მაგაზე; ემთხვიე სახარებას. /გაუნვდის ბოთლს/  
მე მაგას ახლიდან შევაფსებ. ემთხვიე მეთქი.

**ტრინკულო**

გეფიცებით ნათელ სხივს, ეს კაცი ურჩხულის ტყავია. მე კი ამისი მეშინოდა! ძალიან სუსტი ურჩხულია. მთვარის კაცის სწამს! ერთი საცოდავი გულუბრყვილო ურჩხულია. ასეა თუ ისე, ურჩხულო, შენ კარგადა წრუპავ.

**კალიბანი**

მე ამ კუნძულის ნაყოფიერი მიწის ყოველ გოჯს დაგათვალიერებინებთ; მე შენს ფეხებს დავკოცნი; გემუდარები, გახდი ჩემი ღმერთი.

**ტრინკულო**

ზეცას გეფიცები, ეს ძალიან მუხანათი ურჩხულია. როგორც კი მაგისი ღმერთი დაიძინებს, მაშინვე ბოთლს მოიპარავს.

### კალიბანი

მე შენ ფეხებს დაგიკოცნი; ფიცს დავდებ, რომ შენი ერთგული ყმა ვიქნები.

### სტეფანო

მაშ, მოდი აქ, დაიჩოქე და შემომფიცე.

### ტრინკულო

პირდაპირ სიცილით ვიგულები ამ ლეკვისთავიანი ურჩხულის შემხედვარე! უსაძაგლესი ურჩხულია! სიამოვნებით მივბეგვავდი...

### სტეფანო

მოდი, მაკოცე.

### ტრინკულო

...მაგრამ ეს საცოდავი ურჩხული გალემილი მთვრალია... საზიზღარი ურჩხულია!

### კალიბანი

მე შენ გიჩვენებ უკეთეს ნყაროს,  
კენკრას მოგიკრეფ, თევზებს დაგიჭერ,  
შეშასაც მოვჭრი შენთვის საკმარს;  
ჭირს ნაუღია ჩემი ტირანი,  
აქამდე მისი ყმა რომ ვიყავი!  
აღარ მიუტან მას ფიჩხის კონას,  
შენ გამოგყვები, უბადლო კაცო!

### ტრინკულო

ძალიან სასაცილო ურჩხულია! საცოდავი ლოთისაგან სასნაული შექმნა.

### კალიბანი

ნება მომეცი, იქ მიგიყვანო,  
სადაც იზრდება მაჟალოები.  
იმათ ქვეშ ჩემი გრძელი ფრჩხილებით  
ამოგიჩიჩქნი ბლომად მინის თხილს.  
იქვე გიჩვენებ ჩხიკვების ბუდეს  
და შეგასწავლი, თუ როგორ უნდა  
ცქვიტი ანთარის<sup>5</sup> მახეში გაბმა.  
ფრიალო კლდეზე შენთვის დავიჭერ  
ახლად დაჩეკილ თოლიის ბარტყებს.  
აბა, რას იტყვი? მე გამომყვები?

### სტეფანო

გვეედრები, დამაყენე მაგ გზაზე, ზედმეტი ლაპარაკის გარეშე. ტრინკულო, მეფე და მთელი ჩვენი ხალხი დაიხრჩო. ჩვენ შეგვიძლია აქ დავსახლდეთ და მივიღოთ კუნძული მემკვიდრეობით.

*/უძახის/*

აქეთ, წამოიღე ბოთლი, ძმავო ტრინკულო. რამდენჯერაც დაცლება, იმდენჯერ ავასებთ.

*/შეზარხოშებული კალიბანი მღერის/*

მშვიდობით, პატრონო, მშვიდობით, მშვიდობით;

### ტრინკულო

აყმუველებული ურჩხული. მთვრალი ურჩხული.

### კალიბანი

*/მღერის/*

თევზს აღარ ჩავუდგამ გოდორს,

5 მაიმუნის ერთგვარი ჯიშია.

ცეცხლს დავანთებ ჩემი ნებით  
და არა ვინმეს ბრძანებით;  
ალარც ტაბლას გავხვებ დანით,  
ალარც ჭურჭელს გავრეცხ ბანდით;  
ჰეი, ჰეი, კა... კალიბან,  
ალარ გინდა ბატონი,  
გყავს ახალი პატრონი.  
თავისუფლება, ჰეი, ჰეი!  
თავისუფლება!

სტეფანო

მამაცო ურჩხულო, ეჰი,  
ახალი გზით გაგვიძეხი!

/გადიან/

## მოქმედება III

### სცენა I

#### ადგილი პროსპეროს მღვიმის წინ.

*/შემოდის ფერდინანდი, თან მოაქვს მხარზე გადებული მორი/*

#### ფერდინანდი

შრომაშიც არის ზოგჯერ სიამე,  
 დამდაბლებასაც კი გადაიტანს  
 კაცი ღირსი და კეთილშობილი.  
 ზოგჯერ უბრალო საქმინობას  
 თანა სდევს დიდი მიზნის მიღწევა;  
 და იქნებოდა შრომა აუგი,  
 ჩემთვის მძიმე და აუტანელი,  
 თუ არა ქალი, ვისთვისაც ვშრომობ,  
 ის ქალბატონი, ვისთვისაც ვიდევნი,  
 აჩქარებს იმას, რასაც ვაკეთებ  
 და ხდის ჩემს შრომას სასიამოვნოს.  
 ის ათჯერ უფრო უნაზესია,  
 ვიდრე მახინჯი იმისი მამა, –  
 ის შექმნილია პირქუშობისგან.  
 უნდა მოვართვა ათასი მორი  
 და დავუღაგო მწყობრად, გორებად,  
 ჩემი ძვირფასი სინორიტა კი  
 ტირის და ამბობს ამის შემყურე, –  
 ასე მდაბალი სამუშაოს მე  
 მსგავსი არსად არ შემხვედრიაო.  
 აი, ასეთი ტკბილი სიტყვები  
 ასულდგმულებს ამ ჩემს სამუშაოს,  
 მცირედით მაინც აიოლებენ  
 იმას, რაზედაც მე აქ ვირჯები.



*/შემოდინ მირანდა და პროსპერო მოშორებით/*

### მირანდა

ოო, გვეედრებით, ნელს ნუ ინყვიტავთ,  
 ნეტავი მეხი დაეცემოდეს,  
 გადაბუგავდეს მორებს მთლიანად,  
 აქ რომ აგროვებთ! მოეშვით მაგას  
 და შეასვენეთ ცოტა ხნით მუხლი.  
 ამ მორებს ცეცხლი რომ მოედება,  
 ალბათ, იტირებს, ასე რომ გტანჯეს.<sup>6</sup>  
 ახლა მამაა გატაცებული  
 მეცნიერების ფუძის შესწავლით;  
 გთხოვ, რომ დაბრძანდე და შეისვენო,  
 ორ-სამ საათში მამა არ მოვა.

### ფერდინანდი

ო. ქალბატონო, უძვირფასესო,  
 ეს სამუშაო მე უნდა მოვრჩე,  
 სანამდის მზე არ გადინვერება.

### მირანდა

თუ თქვენ დაჯდებით და დაისვენებთ,  
 მაშინ მაგ მორებს მე გადავზიდავ.  
 მომე ეგ მორი, თვითონ მივიტან  
 იმას იმ გროვამდე. გემუდარები.

### ფერდინანდი

არა, ძვირფასო,  
 კუნთებს დავინყვეტ, ნელში გავწყდები,  
 ვიდრე ამ შრომით შენ დაგამდაბლებ,  
 მე კი, ზარმაცვი, აქ დავბრძანდები.

<sup>6</sup> მირანდა ლაპარაკობს ცეცხლწაკიდებულ ნედლ მორებზე, რომ აშოშინდება და ცრემლს გადმოყრის

### მირანდა

ყოველი შრომა საპატიოა,  
როგორაც შენთვის, ასევე ჩემთვის.  
თქვენ შრომისათვის გაიძულებენ,  
მე კი მსუბუქად გავაკეთებდი.

### პროსპერო

/განზე/

საბრალო ქალი! შენც დაავადდი?  
შენი ვიზიტი ამას ამჟღავნებს.

### მირანდა

დაღლილი ჩანხართ.

### ფერდინანდი

არა, სინიორა

კეთილშობილო...

მე მასულდგმულებს დილის სიგრილე,  
ლამითაც თუ თქვენ ახლოს იქნებით, –  
გემუდარებით, სახელი მითხრათ,  
რომ ლამის ლოცვით მოგიხსენიოთ, –  
თქვენი სახელი?

### მირანდა

მირანდა მქვია.

ო, მამაჩემი, მე დავარღვიე  
ჩემი პირობა;

### ფერდინანდი

მირანდა!

ო, მომხიბვლელო, ტურფა მირანდა!  
თვალნარმტაცობის ნაღდი მწვერვალი,  
უძვირფასესი მთელ ქვეყანაზე!

მე ბევრი ქალი მომწონებია,  
 მათი ხმა სმენად მაჯადოვებდა,  
 ზოგი მომწონდა ღირსებისათვის,  
 არასდროს ასეთ სულიერებით  
 არ შემხვედრია ისეთი ქალი,  
 ვის მშვენებაშიც არ ყოფილიყოს  
 რაიმე ხინჯი. მაგრამ თქვენ, ო, თქვენ,  
 ასე უბადლოდ და სრულყოფილად  
 დაბადებულხართ ამ ქვეყანაზე,  
 რომ ყველა არსზე უკეთესი ხართ.

### მირანდა

ჩემს სიცოცხლეში ჯერ არ მინახავს,  
 ჩემივე სქესის ადამიანი!  
 ქალის სახე ჯერ არ დამილანდავს,  
 გარდა ასახვა ჩემი სახისა  
 ჩემივ სარკიდან.  
 არც კაცის სახე მინახავს სადმე,  
 გარდა შენისა, ძვირფასო კაცო,  
 და ჩემი სათაყვანო მამისა.  
 ვერ წარმოვიდგენ სხვა როგორია,  
 მე გეფიცები ჩემს თავმდაბლობას –  
 რაც ჩემს მზითვებში მარგალიტია –  
 მთელს ქვეყანაზე მე აღარ მინდა  
 სხვა მეგობარი, ოღონდ თქვენს გარდა;  
 ჩემი ოცნება ვერ წარმოიდგენს,  
 თქვენზე უკეთეს მეგობარს ჩემთვის,  
 თქვენი მსგავსი რომ ოდნავ იქნება.  
 მაგრამ მე მგონი, ბევრს ვლაპარაკობ,  
 მამის რჩევები სულ დამავინწყდა...

### ფერდინანდი

ახლა პრინცი ვარ, მე მგონი, მეფეც.

ღმერთმა დამიცვას და დამიფაროს!  
მე ამის შემდეგ ველარ გაუუძლებ  
ამ ხის მორების მონურად ზიდვას  
ისევე, როგორც ველარ ავიტან  
პირზე გამწარებული კრაზანის კბენას.  
ჩემი სული კი, აი, რას ამბობს:  
როცა გიხილეთ მე თქვენ პირველად,  
გულმა ცნო თქვენი ძალაუფლება,  
გადამაქცია თქვენს ყმად და მონად –  
მორების მთრეველ მოსამსახურედ.

### მირანდა

თქვენ მე გიყვარვართ?

ო, ცაო, მინავ!

თქვენ სახელს ვფიცავ  
და თუ სიმართლეს მე ვლაპარაკობ,  
დე, აღასრულონ მათ ჩემი ნება!  
თუ არა, მაშინ ყველა სიკეთე,  
რაც კი მე მელის წინ ცხოვრებაში,  
გადააქციონ დიდ ბოროტებად!  
ისე მიყვარხარ, ფასს გდებ, გაღმერთებ,  
როგორაც არც ერთ საუნჯეს ქვეყნად.

### მირანდა

/განზე/

მე ვარ სულელი, ვტირი იმაზე,  
რაც მგვრის უდიდეს ბედნიერებას.

### პროსპერო

/განზე/

მშვენიერია, როცა გულები  
არიან ასე ერთსულოვანი.

დე, ზეციური ნყალობა წვიმად  
დასხურებოდეს იშვიათ კაფშირს!

### ფერდინანდი

რას დასტირიხართ?

### მირანდა

უნიათობას,

რომ ვერა ვბედავ შემოგთავაზოთ  
ის, რაც მინდა, რომ მე თქვენ გიბოძოთ,  
ამის სურვილით, ალბათ, მოვკვდები.  
თქვენი ცოლი ვარ, თუ ეს თქვენ გინდათ;  
თუ არა მაშინ, სანამ მოვკვდები,  
ვიქნები თქვენი მოსამსახურე,  
ანდა ვიქნები კაცი – მსახური,  
თქვენ შეგიძლიათ, რომ მე უარმყოთ,  
მაშინ ვიქნები ხელის ფარეში,  
მოგესურვებათ თქვენ ეს თუ არა!

### ფერდინანდი

ჩემო სენიორა, უძვირფასესო,  
მარად ვიქნები თქვენი მორჩილი...

### მირანდა

და ჩემი ქმარი?

### ფერდინანდი

გულით და სულით.

ვით თქვენი მონა თავისუფალი,  
ჰა ჩემი ხელი.

### მირანდა

და ჩემიც

ჩემს გულთან ერთად. ახლა მშვიდობით,

მე შენ ცოტა ხნით უნდა დაგცილდე,  
სულ რაღაც ასე ოცდაათ წუთით.

### ფერდინანდი

ათასი! ათასი!

*/ფერდინანდი და მირანდა გადიან/*

### პროსპერო

ამათზე უფრო აღტაცებული  
არ შეიძლება რომ მეტად ვიყო,  
ვისთვის ეს გრძნობა საოცრებაა;  
თუმც ჩემს სიხარულს არა აქვს ზღვარი.  
დავუბრუნდები ისევ ჩემს წიგნებს,  
ვახშობამდე მე ბევრი მაქვს საქმე;

## სცენა II

### კუნძულის სხვა მხარე.

*/შემოდიან სტეფანო და ტრინკულო;  
უკან მოყვებათ კალიბანი ბოთლით ხელში/*

### სტეფანო

ეგ აღარ მითხრა! დიდი კასრი რომ დაიცლება,  
მაშინ დავლევთ ნყალს. მანამდე კი არც ერთი წვეთი! ამიტომ  
ვაჟკაცურად – აბორდაჟე! შენ, მსახურო – ურჩხულო, დალიე  
ჩემი სადღეგრძელო.

### ტრინკულო

მსახურო – ურჩხულო! ამ კუნძულის სისულელე! ამბობენ, ამ

კუნძულზე მხოლოდ ხუთი კაციაო. აქედან სამნი ჩვენა ვართ. იმ დარჩენილ ორს თუ ჭკუა ეყო ჩვენსავით, სახელმწიფო ირყევა.

### სტეფანო

დალიე, მსახურო – ურჩხულო, მე რომ გეუბნები; თვალები შუბლზე აგაცოცდა.

### ტრინკულო

მაშ სად უნდა ააცოცდეს? ნამდვილად ვაჟკაცი ურჩხული იქნებოდა, კუდზე რომ ააცოცდნენ.

### სტეფანო

ჩემმა კაცმა – ურჩხულმა თავისი ენა ღვინოში ჩაახრჩო. რაც შემეხება მე, ზღვამ ვერ დამახრჩო. მე, სანამ ნაპირს მოვალწევდი, ოცდათხუთმეტი ლიე<sup>7</sup> ვიცურე, დღის შუქს გეფიცებით. შენ ჩემი ლეიტენანტი იქნები, ურჩხულო, ან მედროშე.

### ტრინკულო

თუ მასე გნებავს, მაშინ შენი ლეიტენანტი მებაირალედ არაფრით არ გამოდგება.

### სტეფანო

მე და შენ არსად გაქცევას არ ვაპირებთ, ურჩხულო.

### ტრინკულო

გაქცევას კი არა, წასვლასაც ვერ მოახერხებთ, დანვებით აქ ჩუმად, უხმოდ, ძალღებოებით.

### სტეფანო

მახინჯო, სიცოცხლეში ერთხელ მაინც ამოიღე ხმა, თუ შენ კარგი მახინჯი ხარ.

7 ძველი ფრანგული საზომი, 1ლ = 5,5 კმ.

### კალიბანი

როგორ ბრძანდება შენი მონყალება? ნება მიბოძე ავლოკო შენი ფეხსაცმელები. ამის სამსახურში კი მე ვერ ჩავდგები – ვაჟკაცი არ არის.

### ტრინკულო

სტყუი, უვიცო ურჩხულო. ახლა მე ისეთნაირადა ვარ, რომ კონსტაბლსაც კი დავეტაკები. აქ რა ამბავში ხარ, შე ლოქო; ერთი მითხარი, შეიძლება ადამიანს დილას აქეთია, იმდენი ღვინო ჰქონდეს დაღუული, რამდენიც მე და ვაჟკაცი არ იყოს? შენ რაღაც ურჩხულისებრი ტყუილის თქმა გინდა იმიტომ, რომ ნახევრად თევზი ხარ და ნახევრად ურჩხული?

### კალიბანი

ერთი უყურეთ, როგორ მიგდებს აბუნად! რატომ აძლევთ ამის ნებას, მილორდ?

### ტრინკულო

ხელმწიფე ლაპარაკობს! ერთი გამაგებინა, ეს ურჩხული როგორაა ასეთი ტუტუცი!

### კალიბანი

აი, ისევ! გემუდარებით, ისე დაგლიჯე, რომ სული გასძვრეს!

### სტეფანო

ტრინკულო, ენას კბილი დააჭირე. თუ ამ აყალმაყალს არ მოეშვები, მე შენ პირველსავე ხეზე... ეს საბრალო ურჩხული ჩემი ქვეშევრდომია და არავის მივცემ უფლებას, იგი გაანაწყენოს.

### კალიბანი

მადლობას ვუხედი ჩემს ღირსეულ მბრძანებელს. თუ გამოენცობით ერთხელ კიდევ იმ ტანსაცმელში, რომელიც მე თქვენთვის შევაკერიე?



### სტეფანო

დიდი სიამოვნებით. დაიჩოქე და ეგ თხოვნა გაიმეორე; მე ფეხზე ვიდგები, ტრინკულოც.

*შემოდის არიელი, უჩინმაჩინი.*

### კალიბანი

როგორც ადრე გითხარით, მე ტირანის მსახური ვარ; ჯადოქრის, რომელმაც თავისი ეშმაკობის წყალობით მომპარა ეს კუნძული.

### არიელი

სტყუი!

### კალიბანი

შენ სტყუი, შე მაიმუნო, ნეტავი ჩემი გულადი ბატონი ჩაგაძაღლებდეს! მე არა ვტყუი.

### სტეფანო

ტრინკულო, თუ კიდევ გაგინცვეტინებია მაგისტვის სიტყვა, გეფიცები, კბილებს ჩაგამტვრევ.

### ტრინკულო

რატომ, მე ისეთი არაფერი მითქვამს.

### სტეფანო

ჩუ, შენი ხმა აღარ გავიგონო.

*/მიმართავს კალიბანს/*

განაგრძე.

### კალიბანი

ჯადოქრობით და ჯადოსნობით ნამგლიჯა ეს კუნძული. ახლა შენი ძალით შური იძიე. მე ვიცი, რომ შენ ეს შეგიძლია. აი, ამას კი ეგ არ შეუძლია, ვერაფერს გაუბედავს.

### სტეფანო

კი, ეგ მართალია.

### კალიბანი

შენ აქაურობის ბატონ-პატრონი გახდები, მე კი შენი მსახური.

### სტეფანო

ეგ როგორ გავაკეთოთ? შეგიძლია მასთან მიმიყვანო?

### კალიბანი

დიახ, მილორდ. მძინარე უნდა მოვიხელთოთ და შენ ლურსმანს ჩაარჭობ თავში.

### არიელი

ისევე სტყუი; შენ ამის გაკეთება არ შეგიძლია.

### კალიბანი

აი, თქვენ ქრელი ტაკიმასხარა!  
 ეს არამზადა და საძაგელი!..  
 ნამუსის ლაქა... გემუდარებით,  
 მილორდ, რომ ერთი კარგად მიბეგვოთ.  
 ჩახუტებული ბოთლი ნაართვით,  
 მხოლოდ ზღვის წყალი მიირთვას ამან;  
 მე მას არაფრით არ მივასწავლი,  
 სად მორაკრაკებს ცივი წყარონი.

### სტეფანო

ტრინკულო, ფრთხილად იყავი, შენ თუ ერთხელ მაინც დაგიკარებია ხელი ამ ურჩხულისათვის, გეფიცები, ჩემს ლმობიერებას აღარაფრად ჩავაგდე და მზეზე გამოყვანილ ვირთევზას დაგამსგავსებ.

### ტრინკულო

რატომ? სამაგისო მე არაფერი ჩამიდენია. ნავალ, მოგშორდებით.

### სტეფანო

შენ არა თქვი, რომ ეს მართალს არ ამბობდა?

### არიელი

შენ სტყუი.

### სტეფანო

მე ვტყუი? მაშ, მიიღე მაგისტვის (ურტყამს ტრინკულოს). აჰა, მიიღე! თუ გესიამოვნა, მაშინ ერთხელ კიდევ მითხარი, რომ მე ვტყუი. სხვა დროს.

### ტრინკულო

მე არ მითქვამს, რომ შენ სტყუი. ეტყობა, შენ გონება კი არა სმენაც დაგიჩლუნგდა. შავი ჭირიც შეყრია მაგ შენ ბოთლს! აი, სადამდე მიყავს კაცი ღვინოსა და ლოთობას. საქონლის შავი ჭირი შეჰყრია შენს ურჩხულს და ეშმაკსაც ნაუღია შენი მუშტები!

### კალიბანი

ჰა, ჰა, ჰა!

### სტეფანო

აბა, განაგრძე შენი მოთხრობა. შენ კი, გთხოვ, თავი შორს დაიჭირო.

### კალიბანი

მიდი და მისცხე მას ერთი-ორიც,  
ჩქარა მაგაში შეგეშველეები.

### სტეფანო

შორს დადექ მეთქი! შენ კი განაგრძე.

### კალიბანი

როგორც გითხარი, დღისით ისვენებს,

ძილში შენ მაგას თავს გაუტეხავ;  
 ოღონდ მანამდე წიგნი წაართვი.  
 შჯობს, რომა ძელით გაუპო თავი,  
 ანდა მაგ სარით ღიპი გაუპო,  
 ან დანა გლიჯო შიგ ყანყრატოში.  
 ოღონდ გასხოვდეს, წიგნებს წაართმევ;  
 დაიმახსოვრე, რომ უწიგნებოდ  
 იგი ჩემსავით იდიოტია,  
 მის თქმას სულები არად აგდებენ,  
 ერთი სულიც კი აღარ შერჩება,  
 ვისაც ძალუძს, რომ რამე უბრძანოს;  
 ყველას სძულს იგი, როგორც შავი დღე;  
 და ისე, როგორც მე შეჯავრება.  
 ოღონდაც მისი წიგნები დანვი.  
 აქვს უამრავი ავეჯეული  
 იმისათვის, რომ მოკაზმოს სახლი.  
 თუმც ყველაფერზე მშვენიერია  
 მისი ქალწული; იგი უწოდებს  
 მას საოცრებას შეუდარებელს;  
 ამ ქვეყნად ორი ქალი მინახავს,  
 მხოლოდ სივორაქს, დედაჩემი და  
 ეს ქალიშვილი. ამ ქალწულმა კი  
 დედას სიტურფით გადააჭარბა;  
 ბევრად აჯობა.

### სტეფანო

ასე ტურფაა ის ქალიშვილი?

### კალიბანი

ბატონო ჩემო, იგი გახდება  
 თქვენი სარეცლის მოზიარე და  
 გაგიჩენთ შვილებს, ჯანმრთელს და ლამაზს.

### სტეფანო

ურჩხულო! მე მოგკლავ ამ კაცს. მაგისი ქალიშვილი და მე  
გავხდებით მეფე და დედოფალი – ტიტულის მიუხედავად!  
ტრინკულო და შენ იქნებით მეფის ნაცვალი; როგორ მოგწონს  
ეს გეგმა, ტრინკულო?

### ტრინკულო

ბრწყინვალეა.

### სტეფანო

მომეცი ხელი. ძალიან ვნანობ, რომ გაგლახე. მაგრამ სანამ  
ცოცხალი ხარ, ენას კბილი მაგრად დააჭირე.

### კალიბანი

ოცდაათ წუთში ის დაიძინებს;  
მაშინ მოკალი.

### სტეფანო

ვფიცავ, მოგკლავ.

### არიელი

მე ამას, ყველას, ვეტყვი ჩემს ბატონს.

### კალიბანი

მე დამაყენებ კარგ განწყობაზე;  
ყელამდისა ვარ სიამოვნებით.  
თუ ქეიფია, იყოს ქეიფი!  
გაიმეორე შენ ის სიმღერა,  
მე რომ მასწავლე დროსტარებისთვის.

### სტეფანო

მაგ შენს თხოვნაზე, ჩემო ურჩხულო,  
მე თანახმა ვარ; და ყველაფერზე,  
რასაც მოითხოვ, დაგეთანხმები.  
აბა, ტრინკულო, მოდი, ვიმღეროთ.

*/მღერის/*

„თავსიცილი, აღშფოთება მაგათო,  
აღშფოთება თავსიცილი კარგადო!  
გაკილვა – თავსიცილია;  
აზრი თავისუფალია“.

**კალიბანი**

ეგ ის ტონალობა არ არის.

*/არიელი უკრავს ტონალობას დოლზე და სალამურზე/*

**სტეფანო**

გამაგებინე, რას უკრავ?

**ტრინკულო**

რას და ჩვენი მელოდის მისამღერს, ხოლო მას უკრავს ბატონი არავინ.

**სტეფანო**

შენ თუ კაცი ხარ, მეჩვენე შენი ჭეშმარიტი სახით, ხოლო თუ ეშმაკი, გამომეცხადე რა სახითაც გინდა.

**ტრინკულო**

ღმერთო, მომიტევე ჩემი შეცოდებანი!

**სტეფანო**

ვინცა კვდება, ის ყველა ვალს იხდის. მე შენი არ მეშინია. ღმერთო, შენ შემინყალე!

**კალიბანი**

მაშ არ გეშინია?

**სტეფანო**

არა, ურჩხულო, მე არ მეშინია.

### კალიბანი

არ შეგეშინდეს. ჩვენი კუნძული  
სავსეა ნაირ-ნაირი ხმებით;  
კეთილი ჰავით, რომელიცა გვგვრის  
კმაყოფილებას და უვნებლობას.  
ზოგჯერ ათასი მჟღერი საკრავის  
მელოდია ჟღერს ყურის საამო;  
ზოგჯერ კი ხმები, ღრმა ძილის შემდეგ,  
ისევე საძილედ მინანავებენ;  
ღრუბლები თითქოს უნდა გაიხსნას,  
ციური ნამი ზედ დამასხუროს  
და როდესაც მე გამელვიძება  
ისევე ძილისთვის მიკვდება თავი.

### სტეფანო

ო, მე მექნება ვაჟკაცთ სამეფო  
და უსასყიდლო მუსიკა ჩემი.

### კალიბანი

პროსპეროს როდის მოკლავ?

### სტეფანო

ეგ საქმე მე არ გამიჭირდება;  
შენს მონაყოლსაც არ დავივინყებ.

### ტრინკულო

ხმები გვშორდება, ჩვენც იმ ხმებს მივყვით,  
და მოვათავოთ ჩვენი საქმენი.

### სტეფანო

მაშ წინ გაგვიძებ, ჩვენო ურჩხულო,  
ჰოდა, ჩვენც უკან დაგედევნებით.  
ერთი მანახა მე ის მელოლე,  
ახლა ის თითქოს ამ დოღზე უკრავს.

ტრინკულო  
მოდისარ? მეც უკან მოგყვები, სტიფანო.

/გადიან/

### სცენა III

#### კუნძულის სხვა მხარე

/შემოდიან ალონზო, სებასტიანი, ანტონიო, გონზალო,  
ადრიანი, ფრანცისკო და სხვები/

#### გონზალო

მეტს ვერ ნამოვალ, ჩემო ბატონო,  
საშინლად მტკივა ბუბური ძვლები,  
გაქელილია ეს ბილიკები,  
ყველა კვალი აქ ლაბირინთია,  
სულ მოვიარეთ ასეც და ისეც!  
ნება მიბოძეთ, რომ შევისვენო.

#### ალონზო

სასაყვედურო რა მაქვს, ბატონო,  
ხანშიშესული ლორდი ბრძანდები,  
მაშინ როდესაც ჩვენც დავიღალეთ,  
ისე რომ ტანი მთლად დამიბუჟდა:  
დაბრძანდი აქვე და მოისვენე.  
გადამენურა ყველა იმედი,  
ახლა ჩვენ მხოლოდ თავსლა ვიტყუებთ,  
იგი დაიხრჩო,  
ვისაც ვცდილობთ, რომ ჩვენ ვიპოვოთ.  
ეს ზღვა დაგვცინის ჩვენი ამაო  
ძიებისათვის ხმელეთზე იმის,  
ვინც დაიძირა უკვე ტალღებში.



### ანტონიო

*/გვერდზე ჩუმად გადაულაპარაკებს სებასტიანს/*

კარგია, რომ მას ცდა გაუნბილდა  
და წარუხოცა პოვნის იმედი.  
ხელს ნუ აიღებ შენს განზრახვაზე,  
რაკი პირველად არ გამოვიდა.

### სებასტიანი

*/ჩუმად ანტონიოს/*

კიდევ ერთხელ და ხელს მოვუთავებ.

### ანტონიო

*/ჩუმად სებასტიანს/*

მოდით, ეგ მოხდეს ამლამითვე-  
დაღლილობისგან განამებულნი,  
ისეთ სიფხიზლეს ველარ შესძლებენ.

### სებასტიანი

*/გვერდზე ანტონიოს/*

გეუბნები, ამაღამ. მორჩა.

*/გაისმის უცნაური, საზეიმო მუსიკა. ზემოთ გამოჩნდება პროსპერო, როგორც უჩინარი. შემოდის უცნაური ფორმის რამდენიმე ფიგურა. შემოაქვთ გაშლილი მაგიდა და მის ირგვლივ ცეკვავენ ტანის ნაირ-ნაირი რხევით, მდაბალი საღმით მიმართავენ მეფეს და ეპატიუებიან მაგიდისაკენ, რათა მიერთვან და შემდეგ ქრებიან/*

### ალონზო

ეს რა ჰარმონიაა? მეგობრებო, უსმინეთ!

### გონზალო

ჯადოსნური, ტკბილი მუსიკაა!

### ალონზო

ო, ზეცავ, შენ გამოგვიგზავნე მფარველი ანგელოზები!  
მითხარ, ესენი ვინ უნდა იყვნენ?

### სებასტიანი

ვინ და ცოცხალი თოჯინებია!  
ახლა კი მჯერა სულყველაფერის –  
მარტორქაც არის, არაბეთში კი  
ხეა, რომელზეც ტახტი დგას, სადაც  
ფენიქსი მეფობს.

### ანტონიო

მეც კი ვირნმუნებ ახლა ყველაფერს:  
რაც უნდა მოხდეს დაუჯერები,  
ყველაფერს ჩავთვლი ქეშმარიტებად  
და ქედს მოვუხრი, ვეთაყვანები  
იმას, რომ მგზავნი არა ცრუობენ,  
ჩუმად ხილული შინაყუდები  
მათ სულ სწუნობენ და ჯავრსა სდებენ...

### გონზალო

თუ ნეაპოლში, ჩემს ანგარიშში,  
მე მოვახსენებ ყველაფერ ამას,  
დამიჯერებენ? ანდა რომ ვუთხრა, –  
ვნახეთ, აი, ეს კუნძულელები  
ვინც აქაური მკვიდრი ხალხია;  
თუმც გააჩნიათ ფორმა ურჩხულის,  
ყოფა-ქცევა აქვთ ერთობ ნატიფი,  
ასეთს ჩვენს ხალხში ძნელად შეხვდები.

### პროსპერო

ო, ღირსო მილორდ, კარგადა ბრძანებ;  
თქვენშიც არიან თვით ეშმაკზედაც  
უარესები.

### ალონზო

/გვერდზე/

ველარ იქნა და  
მე ამ ოცნებებს ვერ გავიქეცი.  
რა ფორმები აქვთ, რა მოძრაობა,  
რა ხმები ისმის... და გამოხატვა  
ძალუძს მათ უნას. რისი თქმაც უნდათ,  
გასაგებია ისიც უენოდ.

### პროსპერო

/განზე/

ჯერ შეიცადა, ბოლოს შეგვაქე.

### ფრანცისკო

რა უცნაურად გაქრნენ ისინი.

### სებასტიანი

ახლა ეგ უკვე უმნიშვნელოა,  
რადგან დატოვეს სასმელ-საჭმელი.  
რადგანაც ყველას გვაქვს სტომაქები,-  
დააგეშოვნეთ, აბა, გენაცვა,  
რა დაგვიტოვეს წასახემსებლად.

### ალონზო

მე არა.

### გონზალო

ნეტავ რის გეშინიათ.

ბიჭობაში ჩვენ არავის გვჯერა,  
მთებში ცხოვრობდა ისეთი ხალხი,  
რომ ბულებივით ყელთან ეკიდათ  
ხორცის გუდები, რომ კაცთა მოდგმას  
არ ქონდა მხრები, ხოლო თავები  
მკერდზე ეკიდათ. აი, ისეთი  
დღეს რომ ვიხილავთ.  
ყველა თავდება, ხუთიდან ერთი,  
მიგვიყვანს ჩვენ სრულ გარანტიამდე;

### ალონზო

რაც იყოს, იყოს, – მე გეახლები,  
ეს ჭამა ჩემთვის, დე, ბოლო იყოს.  
განა ხელეებით არ იქნება ეს?  
მე როგორაც ვგრძნობ, საუკეთესო  
ნარსულში რჩება, – ძმაო, ჰერცოგო,  
მოდის, მომბაძე.

*/გაისმის ელვა-ქუხილი. შემოდის არიელი ჰარპიელის სახით.  
ფრთებს აბარტყუნებს მაგიდაზე და რაღაც უცნაური  
გამოგონების საშუალებით საბანკეტო მაგიდა უჩინარდება/*

### არიელი

სამი კაცი ხართ ჩემს ნინ ცოდვილი,  
რომელთაც ბედი თუ ბედ-იღბალი,  
გმართავთ ისე, ვით ქვეყნად ყველაფერს,  
თქვენზე თვით ზღვას, აი, ეს უბრძანა, –  
გადმოგტყორცნეთ ამ ყრუ კუნძულზე,  
სადაც არ ცხოვრობს არც ერთი კაცი,

თქვენთვის იქნება შესაფერისი;  
მე თქვენ გაგნირავთ სიგიჟისათვის;  
მიუხედავად ვაჟკაცობისა,  
ჩამოგახრჩობენ, როგორც თვითმკვლელებს.

*/ალონსო, სებასტიანი და სხვები გააშიშვლებენ ხმლებს/*

ოო, უგუნურნო!  
ჩვენ იარაღნი ვართ ბედ-იღბალის.  
როგორც ფოლადი ვერ გასჭრის ნიავს,  
ან ვერ გააპობს აფოფრილ ტალღას,  
რომელიც მაშინ ყალყზე შედგება,  
ისე არც ერთი ღერი ბუმბული  
ჩვენს ტანიდან არ ჩამოვარდება.  
ო, მეგობარნო,  
უვნებელნი ვართ და თქვენ ვერ დაგეჭრით,  
ხმლები ხელშივე დაგიმძიმდებათ  
და თქვენი დონე ვერ მოერევა.  
ოლონდ გახსოვდეთ,  
მისთვის ვარ თქვენთან გამოგზავნილი,  
გითხრათ ოდესღაც თქვენ მილანიდან,  
ამ სამმა კაცმა გამოაძვევთ  
ღირსი პროსპერო, გასწირეთ იგი  
აღელვებულ ზღვის სტიქიონისთვის;  
და მასთან ერთად უმანკო ბავშვი,  
მაგრამ ისინი ზღვამ დააბრუნა,  
იგი და მისი უბინო ბავშვი;  
ხოლო ის თქვენი ბოროტქმედება,  
თუმც ზეცის ძალა მას შეაყოვნებს,  
მაგრამ მათ სასჯელს არ დაივინყებს;  
ეს უმაღლესი ძალაა ყველგან –  
ზღვაში, ხმელეთზე, ყველა სულდგმულში,

თქვენი დასჯა რომ უბრძანებია;  
შენ, მეფევე! ყველა ამათ უბრძანა,  
ნაგგვარონ ძილი და მოსვენება;  
შენს ძეს, ალონზოს, ჭკვიდან შეშლიან,  
ჩემი ბაგენით გამცნობენ ამას,  
სულის ამომხდელ და ზანტი ნყევლით,  
უარესი რამ ყველა სიკვდილზე.  
რაც გინდა იგი უცები იყოს;  
სულ ნაბიჯ-ნაბიჯ მოგეტმასნება  
შენც და შენს გზებსაც, თავის დაღწევას  
ვერ მოახერხებ, გარდა კუნძულზე  
უკაცურსა და მიტოვებულზე,  
მონანიებით, ალალი გულით,  
დამსახურებულ რისხვის მიღებით  
და შემდგომში კი ნმინდა ცხოვრებით.

*/ცის ქუხილში გაუჩინარდება/*

წყნარი მუსიკის თანხლებით ისევ გამოჩნდებიან ფიგურები.  
ისინი ცეკვავენ მანჭვა-გრეხით და გრიმასებით და ასე გააქვთ  
მაგიდა.

**პროსპერო**

*/გვერდზე/*

ჩემო არიელ, ჰარპიის როლი  
შენ შეასრულე ერთობ მშვენივრად,  
ჩემი შენდამი გაკვეთილები,  
დაიმახსოვრე შესანიშნავად,  
არც ერთი სიტყვა არ დაივიწყე  
იქიდან, რაც კი შენ უნდა გეთქვა;

იქ სხვა სულებმაც, ჩემი ბრძანებით,  
ცოცხლად და კარგად გაითამაშეს,  
ამ ჯადომ გასჭრა და მტრები ჩემი  
უგუნურობის ქსელში გააბა;  
ახლა ისინი მე მმორჩილებენ.  
ჰოდა, მე ასეთ ვითარებაში,  
დავტოვე ყველა. ახლა ნავალ და  
სტუმრად ვენვევი ჯეულ ფერდინანდს.  
რომელსაცა თვლის ყველა დამხრჩვალად,  
და მასთან ერთად ჩემს ძვირფას ვინმეს.

*/შემოდის პროსპერო ზემოდან/*

### გონზალო

რა დაგემართათ, გაფიცვებთ ყველას,  
რას მიაშტერდით ასე, ბატონო?

### ალონზო

საზარელია, ო, საზარელი,  
მე მგონი ასე – გრგვინვამ ხმა გამცა  
და ყველაფერი გადმომცა მასზე  
ქარმა ღმუილით იმის შესახებ;  
ქუხილმა თავის მიძლავრი ფილტვებით  
წარმოთქვა სიტყვა–  
პროსპერო–  
და შემახსენა ჩემი ცოდვები,  
იმის გამო კი ახლა ჩემი ძე  
სანოლივით ნევს ლამის ტალახში;  
მეც ლოტზე<sup>8</sup> უფრო ღრმად ჩავეშვები,  
შვილს მივუწვები ლაფით მოსვრილი.

*/გადის/*

<sup>8</sup> ლოტი – გემის სიღრმის საზომი საძირავე შვეულით, ტყვიის გირით.

### სებასტიანი

მზად ვარ ვეომო ქაჯთა ლეგიონს,  
ყველას ცალ-ცალკე შევებრძოლები.

### ანტონიო

მეც შენს გვერდით ვარ.

*/გადიან სებასტიანი და ანტონიო/*

### გონზალო

სამივე მართლა გადაირია,  
მათი სასჯელი საკმაოდ მძიმე,  
ვით სანამლავი ნელა მოქმედი,  
თავს იჩენს დიდი დროს გავლის შემდეგ  
და იმათ სულებს არ აძლევს შვებას.  
ახლა მე თქვენ გთხოვთ, ვინც ყოჩალი ხართ,  
მიჰყევით იმათ ახლავე, ჩქარა,  
და გააჩერეთ უგუნურება,  
რაც შეიძლება მათ ჩაიდინონ.

### ადრიანი

მივყვეთ, მეცა გთხოვთ.

*/გადიან/*



## მოქმედება IV

### სცენა I

#### პროსპეროს ქოხის წინ.

*/შემოდინან პროსპერო, ფერდინანდი და მირანდა/*

#### პროსპერო

მე შენ თუ გსჯიდი ერთობ სასტიკად,  
სამაგიეროს ამითი მიზღავ—  
მე გაძღევე ამით ჩემს სიცოცხლის ძარღვს,  
რითაც ვცხოვრობდი, ხელთ ჩაგაბარე.  
ის, რაც მე შენგან სატკენად მრჩება,  
მე განვიცდიდი შენს დიდ სიყვარულს—  
ამ გამოცდაზე უბადლოდ გახველ;  
თანახმა ვარ მე ამ ნაბოძვარზე,  
ზეცას ვფიცავარ! ოო, ფერდინანდ!  
ჩემს ქებაზე შენ ნუ გელიმება,  
მართლა მას მე გუნდრუკს ვუკმევ,  
შენ თვითონ ნახავ, ის ღირსი არის,  
ხოტბა-დიდება უკან მორჩება.

#### ფერდინანდი

მე მჯერა მაგის, თუნდ ორაკული  
სულ სხვას ამბობდეს, სანინაალმდეგოს.

#### პროსპერო

ჰა, საჩუქარი, მიიღე ჩემგან,  
ის ღირსეულად დაიმსახურე —  
ჩემი ასული. ოლონდ გახსოვდეს:  
თუ გახსნი შენ მის ქალწულის ქამარს  
წმინდა ჯვრისწერის შესრულებამდე,  
ალარ აპკურებს ზეცა თქვენს კავშირს

წმინდა ცვარ-ნამით.  
განხეთქილებას და მოძულეობას,  
უნაყოფობას და მძულვარებას  
თქვენს სარეცელზე ის ჩამოაფრქვევს,  
რომ საძულველად იგი გადიქცეს.  
ახლა ეცადე, ვიდრე ჰიმენევს<sup>9</sup>  
თავის ჩირალდნით გზას გაგინათებს.

### ფერდინანდი

მე იმედი მაქვს წყნარი ცხოვრების:  
ჩვენ გვეყოლება ტურფა ბავშვები,  
სიცოცხლე გრძელი და გრძნობით სავსე,  
ისეთი, როგორც ახლაა იგი.  
ჩჯეროდეს, რომ არც ბნელი გამოქვაბული  
და არც ბოროტი გენიის რჩევა  
და არც უბრალო შემთხვევეითობა,  
ვერ მოახერხებს გონებით ვნების  
დამორჩილებას;  
უსირცხვილოა ბნელი ბუნაგი,  
გარყვნილებისთვის სარგო ალაგი,  
თავის დედოფლის იერ-სახება,  
რაც შეუძლია შემოგვთავაზოს  
ბოროტეულმა, ავმა ელფერმა,  
ჩემს სინდისს ვნებად ვერ გადააქცევს.  
მწუხარი იყოს ის დღე ქურუხი,  
როცა დავინწყებ მე იმაზე ფიქრს,  
ფების რაშები თუ დაკოჭლდნენო,  
ან დაბორკილა ლამე ჯაჭვებით.<sup>10</sup>

9 რომაულ და ბერძნულ მითოლოგიაში ქორწინების ღმერთი. გამოსახულია ახალგაზრდა კაცის ფიგურით, ხელში ჩირალდნით და ყვავილების გირლანდებით მორთული.

10 ფერდინანდი ლაპარაკობს, რომ მოუთმენლად ულის გათენებას და თავის ქორწინების დღეს.

### პროსპერო

კარგად საუბრობ. მაშ აქ დაჯექი  
და შენს საცოლეს რაიმე უთხარ,  
ახლა ის შენი საკუთრებაა;  
ჩემო არიელ!  
უერთგულესო ჩემო მსახურო!  
შემოდის არიელი.

### არიელი

აქა ვარ, ჩემო დიდო ბატონო,  
მიბრძანეთ, ახლა რით გემსახუროთ.

### პროსპერო

შენა და შენი ძმანი მცირენი,  
ბოლო დროს კარგად მომემსახურეთ.  
ერთი რამ თქვენგან კიდევ მჭირდება,  
ნადი, მომგვარე აქ შენი ხროვა,  
მე გაძლევ მათზე ძალა-უფლებას,  
აქ ამ ადგილზე; სწრაფად გაინძრნენ;  
ახალგაზრდების წყვილს მე დაეპირდი,  
მათ ხელოვნებას რომ ვაჩვენებდი  
და ახლა იმას ჩემგან ელიან.

### არიელი

ახლავე?

### პროსპერო

დიახ, ახლავე, სულმოუთქმელად!

### არიელი

სანამ იტყოდე, - „ნადი“ და „მოდ“  
სანამ სულ ორჯერ ამოისუნთქებ,  
წამოიძახებ, - „აი, მასე“,

ყველა მათგანი ფეხის ნვერებზე  
ცეკვა-სიმღერით თქვენ წინ გაჩნდება.  
ახლა მითხარი, შენ მე გიყვარვარ?  
პასუხი გამეც, ჩემო ბატონო,  
თუ არ გიყვარვარ?

### პროსპერო

მიყვარხარ ჩემო,  
კობტა არიელ... და არ გამოჩნდე,  
ვიდრე გაიგებ შენ ჩემს მოხმობას.

### არიელი

გასაგებია.

### /გადის/

### პროსპერო

### /ფერდინანდს/

შენ შენი სიტყვის  
პატრონი იყავ. ალერსს ნუ მისცემ  
დიდ გაქანებას. მტკიცე ფიციც კი  
ჩალის ღეროა,  
ცეცხლთან იოლად ასაალები.  
იყავი მშვიდი, შეკავებული,  
თორემ მშვიდობით ფიცო და აღთქმავ!

### ფერდინანდი

მე თქვენ არ გგავართ, ჩემო ბატონო.  
პირველი ყინვა უმინო თოვლის,  
რაც დაეფრქვევა ჩემს გულს ანთებულს,  
დააცხრობს ჩემი ვნების ალგზნებას.

### პროსპერო

აბა, აქ მოდი, ჩემო არიელ,  
მომგვარე შენი სულთა ანსამბლი,  
არ გამოტოვო ერთი მათგანიც!  
გამომეცხადე ცოცხლად და მკვირცხლად.

*/ფერდინანდს და მირანდას/*

მუნჯივით ჩუმად, მხოლოდ თვალებით!  
უხმოდ, უენოდ, ტსს!... სიჩუმე!...

*/გაისმის ნაზი მუსიკის ხმა.*

*ნიღბები. გამოცხადდება ირისი!*<sup>11</sup>

### ირისი

ცერერა<sup>12</sup>, ერთობ უხვო სენიორა,  
მფლობელო ველთა მწვანე მინდორთა,  
ხორბლის, ქერის თუ ცერცვის და შვრიის;  
მწვანე კორდების, იალალების,  
სადაცა სძოვენ ცხვართა ფარები,  
ამით უნახავ სარჩო-საბადელს.  
მდინარის პირნი მორთული შროშნით,  
ტყის ყაყაჩოთი, თეთრი დუმფარით  
და გაჟღენთილი აპრილის ნისლით,  
სავსე მაქვს ლერწმით და პეონებით,  
უბინო ნიმფა რომ აქორწინო;  
ულრანი ტევრის მუქ საბურველში,  
რომელთა ჩრდილში საფარველს ეძებს

11 ცისარტყელას ქალღმერთი.

12 მინათმოქმედების, მინდვრების და მარცვლეულის მფარველი ღმერთქალი რომაულ მითოლოგიაში.

შეყვარებული, სევდით მიმქრალი;  
 ვაზის ნწულეები და ზვრის ნაპირი,  
 პიტალო კლდეთა გრილი ჩრდილები,  
 უნდა დატოვო სულყველაფერი,  
 ამას გიბრძანებს ზეციერების  
 თვით დედოფალი, რომლის ნყლის ხიდი<sup>13</sup>  
 და მალემსრბოლი მხოლოდლა მე ვარ  
 და მე გიბრძანებ დათმო ყოველი;  
 უზენაესი მისი გრაცია,  
 აი, ამ მდებლოზე, სწორედ ამ ალაგს,  
 ჩამობრძანდება და გაერთობა:  
 ფარშევანგისებრ ქროლვა-ქარქარით  
 აქ დაეშვება; შენთანა ნებავეს  
 იმას შეხვედრა. აბა, იქარე,  
 იგი აქ მოვა. უხვი ცერერა.

*/შემოდის ცერერა/*

### ცერერა

სალამი, ჩემო ჭრელო შიკრიკო,  
 იუპიტერის ცოლის ერთგულო,  
 ვინც ზაფრანისფერ თავის ფრთებიდან  
 თაფლის ცვრით ნამავ ჩემს ყვავილნარებს,  
 რომ გააგრილო, გამოაცოცხლო;  
 და შენი ლურჯი მშვილდით ედგმები  
 მიწას, ტყეებს და გადაშლილ ველებს,  
 როგორც დიდებულ მეფეთ გვირგვინი.  
 ახლა მითხარი, აქ რატომ მიხმობს  
 შენი უფალი და დედოფალი?  
 მოკლე ბალახით გადამწვანებულ  
 ამ დიდ მდებლოზე?

13 ცისარტყელა, რომლის ღმერთქალი იყო ირიდა.

### ირისი

ქეშმარიტ გულთა შეერთებაზე  
მათ ზეიმსა და ჯვარისწერაზე,  
წყვილს რომ მიართვათ ბედნიერება  
მათდა საჩუქრად.

### ცერერა

ოღონდ მითხარი,  
ზეცით ქედს გიხრი, ვენერას შვილი  
თუ დაგვესწრება?  
მას შემდეგ, რაც მათ ჩემი ასული  
მზაკვარ ხრიკებით შავ დღეს ანიეს,  
მასთან და იმის თვალაკრულ შვილთან  
ურთიერთობა სულ მთლად გაენწყვიტე.

### ირისი

მასთან შეხვედრის ნუ გეშინია.  
მე იგი შემხვდა მაღლა, ღრუბლებში,  
პათოსისაკენ<sup>14</sup> ცას მიაპობდა  
და მისი ვაჟიც მტრედების ეტლში  
იმას თან ახლდა.  
მათ განეზრახათ წყვილის შეცდენა,  
ვინაც სინმინდის დაცვას ცდილობდა,  
ვიდრემდე კვარი ჰიმენეისა<sup>15</sup>  
აინთებოდა. მაგრამ ამაოდ!  
მისმა კრაზანისთავა ვაჟმა კი  
სულ მიამსხვრია მიჯნურთ ისრები,  
მაგრამ ამაოდ და სინანულით  
ფიცი დადო რომ აღარ სტყორცნიდა  
ამის შემდეგ ის მიჯნურთა ისრებს;

14 Paphos, პათოსი, – ვენერას უძველესი წმინდა ქალაქი კვიპროსზე.

15 ქორწინების ღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში

მხოლოდ ბელურებს ეთამაშება,  
როგორც უბრალო ბიჭი პატარა.

### ცერერა

დედოფალი და აღმატებული  
დიდი იუნონა აქ მობრძანდება,  
მე ნაბიჯის ხმით იგი ვიცანი.

*/შემოდის იუნონა/*

### იუნონა

როგორ ბრძანდები, დაო, გულუხვო?  
მე გამომყევი, რათა დავლოცოთ  
ის წყვილი; მარად იყვნენ მდიდარნი,  
პატივცემულნი შთამომავლობით.

*/სიმღერა/*

### იუნონა

დაე, ეგ თქვენი ნმინდა კავშირი  
კურთხეულ იყოს, ვისაცა სწყალობს;  
დე, სიხარული მუდამ სუფევდეს,  
იუნონა თქვენთვის ლოცვასა გალობს.

### ცერერა

ბუნება იყოს მონყალე, ქველი,  
ხვა ვით, ბარაქით, სავსე ბელელით.  
დახუნძლულ ბალში ხილი ცვიოდეს,  
ვაზზე ყურძენი ნითლად ღვიოდეს  
და უხვ მოსავალს როგორც მოინევთ,  
მაისი ისევ თქვენსკენ მოიწევს.  
დუხჭირი თქვენ სახლს არ განეცადოს,  
ცერერას ლოცვამ კეთილდაგცადოს.



### ფერდინანდი

ეს ჭეშმარიტად ტურფა ხილვაა  
და ჯადოსნური ჰარმონიაა,  
მე სიმამაცე უნდა მეყოს, რომ  
ყველა აღვიქვა აქ როგორც სული.

### პროსპერო

დიახ, სულები, ვისაც მოვუხმე,  
ჩემი ძალ-ღონით, რომ შეასრულონ  
ჩემი სურვილი და ფანტაზია.

### ფერდინანდი

ნება მიბოძეთ მე აქ დავსახლდე—  
ასეთ მამასთან და მეუღლესთან  
აქ გადიშლება ჩემთვის ედემი.

*/იუნონა და ცერერა ჩურჩულებენ, რის შემდეგაც რაღაც  
დავალებას აძლევენ ირიდას/*

### პროსპერო

ჩემო ძვირფასო, ახლა გაჩუმდი;  
ღმერთქალნი ბჭობენ ერთობ დამჯდარად.  
რაღაცა უნდა მოიმოქმედონ;  
გაჩუმდი, თორემ გაქრება ხიბლი.

### ირიდა

ნიმფებო, ნაიდს რომ გინოდებენ,  
კლდით მოჩუხჩუხე ნაკადულების,  
ყვავილთ გვირგვინით მოკაზმულულები  
და უწყინარნი შეხედულებით,  
დასტოვეთ თქვენი ნმინდა რუები

და გამოცხადდით მწვანე მდელოზე!  
 ამას გიბრძანებთ ყველას იუნონა,  
 მობრძანდით, წყნარო, სათნო ნიმფებო,  
 რომ ვიზეიმოთ ქეშმარიტ გრძნობის,  
 შეკავშირება.  
 იცოდეთ, აღარ დაიგვიანოთ.

*/შემოდიან ნიმფები. ირისი მიმართავს ძლიერებს/*

მზით გარუჯულო მკელნო, მთიბაუნო,  
 აგვისტოს შრომით დაქანცულებო,  
 აქეთ ჩამოდით ჯვრის დასანერად,  
 მოვანყოთ უქმი, საზეიმო დღე.  
 ჩალის ქუდები მოიგდეთ გვერდზე,  
 ყველანი ქალწულ ნიმფებთან ერთად  
 ჩაერთეთ ცოცხლად სოფლის ცეკვაში.

*/შემოდიან პურის მკელნი, გლეხურ ტანისამოსში  
 გამონყობილნი. ისინი გრაციოზულად ეცეკვებიან ნიმფებს.  
 ცეკვის დასასრულს პროსპერო თითქოს გამოფხიზლდაო,  
 უცებ წამოდგება და ლაპარაკს იწყებს. მისი სიტყვების  
 შემდეგ გაისმის უცნაური, მოყრუებული ხმაური და  
 მოჩვენებები უჩინარდებიან/*

**პროსპერო**

*/გვერდზე/*

სულ დამავინწყდა ამბოხი შავი,  
 კალიბანის და იმის მომხრეთა,  
 ჩემი სიცოცხლის წილ მიმართული.  
 იმისი დრო კი თითქმის მოვიდა.

*/მიმართავს სულებს/*

მშვენიერია, კმარა. გამშორდით

**ფერდინანდი**

უცნაურია, რომ თქვენი მამა  
რაღაცით არის აღელვებული.

**მირანდა**

მე დღემდე იგი არსად მინახავს  
ასე ძლიერად გაბრაზებული.

**პროსპერო**

შენ კითხვის თვალით მიყურებ, შვილო;  
და მეჩვენები აღელვებული,  
გამხიარულდი, ჩემო ბატონო;  
ჩვენი გართობა ამით მთავრდება.  
მსახიობები, როგორც გითხარი,  
იყვნენ სულები; და როგორც სულნი,  
გაქრნენ ჰაერში, ფერმკრთალ ზეცაში.  
როგორც შენობა უფუნდამენტო,  
ეს დიდებული სასახლეები,  
ციხე-ბურჯები, დიდი ტაძრები,  
თვით ბუმბერაზი ეს დედამინა,  
რაც მიგვიღია მემკვიდრეობით—  
ყველა გალღვება — გაქრება, როგორც  
ღრუბლების ქულა; და ჩვენ თვითონაც  
შექმნილები ვართ სიზმრებისაგან.  
და ჩვენი მცირე ნუთისოფელი  
მობურულია სიზმრებისაგან...  
ჩემო ბატონო, ოდნავ ავლელდი,  
შენ მომიტევე ჩემი სისუსტე,—  
ბებერი ტვინი აფორიაქდა;

ეს უძლურება ნუ გაგაკვირვებთ.  
ახლა კი წადით ჩემს სამყოფელში  
და დაისვენეთ; მე აქ ცოტა ხნით  
გავისეირნებ, რომ დავანყნარო  
აღელვებული ჩემი გონება.

მირანდა და ფერდინანდი  
ძალიან გვინდა ოდნავ დანყნარდეთ.

*/გადიან/*

**პროსპერო**

... არიელ, მოდი!  
აქ, ჩემს წინ გაჩნდი, როგორც ოცნება.  
... დიდი მადლობა!

*/შემოდის არიელი/*

**არიელი**

თქვენი ფიქრის ვარ შემსრულებელი.  
რას მიბრძანებთ? რით გასიამოვნოთ?

**პროსპერო**

ჩვენ უნდა კარგად მოვემზადოთ, რომ  
დავხვდეთ კალიბანს.

**არიელი**

ე, მეთაურო,  
როცა ცერერას წარმოვადგენდი,  
მინდოდა მეთქვა მაგის შესახებ,  
მაგრამ ვშიშობდი გაგაბრაზებდი.

### პროსპერო

ერთხელაც მითხარ, სად შეგეყარნენ  
ის ყალთაბანდი გაიძვერები?

### არიელი

მე ხომ გითხარით, ჩემო ბატონო,  
სმისგან ცხვირ-პირი ულაპლაპებდათ  
და ისე იყვნენ ღვინით თავხედნი,  
რომ ჰაერს სცემდნენ – ნუ გვიბერავო,  
მინას ურტყამდნენ – ნუ გვეხებიო,  
მაგრამ საქმე არ ავინწყდებოდათ.  
მე შემოვკარი ჩემს პატარა დოლს,  
ყველამ მაშინვე აცქვიტა ყური,  
როგორც პატარა გოჭების კოლტმა,  
თითქო მუსიკას უგდებენ ყურსო,  
თვალდაჭყეტილნი, ცხვირაბზეკილნი,  
თითქოს იყნოსეს მუსიკის სუნი.  
მოკლედ, მოვხიბლე მათი ყურები,  
გამომედევნენ, როგორც ხბოები  
მისდევნენ ხოლმე თავის ფურ-დედებს,  
მინდვრისნემსებში, კურდღლისცოცხებში,  
მჩხვლეტავ და მკანრავ ეკალბარდებში.  
ბოლოს შევყარე მყრალ ჭაობებში,  
ყელამდე ლაფში ჩარჩნენ ისინი,  
მაგრამ ცეკვავენ, თუმც ფეხებს მაინც  
ველარ აძრობენ ნებოვან ტალახს.

### პროსპერო

კარგად გიქნია, ჩემო ჩიტუნი.  
მასევე დარჩი – უჩინმაჩინი,  
სატყუარა მაქვს ჩემთან, იქ, სახლში,  
ის მომიტანე ქურდებისათვის,  
გამხმარი პურიც მათ დასაჭერად.

### არიელი

მივდივარ ფრენით.

*/გადის/*

### პროსპერო

აი, ეს არის ჯიშით ეშმაკი!  
სწავლით და წვრთნით ის არ შეიცვლება.  
ჩემი ტკივილი ახლა მაგისტვის,  
ისე აღქმული, როგორც კაცური,  
ყველა, სულყველა დაკარგულია.  
რაც დრო გადის ის მით მახინჯდება,  
მისი გონება კი მთლად წყლულდება.  
მათ თავს დავატებ უბედურებას.

*/ბრუნდება არიელი, მოაქვს უამრავი ჭრელი,  
სათამაშო ტანსაცმელი/*

სულ სიმწრისგან ვაყმუფლებ.  
მოიტა აქ ჩამოკიდე; ამ რიგზე.

*/პროსპერო და არიელი ისევ უჩინარნი არიან. შემოდიან კალიბანი,  
სტეფანო და ტრინკულო. ყველანი გალუმბულნი არიან/*

### კალიბანი

აბა, ფრთხილად დააბიჯეთ, ისე, რომ ბრმა თხუნელამაც ვერ  
გაიგოს თქვენი ფეხის ხმა. მის სადგომთან უკვე ახლოს ვართ.

### სტეფანო

ურჩხულია ის თქვენი თრია, ბოროტი სული, რომელზედაც  
ბრძანებთ, რომ უვნებელი ფერიააო. მაგან ისეთი ოინი გვიყო,  
რომ შენი მოწონებული.

### ტრინკულო

ურჩხული... მთელ ტანში მაქვს გამჯდარი ცხენის შარდის  
სული, ჩემი ცხვირი დიდად აღშფოთებულია ამით.

### სტეფანო

ჩემიც. ჩესმის, ურჩხულო? იცოდე, მე თუ გავბრაზდი, ცუდად  
იქნება შენი საქმე.

### ტრინკულო

მაშინ მთლად დაღუპული ურჩხული იქნები.

### კალიბანი

ო, ჩემო კარგო, კეთილო მილორდ,  
ნულარ მომიშლი მე შენს წყალობას,  
იყავ მომთმენი, ერთობ მორჩილი,  
ის საჩუქარი, რასაც მოგართმევ,  
მთლიანად მოკვეთს შენს მოტყუებას.  
ახლა კი წყნარად:  
აქ ირგვლივ ყველა ისე გაჩუმდა,  
შუა ღამეს რომ გაირინდება.

### ტრინკულო

კი, ბატონო, ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ ჩვენი ბოთლების  
ჩაძირვა ჭაობში...

### სტეფანო

ეს მხოლოდ სირცხვილი და უნამუსობა კი არ არის, ეს  
საშინელებაა: წარმოუდგენელი დანაკარგია.

### ტრინკულო

პირადად ჩემთვის ჭაობში ბანაობაზე უარესია. ესეც შენი  
უვნებელი ფერია!

### სტეფანო

მე მოვძებნი ჩემს ბოთლს, იმ ჭაობში ყურებამდეც რომ ჩავე-  
ფლო.

### კალიბანი

გთხოვ, მშვიდად იყო, მეფეო, ხედავ,  
გამოქვაბულში შესასვლელია,  
უხმოდ შებრძანდი იმის სადგომში  
და ჩაივინე დანაშაული  
სასიკეთო და კეთილმოსურნე:  
მიიღებ კუნძულს, კალიბანი კი  
დაინყებს შენი ფეხების ლოკვას.

### სტეფანო

მომეცი შენი ხელი. მე სისხლიანი აზრები მეუფლება.

### ტრინკულო

ო, მეფეო სტეფანო! ო, დიდებულო! ო, ღირსეულო  
სტეფანო, შეხედეთ თქვენთვის აქ რა ტანისამოსია დამზადე-  
ბული.

### კალიბანი

სულელო, მაგას ხელი არ ახლო!  
ეგ არის მხოლოდ ნაყარ-ნუყარი.

### ტრინკულო

ოჰო, ურჩხულო, ჩვენ კარგად ვიცით,  
გამონაცვალს სამოსის ფასი,  
ო, დიდებულო მეფევ, სტეფანო!

### სტეფანო

გადაიგდე ეგ მანტია, ტრინკულო; მარჯვენას გეფიცები, მე  
ავიღებ მაგ მანტიას.



### ტრინკულო

ის თქვენს უდიდებულესობას ეკუთვნის.

### კალიმანი

დაახრჩვე ბრიყვი შენ, წყლის ობობავ,  
ნუ იქექები ფალას-ფულასში,  
შეეშვი!

უპირველესად მოკალი იგი.  
ახლა მაგან თუ გამოიღვიძა,  
ტერფით თხემამდე გაგვაძრობს ტყავსა,  
სულ ჩქმეტა-ჩქმეტით და წინკნა-წინკნით.  
და გადაგვაქცევს მთლად ნაგლეჯებად.

### სტეფანო

მშვიდად იყავი, ურჩხულო; ქალბატონო, ეგ ჩემი კამზოლი არ არის? აგერ ის, თოკზე რომ ჩამოკონწიანებულა. ახლა ჩემო კამზოლო, შენ ჩქარა დაკარგავ შენს ძვირფას ხაოიან იერს და გაქუცულ კამზოლად გადაიქცევი.

### ტრინკულო

მიდი, მიდი, ყველაფერი მოვიპაროთ, რაც თოკზე კიდია და რაც არა კიდია; ასე ეკადრება თქვენს უდიდებულესობას.

### სტეფანო

მადლობა მაგ ხუმრობისთვის. სანამ მე ვარ ამ ქვეყნის მეფე, ჭკუამახვილობა არ დარჩება დაუსაჩუქრებელი. "მოიპოვე ის, რაც თოკზე კიდია და ისიც, რაც არ კიდია" – უჭკვიანესი გოგრა გაბია. აი, შენ მაგისთვის კიდევ ერთი ხელი ტანსაცემელი.

### ტრინკულო

ურჩხულო, მოდი, ჩიტის ნებო წაიცხე თითებზე და დანარჩენი აქ მოათრიე.

### კალიბანი

არ მინდა. მაგით ჩვენ ბევრ დროს დაგკარგავთ,  
ეგ გადაგაქცევს თეთრყელა იხვად,  
ან ვინროშუბლა მაიმუნის ჯიშად.

### სტეფანო

ურჩხულო, აბა, გაანძრიე ბრჭყალები, მომეხმარე ყველაფ-  
რის იქ გადატანაში, სადაც მე ღვინით სავსე კასრი დავმალე,  
თორემ ჩემი სამეფოდან გაგაძევებ. აბა, ცოცხლად! მოკიდე  
ამას ხელი და წაიღე.

### ტრინკულო

ესეც!

### სტეფანო

ესეც, ესეც.

*/გაისმის მონადირეთა ხმაური/*

შემოდიან მონადირე ძაღლებად გარდაქმნილი სულები,  
რომლებიც ეცემიან კანიბალს, სტეფანოს და ტრინკულოს.  
პროსპერო და არიელი მწვეარ-მეძებრებს მათ მიუსევენ.

### პროსპერო

ეცი, მაუნტინ, ეცი მაგას!

### არიელი

მიდი, სილვერ! აგერ იქ არის! სილვერ!

### პროსპერო

გაშმაგდი, გაცოფდი, ტაირანტი, იქ არის, მონახე, მონახე!

*/კალიბანი, სტეფანო და ტრინკულო გარბიან. ძაღლები  
მისდევენ/*

ნადი, მიჰყევი, უთხარი სულებს,  
რომ ჩაუმტვრიონ ყველა სახსარი,  
მათ უმკაცრესი კონფუსიებით;  
და აუჭრელონ ეკლით კუნთები,  
როგორც ჯიქია აჭრელებული.

არიელი

თუ გესმის, როგორ იწყეს ღრიალი?

პროსპერო

დე, დევნონ მკაცრად: მათი დროც დადგა,  
ჩემი მტერი მე მემორჩილება.  
ჩქარა მოვრჩები საქმეს და შემდეგ  
განთავისუფლდებ და შენ იქნები  
თავისუფალი, როგორც ნიავი.  
ახლა ნავიდეთ: შენ ჯერჯერობით  
მემსახურები.

/გადიან/

## მოქმედება V

### სცენა I

#### პროსპეროს ბინადრობის ადგილი

*/შემოდინან ჯადოქრის მანტიით მობურული პროსპერო და არიელი/*

#### პროსპერო

ჩემი გეგმები ხორციელდება  
და ჯადოქრობის ძალოვანება  
არ გაუქმდება.

ყველა სული მე შემორჩილება,  
ხოლო დროს მიაქვს თავისი ტვირთი  
ერთობ მსუბუქად. ახლა რა დროა?

#### არიელი

ექვსი დაინყო.  
მბრძანებელო, შენ მეუბნებოდი,  
დამთავრდებოდა ამ დრომდე ყველა.

#### პროსპერო

ეგ მე გითხარი, როცა გრიგალი  
ყალყს შევაყენე. როგორ არიან  
მეფე და მისი ქვეშევრდომები?

#### არიელი

ყველანი ერთად, როგორც მიბრძანე,  
იქ მივატოვე ცაცხვების რიგში,  
შენს სამყოფელის ქარსაცავებში;  
იქიდან ფეხსაც ველარ დაძრავენ,  
ვიდრემდე შენ მათ ჯადოს არ ახსნი.

მეფე, მისი ძმა, თქვენი ძამიკოც,  
სამივე ლამის გადაირივნენ;  
დანარჩენები მათ შესცქერიან  
უკიდურესად დამნუხრებულნი,  
შეცბუნებულნი, შენუხებულნი;  
მოხუცებულს კი ყველაზე მეტად,  
შენ რომ ეძახი „კეთილ გონზალოს“.  
ცრემლი ჩამოსდის თეთრ წვერზე ისე,  
ზამთარში რომ წვეთს სახურავიდან.  
ჯადო მოქმედებს მათზე იმგვარად,  
რომ დაგანახათ ახლა ისინი,  
ნამდვილად ძლიერ შეიცოდებდი.

**პროსპერო**

შემ მასე ფიქრობ? მასე გგონია?

**არიელი**

ადამიანი რომ ვყოფილიყავ,  
ნამდვილად ძლიერ შევიცოდებდი.

**პროსპერო**

გარწმუნებ, რომ მეც შევიბრალებდი.  
შენ ხარ უჩინო, მხოლოდ ჰაერი  
და ამ უხორცო სულს გაგაჩნია  
ოდნავი გრძნობა, გულისტკივილი,  
მაშინ ნუთუ მე, იმათ რომ ვგავარ,  
შენზე მეტად არ მებრალებიან?  
მე შეურაცხმყვეს ერთობ სასტიკად,  
მაგრამ გონება, კეთილშობილი,  
ყველა სიბრაზის წინააღმდეგია.  
დიდსულოვნება უფრო მძლავრია,  
ვიდრე ჯიბრი და შურისძიება.  
მაშ ყველაფერი მოინანიეს? -

მიზანს ვენიე.  
ამის მერე მე არ გამაჩნია  
ერთი წვეთიც გულნაკლოვანების;  
ახლა კი წადი. გაუშვი ყველა,  
ჯადოს კი მოეხსნი, როცა მე იმათ  
ჭკვაზე მოვიყვან—  
ძველებურად გონს მოეგებიან.

### არიელი

მე მათ მოვუვლი, ჩემო ბატონო.

/გადის/

### პროსპერო

თქვენ კი, ელფებო, ტბების და მთების,  
ნაკადულების და წარაფების,  
კვალს რომ არ ტოვებთ არსად ქვიშაზეც;  
უკან რომ მისდევთ ნებტუნს კვალდაკვალ  
და გაურბიხართ, რომ მოიქცევა;  
თქვენი ფერხულით გათელილ ბალახს  
შემდეგში ცხვრები აღარ წინკნიან,  
ხოლო გასართობს იმაში ხედავთ,  
რომ სოკოები გაზარდოთ ღამით;  
ვისაც მხიარულ თამაშებისთვის,  
ცეცხლთა ჩაქრობის უამს მოგიხმობენ;  
თქვენ ყველა სუსტი არსებები ხართ,  
მაგრამ მე ძალზე კი მეხმარებით  
მზის დაბნელების, ან ქარიშხლის  
აბობოქრების ცის კამარამდე —  
მწვანე წყლებიდან, ცისფერ ზეცამდე.  
მე მივეც ჭექას და ქუხილს,  
შუა გავაპე იუპიტერის  
დიდებული და დიადი მუხა

მისივე ისრით.  
 შევაზანზარე კლდოვანი კონცხი,  
 ძირით მოვგლიჯე ნაძვი, კედარი;  
 საფლავნი ჩემი ბრძანების დარად  
 დაბრუნდნენ იქავ პირდაღებულნი  
 და ყველა ჩემი მაგიის ძალით.  
 ჩემს მძლე ჯადოზე მე უარს ვამბობ,  
 მხოლოდ ზეციურ ჰანგს გამოვიხმობ,  
 რომ დავაბრუნო გონიერება.  
 ამაღლებული მისი თილისმა  
 ჯერ კიდევ არის ერთობ საჭირო.  
 მერე კი ჩემს კვერთხს მე გადავამტვრევ  
 და დავფლავ იმას ღრმად მიწის გულში  
 და ზღვაში, იმის ღრმა უფსკრულებში,  
 ლოტითაც რომ არ განიზომება;  
 იქვე ჩავძირავ ჩემს მაგიერ წიგნს.

*/ისმის საზეიმო მუსიკა/*

*/შემოდის არიელი, მას კრუნჩხვით მოყვებიან ალონზო,  
 გონზალო, სებასტიანი და ანტონიო. მათ მოსდევენ ადრიანი  
 და ფრანცისკო, რომლებიც ასეთსავე მდგომარეობაში არიან.  
 ყველა შედის ჯადოსნურ წრეში, რომელიც შემოხაზულია  
 პროსპეროს მიერ და მოჯადოებულნი გაქვავდებიან/*

### პროსპერო

*/შეათვალიერებს მათ და ლაპარაკობს/*

ზეიმის ჰანგი, ნუგეშიანი  
 და საოცარი აღფრთოვანება –  
 ეს განკურნავს მაგ სნეულ გონებას.  
 ნულა აიმღვრევთ ტვინს თავის ქალაში!

ახლა გჭირდებათ თქვენ დასვენება, —  
 ნმინდა გონზალო, კეთილშობილო,  
 ჩემი თვალები გითანაგრძნობენ  
 და ამიტომაც მომდის ცრემლები,  
 ჯადოქრის ძალა ჩემი სუსტდება.  
 როგორც დღეს ღამე უთენებია  
 და აღნობს იმის უკუნ სიბნელეს,  
 ისე გონებას ავი ღრუბელი  
 გადენმინდება, მას რომ ფარავდა.  
 გონზალო, ჩემი სიცოცხლის მცველო,  
 და ქვეშევრდომო შენი მბრძანებლის;  
 მე სამშობლოში დაგაჯილდოებ  
 იმით, რაც უკვე დაიმსახურე  
 სიტყვით თუ საქმით.  
 ალონზო, შენ ჩვენ მკაცრად მოგვექეც,  
 როგორც მე, ისე ჩემს ტურფა ქალწულს,  
 ამაში შენი ძმაც მხარში გედგა,  
 იგი ამისთვის დასჯილი იქმნა.  
 სებასტიანე, სისხლო და ხორცო,  
 პატივმოყვარევ, ვინაც გასწირე  
 ამისთვის არსი, შენი სინდისი,  
 განიზრახე თვით მეფის მკვლელობა,  
 რასაც განიცდი და ინანიებ,  
 ამისათვისაც მე შენ გპატიობ,  
 თუმცა არ არის ეს ბენებრივი —  
 მათი შეგნება ქკვაში ჩავარდა,  
 ჩქარა იპოვის თავის კალაპოტს,  
 და გადარეცხავს ამღვრეულ ნაპირს;  
 ხოლო აქამდე ჯერ არვინ მიცნობს; —  
 ჩემო არიელ, მომეც მახვილი,  
 და მოაყოლე ნამოსასხამიც,  
 მე ვეჩვენები ახლა იმ სახით,



როგორც მნახეს იმათ მილანში.  
ჩქარა, ჰე, სულო!  
ამისათვის გელის თავისუფლება!

### არიელი

*/ბრუნდება სიმღერით და ეხმარება პროსპეროს ჩაცმაში/*

### არიელი

*/მღერის/*

სადაც ფუტკარი ნექტარს წოვს,  
მეც იმ ნექტრით ვიკვებები.  
ფურისულას ვიპოვი და  
იმის ზარში წამოვწვები.  
აქ მძინავს ბუს კივილის ქვეშ,  
ლამით კი ლამურის ფრთებით  
თბილ ბინდ-ბუნდში ზე მივფრინავ,  
ალიონის ვარსკვლავს ვხვდები,  
როკს დაკიდულ ყვავილთა წნულში  
მხიარულად დავსახლდები.

### პროსპერო

დახვეწილო და ტკბილო არიელ,  
მე შენ ძალიან მომენატრები.  
მაგრამ ახლა ხარ თავისუფალი.  
დიახ, დიახ, დიახ!  
ახლა გასწიე მეფის გემისკენ,  
უჩინარისკენ, როგორც შენ ხარ,  
იქ, ტრიუმში ნახავ მძინარ ზღვაოსნებს,  
გამოალვიძე შენ კაპიტანი  
და მასთან ერთად გემის ბოცმანი;  
ის ორნი ჩქარა აქ მოიყვანე,  
მე შენ ამას გთხოვ.

### არიელი

თქვენ ვერ მოასწრებთ დახამხამებას,  
რომ მათთან ერთად თქვენთან გავჩნდები.

/არიელი გადის/

### გონზალო

აქ ყველაფერი ტანჯვის წყაროა,  
მღელვარება გასაოცარი,  
ზეცის ძალებო, თქვენ დაგვიფარეთ,  
გაგვაცილეთ ამ საშინელ მხარეს!

### პროსპერო

მეფევე, შემხედვე, მე პროსპერო ვარ,  
შენგან ჩაგრული მილანის დეუკა,  
რომ დაგვიმტკიცოთ, - არ ვარ აჩრდილი, -  
არამედ მე ვარ ცოცხალი პრინცი, -  
გადაგეხვევი; და შენს თანხმლებთაც მივესალმები.

### ალონზო

ნუთუ ეს შენ ხარ!

თუ ჯადოქმნილი რალაცა სული,  
მოგზავნილი ხარ ჩემს გასაკიცხად.  
არ ვიცი, მაგრამ გული გიფეთქავს,  
როგორც სისხლ-ხორციტ შექმნილ არსებას;  
მიტომ გონება გადაგენმინდა,  
ჩვენს შეხედვაზე; განდევნა შიში,  
რომ ეს ამბავი გამაგიჟებდა.  
ეს ყველაფერი უცნაურია, -  
პერცოგის ტიტულს მე დაგიბრუნებ.  
მე მაპატიე ჩემი შეცდომა,  
მაგრამ, პროსპერო, როგორ გადარჩი  
და ამ ადგილას როგორღა მოხვდით?

### პროსპერო

ჩემო კეთილო, ჯერ ნება დამრთე,  
გადავეხვიო შენს სიჭარმაგეს,  
ვისი ღირსება ყველას აჭარბებს –  
არც ინონის, არც განისაზღვრება.

### გონზალო

ნამდვილი ხარ, თუ მხოლოდ სიზმარი,  
მე მაგას ფიცით ვერ დავამცკიცებ.

### პროსპერო

თქვენ ამ კუნძულის ჯადოს ქვეშა ხართ  
და გიძნელდებათ სიცხადის აღქმა.  
ჰე, მეგობრებო, სალამი ყველას!

*/გვერდზე სებასტიანს და ანტონიოს/*

თქვენ, ბატონებო, მეფის შერისხვას,  
მე სულ იოლად გამოვიწვევდი,  
თქვენი ღალატი რომ გავამხილო.  
ნუ გეშინიათ, მე თქვენ არ გაგცემთ.

### სებასტიანი

*/გვერდზე/*

მისი პირით აქ ეშმა მეტყველებს.

### პროსპერო

არა, – ...

შენ კი, ყველაზე ბოროტო სენიორ,  
მე ვერ გინოდებ ძმას და მეგობარს,  
რომ არ ნავბილწო ჩემი ტუჩები.  
მაგ შენ საზარელ ცოდვას გპატიობ,  
ხოლო მე ამის სამაგიეროდ

მოვითხოვ უკან ჩემს საჰერცოგოს,  
რომელიც უნდა დამიბრუნო მე.

### ალონზო

შენ თუ ნამდვილად ის პროსპერო ხარ,  
მაშინ გვითხარი, როგორ გადარჩი,  
როგორ გვიპოვე ჩვენ აქ ყველანი,  
სამი საათით ადრე შემთხვევით  
გამორიყულნი შტორმით კუნძულზე?  
გახსენებაც კი საზარელია!...  
ჩემი ძვირფასი შვილი ფერდინანდ...  
იქ დაიღუპა.

### პროსპერო

ძალიან ვნუხვარ, ჩემო ბატონო,

### ალონზო

აღუდგენელი დანაკარგია.  
მოთმინება კი იმას გვკარნახობს,  
რომ იგი იმას ველარ განკურნავს.

### პროსპერო

ასე მგონია, შენ ხსნას და შველას  
მოთმინებაში არ ეძიებდი.  
მსგავსი ზიანი მეც განვიცადე,  
მთელი მადლით და .... აი, მშვიდად ვარ.

### ალონზო

მაშ ასეთივე ბედი გუნვია?

### პროსპერო

კი ასეთივე, - დიდი და მძიმე,  
მხოლოდ ნუგეში მე მცირე მერგო, -  
დავკარგე ერთადერთი ასული.

### ალონზო

როგორ! ქალწული? ო, ზეცის ძალნო!  
ისინი უნდა იყვნენ ნაპოლში,  
როგორაც მეფე და დედოფალი!  
ხოლო მე ვინვე ბნელი ზღვის ფსკერზე,  
ამ ტალახიან, ლამის სანოლზე,  
სარეცელი რომ არის ჩემი ძის.  
როდის დაკარგე შენი ასული?

### პროსპერო

ბოლო შტორმის დროს. ამ ამბით, ვხედავ,  
ყველა სენიორი გაოცდა ძლიერ.  
ამ ელდისაგან ტვინი აემღვრათ  
თავის ყურებსაც არ უჯერებენ,  
მღელვარებისგან ენაც დაებათ.  
რას იზამთ, – უნდა ენდოთ ჩემს სიტყვას,  
რა უცნაურად უნდა გეჩვენოთ, –  
მე პროსპერო ვარ, სწორედ ის დუკა,  
მილანიდან რომ გამოაძევეს,  
შემდეგ განგებით მოხვდა კუნძულზე,  
ისევე როგორც თქვენ გაჩნდით მასზე  
და დავეუფლე. საკმარისია,  
ჩემი მოთხოვნა იქნება მთელი  
მემატინე. შეუძლო არის  
საუზმედ მოყვე, ან ერთ შეხვედრით  
რომ დაასრულო. ახლა კი მე გთხოვთ, –  
ეს არის ჩემი მღვიმე-სასახლე!  
მოსამსახურეც არა მყავს ბევრი,  
ქვეშევრდომი მთლად არ გამაჩნია.  
ახლა შემხედუ:  
ჰერცოგთ ნოდება რომ დამიბრუნე,  
მე სასწაულით ამას გადავიხდი,

რაც შენთვის უფრო ძვირი იქნება,  
ვიდრე ჰერცოგის მთელი ტიტული.

*/გადაიშლება მღვიმის შიდა ნაწილი/*

*/გამოჩნდებიან ფერდინანდი და მირანდა,  
რომლებიც ჭადრაკს თამაშობენ/*

**მირანდა**

ო, ტკბილო სენიორ, თქვენ მე მატყუებთ.

**ფერდინანდი**

საყვარელო და უძვირფასესო,  
მაგას არ ვიზამ ქვეყნის გულისთვის.

**მირანდა**

ოც სამეფოსთვის მომატყუებდი?  
მე კი ვიტყოდი: „აი, ეს არის  
ნაღდი თამაში!“

**ალონზო**

ო, ეს თუ არის  
ისევე აჩრდილი ან მოჩვენება,  
მაშინ მეორედ დაგკარგავ მე შვილს.

**სებასტიანი**

ეს უმაღლესი სასწაულია!

**ფერდინანდი**

ზღვა მრისხანეა, თუმცა მონყალე,  
მე სულ ტყუილად იმას ვწყევლიდი.

*/ფერდინანდი ალონზოს წინაშე დაიჩოქებს/*

### ალონზო

ო, შვილო ჩემო, კურთხეულ იყავ!  
ახლა მაცნობე იმის შესახებ,  
რაც ჩემს გაგების ზღვარს იქითაა;  
წამოდექი და ყველა მიამბე,  
თუ ვით გადარჩი იმ შტორმისაგან.

### მირანდა

ო, საოცრებავ!  
ეს რაოდენი კარგი ქმნილება  
გარს მახვევია აქაც და იქაც!  
რა ლამაზია ახალი მხარე,  
ასეთი ხალხით ამ ქვეყანაში!

### პროსპერო

შენთვის ეს ყველა სიახლე არის.

### ალონზო

ის ქალიშვილი ვინა ბრძანდება,  
მასთან ჭადრაკით რომ ერთობოდი?  
ალბათ, იქნება სამი საათი,  
რაც იმას იცნობ. ის ღმერთქალია?  
ყველა რომ ასე ჩამოგვაშორა,  
ხოლო მერე კი ერთად შეგვყარა?

### ფერდინანდი

მოკვდავი არის, ჩემო ბატონო;  
მაგრამ უკვდავი განგების ძალით  
იგი ჩემია; ის ავირჩიე,  
მამავ, მე თქვენი რჩევის გარეშე.  
მე ჩავთვალე, რომ მამა აღარ მყავს.  
ის ქალწულია სახელგანთქმული  
მილანის დუკას, რომლის შესახებ

ხშირად მსმენია, მაგრამ პირველად  
ის აქ ვიხილე. მეორე სულთქმა  
მისგან მივიღე. ამ ქალისგან კი –  
მეორე მამა.

### ალონზო

მე კი გავხდები  
მაგისი მამა; თუმცა კი ერთობ  
უცნაურია, რომ პატიება  
მე უნდა ვთხოვო ან ჩემს ქალიშვილს!

### პროსპერო

საკმარისია; ნუ დავამძიმებთ  
მოგონებებით გარდასულ დღეებს.

### გონზალო

სულში ვტიროდი, მიტომა ვდუმდი,  
ღმერთო, შენ გადმოხედე –  
ამ წყვილს და ლოცვით დააგვირგვინე:  
რადგან შენა ხარ, ვინც მოუხაზა  
ცხოვრების გეზი და აქ შეგვეყარა!

### ალონზო

ამინ, გონზალო!

### გონზალო

რომ შენი შვილი, ნაპოლის მეფედ  
კურთხეულიყო. ო, იზეიმე  
და გაიხარე ზე სიხარულით,  
ვიდრე ჩვეული სიხარულია;  
და ამოტვიფრეთ ოქროთი ბოძზე,  
რომელიც არის მარადიული –  
ერთი მგზავრობით კლარიბულ ჰპოვა



თავისი ქმარი სადღაც ტუნისში,  
ხოლო ფერდინანდ, მისმა ღვიძლმა ძმამ,  
ნახა საცოლუ იხეთ ადგილას,  
სადაც ელოდა იგი დალუპვას.  
პროსპერომ ჰპოვა ჰერცოგის ტახტი  
ერთ მწირ კუნძულზე; ხოლო ჩვენ ბოლოს  
ვიპოვეთ თავი და ერთმანეთი,  
სადაც გონებას ეკარგავდით ყველა.

**ალონზო**

*/ფერდინანდსა და მირანდას/*

მომეცით ხელი. ქმუნვა და დარდი  
ნუმც ჩამოსცლოდეს იმის გულს მარად,  
ვინც არ გისურვებთ ბედნიერებას!  
დე, ასე იყოს! ამინი მითქვამს!

*/შემოდის არიელი, რომელსაც მოჰყვებიან გაოცებული  
კაპიტანი და ბოცმანი/*

შეხედეთ, მეფევ, ერთი შეხედეთ!  
ახლა ჩვენ ყველა უფრო მეტნი ვართ!  
ახლა კი ძალმიძს წინასწარ ვთქვა, რომ  
სანამ ხმელეთზე თოკი იქნება,  
ეს ყმანვილი აქ არ დაიხრჩობა.  
აბა, ღვთისმგმობო,  
ზღვაში რომ ისე ილანძლებოდი,  
არ იშურებდი წყევლას და კრულვას,  
აქ ნაპირზე კი ენა დაგება,  
აბა, ამაზე რას გვეტყვი ახალს?

### ბოცმანი

უკეთესი რომ აღარ იქნება—  
მეფე გადარჩა თავის მხლებლებით!  
ჩვენი გემი კი, სულ ცოტა ხნის წინ  
რომ დაიმსხვრა და მთლად დანაწოტდა,  
მთელია სრული აღჭურვილობით,  
ერთობ მკვრივია და ერთობ სწრაფი,  
ისე საგმიროდ გამზადებული,  
როცა ჩავუშვით ზღვაში პირველად.

### არიელი

*/ჩუმად პროსპეროს/*

ეს ყველაფერი უცებ შევქმენი.

### პროსპერო

ო, სულო ჩემო, მოხერხებულო,

### ალონზო

ეს ხომ პირდაპირ საარაკოა;  
და თანდათან უფრო საოცარია.  
გამაგებინეთ, აქ როგორ მოხვდით?

### ბოცმანი

მე რომ მცოდნოდა, ჩემო ბატონო,  
რომ ასე ტკბილად გავიღვიძებდით,  
შევეცდებოდი ყველა მომეთხრო.  
ისე გვეძინა მაშინ, როგორც მკვდვრებს,  
და იმ დროს არვინ არრა ვიცოდით...  
ვინ ჩაგვამწყვდია იქ, გემბანის ქვეშ.  
გვესმოდა მხოლოდ (და ახლაც ისმის),  
უცნაური და უცხო რამ ხმები;  
ღრიალ-ხმუილი, ავი ყვირილი,  
ჯაჭვის უღრიალი, სხვა ხმაც აგრეთვე,

ნაირ-ნაირი და საზარელი,  
 ჰოდა ამ ხმებზე გამოგვეღვიძა,  
 ახლა ყველა ვართ თავისუფალი.  
 ჩვენი მეფური გემიც ვიხილეთ,-  
 ერთობ მაგარი და განყობილი,  
 გაპრიალებულ და მოკაზმული.  
 ამის მხილველმა კაპიტანმა კი  
 სიხარულისგან ხტუნვა დაიწყო.  
 და ამ დროს, შენ ხარ ჩემი ბატონი,  
 თითქოს რაღაცამ აგვიტაცა და  
 როგორაც ხედავთ, ყველა აქა ვართ.

### არიელი

*/ჩუმად პროსპეროს/*

ხომ ყველაფერი კარგად გაკეთდა?

### პროსპერო

*/ჩუმად არიელს/*

შესანიშნავად, სულთ ბეჯითო,  
 და ამიტომაც გათავისუფლებ.

### ალონზო

დავბოდიხლობთ ვით ლაბირინთში;  
 უცნაურობა მეტია მასში,  
 ვიდრემდე შექმნის ამას ბუნება,  
 მხოლოდ ორაკულს ხელენიფება,  
 გაგვაგებინოს თუ აქ რა მოხდა.

### პროსპერო

ბატონებო და ჩემო მეფეო,  
 ნუ გადატვირთავთ გონიერებას,  
 ამ საიდუმლო ამბის ამოხსნით,

რაც მოკლედ თქვენთვის ამოიცნობა,  
მე მას გადავჭრი, თქვენთვის ამოვხსნი –  
ეს კი იქნება თქვენთვის სარწმუნო  
და დასაჯერი, ის თუ რაც მოხდა,  
ან თავს გადაგხდათ უბედურება.  
ხოლო მანამდე გამხიარულდით  
და ყველაფერი კარგი იფიქრეთ.

*/ჩუმად არიელს/*

აქეთ წამოდი, ერთგულო სულო!  
ათავისუფლე ჩქარა კალიბან  
და მასთან მისი ამხანაგები,  
ახსენი ჯადო.

*/არიელი გადის/*

როგორ ბრძანდებით,  
დიდო მეფეო? მე მეჩვენება,  
რომ თქვენს ამაღლას ხალხი აკლია  
ცოტაოდენი, ძველი მსახურნი,  
რომელნიც უკვე თქვენ აღარ გახსოვთ.

*/ბრუნდებიან არიელი, რომელიც მოერეკება კალიბანს,  
სტეფანოს და ტრინკულოს, მოპარულ ტანისამოსში  
გამონყობილებს./*

### სტეფანო

ყოველი ადამიანი სხვისთვის ცდილობს, ხოლო საკუ-  
თარი თავისთვის არა ზრუნავს; ყველაფერი ხომ შემთხვევის  
საქმეა. ყოჩაღად, სულელო ურჩხულო, ყოჩაღად!

### ტრინკულო

თუ ეს ჯაშუშები, მე რომ მყვანან თავში, არ მომატყუე-  
ბენ, კარგი სანახაობა გველის.

### კალიბანი

ო, სეტების,  
 თქვენ ხართ ნამდვილად მამაცი სულნი!  
 მშვენიერია ჩემი ბატონი! მაგრამ მე ვშიშობ,  
 რომ მკაცრად დამსჯის.

### სებასტიანი

ჰა, ჰა! ანტონიო,  
 ეს რა ნივთია? თუ შეიძლება  
 ამ ყველაფერის ფულით შეძენა?

### ანტონიო

ძლიერ ნააგავს. ერთი მათგანი  
 მხოლოდ თევზია; ეჭვი არაა,  
 ბაზრის ფასებით შეისყიდება.

### პროსპერო

შეხედეთ ამათ მოკაზმულობას,-  
 მითხარით სად აქვთ ამათ სინდისი?  
 ეს არამზადა, მათი მასხარა,  
 ნაბიჭვარია, გრძნეულის შვილი,  
 ჯადოს ნყალობით ის მბრძანებლობდა  
 ზღვასა და მთვარეს, მიქცევ-მოქცევას;  
 მე მათ გამძარცვეს - ამ სამეულმა  
 და ამ ნახევრად ავმა სულეებმა,  
 ეს უკანონო შვილია მისი,  
 მას რომ გაუჩნდა დემონისაგან,  
 მოითათბირეს, რომ მოვეკალი;  
 ის ორი უკვე კარგად გეცნობათ,  
 ხოლო ამ სულს კი, ეშმაკისეულს,  
 გაგაცნობთ როგორც ჩემს საკუთრებას.

### კალიბანი

ახლა ესენი მე მოლაღ გამბრდღენიან.

### ალონზო

ეს სტეფანოა? ლოთი შინაყმა  
და მოურავი?

### სებასტიანი

ახლაც მთვრალია?  
სად ნახა ღვინო?

### ალონზო

ესეც ტრინკულო,  
თოკის ყულფისთვის მომნიფებული,  
ჩამაგებინა, თუ სად მიაგნეს  
ამ დიად სითხეს, რომ დაუმშვენათ  
ასე იერი?  
სად გაიღესეთ ასე, მითხარით,  
შენ სად დასველდი?

### ტრინკულო

მე ისეთ მწილის წვენში ჩავბუფბუფდი, რომ ჩემს ძვლებს  
ის თავის დღეში არ დაავინყდებათ. ახლა მე ბუზების აღარ  
მეშინია.

### სებასტიანი

რა დაგემართა, სტეფანო?

### სტეფანო

ო, ხელი არ მახლოთ. მე სტეფანო არა ვარ. მე მხოლოდ  
სპაზმები ვარ.

### პროსპერო

შენ ამ კუნძულის მეფე გახდები, დასტურ!

### სტეფანო

რა მეფე, რის მეფე, მე ამ კუნძულის მუნუკი ვიქნები, ეგ  
არის და ეგ.

### ალონზო

*/კალიბანზე მიუთითებს/*

ამაზე უცნაური არსება მე არსად მინახავს.

### პროსპერო

სულით და ხორციით უშნო ვინმეა.

*/მიმართავს კალიბანს და მიუთითებს სტეფანოზე და  
ტრინკულოზე/*

ნადი მღვიმეში,  
და ეს ორივე თან გაიყოლე,  
პატიება გსურთ დაიმსახუროთ  
და მოაგვარეთ კონტად ყოველი.

### კალიბანი

ყველაფერს ვიზამ და მომავალშიც  
ვიქნები უფრო წინდახედული.  
მე მომიტევე, - რა ვირი ვიყავ,  
როცა ჩავთვალე ლოთი ღვთაებად  
და თაყვანი ვეც გონებაჩლუნგებს.

### პროსპერო

ნადი, გამცილდი!

### ალონზო

და ეგ ნივთებიც  
იქ დაალაგეთ, სადაც იპოვეთ.

## სებასტიანი

უფრო სწორად კი, იქ მოიპარეთ.

*/გადიან კალიბანი, სტეფანო და ტრინკულო/*

### პროსპერო

თქვენ კი, მეფეო, და თქვენ მხლებლებსაც,  
გთხოვთ ნამობრძანდეთ ჩემს მწირ მღვიმეში;  
იქ მოისვენებთ ჩემთან ამაღამ.  
ექვი არ არის, იმის ნაწილი  
ჩქარა გაივლის, იმ ჩემს ამბავთა  
თხრობის წყალობით, რაც მე გადამხდა  
მას შემდეგ, რაც ამ კუნძულზე გავჩნდი.  
დილით კი თქვენთან ჩავჯდები გემში.  
და ნეაპოლსაც ჩქარა ვიხილავ,  
სად გამაჩნია დიდი იმედი,  
ვიხილავ ძვირფას შვილთა ჯვრისწერას;  
შემდეგ გავცურავ ისევ მილანში,  
სადაც ვიფიქრებ უკვე საფლავზე.

### ალონზო

შენი ამბავის მსურს გაგონება,  
რასაც მოვუსმენთ ჩვენ გატაცებით.

### პროსპერო

მე მოგიყვებით სულ დანვრილებით;  
გისურვებთ ყველას კეთილ მგზავრობას,  
ზურგის ქარსა და ფლოტის დანევნას.  
ჩემო არიელ,-  
ამას ყველაფერს მე შენ გავალებ,  
ამის შემდეგ ხარ თავისუფალი,  
აბა, მშვიდობით!



*/გვერდზე არიელს/*

ახლა მომყევი.

*/გადიან/*

**ეპილოგი**

*/რომელსაც ამბობს პროსპერო/.*

ყველა ჯადო, თილისმა მოვიცილე თავიდან,  
ძალა კი იგივე მაქვს, რაც გამაჩნდა თავიდან.  
ეს კი ძლიერ ცოტაა. საქმე კი იმაშია  
რომ ახლა თქვენს ხელში ვარ – ბნელ დილეგში ჩამაგდებთ,  
ან გამგზავნით ნეაპოლს.  
ვინაიდან მე თქვენგან ჰერცოგობა მივიღე  
ნუ მიმაგდებთ მე ასე ტიალ კუნძულს ამარა,  
შემომხვიეთ ხელები, როგორც ზეცის კამარა;  
ლალი მქენით, ამყარეთ მძიმე რკინის ხუნდები  
ჰაერი მინყალობეთ და შუებით მოვბრუნდები;  
ჩემი გემის აფრები ზურგის ქარით ავნიოთ,  
მიზანს ჩემგან დასახულს, ზუსტად რომ მივალნიოთ.  
თქვენი გული მოვიგო, გაქრა ამისი ნიჭი,  
ვიმოქმედო სულებზე, აღარ ვარ ამის ბიჭი.  
ნაღდად ჩემი დალუპვით დამექადნენ, ვოცდები,  
რომ არ მქონდეს ის ძალა, აღვაფლინო ლოცვები.  
ცოდვას მოსპობს, განწმინდავს გატყორცნილი ისარი,  
მიტევების მთავარი საფუძველი ეს არის.  
ისე, როგორც მაღლია დიდ ცოდვათა შენდობა,  
თქვენი შემწყნარებლობით იქონიეთ დანდობა.

ქ. შ. შ. შ.

111 / 332



## შინაარსი

„მეფე ლირი“, ზურღან გემაზაშვილი .....	5
მეფე ლირის ტრაგედია .....	7
გრიგალი .....	227

K285.047  
3



ზურღან გემაზაშვილი – (1932), მწერალი, ჟურნალისტი, შექსპიროლოგი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი. ინგლისურიდან ქართულად თარგმნილი და გამოქვეყნებული აქვს ინგლისელი და ამერიკელი მწერლების ნაწარმოებები, იგი ასევე შექსპირის ტრაგედიების ახალი თარგმანების ავტორია.

ZURGAN GEMAZASHVILI – (1932), PHD, writer, journalist. He has translated into Georgian and published works of English and American writers. He is the author of new translations of William Shakespeare's tragedies. Two books of these translations are kept in the British National Library.

ISBN 978-9941-436-18-5



9 789941 436185